ქართული
ჰაგიოგრაფიული ძეგლები

3 ტომად

ტომი I

მივესალმებით წინამდებარე ნაშრომის გამოცემას.
მიგვაჩნია, რომ ეს გამოცემა დააახლოებს საქართველოს ეკლესიის სულიერ მემკვიდრეობასთან მოსწავლეებს, სტუდენტებს, მრევლის წევრებს და ყველა დაინტერესებულ მკითხველს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II

რედაქტორი: ლევან აბაშიძე

მხატვრული გაფორმება: გიორგი პერანიძე

ISBN 978-99940-755-4-6 (სამივე ტომი)
ISBN 978-99940-755-5-3 (I ტომი)

© ბთი

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები

ორიგინალური ტექსტები
და
ახალი ქართული თარგმანები

ტომი I

თბილისი 2008

We greet the publication of Georgian Hagiographic Literature.
This publication will certainly help students, parishes and wide public
to become closer to the spiritual heritage of the Georgian Church.

ILIA II
Catholicos-Patriarch of All Georgia,
Archbishop of Mtskheta and Tbilisi

Redactor: Levan Abashidze

Design: Giorgi Peranidze

ISBN 978-99940-755-4-6 (all three volumes)
ISBN 978-99940-755-5-3 (volume I)

© BTC

GEORGIAN HAGIOGRAPHIC LITERATURE

Original texts and translation into modern Georgian

VOLUME I

Tbilisi 2008

Content

Preface 8

Foreword 10

Conversion of Kartli 17
Translated by Nikoloz Nikolozishvili

Martyrdom of St. Shushanik 161
Translated by Edisher Tchelidze

Martyrdom of St. Evstathe of Mtskhetha 237
Translated by Edisher Tchelidze

Martyrdom of St. Abo of Tbilisi 287
Translated by Edisher Tchelidze

სარჩევი

წინათქმა 8

შესავალი 10

ქართლის მოქცევა 17
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და თარგმნა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა

წამება წმინდა მოწამე შუშანიკ დედოფლისა 161
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ

მარტვილობა და მოთმინება წმინდა ევსტათი მცხეთელისა 237
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ

ქრისტეს წმინდა და ნეტარი მოწამის აბოს წამება 287
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ

წინათქმა

წინამდებარე კრებული არის ნაყოფი ავტორთა ჯგუფის ორწლიანი მუშაობისა.

უმთავრესი მიზანი იყო ქართულენოვანი მკითხველისთვის მიგვეწოდებინა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ადვილად გასაგები ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მკითხველს ძველი ქართული ენის სპეციალური შესწავლის გარეშე ნაწილობრივ ესმის ძველი ქართული ტექსტები, ქრისტიანული ლიტერატურის ახალ ქართულზე შესრულებული თარგმანების არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს.

ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ძველი ქართული ენის გაგებას სპეციალური სწავლა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექსტის გაგება სრულყოფილი არ იქნება და ხშირად, არასწორი, ვინაიდან ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა მნიშვნელობას იცვლის საუკუნეთა განმავლობაში.

ამასთანავე, ახალ ქართულ ენაზე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის არსებობა სრულიადაც არ გულისხმობს ორიგინალური ტექსტისაგან მკითხველის დაშორებას. პირიქით, ჩვენი რწმენით, თარგმანი გზას გაუხსნის მკითხველს ორიგინალთან მისასვლელად.

ამისათვის ჩვენ გამოცემაში იბეჭდება როგორც თარგმანები, ისე ორიგინალური ტექსტები.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე გამოცემა დაეხმარება მკითხველს დაუახლოვდეს ჩვენს უმდიდრეს საუნჯეს — ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას.

ძეგლები თარგმნეს და ძველი ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს შემდეგმა მეცნიერებმა: ედიშერ ჭელიძემ, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, მედეა ღლონტმა, მაია კობიაშვილმა, ეკა ქორიძემ, ეთერ შენგელიამ, ნინო ხახიაშვილმა, თამაზ კოჭლამაზაშვილმა, მაია არეშიძემ, ლევან აბაშიძემ.

გამომცემლები მადლობელნი იქნებიან არგუმენტირებული შენიშვნების მოწოდებისთვის, რასაც გამოიყენებენ შემდგომ გამოცემებში.

* * *

შესავალი

ქრისტიანული სრულყოფილების იდეა არ იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე და თავისი არსით მარად იგივე რჩება. ამის მიუხედავად, ის გზები და საშუალებები, რომლებითაც ქრისტიანები ცდილობდნენ მიეღწიათ ამ იდეალისთვის, განსხვავებული იყო სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გარემოებებში, რომლებშიც ქრისტიანებს უხდებოდათ ცხოვრება. მოციქულთა ხანაში და მის შემდგომ, ქრისტიანთა დიდი დევნის პერიოდში, ქრისტიანული სრულყოფლების უმაღლეს გამოვლინებად მიჩნეული იყო სარწმუნოებისთვის სიცოცხლის გაწირვა — მოწამეობა.

ქრისტიანი წმინდანები: მოწამე და სულიერი მოწამე

ბერძნული სიტყვა "მარტვილი" (martys), ისევე, როგორც მისი ძველი ქართული შესატყვისი — "მოწამე", აღნიშნავდა სხვა არაფერს, თუ არა მოწმეს, რომელიც მოწმობს და ადასტურებს იმას, რაც უნახავს, რისი მომსწრეც ყოფილა და ამიტომ დანამდვილებით იცის. თავდაპირველად, სწორედ ამ მნიშვნელობით ჩნდება ეს სიტყვა ქრისტიანულ ლიტერატურაში. მოციქულები იყვნენ **მოწმეები** (მოწამეები) ყოველივესი, რაც მათ იხილეს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან და ასევე, რაც ისწავლეს მისი სწავლებიდან. და ისინი მზად იყვნენ, **დაემოწმებინათ** ყოველივე ეს *"იერუსალემში, მთელ იუდეაში და სამარიაში და ქვეყნიერების კიდემდე"* (საქმ. 1:8).

პეტრე მოციქულმა, თავის მიმართვაში სხვა მოციქულთა და მოწაფეთა მიმართ, როდესაც დადგა იუდას შემცვლელი მოციქულის არჩევის საკითხი, სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა და სწორედ აღნიშნული მნიშვნელობით: *"მაშასადამე, საჭიროა, რომ ერთი იმ კაცთაგან, რომელნიც ჩვენთან იყვნენ მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა უფალი იესო მოვიდა ჩვენთან და წავიდა ჩვენგან, იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული, ვიდრე იმ დღემდე, როცა ის ამაღლდა ჩვენგან, - ერთი მათგანი უნდა შემოგვიერთდეს ჩვენ და ჩვენთან ერთად იყოს **მოწმე** მისი აღდგომისა"* (საქმ. 1:22). თავის ამ პირველ საჯარო გამოსვლაში პეტრე საუბრობს თავის თავზე და სხვა მოციქულებზე, როგორც "მოწამეებზე" (მოწმეებზე), რომლებმაც იხილეს მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე. თავის პირველ ეპისტოლეში, პეტრე ასევე მოიხსენიებს თავის თავს, როგორც *"ქრისტეს ვნებათა მოწმეს"* (1 პეტრ. 5:1).

ამ ადრეულ მაგალითებში უკვე მოჩანს სიტყვა "მოწამის" ახლებური, ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა. ქრისტეს მოწაფეები არ იყვნენ უბრალოდ მოწმეები, რომლებიც სასამართლოში იძლევიან ჩვენებას. ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივ არ იგდებენ თავს საფრთხეში, როდესაც ისინი მოწმობენ და ადასტურებენ იმას, რაც იხილეს. მათგან განსხვავებით, ქრისტეს მოწმეები ყოველდღიურად იდგნენ საფრთხის წინაშე თავისი მოწმობის გამო და ეს მოწმობა დღენიადაგ შეიძლებოდა გამხდარიყო მძიმე სასჯელის და თვით სიკვდილით დასჯის მიზეზი. წმინდა სტეფანე იყო ის მოწმე, რომელმაც პირველმა ქრისტიანობის ისტორიაში, თავისი მოწმობა თავისი სისხლით დაბეჭდა. მისი მოწამეობის ამბავს ვხვდებით წიგნში "საქმე მოციქულთა", სადაც აღწერილია, თუ როგორ დასაჯეს ის სიკვდილით.

მოციქულთა საქმიანობა დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული და თითოეულმა მათგანმა თავისი მოწმობის-

თვის მიიღო სასჯელი ამა თუ იმ სახით. მათი უმეტესობისთვის ეს სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო.

ამგვარად, უკვე მოციქულთა ხანაში, ტერმინი "მოწამე" აღნიშნავდა იმ მოწმეს, რომელსაც ნებისმიერ დროს შეიძლება დააძალონ საკუთარი მოწმობის უარყოფა და, უარის შემთხვევაში, მას მძიმე სასჯელი ემუქრება, სიკვდილის ჩათვლით.

აქედან გასაგები ხდება, თუ როგორ შეიძინა ტერმინებმა "მოწამე" და "წამება" (დამოწმება), თავისი საბოლოო მნიშვნელობა, რომლითაც ის ქრისტიანულ ლიტერატურაში დასაბამიდანვე იხმარება: მოწამე, ანუ მოწმე ქრისტესი არის ის, ვისაც შესაძლოა, არ უნახავს ქრისტე თავისი თვალით, მაგრამ იმდენად მტკიცედ სწამს ქრისტე, მისი ღმერთკაცობა, აღდგომა და ქრისტიანობის ჭეშმარიტება, რომ ამჯობინებს მიიღოს სიკვდილი, ვიდრე უარყოს ქრისტე. უკვე პირველი საუკუნის მიწურულს, წმინდა იოანე მახარებელი სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს სიტყვას მოწამე (მარტვილი). ის საუბრობს წარმართობიდან მოქცეულ ანტიპაზე, რომელიც არის ქრისტეს "მართალი მოწამე (მარტვილი), რომელიც მოკლეს თქვენ შორის, სადაც მეფობს სატანა" (გამოცხ. 2:13). იგივე იოანე ლაპარაკობს მოკლულთა სულებზე, "რომლებიც მოკლეს ღვთის სიტყვისა და მოწმობისათვის (martyria)" (გამოცხ. 6:9).

მოწამეობის ხანამ ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, სანამ მეოთხე საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინემ არ გამოაცხადა ქრისტიანობის კანონიერება (313 წ.). მოგვიანებით ქრისტიანობა რომის იმპერიის სარწმუნოება გახდა.

როდესაც დასრულდა ქრისტიანთა მასობრივი დევნის, და შესაბამისად, მოწამეობის ხანა, ქრისტიანთათვის დადგა

აუცილებლობა, სხვაგვარად გამოეხატათ სწრაფვა ქრისტიანული სრულყოფილებისკენ და სხვაგვარად მიებაძათ ქრისტესთვის. მრავალმა ქრისტიანმა გადაწყვიტა სრულად გაეწყვიტა თავისი კავშირი ამ ქვეყანასთან და განდეგილობის გზა აერჩია, რათა ზედმიწევნით აღესრულებინა სახარებისეული მოწოდებები. ასკეტური ცხოვრებისადმი ამგვარი სწრაფვა IV საუკუნემდეც აღინიშნებოდა ეკლესიაში. ჯერ კიდევ II საუკუნეში ეკლესიის მრავალი მასწავლებელი განიხილავდა ამგვარ ასკეტურ მსახურებას, როგორც მოწამეობის თანასწორ ღვაწლს და ღვთისადმი სიყვარულის უმაღლეს გამოვლენას. ასკეტური მსახურება მიიჩნეოდა როგორც ყოველდღიური მოწამეობა (martyrium cotidianum), და ამგვარად გაჩნდა სულიერი მოწამეობის იდეა.

ეს აზრი მარად ცოცხალი იყო ეკლესიაში და მას ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც ვხვდებით. გიორგი მერჩულე წმინდა გრიგოლის და მის ძმათა ღვაწლის შესახებ წერს:

„დღითი-დღე მრავლდებოდნენ ძმები, რადგან ემატებოდა უფალს მეთერთმეტე საათის მუშები ჭეშმარიტი ვენახის დასამუშავებლად და ისინი პირველ მართალთა თანაზიარნი და წმინდა მოწამეთა მონაწილენი ხდებოდნენ, რადგან მონაზვნობის ღვაწლში წმინდა მოწამეების მსგავსად, — და მათზე მეტად, — მხნეობდნენ, რადგან მარტვილები მარტოოდენ ერთ დროს ეწამნენ, ესენი კი ყოველ დროს ეწამებოდნენ ქრისტეს სახელისთვის, როგორც ამბობს დავითი: „შენთვის ვიხოცებით ჩვენ ყოველ დღე“, და პავლე ამბობს: „მე ყოველდღე ქრისტესთვის ვკვდები“.

ჰაგიოგრაფია

ამგვარად, ეკლესიაში დასაბამიდანვე იყო წმინდანთა ძირითადად ორი ტიპი: მარტვილი და ასკეტი. ორივე მათგანი და მსგავსება მათ შორის ბუნებრივად მომდინარეობს სახარებიდან.

წმინდანთა თაყვანისცემა და განდიდება დასაბამიდანვე ახასიათებდა ეკლესიას როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში. ეკლესიის უადრესი ისტორიიდან ჩვენამდე მოაღწია მრავალმა დოკუმენტმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მიერ შედგენილ წმინდანთა სიებს მათი დღესასწაულის თარიღის აღნიშვნით. მოგვიანებით ამ სიებმა დასაბამი მისცეს საეკლესიო კალენდრებს და ე. წ. მარტიროლოგიებს. ადრევე ჩნდება მოწამეობის აღწერები და წმინდანთა მოკლე ბიოგრაფიები, რაც არის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის დასაწყისი. ეკლესიაში იმთავითვე იყო სურვილი და საჭიროება, აღეწერათ წმინდანთა ცხოვრება და ღვაწლი, რომ ის ცნობილი ყოფილიყო სხვა ქრისტიანთათვის, რომლებიც დაცილებულნი იყვნენ ამ წმინდანებისგან სივრცეში და დროში. ცხოვრებებს ხშირად თანამედროვე და თვითმხილველი ქმნიდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც, ავტორი გასული თაობის წმინდანთა შესახებ შეკრებდა მოწმობებს და აღწერდა მის ცხოვრებას.

ამგვარად შეიქმნა ვრცელი და მდიდარი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც ქრისტიანთათვის დაუსრულებელ წყაროს წარმოადგენდა სწავლისთვის და მიბაძვისთვის.

საქართველოს ეკლესიაში, როგორც მსოფლიო ეკლესიის განუყოფელ ნაწილში, ასევე არიან წმინდანები, რომლებსაც ეკლესია განადიდებს. ქართულ ენაზე დაწერილი მათი ცხოვრების აღწერები შეადგენს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც მსოფლიო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ხასიათდებიან განსაკუთრებული ინდივიდუალობით, მოვლენების აღქმისა და გადმოცემის სიცხოველით, მკაფიოობით და უტყუარობით. ყოველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი მართლაც თავისთავადი ღირებულების ნაშრომია, ეპოქის პირმეტყველი ხატია, მარად გაუხუნარი საუნჯეა.

ამიტომ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად თანამედროვე მკითხველისთვის სრულად მიწოდება როგორც თავდაპირველი ტექსტისა, ასევე ამ ტექსტების თარგმანისა, რათა ხსენებული ტექსტები არ დარჩეს მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა შესწავლის საგნად და გზა გაეხსნათ მათ ყოველი მკითხველისთვის.

ძველი ქართული ტექსტები მომზადებულია ედიშერ ჭელიძის მიერ ილია აბულაძის რედაქტორობით გამოცემული ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების პირველი და მეორე ტომების მიხედვით.

ლევან აბაშიძე

ქართლის მოქცევა

წინათქმა

აღნიშნულ ძეგლში თავმოყრილია ქართლის გაქრისტიანების ამსახველი უძველესი მასალები, რომელთა ნაწილი არქეტიპულად, უთუოდ თვითმხილველთა ჩანაწერებია და მიეკუთვნება IV ს-ის I ნახევარს, ნაწილი კი წარმოადგენს ადრინდელი ზეპირი გადმოცემების გვიანდელ წერილობით ფიქსაციას. ბოლო დრომდე ცნობილი იყო „ქართლის მოქცევის“ შემცველი ორი ნუსხა: შატბერდული (X ს-ის 70-იანი წლებისა) და ჭელიშური (XIII-XIV სს-ისა). ამჯერად ხელმისაწვდომი გახდა კიდევ ორი, შედარებით ადრეული ხელნაწერი (სავარაუდოდ X ს-ის I ნახევრისა), რომლებიც სინას მთაზე ახლადაღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებში გამოვლინდა. ეს ხელნაწერები ასევე გათვალისწინებულია წინამდებარე გამოცემაში.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარები დაუცხრომლად იღვწიან, ძეგლი კვლავაც მრავალმხრივაა შესასწავლი. ეჭვი არაა, რომ სწორედ ამ ძეგლით უნდა იწყებოდეს ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია (მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული ტექსტის რედაქციული გვიანდელობისა) და იგი აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი სასკოლო პროგრამაში.

მოქცევაჲ ქართლისაჲ

[თავი ა~]

1. პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად,

2. და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლის-ციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ.

3. დაუკჳრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჴორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა და წარვიდა.

4. მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქჳან მას ხერკი.

5. და შემდგომად რაოდენისა-მე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფჱ ყოვლისა ქუეყანისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახჳლი.

6. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუე და დადგა სარკინესა დასავალით კერძო და დაასხა ვენაჴი

7. და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქჳან ადგილსა მას ნასტაგისი.

8. და მერმე გამოიღო სარკინე. თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნეს.

9. და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჱ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა[ჲ] და წარვიდა.

ქართლის მოქცევა[1]

თავი 1

1. პირველად, როდესაც ალექსანდრე მეფემ[2] ლოთის შვილთა მოდგმა[3] გააქცია და შერეკა ისინი კედარ[4] ქვეყანაში, იხილა მდინარე მტკვარზე მიყოლებით მდებარე ოთხ ქალაქში მოსახლე ბუნ-თურქთა[5] სასტიკი მოდგმა.

2. მათი დაბები იყო: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე; და მათი ციხეები იყო: სარკინის დიდი ციხე, კასპის უფლის-ციხე, ურბნისისა და ოძრახისა.

3. გაუკვირდა ალექსანდრეს და შეიტყო, რომ ბუნ-თურქნი იებოსელთა[6] მოდგმისანი იყვნენ, ყველაფერ ხორციელს ჭამდნენ და სამარე მათთვის არ იყო _ მკვდარს ჭამდნენ. ვერ შეძლო მათთან ბრძოლა მეფემ და წავიდა.

4. მაშინ მოვიდნენ ქალდეველებისგან გამოყოფილი ჰუნთა[7] მებრძოლი ტომები და ითხოვეს ბუნ-თურქთა ბატონისაგან მიწა ხარკით და დასახლდნენ ზანავში; და ეკავათ ზანავი, რომელიც ჰქონდათ ხარკით და ამიტომაც ეწოდება მას ხერკი.

5. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ალექსანდრე, მთელი ქვეყნიერების მეფე და დალეწა ეს სამი ქალაქი და ციხე და ჰონებს დაჰკრა მახვილი.

6. ხოლო ქალაქ სარკინეს ებრძოლა თერთმეტი თვე. დადგა სარკინედან დასავლეთით და ჩაყარა ვაზი.

7. რუ გამოიყვანა ქსნიდან და დააყენა მერუე კაცები რუს დასტაგებიდან[8] და იმ ადგილს ეწოდება ნასტაგისი.

8. შემდეგ აიღო სარკინე _ თვითონ [ბუნ თურქებმა] დატოვეს და გაიქცნენ.

9. თან ახლდა ალექსანდრე მეფეს აზო, არიან-ქართლის მეფის ძე. მას უბოძა მცხეთა სატახტოდ, საზღვრად დაუდო ჰერეთი, ეგრის წყალი, სომხითი და ცროლის მთა და წავიდა.

10. ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და
წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა
ძველ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად - გაცი და გა.
11. ა~. და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-
ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.
12. ბ~. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა
კერპი დიდი ცხჳ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და
მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან არმაზ.
13. გ~. და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღ-
მართა კერპი აჲნინა გზასა ზედა. და იწყო არმაზს შჱნებად.
14. დ~. და მისა შემდგომად მეფობდა მირვან. და აღმართა
დანინა გზასა ზედა წინარე და აღაშენა არმაზი.
15. ე~. და მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა
ზედა. და აღაშენა [ციხჱ].
16. ვ~. და მეფობდა არს(ოკ) [და] ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა.
17. ზ~. და მეფობდა არიკ, რომელმან შიდაციხე აღაშენა არ-
მაზსა.
18. ჱ~. და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი
დაეწყო.
19. თ~. და მეფობდა მირეან. და მან აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი.
20. ი~. და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფ-
ლის-ციხე განაგო.
21. ია~. და მეფობდა როკ, რომელმან რაჲთურთით მცხეთაჲ
გაიშორა.
22. და მეფობაჲ ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და
ამიერ.
23. იბ~. და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას - ბრატმან. და
ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს.
24. იგ~. და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოზ.
25. იდ~. და მეფობდა იმიერ არსოკ და ამიერ - ამაზაერ.

10. ხოლო აზო წავიდა არიან-ქართლში[9], მამამისთან და წამ-
ოიყვანა რვა სახლი და მამა-მძუძეთა _ ათი სახლი. დაჯდა იგი
ძველ მცხეთაში და ჰყავდა კერპები ღმერთად _ გაცი და გა.
11. **1.** ეს აზო, არიან-ქართველთა მეფის ძე, პირველი მეფე
იყო მცხეთაში და მოკვდა.
12. **2.** მის შემდეგ დადგა ფარნავაზი. მან აღმართა დიდი
კერპი კლდის ქიმზე და უწოდა მას სახელად არმაზი. შემოავ-
ლო ზღუდე წყლის მხრიდან და იმ ადგილს არმაზი ეწოდება.
13. **3.** მის შემდეგ დადგა მეფედ საურმაგი. მან აღმართა
კერპი აინინა გზაზე და დაიწყო არმაზში შენება.
14. **4.** მის შემდეგ მეფობდა მირვანი. მან აღმართა დანინა
ზედ გზის წინ და ააშენა არმაზი.
15. **5.** მეფობდა ფარნაჯობი და აღმართა კერპი ზადენის
მთაზე და ააშენა ციხე.
16. **6.** მეფობდა არსოკი და ქალაქს ზღუდეები შემოავლო.
17. **7.** მეფობდა არიკი, რომელმაც შიდა ციხე ააშენა არმაზში.
18. **8.** მეფობდა ბრატმანი, რომლის დროსაც მცხეთაში
ქალაქის შენება დაიწყო.
19. **9.** მეფობდა მირეანი და მან ააშენა მცხეთა-ქალაქი.
20. **10.** მეფობდა არსუკი, რომელმაც კასპი დაიპყრო და
უფლის-ციხე განაგო.
21. **11.** მეფობდა როკი, რომელმაც მცხეთის შენება მთლი-
ანად დაასრულა.
22. და შემდეგ მეფობა ორად გაიყო: ორი მეფე დაჯდა _
იმიერ და ამიერ.
23. **12.** და მეფობდა ქარძამი არმაზში და ბრატმანი _ მცხ-
ეთაში. მათ დროს იუდეველები მოვიდნენ მცხეთაში და დასახ-
ლდნენ.
24. **13.** მეფობდა იმიერ ფარსმანი და ამიერ _ კაოზი.
25. **14.** მეფობდა იმიერ არსოკი და ამიერ _ ამაზაერი.

26. იე~. და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ – დერუკ.

27. ივ~. და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ – ფარს-მან ავაზ.

28. იზ~. და მეფობდა იმიერ როკ და ამიერ – მირდატ. და ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ.

29. იᲗ~. და მეფობდა ღადამი და (!) დღე კ~.

30. ით~. და ფარსმან,

31. კ~. და ამაზასპ,

32. კა~. და რევ მართალი.

33. კბ~. ვაჩე.

34. კგ~. ბაკურ.

35. კდ~. მირდატ.

36. კე~. ასფაგურ.

37. კვ~. ლევ. მამაჲ მირეანისი.

38. კზ~. [მირეან]

39. ესე ოცდარვანი (!) მეფენი ქართლს შინა წარმართნი.

40. და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღ-მაღლებითგან სამას და მეათესა წელსა, იყო ღუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან და ფრიად ერეოდეს მეფესა კოსტანტინეს, ძესა კოს-ტაჲსსა. და გულ-გდებულ იყო ურვათაგან კოსტანტი კეისარი.

41. იყო ვინმე კაცი ეფესელი და წარმოთქუა წინაშე მეფისა, ვითარმედ: "ქრისტეანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი და ვის-ცა ვის აქუს შჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისაჲ, ძელითა ჯუარისაჲთა და მისითა სასოვებითა სძლევენ მტერთა ძლიერად".

42. მას ჟამსა აღიძრა მეფᲗ გუნდებითა, და წარავლინა მოყვანებად ებისკოპოსთა იერუსალᲗმით, ანტიოქიაჲთ, ჰრომით და ალექსანდრიაჲთ და ნათელ-იღო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ.

43. მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუს-ალᲗმდ ძიებად პატიოსნისა ჯუარისა. და მეათოთხმეტესა წელსა

26. **15.** და მეფობდა იმიერ ამაზასპი და ამიერ _ დერუკი.

27. **16.** და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ _ ფარსმან ავაზი.

28. **17.** და მეფობდა იმიერ როკი და ამიერ _ მირდატი. მის დროს დაკნინდა სამეფო არმაზი და მხოლოდ მცხეთაში იყო მეფობა.

29. **18.** და მეფობდა ღადამი და 20 დღე*.

30. **19.** და ფარსმანი.

31. **20.** და ამაზასპი.

32. **21.** და რევ მართალი.

33. **22.** ვაჩე.

34. **23.** ბაკური.

35. **24.** მირდატი.

36. **25.** ასფაგური.

37. **26.** ლევი, მირეანის მამა.

38. **27.** მირეანი.

39. ეს ოცდარვა მეფე იყო ქართლში წარმართი.

40. და კოსტანტინე მეფის[10] ხანებში, ქრისტეს ამაღ-ლებიდან სამას მეათე წელს მოხდა საბრძოლო ლაშქრობა მტრებისგან და ფრიად სძლევდნენ მეფე კოსტანტინეს, კოსტას ძეს[11]. დარდით სასოწარკვეთილი იყო კოსტანტი კეისარი.

41. იყო ვინმე ეფესელი კაცი, რომელმაც უთხრა მეფეს, რომ ის ქრისტიანი რომაელები, ყველა ჰინდო და სხვანი, ვისაც კი აქვს წმინდა ქრისტეს ახალი რჯული, ჯვრის ძელით[12] და მისი იმედით ძლიერ ამარცხებენ მტრებს.

42. იმ დროს დაიძრა მეფე რაზმებითურთ, გააგზავნა ხალხი ეპისკოპოსების მოსაყვანად იერუსალემიდან, ანტიოქი-იდან, რომიდან და ალექსანდრიიდან და ნათელ-იღო მან თა-ვად და მისმა დედამ[13], მხედრობითურთ.

43. იმ დროიდან მეათე წელს წავიდა ელენე იერუსალემში პატიოსანი ჯვრის მოსაძიებლად. და მეთოთხმეტე წელს,

* აზრი ბუნდოვანია

ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისა-მე მიზეზისათჳს დედა-მძუძითურთ.

44. და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმჱ მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან. და იყო იგი ჰრომი მთავარი, და თჳთ მოევლო გზაჲ თჳსი და ექმნნეს კურნებანი. და მოწევნულ იყო საბერძნეთა და ჰმოძღურიდა მთავარსა მას რიფსიმეს.

45. და ვითარცა წარმოივლტოდა რი[ფ]სიმე ზღუად, გაჲ[ა]ნე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხით[ი]სათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა. და იგინი იმარტჳლნეს მუნ.

46. ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოჲსათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა.

47. და იყო სამ წელ ეგრეთ. ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲითა. და შექმნა სახჱ ჯუარისაჲ, ნასხ ლევისაჲ და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან. ხოლო მან მაყუალთა ადგილი არს ზემოჲსა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი.

48. [დ]ა მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და შჯული: "და [მე] ვპოვე ცთომასა შინა ჩრდილოჲსა ესე ქუეყანაჲ".

49. და მეექუსესა წელსა არწმუნა [ცოლსა] მეფისასა ნანას სენსა შინა მისსა

50. და მეშჳდესა წელსა მეფესა არწმუნა სა[ს]წაულითა ქრისტესმიერითა. და მწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემო[ჲ] სამოთხესა შინა. და სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თჳთ აღემართა.

51. და ვითარცა აღაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა, მეფისა კოსტანტინესა თხოვად მღდელთა. ხოლო იგინი მწრაფლ მიიწინეს.

რაღაც მიზეზის გამო დედა-მძუძითურთ ლტოლვილებაში იყო ერთი ქალი, მეფეთა შთამომავალი[14], სახელად რიფსიმე.

44. იყო მასთან ერთად ერთი ტყვე ქალი, მშვენიერი, სახელად ნინო, რომლის ამბავიც გამოიძია ელენე დედოფალმა. და აღმოჩნდა იგი რომაელი მთავარი, რომელსაც თავად მოევლო თავისი გზა და მკურნალობდა, მოსულიყო საბერძნეთში და მოძღვრავდა მთავარ რიფსიმეს.

45. როცა გამოიქცა რიფსიმე ზღვით, გაიანე, ნინო და სხვებიც მათთან ერთად გამოვიდნენ სომხეთის მხარეში, თრდატ მეფის[15] სამყოფელში და იქ ეწამნენ.

46. ხოლო ნინო გადარჩა და გამოემართა ჩრდილოეთის მთებისკენ, მოვიდა მდინარე მტკვარზე, გამოჰყვა მას და მოვიდა მცხეთაში, მეფეთა სატახტო დიდ ქალაქში.

47. იყო ასე სამი წელი და ლოცულობდა ფარულად ერთ, მაყვლის ეკალ-ბარდით შებურულ ადგილას. შექმნა ვაზის ნასხლევისგან ჯვრის გამოსახულება და იქ დაბინავდა და ლოცულობდა. ის ადგილი იყო ზღუდის გარეთ; და იმ მაყვლოვანის ადგილი არის ზემო ეკლესიის[16] საკურთხევლის ადგილი.

48. მეოთხე წელს დაიწყო ნინომ ქრისტე ღმერთისა და რჯულის ქადაგება: "და მე ვიპოვე ცდომილებაში მყოფი ჩრდილოეთის ეს ქვეყანა";

49. მეექვსე წელს არწმუნა ქრისტე მეფის დასნეულებულ ცოლს, ნანას;

50. და მეშვიდე წელს არწმუნა მეფეს ქრისტესმიერი სასწაულით, სასწრაფოდ ააშენა ქვემო ეკლესია[17] ბაღში, სადაც იყო ის ხის სვეტი, რომელიც თავისით აღემართა.

51. როგორც კი ააშენეს ეკლესია, გააგზავნა მირიანმა მოციქული ნინოს წერილითურთ საბერძნეთში, კოსტანტინე მეფესთან, მღვდლების სათხოვნელად. და ისინიც სწრაფად მივიდნენ იქ.

52. და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი
და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და ხატი მაცხ-
ოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოჲსთჳს.

53. და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოიღო მირიან მეფემან და
დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან.

54. ითხოვეს ხჱ, რაჲთა შექმნან ჯუარი.1 *და ძიება ყოველ ხურო-
თა, და პოვეს ხე ერთი, მდგომარე ბორცკ[უ]სა ზედა კლდისასა,
რომელსა ფურცელი მისი არაოდეს დასცჳოდა. და სულჰამოჲ იყო
ხე იგი და შუენიერი ფრიად, ვითარცა მადლითა ქრისტე შემოსილი.
და ადგილი იგი ბორცჳ შეუვალი იყო კლდისაგან.*

55. *და უთხრეს მეფესა და ეპისკოპოსსა. ხოლო მეფემან წარგ-
ზავნა ძე თჳსი რევ და მთავ[ა]რ-დიაკ[ო]ნი [!]. იხილეს შუენიერად
დგომაჲ ხისაჲ მის. ხოლო ფურცლოოდა ჟამთა არისათა. და იტყო-
და მთავარდიაკონი იგი მუჴლსა დავითისსა, ვითარმედ: "ესე ხე არს
დანერგული თანა წარს[ა]ვ[ა]ლსა კლდის[ა]სა ზეგარდამო[ჲ]თა
ცუარითა მორწყული და ფურცელნი მისნი არა დასცჳვენ უკუ-
ნისამდე".*

56. *და უბრძანა ხუროთა მოკუეთაჲ ხისაჲ მის. და შექმნეს სახე
პატიოსნისა ჯუარისა, ვითარცა ასწავა მთავ[ა]რ-დიაკონმან, სამ
გუამად შექმნნეს ხისა მის ტანის[ა]გან სამნი ჯუარნი და აღ-
მართნეს მცხეთას, (ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ
აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევის[ა]სა, გრიგ[ო]ლი
დიაკონისა მიერ აღწერილსა. და ერთი ჯუარი აღმართა მირიან
მეფემან მთასა ზედა მაღნარის[ა]სა, რომელსა ჰ[რ]ქჳან თხოთისა,
და ერთი-იგი) (!) მახლობელად პატიოსნისა ჯუარისა-ჳე.*

57. *და წარავლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით
ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან და წარმო-
ვიდეს ერუშეთს. და დადვეს საძირკუელი ეკლესიისა][ჲ]. და
დაუტევეს ფერჴთა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესნი და წარმოვიდეს მანგლისს და დადვეს საძირკუელი*

52. გამოუგზავნა მეფემ მირიანს იოვანე ეპისკოპოსი, ორი
მღვდელი და ერთი დიაკვანი, ასევე ელენე დედოფლის წერ-
ილი, მაცხოვრის ხატი და ძელი ცხოვრებისა ნინოსთვის.

53. როგორც კი მოვიდნენ ისინი, ნათელიღო მირიან მეფემ
და დედოფალმა და მთელმა მათმა სახლმა.

54. მოითხოვეს მათ ხე, რომ გაეკეთებინათ ჯვარი.[18] *ეძებეს
ხუროებმა და იპოვეს ერთი ხე, კლდის ბორცვზე მდგომარე,
რომელსაც ფოთოლი არასდროს სცვიოდა. სურნელოვანი იყო ის
ხე და ფრიად მშვენიერი, როგორც მადლით ქრისტეშემოსილი. და
იმ ბორცვის ადგილი კლდის გამო შეუვალი იყო.*

55. *უთხრეს ეს მეფეს და ეპისკოპოსს და მეფემ გააგზავნა
თავისი ძე რევი და მთავარდიაკვანი და ნახეს იმ ხის მშვენიერი
დგომა, მარტო რომ იყო გაფოთლილი გაზაფხულის ჟამს. და
მთავარდიაკონმა წარმოთქვა დავითნის მუხლი: „ესე ხე დანერ-
გილი არის წყლის[19] ნაკადთან, ზემოდან გადმოსული ცვარით
მორწყული და მისი ფოთლები არ დაცვივა უკუნისამდე“.
(შდრ. ფს.1:3).*

56. *უბრძანა მეფემ ხუროებს იმ ხის მოკვეთა და შექმნეს პა-
ტიოსანი ჯვრის სახე, როგორც ასწავლა მთავარდიაკვანმა: სამ
ცალად შექმნეს იმ ხის ტანისაგან სამი ჯვარი და აღმართეს
მცხეთაში, როგორც წერია ეს ქართლის მოქცევის მოკლედ აღ-
წერილ, მცირე წიგნში, რომელიც გრიგოლ დიაკვანმა დაწერა.
ერთი ჯვარი აღმართა მირიან მეფემ მაღნარის მთაზე, რომელსაც
თხოთისა ჰქვია და ერთი _ პატიოსანი ჯვრის მახლობლადვე.*

57. *გააგზავნა მოციქულები მირიან მეფემ და ითხოვა სა-
ბერძნეთიდან ქვის მთლელები და კირითხუროები. გამოუგზავ-
ნა კონსტანტინე მეფემ ისინი, და მოვიდნენ ერუშეთში, ჩა-
ყარეს ეკლესიის საძირკველი და დატოვეს იქ მაცხოვრის, ჩვენი
უფლის იესო ქრისტეს ფერხთა ფიცარი; წამოვიდნენ მანგლის-
ში, ჩაყარეს ეკლესიის საძირკველი და დატოვეს ლურსმნები და*

ეკლესიისა და დაუტევნეს სამსჯუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად. და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა.

58. *და ვითარცა ცნა მეფემან, რამეთუ დადვეს საძირკუელი პირველ ერუშეთს და მანგლისსა და დაუტივნეს მუნ სასურვ[ე]ლნი იგი ფიც[ა][ვ]რნი და სამსჯუალნი, აღივსო ურვითა და დააყენა საქმე მოსწრაფებისა, ვიდრე არა ისწ[ა]ვა მთავარ ებისკოპოსისაგ[ა]ნ, ვითარმედ: "შენ თანა არს ამ[ა]ს ქალაქსა შინა სამოს[ე]ლი ქრისტესი ყოლად ზეგარდ[ა]მო ქსოვილი, რომელი ჯუარის მცუმელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ იხუედრეს, ჩრდილოსა ამ[ა]ს ქალაქსა შინა დაფარეს, და აწ შვილნი მათნი არიან, ვინ უწყის, თუ ადგილი-ცა იცოდენ. ხოლო ყამი მისი მერმე არს, ოდეს გამოჩნდეს დიდებით ქუეყანასა ზედა. ეგრ[ე]თვე ხალენი ელია[ჲ]სი აქ-ვე დამარხულ არს.*

59. *და აღივსო სიხარულითა მეფე და მყის მოხადნ<ა> ყოველთა ჰურიათა და ჰკითხა, თუ: "ნამდჳლვე?" და მათ აუარეს მართ[ა]ლი და არა უარ-ყვ[ე]ს. და თქუეს, ვითარმედ: "აქეთ წარვიდეს ელიოზ მცხეთ[ე]ლი და ლონგინოზ კანისელი და თალენავ და მისაელ". და კუართისა მის თქუეს წილით ხუედრებაჲ ამათი, ხოლო ადგილი იგი უარ-ყვეს.*

60. *მაშინ განმხიარ[უ]ლდა მირიან მეფე, რაჟამს ეუწყა, ვითარმედ: "პირველ მოწევნ[უ]ლ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალიმით მცხეთად". მადლობდა ღმერთსა და იტყოდა: "კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველ-ვე2 გინდა ცხორებაჲ ჩუენი და ჴსნაჲ ეშმაკისაგან და ადგილისგან მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალიმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი".*

61. *და წარემართა მეფჱ და ყოველი ქართლი ქრისტეანობასა მოწრაფებითა დიდითა.*

ასე მოვიდნენ მცხეთაში და დაიწყო მეფემ გარეუბნის ეკლესიის[20] ქვით შენება.

58. როცა შეიტყო მეფემ, რომ პირველად ერუშეთსა და მანგლისში ჩაყარეს საძირკველი და იქ დატოვეს სასურველი ფიცარი და ლურსმნები, დარდით აივსო და შეაჩერა მონდომებული საქმე, ვიდრე არ ასწავლა მთავარეპისკოპოსმა, რომ: „შენთან არის, ამ ქალაქში, მთლიანად ზემოდან მოქსოვილი ქრისტეს სამოსელი, რომელიც ჯვარმცმელებმა გაიყვეს და კვართი ამათ შეიხვედრეს, ჩრდილოეთის ამ ქალაქში დამალეს და ახლა მათი შვილები აქ არიან, ვინ იცის, იქნებ ისადგილიც იციან?! მაგრამ ამისი დრო მაშინ დადგება, როცა ქვეყანაზე დიდებით გამოჩნდება. ასევე ელიას მოსასხამიც აქვეა დაფლული“.

59. სიხარულით აივსო მეფე, მაშინვე დაუძახა ყველა იუდეველს და ჰკითხა: „ნამდვილად ასეა?“. მათ აღიარეს სიმართლე, არ უარყვეს და თქვეს, რომ „აქედან წავიდნენ ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კანისელი, თალენავი და მისაელი“. თქვეს, რომ კვართი ამათ ხვდათ წილად, მაგრამ დაფარვის ადგილი არ თქვეს.

60. მაშინ გამხიარულდა მეფე, როცა შეიტყო, რომ თავდაპირველად მოსულიყო კვართი იერუსალემიდან მცხეთაში. მადლობდა ღმერთს და ამბობდა: „კურთხეული ხარ შენ უფალო იესო ქრისტე, ცოცხალი ღვთის ძეო, რადგან შენ თავდაპირველადვე[21] გინდოდა ჩვენი ცხონება და ჩვენი ხსნა ეშმაკისაგან და ბნელი ადგილისაგან, როდესაც შენი სამოსელი იმ ებრაელებს გამოატანე წმინდა ქალაქიდან, იერუსალემიდან ამ უცხო მოდგმის ქალაქში, რადგან შენი ჯვარცმის დროს ამ ქალაქში მეფობდნენ ჩვენი მამები“.

61. და დაადგა მეფე და მთელი ქართლი ქრისტიანობას დიდი გულმოდგინებით.

62. მაშინ ნეტარმან მან დედაკაცმან ნინო თქუა: "კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, რომელმან მოავლინა სიტყუაჲ წმიდაჲ მისი ცათა მაღალთაჲთ თჳთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად უეჭუელად შობად ჴორციელად თესლისაგან დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისაგან და უბიწოჲსა, რომელი სათნოეყო მას

63. და ამით მიზეზითა ცხორებაჲ ჩუენი შექმნა და ყოველი ცასა ქუეშე მყოფი განანათლა და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა ვითარცა კაცი, პატივ-ეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელ-იღო ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამა და იდიდა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა, აჴდა მათ-ვე სიმაღლეთა მამისა თანა და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შუენის გალობაჲ ამენითა".

64. და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერის-თავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოელთა, და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოვებაჲ ქრისტჱსი. ხოლო მათ განუყარეს თავი და ერის-თავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად.

65. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა.

66. და ნინო შთავიდა კხოეთა (!) და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი (!) და სოჯნი ერითურთ მათით.

67. და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ-დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა.

62. მაშინ ნეტარმა ქალმა ნინომ თქვა: „კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფლის, იესო ქრისტესი, რომელმაც მოავლინა მისი წმინდა სიტყვა მაღალ ცათაგან; თვითონ დიდებული ტახტიდან გადმოსული დაბლა ამქვეყნად, რათა უეჭველად შობილიყო ხორციელად დავითის თესლისაგან, მხოლოდშობილი, წმინდა და უბიწო ქალისაგან, რომელიც ამოერჩია მას.

63. და ამ მიზეზით შექმნა ჩვენი სიცოცხლე და ცის ქვეშ მყოფი ყველა გაანათლა და უმეტესად მისი მორწმუნეები იხსნა, რადგან იშვა, როგორც კაცი, პატივი ეცა, როგორც ღმერთს, ნათელიღო, როგორც ვინმე რჯულის მსახურმა წყლისაგან და მიწისაგან[22], ხოლო მამისა და სული წმინდის მიერ ზეციდან იქნა დამოწმებული*; და იდიდა, ჯვარს ეცვა, დაეფლო და აღდგა, ავიდა იმავე სიმაღლეებზე მამასთან; და მოვა დიდებით, რომელსაც შვენის გალობა ამენით“.

64. როგორც კი ეს თქვა ნინომ, წაიყვანა საბერძნეთიდან მოსული იაკობ მღვდელი და ერთი ერისთავი და წავიდა და გაჩერდა წობენში. მოუწოდა მთიულებს, ჭართლელებს, ფხოელებს და წილკნელებს და უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება. ხოლო მათ თავი გაარიდეს და ერისთავმა მსუბუქად მიმართა მახვილი და შიშით გადმოსცეს მათი კერპები დასალეწად.

65. გადავიდა ნინო ერწუსკენ და გაჩერდა ჟალეთში, დაბა ედემში და ნათელი მიაღებინა ერწუ-თიანელებს. ყვარელებმა გაიგეს ეს და გადაიხვეწნენ თოშეთისკენ, რომლებიც ბოლოს იპოვეს, თრდატ მეფემ მოიყვანა და მონათლა.

66. ჩავიდა ნინო კხოეთში[23], დადგა კაწარეთში და მონათლა კხოელები და სოჯები მათი ხალხითურთ.

67. გადავიდა კახეთისკენ, გაჩერდა ქცელ-დაბაში, მოიყვანა კახი მთავრები და მონათლა.

* შდრ. მთ. 3:16-17

68. და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას (!), დაბასა, რომელსა ჰრქჳან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად. და მო-ხოლო-ვიდეს უჟარმით ქალაქით რევ, ძჱ მეფისაჲ, და სალომე, ცოლი მისი, და ასული მისი და ზედა-ადგეს მოურნედ

69. და მიუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარებისკოპოსი ხილვად და წარყვანებად. ხოლო მან არა ინება, არამედ დაჰვედრა იაკობ მღდელი: "რაჲთა შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი".

70. და მის წინაშე მისცა წიგნი იგი ელენე დედოფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოჲსა, დედოფლობით და მოციქულად და მახარებელად შეემკო და ძელი ცხორებისაჲ წარმოეცა დედოფლისა ნანაჲსა.

71. და შეწირა ჟამი იოვანე, და აზიარა ნინო ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა. და წარიღო ესე საგზლად სულისა.

72. და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან ტლჱ~ წელსა, დასაბამითგან ჭყლჱ~ წელსა.

73. მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უჟარმაჲ - და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი, ადგილსა-ვე ზედა ბუდს, დაბასა კხოეთისასა (!).

74. და წარვიდა მირეან მეფჱ და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა. და განიშორეს მეოთხესა წელსა.

75. და მოკუდა მირეან მეფჱ და დაეფლა საშუვალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოჲთ კერძო. და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისა მის ცხოველისაჲ.

76. და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი ნანა და დაეფლა დასავალით კერძო მას-ვე სუეტსა, სადა მირეან მეფჱ დამარხულ იყო.

68. დასნეულდა და გამოემართა მცხეთისკენ. და როგორც კი მოაღწია კხოეთს, დაბას, რომელსაც ბოდინი ჰქვია, ველარ შესძლო სიარული. ხოლო უჟარმა-ქალაქიდან მოვიდნენ მეფის ძე რევი, სალომე _ მისი ცოლი, და მისი ასული; და თავზე ადგნენ მზრუნველად.

69. მიავლინეს მცხეთიდან მეფემ და მისმა ცოლმა ნანამ იოანე მთავარეპისკოპოსი ნინოს სანახავად და წასაყვანად. ხოლო მან არ ინება წასვლა, მხოლოდ იაკობ მღვდელი შეავედრა: „რომ შენ შემდეგ მან დაიკავოს ტახტი“.

70. და მის წინაშე მისცა წერილი, ელენე დედოფლის მოწერილი, რომელიც მოეწერა ნინოსადმი, სადაც იგი დედოფლად, მოციქულად და მახარებლად შეემკო; და ასევე მისცა ძელი ცხოვრებისა, რომელიც გამოეგზავნა ნანა დედოფლისათვის.

71. შეწირა ჟამი იოანემ და აზიარა ნინო ქრისტეს ხორცს და სისხლს; და წაიღო ეს სულის საგზლად.

72. შევედრა ნინომ თავისი სული ღვთის ხელს ქართლში მოსვლიდან მეთხუთმეტე წელს და ქრისტეს ამაღლებიდან 338 წელს, დასაბამიდან 5838 წელს.

73. მაშინ შეიძრა ეს ორი ქალაქი _ მცხეთა და უჟარმა _ და მთელი ქართლი მისი სიკვდილის გამო. და მოვიდნენ და დამარხეს ძლევით შემოსილი მისი გვამი იმავე ადგილზე _ ბუდში, კხოეთის დაბაში.

74. წავიდა მირეან მეფე და მთელი ხალხი, რადგან აშენებდნენ ზემო ეკლესიას ქვით. და გაასრულეს მეოთხე წელს.

75. მოკვდა მირეან მეფე და დაიმარხა სამხრეთის შუა სვეტის ჩრდილოეთ მხარეს. და იმ სვეტში არის ცხოველი სვეტის[25] ნაწილი.

76. მეორე წელს მოკვდა მისი ცოლი ნანა და დაიმარხა იმავე სვეტის დასავლეთ მხარეს, სადაც მირეან მეფე იყო დამარხული.

77. და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძჱ რევისი. და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი და დაჯდა იაკობ, მღდელი იგი მუნით-ვე მოსრული, მთავარეპისკოპოსად.

78. და ოცდამესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბაჲ რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა. და მოკუდ[ა] რევ და დაემარხა ცოლითურთ.

79. და შემდგომად მისა, მეათესა წელსა, ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განეშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა. და მოკუდა და დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა.

80. და დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ. და მთავარებისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ. და მეფემან რუჲსთვისა რუჲ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადვა. და მის ზე-ვე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით.

81. და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ. და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ჴიდარდ უკუჯდა. და მთავარებისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ. და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი. და მისა ზე აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა (!) ქართლს შინა.

82. და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძჱ თრდატისი. და მთავარებისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნის[ს]. და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს.

83. და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან, დის-წული თრდატისი. და მთავარებისკოპოსი იყო სჳმეონ.

84. და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა.

77. დაჯდა მეფედ ბაკური, რევის ძე. მოკვდა საბერძნეთიდან მოსული იოანე ეპისკოპოსი და დაჯდა იაკობი, ისიც იქიდანვე მოსული მღვდელი, მთავარეპისკოპოსად.

78. პატიოსანი ჯვრის აღმართვიდან ოცდამესამე წელს რევმა შეუქმნა საფარველი ჯვარს; და გაიმზადა საფლავი ქვემო ეკლესიაში. მოკვდა რევი და დაიმარხა ცოლითურთ იქვე.

79. მის შემდეგ, მეათე წელს, ბაკურმა დაიწყო წილკნის ეკლესია და გასრულდა ოცდამეთხუტმეტე წელს. მოკვდა ბაკური და დაიმარხა ქვემო ეკლესიაში.

80. დაჯდა მეფედ მისი ძმა თრდატი და მთავარეპისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათოლიკოსის დიაკვანი _ იობი. მეფემ რუსთავის რუ გამოიყვანა და ეკლესიის საფუძველი დადო. და მის დროსვე კახეთის ნეკრესში ეკლესია აშენდა და დასრულდა.

81. მის შემდეგ დადგა ვარაზ-ბაკური მეფედ. მის დროსვე სპარსთა მეფის მარზაპანები[26] შემოვიდნენ სივნიეთში და იგი ხიდარში უკან გადაჯდა. მთავარეპისკოპოსი იყო იგივე იობი. მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორზარდი, სპარსთა მეფის პიტიახში[27], ტფილის_ქალაქში, ციხეში. და ქართლი მისი მეხარკე გახდა და სომხითიც, სივნიეთიც და გვასპურაგანიც[28]. მის დროს ააშენეს აზნაურებმა წმინდა ეკლესია მცხეთაში და დაუქვემდებარეს დიდ ეკლესიას სოფლებითა და მიწის ნაკვეთებით ქართლში.

82. მის შემდეგ მეფობდა ბაკური, თრდატის ძე და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. ამან ააშენა ეკლესია ბოლნისში. და იმიერ გავიდა და განაახლა არმაზნი სპარსთა შიშის გამო;

83. მის შემდეგ მეფობდა ფარსმანი, თრდატის დისწული და მთავარეპისკოპოსი იყო სვიმეონი.

84. მის შემდეგ მეფობდა მირდატი. და იგი წაიყვანა ვარაშ პიტიახშმა ბაღდადში და იქ მოკვდა.

85. და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ, და მთავარებისკოპო-
სი იყო იონა. და მაშინ დაეცა ქუემოჲ ეკლესიაჲ. და იონა მოიცვა-
ლა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა-წარ-
მოიღო. და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდაჲ აღაშენეს არაგუ-
სა ზედა. და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურება-
სა ზედა. და მის-ვე არჩილის ზე ოთხნი მთავარებისკოპოსნი
გარდაიცვალნეს,

86. და მერმე მეფობდა მირდატ. და მთავარებისკოპოსი იყო
გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერის-თვადცა იყო ბარაზ-
ბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს.

87. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გოლგასარი,
და მთავარებისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ
სპარსთა.

88. და შემდგომად რაოდენისა-მე ჟამისა მოიქცა, და მთავარე-
ბისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხვა ფერჯი პირსა მეფისასა
ვახტანგს.

89. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა და
ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მო-
სცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი,
წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან
და დასუა პეტრე კათალიკოზი.

90. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან რო~ წელსა. მეფენი
გარდაცვალებულ იყვნეს ათნი, და მთავარებისკოპოსნი ათცამეტ-
ნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე.

91. და ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უჟარმელი, და კათალ-
იკოზი იყო სამოველ და მისა ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს, და
(მარიამ)-წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს. და კათალიკოზი იყო პეტრე.

92. და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძჱ დაჩისი, და კა-
თალიკოზი იყო სამოველ.

93. და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან, და კათალიკოზი
იყო თავფაჩაგ. და მისა ზე-ვე ჩიმაგა ვ~. და მისა ზე-ვე სპარსთა

85. მის შემდეგ მეფობდა არჩილი და მთავარეპისკოპოსი იყო
იონა. მაშინ ჩამოიქცა ქვემო ეკლესია და იონამ გადმოინაცვლა
გარეუბნის ეკლესიაში და ცხოველი სვეტი თან წამოიღო. მის
დროს აზნაურებმა სტეფანწმინდა ააშენეს არაგვზე. მოგვები
მოგვეთში მოგვობდნენ ცეცხლის მსახურებით. იმავე არჩილის
დროს ოთხი მთავარეპიკოპოსი გარდაიცვალა.

86. მერე მეფობდა მირდატი და მთავარეპისკოპოსი იყო
გლონოქორი. ეს მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც იყო დანიშ-
ნული ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლსა და ჰერეთში.

87. მის შემდეგ მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი და
მთავარეპისკოპოსი იყო იოველი. მაშინ წაიყვანეს ვახტანგი
სპარსებმა.

88. რამდენიმე ხნის შემდეგ მობრუნდა და მთავარეპისკოპოსი
იყო მიქაელი. მან მიარტყა ფეხი სახეში მეფე ვახტანგს.

89. ხოლო მეფემ გააგზავნა მოციქულები საბერძნეთში და
ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოსი. მან კი პეტრე
კათოლიკოსი გამოუგზავნა, რომელსაც თან ჰყავდა წმინდა და
ღირსი სამოველ მონაზონი. ააშენა ქვემო ეკლესია[29] ვახტანგ
მეფემ და დასვა პეტრე კათოლიკოსი.

90. ეს იყო ქართლის მოქცევიდან 170-ე წელს.[30] მეფე გარ-
დაცვლილი იყო ათი, და მთავარეპისკოპოსი _ ცამეტი, ხოლო
პირველი კათალიკოსი იყო პეტრე;

91. მის შემდეგ მეფობდა დაჩი უჟარმელი და კათალიკოსი
იყო სამოველი. მის დროს ტფილისში ხალხი დასახლდა და
მარიამ-წმინდის ეკლესია ააშენეს.[31] კათალიკოსი იყო პეტრე.

92. მის შემდეგ მეფობდა ბაკური, დაჩის ძე და კათალიკოსი
იყო სამოველი.

93. მის შემდეგ მეფობდა ფარსმანი და კათალიკოსი იყო
თავფაჩაგი; მის დროსვე იყო ჩიმაგა, მეექვსე. და მის დროსვე

მეფობაჲ მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი და წარვიდა.

94. და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან სხუაჲ, და კათალ-იკოზი იყო დასაბია, მკჳდრი მცხეთელი. და აქაჲთგან ორთა სახლ-თა აღიღეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკჳდრთა. და მის-ვე მეფისა ზე კათალიკოზი იყო ევლალე.

95. მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედაზადენელი შუვამდი-ნარით ასურეთისაჲთ იგი და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა მოვიდეს.

96. და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზე-ვე ვარსქენ პიტიახში იყო. და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ, და მერმე - სიმონ-პეტრე. და მის ბაკურის ზე-ვე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ.

97. მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა.

98. სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს; და კათალიკოზი იყო სამოველ და ნელად-რე შეკრბა ქართლი. და განაჩინეს ერის-თავად გუარამ და მერმე - კურაპალატად-ცა. ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ და ამას ზე-ვე იყო კათალიკოზი სამოელ-ვე სხუაჲ.

99. და ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს: ნახე-ვარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერის-თავნი; და კათალ-იკოზი იყო ბართლომე.

100. და მისა შემდგომად ერის-თვობდა სტეფანოზ, ძჱ მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა.

101. მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უჴმო ციხის-თავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით. ხოლო მან ფერჴი დააპყრა და დანიელი მოიღო და მოი-ძია (სიტყუაჲ) ესე: "მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავალისაჲ და შე-

სპარსთა მეფობა მცხეთაში მოვიდა, შეაშფოთა ქართლი და ქალაქები და წავიდა.

94. მის შემდეგ მეფობდა სხვა ფარსმანი და კათალიკოსი იყო დასაბია, მცხეთის მკვიდრი. და ამიერიდან ორმა სახლმა აიღო ხელში კათალიკოსობა, მცხეთის მკვიდრებმა. ამავე მეფის დროს იყო კათალიკოსი ევლალე.

95. მაშინ მოვიდა ნეტარი იოანე ზედაზადენელი ასურე-თის შუამდინარეთიდან. მოვიდა ის და, მასთან ერთად, თორმე-ტი მოწაფე.

96. მის შემდეგ მეფობდა ბაკური და კათალიკოსი იყო მაკარი. მის დროსვე იყო ვარსქენ პიტიახში და შუშანიკი იწამა ცურტავ-ში. მის შემდეგ კათალიკოსი იყო სამოველი და მერე _ სიმონ-პეტრე. და ამ ბაკურის დროსვე დაესრულა ქართლის მეფობა.

97. მაშინ მცხეთა შეთხელდებოდა და ტფილისი შენდებო-და, არმაზი მცირდებოდა და კალა დიდდებოდა.

98. სპარსნი ბატონობდნენ ქართლში, სომხითში და გუასპურაგანში. კათალიკოსი იყო სამოველი. გვიან-ღა გაერთიან-და ქართლი და დააყენეს ერისთავად გუარამი[32] და მერე _ კურაპალატადაც. ამან დადო პატიოსანი ჯვრის საფუძველი და ამის დროსვე იყო კათალიკოსი სამოელივე, სხვა.

99. თბილისის მკვიდრებმა დიდი ეკლესის[33] შენება დაიწ-ყეს: ნახევარს აშენებდა მთელი ერი და ნახევარს _ ერისთავები და კათალიკოსი იყო ბართლომე.

100. მის შემდეგ ერისთავობდა სტეფანოზი, მისი ძე, დემე-ტრეს ძმა, და აშენებდა ჯვარის ეკლესიას.[34]

101. მაშინ ჩამოიარა ჰერაკლემ[35], ბერძენთა მეფემ და ციხ-ისთავმა ტფილისის კალადან მეფე ჰერაკლეს ვაც-ბოტი უწო-და, ხოლო მან ფეხი არ მოიცვალა, დანიელის წიგნი მოიტანა და მოიძია ეს გამონათქვამი: „მოვა მზის დასავალის ვაცი და შემუსრავს მზის აღმოსავალის ვერძის რქებს“*. და მეფემ

* შდრ. დან. 8:5-8

მუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი". და მეფემან ჰრქუა: ,(უკუეთუ ჩემთჳს) ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი შენი". და დაუტევა ჯიბღო ერის-თავი ბრძოლად. და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა.

102. ხოლო ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხის-თავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუვსო. და მერმე მრთელსა ტყავი გაჰკადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა.

103. წარვიდა ჰერაკლე და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფჱ და მოღებად სცა ძელი ცხორებისაჲ. და იწყო ბრძანებით შჱნებად იერუსალჱმსა და მოდისტოს დასუა პატრეაქად.

104. და წარმოვიდა აქაჲთ-ვე მეშჳდესა წელსა. და ვიდრე მოსლვადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა მკჳდრთა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-ღა.

105. ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლის-ღებაჲ არა ინებეს, ზაკუვით თანა-აღერინეს ქრისტეანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახჳლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს.

106. ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერის-თვობდა იგი-ვე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ.

107. და შემდგომად ერის-თვობდა ადრნესე, და მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ.

108. და მისა შემდგომად ერის-თვობდა სტეფანოზ, ძჱ მისი და ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ და დადვა კრებაჲ ჯუარს ჯუარობასა ერთ თთუე. და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო სამოველ. და მისა ზე-ვე - ევნონ.

უთხრა ციხისთავს: „თუკი ჩემზეა ეს ნათქვამი, მე მიგიზღო შენი სამაგიერო“. საბრძოლად დატოვა ჯიბღო ერისთავი[36] და თვითონ წავიდა ბაღდადში ხუასრო მეფესთან[37] საბრძოლად.

102. ხოლო ამ ჯიბღომ რამდენიმე დღის შემდეგ კალა აიღო, ის ციხისთავი შეიპყრო და პირი დრაჰკნით[38] აუვსო; მერე ცოცხალს ტყავი გახადა და მეფეს უკან მიაწია გარდბანში, ვარაზ გრიგოლის სახლში.

103. წავიდა ჰერაკლე და შემუსრა ბაღდადი; შეიპყრო ხუასრო მეიე და გამოსტაცა ძელი ცხოვრებისა; ღვთის ბრძანებით, იერუსალიმის შენება იწყო და მოდისტოსი დასვა პატრიარქად.

104. წამოვიდა აქეთკენვე მეშვიდე წელს; და მის მოსვლამდე თბილისის მკვიდრთ თბილისში სიონი გაესრულებინათ, ხოლო ჯვარის ეკლესიას კიდევ აკლდა დასრულება.

105. ჰერაკლემ თბილისში და მცხეთაში და უჯარმაში მიავლინა მქადაგებლები, რომ ქალაქებში, ეკლესიებში შეკრებილიყო ყველა ქრისტიანი და ყველა მოგვი და ცეცხლის მსახური ან მონათლულიყო, ან მუსრი გავლებოდათ მათ. ხოლო მათ ნათლისღება არ ინებეს, ვერაგობით თანაშეერივნენ ქრისტიანებს იქამდის, რომ ყველაზე აღმართა მეფემ მახვილი და ეკლესიებში სისხლის მდინარეები დიოდნენ[39].

106. გაწმინდა ჰერაკლემ ქრისტეს რჯული და წავიდა; და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზი და კათალიკოსი იყო კვლავ ბართლომე.

107. შემდეგ ერისთავობდა ადრნესე და მის დროს სამი კათალიკოსი შეიცვალა: იოვანე, ბაბილა, თაბორი.

108. მის შემდეგ ერისთავობდა სტეფანოზი, მისი ძე და ამან გაასრულა ჯვარის ეკლესია და დააწესა შეკრება ჯვარში _ ჯვაროობაზე _ ერთი თვე. თბილისში დაჯდა სტეფანოზი და კათალიკოსი იყო სამოველი; და მის დროსვე იყო ევნონი.

109. და ჰამბავი მოჴდა, ვითარმედ ბაღდადი აგარეანთა დაიპყრეს-ო და ამისთჳს ბერძენთა ქუეყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთა.

110. და მისა შემდგომად ერის-თვობდა გუარამ კურაპალატი ვ~,

111. და გუარამ ყრმაჲ ზ~,

112. და მერმე არშუშა კურაპალატი ᲗᲔ~,

113. და ვარაზ-ბაკურ აპაჲ პატრიკიოზი, რომელმან გარბანელ-ნი მოაქცინა თ~,

114. და მერმე ნერსე [ი~], და ძენი მისნი: ფილიპე ია~, სტეფანოზ იბ~, ადრნესე იგ~, გუარამ იდ~,

115. და ბაკურეანი ᲫᲔ ბალდადისი (!) იე~;

116. და ძენი ადრნესესნი: სტეფანოზ ივ~, და აშოტ კურაპალატი იზ~, და გუარამ [ᲘᲗ~]. დიდნი ერის-თავნი ესთენ იყვნეს.

117. ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თავფაჩაგ ა~, ევლალე ბ~, იოველ გ~, სამოველ დ~, გეორგი ე~, კჳრიონ ვ~, იზიდბოზიდ ზ~, თეოდორე ᲗᲔ~, პეტრე თ~. ესე. ცხრანი ცოლისანნი იყვნეს.

118. მერმე: მამა ა~, იოვანე ბ~, გრიგოლ გ~, კლემენტოს დ~, სარმეან ე~, თალელე ვ~, სამოველ ზ~, კჳრილე ᲗᲔ~, გრიგოლ თ~, სამ-ოველ ი~, გეორგი ია~, გაბრიელ იბ~, ილარიონ იგ~, არსენი იდ~, ევსუქი იე~, ბასილი ივ~, მიქაელ იზ~, დავით ᲘᲗ~, არსენი ით~.

109. ამბავი მოვიდა, რომ ბაღდადი აგარეანებმა დაიპყრესო და ამისთვის ბერძნებმა ქვეყანა ჯორს აჰკიდეს და წაიღეს საბერძ-ნეთში.

110. მის შემდეგ ერისთავობდა გუარამ კურაპალატი _ მეექვსე;

111. და გუარამ ყრმა _ მეშვიდე;

112. მერე არშუშა კურაპალატი _ მერვე;

113. ვარაზ-ბაკურ აპა პატრიკიოსი, რომელმაც გარ-ბანელები მოაქცია _ მეცხრე;

114. მერე ნერსე _ მეათე და მისი ძენი: ფილიპე _ მეთერთ-მეტე, სტეფანოზი _ მეთორმეტე, ადრნესე _ მეცამეტე, გუარამი _ მეთოთხმეტე;

115. ბაკურეანი, ბალდადის ძე _ მეთხუთმეტე;

116. ადრნესეს ძენი: სტეფანოზი _ მეთექვსმეტე, და აშოტ კურაპალატი _ მეჩვიდმეტე, და გუარამი _ მეთვრამეტე. დიდი ერისთავი ამდენი იყო.

117. ხოლო კათალიკოსები, რომლებიც ევნონიდან აქეთ იყვნენ: თავფაჩაგი _ პირველი, ევლალე _ მეორე, იოველი _ მე-სამე, სამოველი _ მეოთხე, გეორგი _ მეხუთე, კვირიონი _ მე-ექვსე, იზიდბოზიდი _ მეშვიდე, თეოდორე _ მერვე, პეტრე _ მეცხრე. ეს ცხრა ცოლოსანი იყო.

118. მერე: მამა _ პირველი, იოვანე _ მეორე, გრიგოლი _ მესამე, კლემენტოსი _ მეოთხე, სარმეანი _ მეხუთე, თალელე _ მეექვსე, სამოველი _ მეშვიდე, კვირილე _ მერვე, გრიგოლი _ მეცხრე, სამოველი _ მეათე, გეორგი _ მეთერთმეტე, გაბრიელი _ მეთორმეტე, ილარიონი _ მეცამეტე, არსენი _ მეთოთხმეტე, ევსუქი _ მეთხუთმეტე, ბასილი _ მეთექვსმეტე, მიქაელი _ მეჩვიდმეტე, დავითი _ მეთვრამეტე, არსენი _ მეცხრამეტე.

[თავი ბ~]

1. ხოლო [ოდეს დაა]სრულა სრბაჲ [თჳსი] სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა წმიდამან და სანატრელმან დედუფალმან ნინო, რომელი გუექმნა მახარებელ გულთა ჩუენთა და მლხინებელ სულთა და ჴორცთა ჩუენთა,

2. ვითარ განიშორა ერთი ესე სამეუფოჲ, ქუეყანაჲ ჩრდილოჲსაჲ, მცხეთისა მეფეთა სამეფოჲ, არწმუნა ყოველთა აღსაარება[ჲ] მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, ნათლის-ღებითა.

3. მოსლვაჲ ქრისტესი და შობაჲ წმიდისაგან ქალწულისა,

4. ნათლის-ღებაჲ და სიკუდილი ქრისტესი და აღდგომა[ჲ] მკუდრეთით,

5. შემდგომად სიკუდილისა უკუდავებაჲ და ცხორებაჲ,

6. მეორედ მოსლვაჲ ძისა ღმრთისაჲ ქუეყანად,

7. მართალთა ცხოვრება[ჲ] და ცოდვილთა შურის-გებაჲ,

8. რამეთუ მისა არს სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა, ამენ.[3]

9. ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისასა(!), დაბასა ბუდს, დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითა-ცა მო-ცა-კუდა.

10. მაშინ შეუკრბეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლჱ ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა. დასცუეთდეს მცირესა მას და ძუელსა სამოსელსა მისსა მთხუევითა სარწმუნოებით და იძულებით.

11. ევედრებოდეს ყოველნი იგი დედოფალნი გარემო მსხდომარენი, რომელთა დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თუალთაგან მათთა განშოვრებისათჳს მოძღურისა, მოღუ[ა]წისა და სნეულთა მკურნალისა ჴელოვნისა.

თავი 2

1. ხოლო როდესაც დაასრულა წმინდა სამების სარწმუნოებაზე თავისი მსვლელობა წმინდა და სანატრელმა დედოფალმა ნინომ, რომელიც გვექცა ჩვენი გულების მახარებლად და ჩვენი სულებისა და ხორცთა მალხინებლად,

2. რომ მოითავა ეს ერთი ჩრდილოეთის სამეუფო ქვეყანა, მცხეთის მეფეთა სამეფო, არწმუნა ყველას ნათლისღებით მამისა და ძისა და წმინდა სულის აღსარება:

3. ქრისტეს მოსვლა და შობა წმინდა ქალწულისაგან;

4. ნათლისღება და ქრისტეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა;

5. სიკვდილის შემდეგ უკვდავება და სიცოცხლე;

6. ღვთის ძის ქვეყნად მეორედ მოსვლა;

7. მართალთა სიცოცხლე და ცოდვილთა შურისგება;

8. რამეთუ მისი არის სუფევა უკუნითი უკუნისამდე და შემდეგაც, ამენ.

9. როცა მოაღწია კხოეთის ქვეყანას, დაბა ბუდს, დასნეულდა იმ სენით, რომლითაც მოკვდა.[40]

10. მაშინ შეიკრიბნენ ქვეყნის მეფეები და მთავრები ქალებითურთ და მხედარ ერისკაცთა სიმრავლე; და რადგან ხედავდა ყოველი კაცი ნინოს სახეს, როგორც ზეცის ანგელოზისას, დასცვეთდნენ მის კნინ და ძველ სამოსელს სარწმუნოებრივი მთხვევით და მიძალებით.

11. ევედრებოდა გარშემო მსხდომი ყველა დედოფალი, რომელთაც ცრემლის ნაკადულები სდიოდათ თვალებიდან მოძღვრის, მოღვაწისა და სნეულთა ხელოვანი მკურნალის განშორების გამო.

12. ეტყოდეს დედოფალი სალომე უჟარმელი და პეროჟავრი სივნიელი და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: "ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოერად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მაუწყე ჩუენ საქმჱ შენი! რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო, სანატრელო!

13. რამეთუ ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინაჲსწარმეტყუელნი პირველ მოსლვადმდე ძისა ღმრთისა ქუეყანად და მერმე მოციქულნი ათორმეტნი, და კუალად სამეოცდაათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ. და ვითარ იტყჳ, ვითარმედ: "ტყუე ვარი მე, ანუ ვითარცა ჰინდოეთს თუ?".

14. მაშინ იწყო სიტყუად ნინო და თქუა: "ასულნო სარწმუნოებისანო, მახლობელნო ღმრთისანო, დედოფალნო ჩემნო, გხედავ თქუენ, ვითარცა პირველთა მათ წმიდათა დედათა ყოველსა მას სარწმუნოებასა და სიყუარულსა ღმრთისასა. და გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ, გლახაკისა მჴევლისა თქუენისათა[ჲ] და გაუწყო-ცა.

15. ესერა მოსრულ-ა სული ჩემი ჴორჴად ჩემდა, დამეძინებინ ძილითა მით დედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ. არამედ მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკჱ ჩემი და უდები ცხორებაჲ ჩემი, რაჲთა უწყოდიან შვილთა-ცა თქუენთა სარწმუნოებაჲ თქუენი და შეწყნარებაჲ ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელნი გიხილვან მცირედნი მთათა მათ ზედა, მაყულოვანსა მას შინა, სუეტისა აღმართებასა, და მიერ წყაროსა მას ზედა, და ვიდრე აქა მოსლვადმდე ჩემდა. თჳთ უფალმან იცის და სულმან ჩემმან, რომელი უხილავს თუალთა ჩემთა ზეცით გარდამო ქუეყანასა ზედა".

16. მაშინ მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უჟარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი. და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს. წინა შობისა მისისა მშობელთა მისთა საქმედ იწყო.

12. ეუბნებოდნენ დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი და მათთან ერთად ყოველი მთავარი ეკითხებოდა მას და ეუბნებოდა: "საიდან ან როგორ მოაღწიე შენ ჩვენს ქვეყანაში ჩვენს მხსნელად, ან სად მოხდა შენი აღზრდა, დედოფალო? გვაუწყე ჩვენ შენი ამბავი _ რად ამბობ შენს ტყვეობას, ტყვეთა მხსნელო, სანატრელო!

13. ვინაიდან ეს გვისწავლია შენს მიერ, რომ ყოფილან წინასწარმეტყველნი ღმერთის ძის ქვეყნად პირველად მოსვლამდე; და მერე თორმეტი მოციქული; შემდეგ სამოცდათორმეტი და ჩვენთან არავინ მოავლინა ღმერთმა, შენს გარდა. და როგორ ამბობ, რომ: „ტყვე ვარ მე?", ანუ, როგორც ჰინდოეთში თუ?[41]

14. მაშინ დაიწყო ლაპარაკი ნინომ და თქვა: „სარწმუნოების ასულნო, ღვთის მახარებელნო,[42] ჩემო დედოფლებო, გიცქერთ თქვენ, როგორც იმ პირველ წმინდა დედებს, სრულ სარწმუნოებაში და ღმერთის სიყვარულში მყოფებს. და გნებავთ ჩემი გავლილი გზის შეტყობა, თქვენი გლახაკი მხევლისა, და გაუწყებთ კიდეც.

15. აგერ მობჯენია ჩემი სული ჩემს ხორხს და დამეძინება ჩემი დედის ძილით საუკუნოდ, მაგრამ აიღეთ წიგნის საწერ-კალამი და აღწერეთ ჩემი სიგლახაკე და ჩემი უქმი ცხოვრება, რათა იცოდნენ თქვენმა შვილებმაც თქვენი სარწმუნოება და ჩემი შეწყნარება; და ღვთის სასწაულები, რომელთაგან გინახავთ მცირედი იმ მთებზე, იმ მაყვლოვანში, სვეტის აღმართვისას და გაღმა იმ წყაროზე და ყველაფერი, ვიდრე აქ ჩემთან მოსვლამდე. თვითონ უფალმა იცის და ჩემმა სულმა, რომელიც ჩემს თვალებს უხილავთ ზეციდან მიწაზე გადმოსული სასწაულები".

16. მხოლოდ მაშინღა მოიტანეს საწერ-კალამი სალომე უჟარმელმა და სივნიელმა პეროჟავრიმ. და დაიწყო თხრობა წმინდა ნინომ და ისინი წერდნენ. თავისი შობის წინ თავისი მშობლების ამბავი დაიწყო.

[თავი გ~]

1. ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი.

2. იყო მათ ჟამთა ოდენ გეორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტჱსთჳს,

3. მათ დღეთა კაბადუკიაჲთ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაჲ ღმრთისაჲ, წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად.

4. და მათ-ვე დღეთა კაცი ვინმე იყო კოლასტას შინა და ესხნეს ორ შვილ: ძჱ და ასული. სახელი ძისა მისისაჲ იობენალი, ხოლო ასულისაჲ - სუსანა. და ვითარ აღესრულნეს მშობელნი იგი, დაშთეს შვილნი მათნი ობლად. აღდგეს და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალჱმდ, იმედ-ყვეს სასოვებაჲ იგი ყოველთა ქრისტეანეთაჲ - წმიდაჲ ადგომაჲ და მიეგებრნეს მუნ. ესე ძმაჲ სუსანაჲსი მიემთხჳა დევტალარობასა, ხოლო სუსანა ჰმსახურებდა მიაფორსა, სარას ბეთლემელსა.

5. ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკიელი მიიწია წინაშე მეფისა ჰრომედ. და ეწყვნეს ბრანჯნი ჰრომთა ბრძოლად ველსა ზედა პიტალანისასა. და მოსცა ღმერთმან ჭაბუკსა მას კაბადუკიელსა ძალი უძლეველი და ქმნა წინა-აღდგომაჲ მტერთაჲ ძლიერად, ვიდრემდის წარიქცინა სივლტოლად. და შეიპყრა მეფჱ ბრანჯთაჲ და მის თანა მთავარნი მრავალნი.

6. და შეიყვანნა წინაშე მეფისა მეფჱ ბრანჯთაჲ და ყოველნი მთავარნი. ხოლო მეფემან განაწესა სიკუდილი მათი. მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ და ევედრებოდეს ზაბილოვნს: "მოგუეც პირველად შჯული შენი და შეგჳყვანენ ჩუენ ტაძარსა მას ღმრთისა თქუენისასა, და მაშინ იყავნ სიკუდილი ჩუენი, რამეთუ შე-ცა-შენ-ვე-გჳპყრენ, და შენ-ვე ყავ ესე ჩუენ ზედა, და უბრალო იყო სისხლთა ჩუენთაგან".

თავი 3

1. წმინდა ნინოს ცხოვრება.

2. ეს იყო იმ დროს, როცა გეორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის.[43]

3. იმ ხანებში კაბადუკიის ქალაქიდან ერთი კაცი მთავართა სწორი, მონა ღვთისა, წავიდა რომში მეფეთა წინაშე სამსახურებლად და წყალობის მოსაპოვებლად.

4. იმავე ხანებში ერთი კაცი იყო კოლასტაში[44] და ჰყავდა ორი შვილი: ძე და ასული. სახელი მისი ძის იყო იობენალი, ხოლო ასულისა _ სუსანა. და როცა აღესრულნენ მშობლები, დარჩნენ მათი შვილები ობლად. ადგნენ და წავიდნენ წმინდა ქალაქ იერუსალემისკენ, დაიიმედეს ყველა ქრისტიანის სასოება _ წმინდა აღდგომა და თავი შეავედრეს იქ. ძმა სუსანასი ეწია დევტალარობას[45], ხოლო სუსანა მსახურებდა მიაფორს[46], სარა ბეთლემელს.

5. ხოლო ის კაბადუკიელი ჭაბუკი მივიდა მეფის წინაშე რომში. და დაეწყვნენ ბრანჯები[47] რომაელებთან საბრძოლველად პიტალანის ველზე. და მისცა ღმერთმა კაბადუკიელ ჭაბუკს უძლეველი ძალა და გაუწია მტრებს ძლიერი წინაღმდეგობა, ვიდრე არ გააქცია სირბილით. და შეიპყრო ბრანჯების მეფე და მასთან ერთად მრავალი მთავარი.

6. შეიყვანა მეფის წინაშე ბრანჯების მეფე და ყველა მთავარი, ხოლო მეფემ განაჩინა მათი სიკვდილი. მაშინ დაიწყეს ტირილი ბრანჯებმა და ევედრებოდნენ ზაბილონს: „მოგვეცი პირველად შენი რჯული და შეგვიყვანე ჩვენ თქვენი ღვთის ტაძარში და მაშინ დადგეს ჩვენი აღსასრული, რადგან შენ შეგვიპყარ, შენვე აღასრულე ეს ჩვენზე და უბრალო იქნები ჩვენი სისხლისაგან“.

7. ხოლო ზაბილოვნს-და ესმა, მწრაფლ აუწყა ესე მეფესა და პატრეაქსა სიტყუაჲ მათი. და მოსცეს მათ ნათელი ჴელსა ქუეშე ზაბილოვნისსა და შეიყვანნეს ტაძარსა ღმრთისასა, წმიდასა ეკლესიასა, და აზიარნეს საიდუმლოთა ქრისტესთა. და უჩუენნეს მათ დიდებანი იგი წმიდათა მოციქულთანი.

8. და დილაჲთ ადრე აღდგეს ბრანჯნი იგი და სამოსელი სამკუდროჲ შეიმოსეს და განვიდეს ადგილსა მას კაცთა საკლავსა, ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა ნათლის-ღებასა მას ზედა და ზიარებასა და იტყოდეს: "ჩუენ სიკუდილსა შინა უკუდავ ვართ, რამეთუ ღირს-მყვნა ჩუენ ღმერთმან ესევითარსა დიდებასა ხილვად და საგზალსა მას დაულევნელსა, ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱს, ძისა ღმრთისა უკუდავისა მის მეუფისასა, რომელი არს უფროჲს უმაღლეს ყოველთა მაღალთა და უქუესკნელეს ყოველთა ქუესკნელთა, რამეთუ იგი არს კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე, ამენ. ხოლო ვაჲ ნაშობთა ჩუენთა, ნაყოფთა სიმწარისათა, მკჳდრთა ბნელისათა".

9. და ჴმობდეს იგინი: "მოვედინ მეჴრმლჱ ეგე და აღიხუენით თავნი ჩუენნი ჩუენგან..." ამას რაჲ ჰხედვიდა ზაბილოვნ, აღიძრა გონებითა და ტიროდა, რამეთუ ვითარცა ცხოვართა თავნი თჳსნიკლვად წარეპყრნეს და ვითარცა კრავთა შვილთა მათთა სწყალობდეს. მაშინ შევიდა ზაბილოვნ წინაშე მეფისა და გამოითხოვნა, და ნიჭითა განუტევნა.

10. ხოლო იგინი ევედრებოდეს ზაბილოვნს, რაჲთა წარჰყვეს ქუეყანად მათა და მისცეს შჯული ქრისტესი და ნათლის-ღებაჲ წყლითა ყოველსა ერსა მათსა. ხოლო ისმინა მათი ზაბილოვნ და მოსთხოვნა მღდელნი პატრეაქსა. და ბრძანებაჲ მოიღო მეფისაგან. და წარვიდეს სიხარულით.

11. და ვითარცა მიეახლნეს ვითარ ერთ დღისა სავალსა, მიჴდა ჰამბავი, ვითარმედ მეფჱ მოვალს ცოცხალი და ყოველნი მთავარნი მის თანა. მაშინ შეიძრნეს ათნი იგი საერისთვონი: ხოლამაჲ და

7. ხოლო ზაბილონმა ეს რომ გაიგონა, სწრაფად აუწყა მეფეს და პატრიარქს მათი სიტყვა. და ნათელსცეს მათ ზაბილოვნის ხელქვეშ, შეიყვანეს ღვთის ტაძარში, წმინდა ეკლესიაში და აზიარეს ქრისტეს საიდუმლოებს და ასწავლეს მათ წმინდა მოციქულთა დიდებანი[48].

8. დილით ადრე ადგნენ ბრანჯები, სამკვდრო სამოსელი შეიმოსეს და გავიდნენ კაცთა საკლავ ადგილას, ლოცულობდნენ და მადლობდნენ ღმერთს ნათლისღებისა და ზიარებისათვის და ამბობდნენ: „ჩვენ სიკვდილშიც უკვდავები ვართ, რადგან ღირსი გაგვხადა ჩვენ ღმერთმა ამგვარი დიდების ხილვისა და იმ გამოულეველი საგზლისა _ ხორცისა და სისხლისა ქრისტესი, ღმერთის ძის, იმ უკვდავი მეუფის, რომელიც ყველა მაღალზე უფრო უმაღლესია და უქვესკნელესია ყველა ქვესკნელზე, რადგან იგი არის კურთხეული უკუნითი უკუნისამდე, ამენ. მაგრამ ვაი ჩვენს შვილებს _ სიმწრის ნაყოფთ და სიბნელის მკვიდრებს“.

9. და იძახდნენ ისინი: „მოვიდეს ჯალათი და წაგვაცალეთ თავები“. უცქერდა რა ამას ზაბილონი, აღელდა გონებით და ტიროდა, რადგან როგორც ცხვრებს, თავიანთი თავები დასაკლავად გაეწვდინათ და როგორც კრავებს, თავიანთ შვილებს ისე იბრალებდნენ. მაშინ შევიდა ზაბილონი მეფის წინაშე, გამოითხოვა ბრანჯები და საჩუქრებით გაუშვა.

10.ხოლო ისინი ევედრებოდნენ ზაბილონს, რომ წაჰყვეს მათ ქვეყანაში და მისცეს ქრისტეს რჯული და წყლით ნათლისღება მთელ მათ ხალხს. ხოლო ზაბილონმა შეისმინა მათი და გამოსთხოვა მღვდლები პატრიარქს, ბრძანება მიიღო მეფისაგან და წავიდნენ სიხარულით.

11. როგორც კი მიუახლოვდნენ, დაახლოებით ერთი დღის სავალზე, მივიდა ამბავი, რომ მეფე მოდის ცოცხალი და ყველა მთავარი მასთან ერთადაა. მაშინ დაიძრა ის ათი საერისთავო: ხოლამა და ხოზაბა, ხლაჭა, ხენეშაგი, ტიმგარაგი, ზაქა, გზა,

ხოზაბაჲ, ხლაჭაჲ, ხენეშაგი, ტიმგარაგი, ზაქაჲ, გზაჲ, ზარგაჲ, ზარდაჲ, ზარმაჲ და თმონიგონი სამეუფოჲ და მოეგებვოდეს მდინარესა ზედა დიდსა ღდამარასა.

12. და განყო მეფემან ერი იგი და დაადგინა წყალსა მას იმიერ და ამიერ. და აკურთხეს მღდელთა მდინარჱ იგი და შთაჴდა ყოველი ერი მდინარესა მას და განიბანებოდეს, და აღმოვიდოდეს გამოსავალსა ერთსა. და დასდებდა ზაბილოვნ ჴელსა ყოველსა ერსა ათ დღე. და აღჰმართნეს კარავნი და შეწირეს მღდელთა ჟამი, და აზიარნეს ქრისტეს საიდუმლოთა.

13. და განუტევნა მღდელნი და განჰკარგა ყოველი წესი ქრისტეანობისაჲ. დაუტევა კურთხევაჲ და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომედ.

14. და განიზრახა გულსა თჳსსა და თქუა: "წარვიდე იერუსალჱმდ". და მისცა გლახაკთა ყოველი იგი მონაგები.

15. და დევტალარი იგი პატრეაქ-ქმნულ იყო. და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილოვნ და პა[ტ]რეაქი.

16. ჰრქუა სარა მიაფორმან პატრეაქსა: "ესე ზაბილოვნ - მამაჲ და ემბაზი ბრანჯთაჲ, კაცი სრული სიბრძნითა და ღმრთის მოშიშებითა. ამას მიეც დაჲ შენი სუსანა ცოლად".

17. და სთნდა წმიდასა პატრეაქსა სიტყუაჲ მისი და მისცეს სუსანა ცოლად მისა. და წარვიდეს თჳსა ქალაქად კოლასედ. და მე ოდენ ვიშევ მათგან. და იგი[ნი] არიან მშობელნი ჩემნი. და აღმზარდა მე დედამან ჩემმან წიაღთა შინა თჳსთა, მსახურებასა შინა გლახაკთასა დღე და ღამე დაუცადებელად.

18. და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაჲ-ცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალჱმდ. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა. და შემიტყბო მე მკერდსა მისსა და დამაღუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემ[ლ]ნი თჳსნი თუალთა და პირსა ჩემსა. და მრქუა:

ზარგა, ზარდა, ზარმა და სამეფო თმონიგონი და მოეგებებოდნენ დიდ მდინარეზე, ღდამარაზე.

12. გაჰყო ბრანჯთა მეფემ ხალხი და დააყენა წყლის იმიერ და ამიერ. აკურთხეს მღვდლებმა მდინარე, ჩავიდა მთელი ხალხი იმ მდინარეში, განიბანებოდნენ და ამოდიოდნენ ერთ გამოსასვლელში. ადებდა ზაბილონი ხელს მთელ ერს ათი დღე. აღმართეს კარვები, შეწირეს მღვდლებმა ჟამისწირვა[49] და აზიარეს ბრანჯები ქრისტეს საიდუმლოებს.

13. ზაბილონმა დატოვა[50] მღვდლები, დაუწესა ქრისტიანობის ყველა წესი, დაუტოვა კურთხევა და წავიდა დიდძალი საჩუქრებით ჰრომისკენ.

14. განიზრახა თავის გულში და თქვა: „წავიდე იერუსალიმში“, და მისცა გლახაკებს მთელი თავისი მონაგები.

15. ამასობაში დევტალარი პატრიარქი გამხდარიყო და ძალზე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ზაბილონი და პატრიარქი.

16. უთხრა სარა მიაფორმა პატრიარქს: „ეს ზაბილონი _ მამა და ემბაზი ბრანჯთა, არის კაცი სრული სიბრძნით და ღვთისმოშიშებით. ამას მიეცი შენი და სუსანა ცოლად“. მოეწონა წმინდა პატრიარქს მისი სიტყვა და მისცეს მას სუსანა ცოლად.

17. წავიდნენ ისინი თავისი ქალაქისკენ, კოლასაში. მხოლოდ მე გავჩნდი მათგან და ისინი არიან ჩემი მშობლები. გამზარდა მე დედაჩემმა თავის კალთაში დღე და ღამე შეუსვენებლად გლახაკთა მსახურებაში.

18. და როცა გავხდი თორმეტი წლის[51], ჩემმა მშობლებმა გაყიდეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ და წავიდნენ იერუსალემში. მაშინ მამაჩემმა დაიწერა ჯვარი პატრიარქისაგან და გაიმიჯნა დედაჩემისაგან. ჩამიკრა მე მკერდში, დამაღვარა, როგორც ნიაღვარი, თავისი ცრემლები ჩემს თვალებსა და სახეზე და მითხრა:

19. "შენ, მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა, რამეთუ იგი არს მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისათჳს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრჱთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრჱთ მოგცეს ყოველი, რაჲ-ცა სთხოვო მას, ოდეს რაჲ გინდეს მისგან."

20. და მო-მცა ამბორებაჲ საუკუნოჲ და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაჲ ყოფაჲ მისი იცის მისმან უფალმან იესუ. ხოლო დედაჲ ჩემი მისცა პატრეაქმან მსახურად გლახაკთა, დედათა უძლურთა.

21. ხოლო მე ვჰმსახურებდ მიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ. და ვჰკითხევდი ენებათა მათთჳს ქრისტესთა, ჯუარ-ცუმისა, დაფლვისა და აღდგომისათჳს მისისა, და სამოსლისა მისისა და ჯუართა და ტილოთასა და სუდარისასა ყოველსა მიწყებით, რამეთუ არავინ ყოფილ იყო, არცა იყო შორის იერუსალჱმსა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულისა გზასა ძველსა და ახალსა ყოველსა-ვე.

22. იწყო უწყებად ჩემდა და თქუა: "ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებნ ყოველსა-ვე ზედა ოთხფერჴსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროჲს მამლისა და ყოველი ქუეყანაჲ გუგასა თუალისა მისისასა, მცირესა მარგალიტის სწორსა, შეაყენის და განიხილის, განიცადის საჭმელი მისი, ცეცხლებრ დაინახის, მოუტევნის ფრთენი შრიალებად და მიიმართის მის ზედა. ეგრეთ იყოს ცხორებაჲ შენი წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა".

19. "შენ, ერთადერთო ასულო ჩემო, აგერ გტოვებ შენ ობლად ჩემგან და მიგაბარებ ცათა ღმერთს, ყოველთა მამას, გამზრდელსა და უფალს, რადგან იგია ობლების მამა და ქვრივების გამკითხავი. ნუ გეშინია, შვილო ჩემო! ოღონდ შენ მაგდანელ მარიამს და ლაზარეს დებს მიჰბაძე ქრისტეს სიყვარულში და, თუ შენ ისეთივე შიში გექნება მისი, როგორც მათ, იგი ისევე მოგცემს ყველაფერს, რასაც სთხოვ, როდესაც რაიმე მოგინდება მისგან."

20. და მეამბორა სამარადისოდ და წავიდა გაღმა იორდანეს იმ ველურ ხალხთან; სხვა რამ მისი საქმეები იცის მისმა უფალმა იესომ. ხოლო დედაჩემი მისცა პატრიარქმა მსახურად გლახაკებს, უძლურ ქალებს.

21. ხოლო მე ვემსახურებოდი მიაფორს, დვინელ სომეხს ორი წელი.[52] და ვეკითხებოდი ქრისტეს ტანჯვათა, ჯვარცმის, დაფლვისა და მისი აღდგომის შესახებ; და მისი სამოსლისა და ჯვრების, ტილოებისა და სუდარის შესახებ _ ყველაფერს თანმიმდევრობით, რადგან არავინ ყოფილა, და არც იყო იერუსალემში მისი ტოლი რჯულის წესის ცოდნით _ ძველის და ახლის, ყოველივესი.

22. დაიწყო მიაფორმა ჩემთვის თხრობა და თქვა: „ვხედავ, შვილო ჩემო, შენს ძალას, როგორც ძალას ძუ ლომისა, რომელიც დაჰღრიალებს ყველა ოთხფეხს; ანდა, როგორც დედალი ორბი, რომელიც ადის ჰაერის სიმღლეებში მამალზე მაღლა და მთელი დედამიწა მის, მცირე მარგალიტის ხელა თვალის გუგაშია, რომ შეაჩერებს და დააკვირდება, შენიშნავს თავის საჭმელს, ცეცხლივით დაინახავს, გაშლის ფრთებს შრიალით და მიემართება მასზე*, _ ასე იქნება შენი ცხოვრებაც სულიწმინდის წინამძღვრობით".

* შდრ. იობ. 9:26; 15:23; 39:26-30; დან. 7:4.

თავი დ

1. აღწერილი მის[ი]ვე სალომე უჟარმელისაჲ.

2. აწ ვიწყო და გითხრა ყოველი,

3. ოდეს-იგი იხილეს ღმერთი უკუდავი კაცთა მოკუდავთა ქუეყანასა ზედა, რომელი მოსრულ იყო მისგან, ისრაჱლი უკუნ-დგა. და მოწოდებაჲ ყოველთა უცხოთა ნათესავთაჲ, უცხოთა ღმერთთა მონებულთაჲ, ვითარცა თჳთ უნდა ჴსნაჲ სოფლისაჲ, რომელი დაჰბადა. იწყო კეთილის-ყოფად ჰური[ა]თა: მკუდართა აღდგინებად, ბრმათა აღხილვად, ყოველთა სნეულთა განკურნებად. ესე შეიშურვეს, შეიზრახნეს და წარავლინნეს სტრატიოტნი ყოველსა ქუეყანასა სწრაფით მოსლვად. და იტყოდეს, რამეთუ: აჰა ესერა წარვწყმდებით-ო.

4. მაშინ მოიწინეს ყოვლით სოფლით კაცნი ჰურიანი, მეცნიერ-ნი შჯულსა მოსესსა, რომელნი ანტაკრად აღუდგეს სულსა წმიდისასა და რაჲ-იგი უნდა ქრისტესა მათგან, მათ აღასრულეს: ჯუარს აცუეს და სამოსელსა მისსა ზედა წილ-ითხინეს. და წილით ჰხუდა ჩრდილოთა, მცხეთელთა, კუართი იგი უფლისა იესუჲსი, და დაჰფლეს მათ დამბადებელი თჳსი და დაჰკრძალეს საფლავი. ხოლო იგი აღდგა, ვითარცა თქუა პირველ. და ტილონი იგი, ოდეს განთენა, ისხნეს საფლაესა შინა.

5. და ესე ყოველი წარმოიცადა პილატე და მოვიდა საფლავად იგი და ცოლი მისი და ტილონი იგი პოვნეს, და მოიხუნა იგინი ცოლმან პილატესმან. და წარვიდა წრაფითა დიდითა პონტოდ, სახედ თჳსა, რომელი იქმნა მორწმუნე ქრისტესა. ხოლო შემდგომად ჟამთა მრავალთა მოვიდეს იგინი ჴელთა ლუკა მახარებელისათა და დასხნა იგინი მან, სადა-ცა თჳთ იცის.

6. ხოლო სუდარი არა იპოვა, ვითარცა ჴორცნი ქრისტესნი. თქუეს ვიეთ-მე პეტრესთჳს, ვითარმედ ჴელ-იწოფა ახუმად-ო და აქუნდეს, გარნა განცხადებულად არაჲ მიუთხრეს, ვითარ სხუაჲ ყოველი.

თავი 4

1. მისივე, სალომე უჯარმელის აღწერილი.

2. „ახლა დავიწყებ და გეტყვით ყველაფერს:

3. როდესაც იხილა უკვდავი ღმერთი მოკვდავმა ხალხმა ამქვეყნად, რომელიც მოსული იყო მისგან, ისრაელი განდგა და მოუწოდა ღმერთმა უცხო მოდგმებს, უცხო ღმერთებისადმი დამონებულთ, ვინაიდან თავად უნდოდა ქვეყნიერების ხსნა, რომელიც გააჩინა. დაიწყო სიკეთის კეთება იუდეველთათვის: მკვდრების აღდგენა, ბრმების თვალის ახელა, ყველა სნეულის განკურნება. ეს შეშურდათ იუდეველებს, იბჭეს და გააგზავნეს მხედრები ყველა ქვეყანაში სასწრაფოდ მოსასვლელად და ამ-ბობდნენ, "აჰა, აგერ ვიღუპებით"-ო.

4. მაშინ მოვიდა ყველა ქვეყნიდან ხალხი, იუდეველები, მოსეს რჯულის მცოდნეები, რომლებიც წინაღუდგნენ[53] წმიდა სულს[54] და რაც თვით უნდოდა ქრისტეს მათგან, მათაც ის აღას-რულეს: ჯვარს აცვეს და მის სამოსელზე წილი იყარეს. და წილხვდა ჩრდილოელებს, მცხეთელებს, უფალ იესოს კვართი. და დამარხეს მათ თავისი დამბადებელი და დახშეს საფლავი. ხოლო ის აღდგა, როგორც ითქვა დასაწყისში, და როდესაც გა-თენდა, ტილოები საფლავში ეწყო.

5. ეს ყველაფერი ნახა პილატემ: მოვიდა საფლავთან იგი და მისი ცოლი და ტილოები იპოვეს. აიღო ისინი პილატეს ცოლმა და წავიდა დიდი სისწრაფით პონტოში, თავის სახლში, და რომელიც ქრისტეს მორწმუნე გახდა[55]. ხოლო მრავალი ხნის შემდეგ მოხვდნენ ეს ტილოები ლუკა მახარებლის ხელში და დააწყო ისინი, სადაც თვითონ იცის.

6. ხოლო სუდარა არ აღმოჩნდა საფლავში ისევე, როგორც ქრისტეს სხეული. თქვა ზოგმა პეტრეზე, რომ მან მოახერხა აღება და მას ჰქონდაო, მაგრამ ცხადად ვერაფერი თქვეს, ისევე როგორც სხვა ყველაფერზე.

7. ხოლო ჯუარნი ამას ქალაქსა შინა დამარხულ არიან, ხოლო ადგილი მათი ვერვინ იცის, ოდეს ინებოს ღმერთმან, გამოჩნდენ.

8. მაშინ მივეც კურთხევაჲ უფალსა ღმერთსა და მადლი დედოფალსა მას ჩემსა ამას ყოველსა ზედა თხ[რ]ობასა. და კუალად ვჰკითხე, ვითარმედ: "სადა არს ჩრდილოჲსა იგი ქუეყანაჲ, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ?" მრქუა მე: "ჩრდილოჲსა ქუეყანაჲ სომხითისა მთეულ არს, საწარმართოჲ ქუეყანაჲ, საჴელმწიფოჲ ბერძენთაჲ და უჟიკთაჲ".

9. მათ დღეთა შინა მო-ვინმე-ვიდა დედაკაცი ეფესელი თავყუანის-ცემად წმიდასა ადგომასა და ჰკითხვიდა მიაფორი დედაკაცსა მას, თუ: "ჰელენე დედოფალი ეგეთსა-ვე ბნელსა შინა არს-ა და მეფობაჲ მათი თჳნიერ ღმრთისა?" ხოლო მან ჰრქუა: "მე ვარ მჴევალი მათი და მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა, და დიდი წადიერებაჲ აქუს ჰრომთა ქრისტჱს მიმართ შჯულისათჳს, და ნათლის-ღებისა".

10. ხოლო მე ვარქუ მიაფორსა: "წარმავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დედოფლისა, ნუუკუე მიმიახლოს სიტყჳს-გებად მის წინაშე ქრისტჱსთჳს". და მან აუწყა პატრეაქსა. ხოლო მან მიწოდა, წმიდამან მამამან ჩემმან პატრეაქმან, ძმამან დედისა ჩემისამან, და დამადგინა აღსავალსა საკურთხეველისასა და დამასხნა ჴელნი მისნი მჴართა ჩემთა. და სულთ-ითქუნა ცად მიმართ და თქუა:

11. "უფალო ღმერთო მამათაო და საუკუნეთაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ ობოლსა ამას, შვილსა დისა ჩემისასა და წარვავლინებ ქადაგებად შენისა ღმრთეებისა და რაჲთა ახაროს აღდგომაჲ შენი, სადა-ცა შენ სათნო-იყო სრბაჲ მისი ექმენ ქრისტე ამას გზა, მოგზაურ, ნავთ-სადგურ, მოძღუარ, ენა მეცნიერების, ვითარცა-იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა"

12. და მიჯმნა დედისაგან ჩემისა და მო-მცა მე ჯუარი და კურთხევაჲ საგზლად. და წარვემართე დედაკაცისა მის თანა. და ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ვპოვეთ დედუფალი ვინმე მეფეთა

7. ხოლო ჯვრები ამ ქალაქშია დამარხული, მაგრამ მათი ადგილი არავინ იცის, როდესაც ინებებს ღმერთი _ გამოჩნდებიან.

8. მაშინ მივეცი კურთხევა უფალ ღმერთს და მადლობა _ ჩემს დედოფალს ამ ყველაფრის მოყოლისათვის. და კიდევ ვკითხე, რომ: „სად არის ის ჩრდილოეთის ქვეყანა, ან სად არის ჩვენი უფლის სამოსელი?“. მიპასუხა: „ჩრდილოეთის ქვეყანა სომხითის მთიანეთია, წარმართული ქვეყანაა _ ბერძენთა და უჟიკთა[56] საგამგებლო“.

9. იმ ხანებში მოვიდა ერთი ეფესელი ქალი წმინდა აღდგომის თაყვანისსაცემად და ეკითხებოდა მიაფორი იმ ქალს, რომ: „ელენე დედოფალი ისეთსავე ბნელშია და მათი მეფობა კვლავ ღვთის გარეშეა?“. ხოლო მან უთხრა: “მე ვარ მათი მსახური და მათი ყველა განზრახვის თანამდგომი და დიდი ლტოლვა აქვთ რომაელებს ქრისტეს რჯულის და ნათლისღების მიმართ“.

10. ხოლო მე ვუთხარი მიაფორს: „გამაგზავნე და წავალ ელენე დედოფლის წინაშე, იქნებ დამიახლოვოს თავის წინაშე ქრისტეს შესახებ სასაუბროდ“. და მან აუწყა პატრიარქს. ხოლო მე[57] დამიძახა, ჩემმა წმინდა მამამ, პატრიარქმა, დედა-ჩემის ძმამ და დამაყენა საკურთხევლის აღსავალზე და დამაწყო თავისი ხელები მხრებზე და შესტირა ცას და თქვა:

11. „უფალო, ღმერთო მამათაო და საუკუნეთაო, შენს ხელებს შევავედრებ ამ ობოლს, ჩემს დიშვილს და ვაგზავნი შენი ღვთაების საქადაგებლად და იმისთვის, რომ ახაროს შენი აღდგომა იქ, სადაც შენ ინებო მისი სვლა. შენ ეყავ, ქრისტე, ამას გზად, მოგზაურად, ნავსადგურად, მოძღვრად, ცოდნის ენად, როგორც შენი სახელის უწინდელ მოშიშებს“.

12. და გამაშორა დედაჩემს და მომცა მე ჯვარი და კურთხევა საგზლად. და გავემართე იმ ქალთან ერთად. და როდესაც მივედით მის სახლში, იქ ვნახეთ ერთი დედოფალი, მეფეთა

[ე]ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალიმით ნათლის-ღებასა და ქრისტეს აღსაარებისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე ჴელთა მისთა დედაკაცმან მან, და მივეც მას ნათელი ჴელსა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა. და წარვედით სახიდ მისა და ვიყვენით მუნ ორ წელ.

13. მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს, და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოცდაოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა. და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა.

14. მეშჳდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით.

15. რიფსიმე დედოფალი და გაჲ[ა]ნე, დედამძუძჱ, და ორმეოცდაათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა, ოცდაათსა, დღესა პარასკევსა.

16. ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა. და ოდეს-იგი აღმოჰვიდოდეს სულნი წმიდათა მათ, ვიხილე ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარითა ნათლისაჲთა. და ჴელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლჱ, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სულნელებისაჲ, რომელი ცათა დაჰფარვიდა. და მის თანა სიმრავლჱ ერთა ცისათაჲ. და შეიერთნეს წმიდანი იგი სულნი ერთა მათ ზეცისათა და დიდებით აღმაღლდეს ცად.

17. ხოლო მე ვღაღადყავ: "უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?" ჴმაჲ მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: "ესრეთვე იყოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველი-ვე იქმნეს ვარდ მეწამულ,

შთამომავალი, სახელად რიფსიმე, რომელიც ელოდა იერუსალიმიდან ნათლისღებას და ქრისტეს აღსარების სურვილი ჰქონდა. მაშინ ჩამაბარა მის ხელთ იმ ქალმა და მივეცი ნათელი ჩემს ხელქვეშ მას და მისი სახლის ორმოც სულს, მასთან ერთად. წავედით მის სახლში და ვიყავით იქ ორი წელი.

13. მაშინ მოხედა უფალმა საბერძნეთს და ირწმუნა მეფე კონსტანტინემ. ქრისტე აღიარა მან და მისმა დედამ და მთელმა მათმა სასახლემ დასაბამიდან ხუთი ათას ოთხას ორმოცდაოთხ, ხოლო ქრისტეს ამაღლებიდან _ სამას თერთმეტ წლებში. და დაადგა მთელი საბერძნეთი ქრისტიანობას.

14. მეშვიდე წელს იყო წმინდა კრება ნიკეაში. მერვე წელს იყო ჩვენი გაქცევა საბერძნეთიდან.

15. რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძე, და ორმოცდაათი სული გამოვემართეთ პირველი თვის[58] თხუთმეტში და ამოვედით სომხითის მხარეში, თრდატ მეფის ბაღში. ისინი დახოცეს იქ პირველი თვის ოცდაათში, პარასკევ დღეს.

16. ხოლო მე დავრჩი ვარდის ეკლებში, რადგან ვარდი და ნუში ჰყვაოდა იმ დროს და როდესაც ამოდიოდნენ იმ წმიდათა სულები, ვიხილე ზეციდან სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკვანი[59] ნათლის ოლარით. და ხელთ ჰქონდა სასაკმევლე, რომლისგანაც გამოდიოდა სურნელების კვამლი, რითაც ცანი იფარებოდა; და მასთან ერთად ვიხილე ცის მხედრობის სიმრავლე. და შეიერთეს ის წმიდათა სულები ზეცათა მხედრებმა და დიდებით ამაღლდნენ ცისკენ.

17. ხოლო მე შევღაღადე: „უფალო, უფალო, რად მტოვებ მე ასპიტთა და იქედნეთა შორის?“. ხმა მომესმა იქიდან, რომელიც მეუბნებოდა მე: „ასევე მოხდება შენი წაყვანა, როდესაც ეგ ეკალი, რომელიც შენს გარშემო არის, მთლიანად გახდება ვარდი მეწამული და სურნელოვანი, შენს მიერ. ხოლო შენ ადექი და

სულნელ შენ მიერ. ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავალით, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკნი ყოვლად-ვე არა არიან".

18. ხოლო მე წამოვედ და მოვედ ულოპორეთა და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა. და თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა, რაჲთა ვცნა, თუ სადაჲთ არს მცხეთაჲ. და მივემთხჳე მთასა ზედა...[4]. *ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფანავრაჲ, დავდეგ მუნ ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მეთევზურთაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდელისაჲთა, და მადლი მივეც ღმერთსა.*

19. *და მწყემსნი ჲყუნეს მას-ვე ადგილსა და ჴუმილვიდეს ჴუმინვასა ღამისასა სამწყსოთა შინა მათთა. და ჰხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზსს და ზადენს და უთქუმიდეს შესაწირავსა, ოდეს მოვიდოდეთ-ო.*

20. *და დილაჲ ადრე აღვდეგ და ვჰკითხე ერთისა მათგანისა, თუ: "სადჲთ სოფლით ხართ თქუენ?". და მითხრა: "ზოგნი დაბით ელირგნით (?) და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ".*

21. *და მივჰხედენ მთათა ჩრდილოჲსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა სავსენი ჩნდეს ჰაერითა სასტიკითა და თოვლითა. და შევძრწუნდი მე ფრიად და ვთქუ: "უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან".*

22. *და მოვიღე ლოდი ერთი და დავდევ იგი სასთუნლად ჩემდა, და გარდასადინელსა მის ტბისასა. და დავიძინე და მოვიდა ჩუენებით კაცი ერთი ჰასაკითა ზომი, (?) თმითა ნახევარ-თმოსან. და მო-მცა წიგნი დაბეჭდული და მრქუა მე: "სწრაფით მიართუ ესე მცხეთად მეფესა წარმართთასა". და მე ვიწყე ტირილით ვედრებად მისა და ვარქუ: "უფალო, დედა კაცი ვარ უცხოჲ და უმეცარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენაჲ ვიცი, რაჲ ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა"? მაშინ განჴსნა წიგნი იგი და მო-მცა მე კითხვად. დაწერილი იყო ჰრომაელებრ, დაბეჭდულ იყო, იესუჲსი.*

იარე აღმოსავლეთით, სადაც სამკალი ბევრია და მუშაკნი სრულიად არ არიან".

18. *ხოლო მე წამოვედი და მოვედი ულოპორეთში*[60] *და დავიზამთრე დიდ გაჭირვებაში. და მეოთხე თვეს წავედი ჯავახეთის მთებზე, რომ გამეგო, თუ საითკენ არის მცხეთა. მივაღწიე მთაზე*[61] *გადამდინარე დიდ ტბას, რომელსაც ერქვა ფარავანი.*[62] *გავჩერდი იქ ორი დღე, ვითხოვე საჭმელი მეთევზეთაგან, გავძლიერდი იმ საჭმლის ძალით და მადლი მივეცი ღმერთს.*

19. *მწყემსები იყვნენ იმავე ადგილას და დარაჯობდნენ სადარაჯოს თავიანთ ფარაში. მოუხმობდნენ მათ ღმერთებს, არმაზსა და ზადენს და უთქვამდნენ შესაწირავს, როცა მოვალთო.*

20. *დილაადრიან ავდექი და ვკითხე ერთ მათგანს, თუ: „რომელი დაბიდან ხართ თქვენ?". და მითხრა მან: „ზოგი დაბა ელირგნიდან, ზოგი საფურცლიდან, ზოგი ქინჯარელი და ზოგიც რაბატელი დიდი ქალაქის, მცხეთისა, სადაც ღმერთები ღმერთობენ და მეფეები მეფობენ".*

21. *შევხედე ჩრდილოეთის მთებს, რადგან იმ ზაფხულის დღეებში ჩანდნენ სავსენი სასტიკი ჰაერითა და თოვლით. შევძრწუნდი მე ძალიან და ვთქვი: „უფალო, უფალო, წაიღე ჩემი სული ჩემგან".*

22. *მოვიტანე ერთი ლოდი, დავიდე სასთუმლად იმ ტბის გასადინართან და დავიძინე. მოვიდა ჩვენებაში ერთი კაცი სიმაღლით ზომიერი, თმით ნახევრად თმიანი*[63] *და მომცა ბეჭედდასმული წიგნი და მითხრა: „სასწრაფოდ მიართვი ეს მცხეთაში წარმართთა მეფეს". მე დავიწყე მისდამი ტირილით ვედრება და ვუთხარი: „ბატონო, ქალი ვარ უცხო და უმეცარი, როგორ მივიდე მე, არც ენა ვიცი, რა ვთქვა უცხო ხალხთან?". მაშინ გახსნა ის წიგნი და მომცა წასაკითხად, დაწერილი იყო რომაულად* და იესუს ბეჭედდასმული.*

* ლათინურად

23. *დაწერილ იყუნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა-იგი ფიცართა ქვისათა პირველ.*

24. *~ა: სადა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნ-ცა ჲთქუმოდის დედაკაცი ესე.*

25. *~ბ: "არცა მამაკაცებაჲ და არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ".*

26. *~გ: "წარვედით და მოჲმ[ო]წფენით ყოველნი წარმართნი. და ნათელ-სცემდით სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა".*

27. *~დ: "ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებაჲ ერისა შენისა ისრაჱლისაჲ".*

28. *~ე: "სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ, მუნცა ჲთქუმოდის ყოველსა სოფელსა".*

29. *~ვ: "რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნაროს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეჲწყნაროს მომავლინებელი ჩემი".*

30. *~ზ: „„ფრიად უყუარდა მარიამი უფალსა, რამეთუ მარადის ისმენენ მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა.*

31. *~ჱ: "ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ ჴორცნი თქუენნი, ხოლო სულთა თქუენთა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად".*

32. *~თ: ჰრქუა მარიამს მაგდანელსა იესუ: "წარვედ, დედაკაცო, ახარე ძმათა ჩემთა".*

33. *~ი: „სადა-ცა ჰქადაგებდეთ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.*

34. *და ვითარცა ესე წავიკითხე, ვიწყე ვედრებად ღმრთისა მიმართ. და გულისჴმა-ვყავ, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენებაჲ ესე. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი ზეცად და მაღალი იგი ვაკურთხე და მისგან ვითხოვე შეწევნა ჩემდა გზასა ჩემსა. და გარდამოსადინელსა მის ტბისასა მოვჰყევ და წარმოვემართე.*[5]

35. *და იყო დინებაჲ მისი დასავალით კერძო. და მიუდეგ გზასა ძნელსა და ფიცხელსა, და ვიხილენ დიდნი ჭირნი გზათაგან და*

23. დაწერილი იყო ათი სიტყვა, ისე, როგოც თავდაპირველად ქვის ფიცრებზე[64]*:*

24. 1: სადაც იქადაგება ეს სახარება, იქაც ითქმოდეს ეს ქალი.

25. 2: „არც მამრი და არც მდედრი, არამედ თქვენ ყველანი ერთი ხართ“. (გალ. 3:28).

26. 3: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი და მონათლეთ მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით“. (მთ. 28:19).

27. 4: „ნათელი წარმართთა გასაბრწყინებლად და დიდება შენი ერის, ისრაელისა“. (ლკ. 2:32).

28. 5: „სადაც იქადაგება სასუფევლის ეს სახარება, იქაც ითქმებოდეს მთელ მსოფლიოში“. (მთ. 26:13; მკ. 14:9).

29. 6: „ვინც თქვენ მიგიღებთ, მე მიმიღებს და ვინც მე მიმიღებს, მიიღებს ჩემს მომავლინებელს“. (მთ. 10:40).

30. 7: „ძალიან უყვარდა მარიამი უფალს, რადგან ყოველთვის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიბრძნეს“.

31. 8: „ნუ გეშინიათ მათი, რომლებიც თქვენს ხორცს კლავენ, ხოლო თქვენი სულის მოკვლა არ ძალუძთ“. (მთ. 10:28).

32. 9: უთხრა მარიამ მაგდანელს იესუმ: "წადი, დედაკაცო, ახარე ჩემს ძმებს“. (ინ. 20:17).

33. 10: სადაც იქადაგებთ მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.

34. და როგორც კი ეს წავიკითხე, დავიწყე ვედრება ღვთის *მიმართ. მივხვდი, რომ ზეციდან იყო ეს ჩვენება და ავაპყარი თვალები ზეცისკენ და ვაკურთხე მაღალი ღმერთი და მისგან ვითხოვე ჩემთვის დახმარება ჩემს გზაზე. იმ ტბის გასადინარს*[65] *გამოვყევი და გამოვემართე.*

35. მიედინებოდა იგი დასავლეთისკენ. შევუდექი ძნელ და ფიცხელ გზას და ვნახე დიდი გაჭირვება გზებისგან და შიში _

შიშნი მჴეცთაგან, ვიდრემდე მოვიწიე აქა, ვინაჲ-იგი წყალმან აღმოსავალით იწყო დინებად. მიერითგან იყო ლხინებაჲ ჩემი.

36. და ვპოვენ მოგზაურნი და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა და ვიხილე ერი უცხოჲ, უცხოთა ღმერთთა მსახური: ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს. შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებრისა და ვიყავ მუნ ერთ თთუე და განვიცდიდ ძალსა ამის ქუეყანისასა.

37. და იყო, დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა.

38. ხოლო მე წარვჰყევ მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიაღით მოგუთას, ჴიდსა ზედა დავდეგით მუნ და ეხედევდით ცეცხლის მსახურსა მას ერსა. და მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათჳს და უცხოვებასა-ცა ჩემსა ვეგლოვდი.

თავი ვ

1. მოწევნაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღწერილი მისი-ვე სალომე უჟარმელისაჲ.

2. ხვალისაგან იყო ჴმაჲ ოხრისაჲ და საყჳრისაჲ. და გამოვიდოდა ერი ურიცხჳ; ვითარცა ყუავილოსანნი, ზარნი და საშინელნი გამოვიდოდეს. ხოლო მეფჱ არღასადა შეძრულ იყო. და ვითარცა ჟამ-სცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მი-და-მო მალვაჲ იყო ყოველისა კაცისაჲ და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რამეთუ გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დეუფალი. და ვითარცა განვლო ნანა დედოფალმან, მაშინ-ღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი. და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა თითოპირითა და

მხეცებისგან, ვიდრე მოვაღწიე აქამდე, საიდანაც წყალმა აღმოსავლეთით იწყო დინება[66]. იქედან იყო ჩემი შვება.

36. ვიპოვე მოგზაურები და მივაღწიე ქართლის სანახებს, ურბნისის ქალაქს და ვნახე უცხო ხალხი, უცხო ღმერთების მსახური: ცეცხლს და ქვებს და ხეებს სცემდნენ თაყვანს. შეწუხდა ჩემი სული მათი წაწყმედისათვის და მოვედი იუდეველთა ბაგინში ებრაული ენის გამო და ვიყავი იქ ერთი თვე და ვეცნობოდი ამ ქვეყნის რაობას.

37. და ერთ დღესაც იყო, დაიძრა დიდძალი და სიმრავლით აურაცხელი ხალხი მიმავალი იმ ქალაქიდან დიდ ქლაქ მცხეთისაკენ, რომელიც დიდი მეფეების სატახტო იყო, სავაჭროდ და მათი არმაზ ღმერთის სალოცავად.

38. ხოლო მე თან წავყევი მათ და მივაღწიეთ ქალაქ მცხეთას მოგვთას, გალმა, იქ ხიდზე დავდექით და ვხედავდით იმ ცეცხლის მსახურ ხალხს. და მათ მოგვობასა და ცდომილებაზე ვტიროდი, მათი წაწყმედის გამო; და ჩემ უცხოობასაც ვგლოვობდი.

თავი 6

1. წმინდა ნინოს მცხეთაში მოსვლა, აღწერილი მისივე, სალომე უჯარმელის მიერ.

2. მეორე დღეს იყო შეძახილებისა და საყვირის ხმა. და გამოეფინებოდა ურიცხვი ხალხი; ყვავილიანებივით[67] საზარლები და საშინელნი გამოიდოდნენ. ხოლო მეფე ჯერ არ დაძრულიყო. როგორც კი შემოჰკრა ჟამმა, იყო სირბილი და აქეთ-იქეთ მალვა ყველა ადამიანის და შერბოდა ყველა სამალავის ქვეშ, რადგან საიდანღაც გამოდიოდა ნანა დედოფალი და როგორც კი გაიარა ნანა დედოფალმა, მაშინღა ნელა-ნელა გამოდიოდა მთელი ხალხი. შეამკეს მთელი ქუჩა სხვადასხვა სამოსლით და ფოთლებით და დაიწყო მთელმა ხალხმა მეფის

ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. და მაშინ გამ-
ოვიდა მირეან მეფჱ თუალთ-შეუდგამითა ხილვითა.

3. და ვჰკითხე ჰურიასა დედაკაცისა, თუ: "რაჲ არს ესე?" და მან
მრქუა: "ღმერთი ღმერთთა მათთაჲ უწესს მას, არმაზ, რომელ არა
არს სხუაჲ გარეშჱ კერპი". ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა. და
აღივსნეს მთანი იგი დროშაჲთა და ერითა, ვითარცა ყუავილითა.
ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზდ და დავდეგ ახლოს კერპისა მის,
ნაპრალსა ზღუდისასა და ეხედევდი საკჳრველებათა და საშინელსა,
რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, ვითარ-იგი იყო ზარის
აღსაჴდელი შიშით და ძრწოლით მეფეთა მათ და ყოვლისა ერისა.

4. და საზარო დგომაჲ ვიხილე: და აჰა, დგა კაცი ერთი
სპილენძისაჲ და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ, და ჩაფხუტი
ოქროჲსაჲ, და სამჴარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი, და ჴელსა
მისსა აქუნდა ჴრმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და
იქცევოდა ჴელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ, თავი თჳსი
სიკუდიდ განიწიროს

5. და იტყჳნ: "ვაჲ თუ და-სადა-ვაკლო რაჲ დიდებასა დიდისა
ღმრთისა არმაზისსა და შე-რას-მე-ვსცთე სიტყუასა ებრაელთა
თანა, გინა მოგუთა სმენასა ოდენ დახუდომილ ვიყო მზის მსახურ-
თა. და რომელნი-მე იტყჳან უცებნი დიდსა ვის-მე ღმერთსა ცათა-
სა, და ნუუკუე პოვოს რაჲმე ჩემ თანა ბიწი, და მცეს მახჳლი იგი
მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა". და შიშით
თაყუანის-სცემდეს ყოველნი.

6. და მარჯუულ მისა დგა კერპი ოქროჲსაჲ და სახელი მისი
გაცი. და მარცხლ მისა - კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა,
რომელნი-იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან-
ქართლით.

7. მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ
ცთომათა მათთჳს ქუეყანისა ჩრდილოჲსათა, დაფარვასა ნათლისა-
სა და დაპყრობასა ბნელისასა. ვხედევდი მეფეთა მათ ძალ-დიდთა

ქება-დიდება. მაშინ გამოვიდა მირეან მეფე თვალისმომჭრელი
შესახედაობით.

3. ვკითხე იუდეველ ქალს, თუ: „რა არის ეს?“ და მან
მითხრა: „მათი ღმერთების ღმერთი უხმობს მას, არმაზი,
რომელიც არაფერია სხვა, გარდა კერპისა“. ხოლო მე წავედი
არმაზის სანახავად. აივსო ის მთები დროშებითა და ხალხით,
როგორც ყვავილით. ხოლო მე შევასწარი არმაზციხეში და
დავდექი იმ კერპის ახლოს, ზღუდის ნაპრალზე და ვხედავდი
საკვირველებებს და საშინელებას, რომელიც ენით ვერ გამ-
ოითქმის, თუ როგორი შიშისა და ძრწოლის მომგვრელი იყო,
მეფეთა და მთელი ხალხისათვის.

4. ვნახე საზარელი არსება: აჰა, იდგა სპილენძის ერთი
კაცი და მას ტანზე ეცვა ოქროს ჯაჭვი და ოქროს ჩაფხუტი და
სამხრეები, რომლებზეც ესხა ფრცხილი და ბივრიტი[68] და ხელთ
ჰქონდა გალესილი ხმალი, რომელიც ბრწყინავდა და ტრი-
ალებდა მის ხელში ისე, თითქოს თუ ვინმე შეეხება, თავს
სასიკვდილოდ გაწირავს.

5. და ამბობდნენ: „ვაი, თუ ოდესმე რამე დავაკლო დიდი
ღმერთის, არმაზის ქება-დიდებას და რამეში შევცდე ებრაელებთ-
ან საუბრისას, გინდაც მოგვების მოსმენისას, თუნდაც შეხვედრილი
ვიყო მზის მსახურებს; და სხვა უმეცრები ჰყვებიან დიდ ვიღაც
ცათა ღმერთზე[69]; და თუკი იპოვის ჩემს რაიმე ბიწს, დამკრავს
იმ თავის მახვილს, რომლისაც ეშინია მთელ ქვეყანას“. და
შიშით თაყვანს სცემდნენ ყველანი.

6. მის მარჯვნივ იდგა ოქროს კერპი და მისი სახელი იყო
გაცი; და მის მარცხნივ _ ვერცხლის კერპი და მისი სახელი იყო
გა; ისინი, რომლებიც ღმერთებად ჰქონდათ თქვენს მამებს არი-
ან-ქართლიდან.

7. მაშინ ვტიროდი და ვლოცულობდი ღმერთის მიმართ
ჩრდილოეთის ქვეყნის იმ ცდომილებათათვის _ იქ ნათლის და-
ფარვას და ბნელის გაბატონებას. ვხედავდი იმ უძლიერეს მე-

და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა. და იტყოდეს დამბადებელად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა გამობერვით განჭედილსა, ღმრთად თავყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად.

8. მაშინ მოვიჴსენე სიტყუაჲ იგი, რომელი მამცნო იობენალი პატრეაქმან, წმიდამან მამამან ჩემმან, ვითარმედ: "ვითარცა მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ და მიწევნად ხარ ქუეყანასა უცხოსა, ნათესავთა დგეველ, ზეფელ, ნარკადოველ, რომელ არს კაცნი ღმრთის მჴდომნი, მბრძოლნი და წინა-აღმდგომნი.

9. მაშინ ავიხილენ ზეცად და ვთქუ: "უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე. და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა, და იქმან, რასა-ცა იგონებენ მტუერნი ესე და ნაცარნი ქუეყანისანი, არამედ ნუ უგულებელსჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათჳს ერთი სამებისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი. ამათ-ცა ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ უჩინოთა, სოფლის მპყრობელთა, მთავართა ამის ბნელისათა.

10. და მიჩუენე მე, ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მჴევალსა ამას, ნაშობსა მონისა შენისასა, რაჲთა იხილონ მაცხოვარებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და რაჲთა ჩრდილოჲ ბღუარსა თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან შენ მხოლოსა ღმერთსა თავყუანის-გცეს ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის მადლობით დიდებისა შეწირვაჲ აწ და მარადის და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ".

11. და ვითარცა წამის-ყოფაჲ თუალისაჲ იყო, დასავალით ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს და ჴმა-სცეს ქუხილთა ჴმითა საზარელითა. და აჩნდა ღრუბელი მოწრაფჱ, ნიშან-საშინელი. და მოიღო ნიავმან მზის დასავალისამან სული ჯერკუალი სიმწარისაჲ და სიმყრალისაჲ. მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და

ფეებს და ყველა მთავარს, ცოცხლად რომ შთაენთქა ეშმაკს, როგორც მკვდრები - ჯოჯოხეთს. და უწოდებდნენ დამბადებლად ქვებსა და ხეებს; და სპილენძს, რკინასა და გამოწრთობით გამოჭედილ ბრინჯაოს ღმერთად თაყვანს სცემდნენ. ამათ იცნობდნენ ცისა და მიწის შემოქმედად.

8. მაშინ გავიხსენე ის სიტყვა, რომელიც მამცნო იობენალი პატრიარქმა, ჩემმა წმინდა მამამ, რომ: „როგორც სრულყოფილ მამაკაცს გაგზავნი, მიხვალ უცხო მხარეში, დგეველ, ზეფელ, ნარკადოველ მოდგმასთან, რაც არის _ ხალხი, ღმერთის მტერი, მებრძოლი და მოწინააღმდეგე“.

9. მაშინ ავიხილე თვალები ზეცისკენ და ვთქვი: „უფალო, უფალო, შენი ძალის სიმრავლით ქვეშ გეგებიან შენი მტრები და შენი მოთმინება[70] შენი დიდი სულგრძელებითაა. და რაც მოეგუნებებათ, იმას აკეთებენ, ეს მიწის მტვერნი და ნაცარნი, მაგრამ შენ ნუ უგულვებელჰყოფ მათ, რადგან შენი ხატია ადამიანი, რომლისთვისაც ერთი სამებისაგანი განკაცდი და აცხონე მთელი ქვეყანა. ამ ხალხსაც მოხედე და შერისხე ამ უჩინარ სულებს, ამ ბნელი ქვეყნის მპყრობელ მთავრებს.

10. და მაჩვენე მე, მამაჩემის და დედაჩემის ღმერთო, შენი მონის მიერ ნაშობ მხევალს, რომ იხილოს შენი მხსნელობა დედამიწის ყველა კუთხემ და რომ ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად ხარობდეს და ყველა ხალხმა შენ, ერთადერთ ღმერთს გცეს თაყვანი, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. რომელსაც შეშვენის მადლობით ქება-დიდების შეწირვა აწ და მარადის და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ“.

11. და თითქოს თვალის დახამხამებაში იყო, რომ დასავლეთიდან ჰაერი და ქარი დაიძრა და ხმა გამოსცა ქუხილმა საზარელი ხმით. და გამოჩნდა საშინელების მომასწავებელი სწრაფი ღრუბელი. და მოიტანა მზის დასავალის ნიავმა სიმწარისა და სიმყრალის საძაგელი სული. მაშინ ყველანი სოფლებისა და ქალაქებისკენ გარბოდნენ. და მიეცათ ადამიანებს

ქალაქად. და ეცა მათ დროჲ, რაჲთა შეიჭრნენ კაცნი საყოფლად. და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი მას ადგილსა ოდენ და დალეწნა კერპნი იგი, და დაფქვნა და დააწულილნა. და დაარღჳნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარ[ნ]ა იგი[ნი] კლდესა, რომელსა-იგი თქუენცა ჰხედევდით ანუ არა.

12. და თქუა მეფემან ცრემლით: "ჰᲗ, ჰᲗ, რაჲთ-მებოჲ ხოჳათ სთაბანუბ რასულ ფსარზად". ხოლო თარგმანებაჲ ესე არს: "მართალსა იტყჳ, ბედნიერო დედოფალო და მოციქულო ძისა ღმრთისაო".

13. და ვითარცა დასცხრა რისხვაჲ იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და ვპოვე თუალი იგი ბივრიტი, აღვიღე და წარმოვედ წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძველ ქალაქი ყოფილ იყო, და მას ადგილსა ყოფილ არს ციხᲗ. და მუნ დგა ხᲗ შუენიერი ბრინჳისაჲ, მაღალი და რტო-მრავალი. მოვედ ქუეშე ხესა მას და გამოვინიშე ნიში იგი ქრისტეს ჯუარისაჲ. და ვილოცევდი მუნ ექუს დღე.

14. ოდეს-იგი გამოხუედით სიმრავლᲗ ერისაჲ და ეძიებდით ღმერთთა მათ, რომელთა ვნებაჲ დაჰბადეს, და არა ჰპოვეთ, მაშინ მე მუნ ვიყავ, რამეთუ დღᲗ იყო მეექუსᲗ თთჳსაჲ მის, ოდეს-იგი ევმანუველ თაბორს მამისა ხატი აჩუენა თავთა მათ ცხოველთა და თავთა მათ მიცვალებულთა.

15. მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შროშანა, სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძლ-მეტყუელი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაჲ ჩემი. მაშინ ვხედევდ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოვებისა ჩემისათჳს. ოდეს ცნა ყოველი საქმᲗ ჩემი, მაიძულა წარყვანებაჲ ჩემი სეფედ, ხოლო მე არა ვინებე, და იგი წარვიდა.

16. და მესამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივიმართე სამოთხესა მას მეფისასა. და მი-რაჲ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა, იყო სახლაკი მცირᲗ სამოთხის მცველისაჲ, და შე-

დრო, რომ სახლებში შეჭრილიყვნენ. და უცბად მოახლოვდა ის რისხვის ღრუბელი და მოიტანა ლიტრის[71] ოდენა სეტყვა მხოლოდ იმ ადგილას და დალეწა ის კერპები და დაფქვა და დაანაწევრა. და დაარღვია ის ზღუდეები სასტიკმა ქარმა და ჩაყარა ისინი კლდე-ღრეში, რასაც თქვენც ხედავდით, თუ არა?

12. და თქვა მეფემ ცრემლით: „ჰეი, ჰეი, რაით მებოი ხოჯათ სთაბანუბ რასულ ფსარზად“. ხოლო თარგმანი ეს არის: „მართალს ამბობ, ბედნიერო დედოფალო და ღმერთის ძის მოციქულო“.

13. და როგორც კი დაცხრა ის რისხვა, გამოვედი კლდის ნაპრალიდან და ვიპოვე თვალი, ბივრიტი[72], ავიღე და წამოვედი წინისკენ იმ კლდის ბოლოს, სადაც ძველად ქალაქი ყოფილიყო და იმ ადგილას ყოფილა ციხე. იდგა იქ მშვენიერი ბრინჯის ხე[73], მაღალი და რტომრავალი. მოვედი იმ ხის ქვეშ, გამოვისახე ქრისტეს ჯვრის ნიშანი და ვლოცულობდი იქ ექვსი დღე.

14. როდესაც გამოხვედით მრავალი ხალხი და ეძებდით იმ ღმერთებს, რომლებმაც ვნება დაბადეს, და ვერ იპოვეთ, მაშინ მე იქ ვიყავი, რადგან მეექვსე დღე იყო იმ თვის, როცა ევმანუელმა თაბორზე მამის ხატი აჩვენა უპირველესთ ცოცხალთა შორის და უპირველესთ მიცვალებულთა შორის.[74]

15. მაშინ მოვიდა ეს ჩემი და შროშანა, სეფექალი, მნახა და მოიყვანა ბერძნულად მოლაპარაკე ქალი და მკითხა ჩემი ასავალ-დასავალი. მაშინ ვხედავდი მე მისი თვალებიდან ცრემლთა დენას ჩემი უცხოობისთვის. როდესაც გაიგო მთელი ჩემი ამბავი, მაიძულებდა სასახლეში წასვლას, მაგრამ მე არ ვისურვე და ის წავიდა.

16. და მესამე დღეს ჩამოვედი ქალაქ მცხეთაში და გავემართე მეფის ბაღისკენ. მივედი რა ბაღის კართან, იქ იყო ბაღის მცველის მცირე სახლი. შიგნით რომ შევედი, იჯდა ეს ქალი, ანასტოსი[75] და როცა დამინახა, ადგა და ჩამიკრა, როგორც ნაცნობმა და მეგობარმა, დამბანა ფეხები და მცხო ზეთი, გამიშალა ტრაპეზი და

რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიტკბო მე ვითარცა მეცნიერმან და მეგობარმან და დამბანნა ფერჴნი ჩემნი და მცხო ზეთი და დამიგო ტრაპეზი და ღჳნოჲ და მაიძულა მე ჭამად და სუმად. და დავყავ მის თანა ცხრა თთუე.

17. ესე იყო უშვილოჲ, და ზრუნვიდა ეგე და ქმარი მაგისი. ჩუენებით ვხედევდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მრქუა მე: "სამოთხესა შევედ, ნაძუთა ქუეშე ბაბილოთა ადგილი არს მცირჱ, საყუარელად შემზადებული, მიწაჲ აღიღე ადგილისა მისგან და შეაჭამე კაცთა მაგათ, და ესუას შვილი". ხოლო მე ვყავ ეგრჱთ. და ესხნეს ძეებ და ასულებ მრავლად, რომელსა-ესე თჳთ ჰხედავთ.

18. და მათ-ვე დღეთა შინა ორგზის და სამგზის ვიხილე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუჴლთა ზედა: მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხჱ იგი, გარე მომადგიან ჟღავილით და ჴმობედ ჩემდა მომართ; მრავალ-ფერად და შუენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი. და მრავალგზის იყო ესე.

19. და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისსა. მომიგო და მრქუა მე მან: "უცხოვო და აქა შობილო, ტყუეო და ტყუეთა მჴსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზე მოიწია ახალი იგი ჟამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოჲსა სისხლისა უსამართლოდ დათხევისაჲ, რომლითაცა ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხჳლი, ცის კიდეთა განბნევაჲ, მეფობისა დაცემაჲ და ტაძრისა მის წმიდისა მოღებაჲ, ერისა მის უცხოჲსა მოგებაჲ და თჳსად წოდებაჲ, და დიდებაჲ მათა მიცემად".

ღვინო და მაიძულა, რომ მეჭამა და მესვა. დავყავი მასთან ცხრა თვე.

17. უშვილო იყო იგი და დარდობდნენ ის და მისი ქმარი. გამოცხადებით ვნახე, მოვიდა ნათლისფერი კაცი და მითხრა მე: „ბაღში შედი, ნაძვების რტოთა ქვეშ პატარა ადგილია, საყვარლად მორთული[76], მიწა აიღე იმ ადგილიდან და შეაჭამე მაგ ადამიანებს და ეყოლებათ შვილი“. მეც გავაკეთე ასე და ეყოლათ ძეები და ასულები მრავლად, რასაც თვითონაც ხედავთ.

18. და იმავე დღეებში, მუხლებზე ჩემი მცირეოდენი ჩათვლემისას ორჯერ და სამჯერ ვნახე სიზმარში: მოვიდოდნენ ცის ფრინველები, ჩავიდოდნენ მდინარეში, დაიბანდნენ და მოვიდოდნენ იმ ბაღში. რტოებს მოკენკავდნენ, ყვავილს მოძოვდნენ და საყვარლად მეჭიკჭიკებოდნენ, თითქოს ჩემი იყო ის ბაღი, გარშემო მევლებოდნენ ჟღურტულით და მიხმობდნენ; მრავალფერადი და მშვენიერი იყო მათი ხილვა. და მრავალჯერ განმეორდა ასე.

19. ვუთხარი ეს ჩემს დას, აბიათარის ასულს. მომიგო და მითხრა მან: „უცხოო და აქ შობილო, ტყვეო და ტყვეთა მხსნელო, ვიცი, რომ შენ დროს დაგვიდგა ახალი ჟამი და შენგან გავიგეთ ჩვენი მამების ნამოქმედარი, ზეციური კაცის უბრალო სისხლის უსამართლოდ დაღვრის ძველი ამბავი, რომლითაც ღმერთმა იუდეველები შეარცხვინა; ცისქვეშეთში გაბნევა, მეფობის დაცემა და წმინდა ტაძრის წართმევა, უცხო ხალხის შეძენა, თავისთან მოწოდება და დიდების მათთვის მიცემა“.

20. და კუალად თქუა: "იერუსალიმ, იერუსალიმ, ვითარ განგიმარტვან შვილნი შენნი! და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავთა ფრთეთა ქუეშე შენთა". აჰა ესერა აქა-ცა მოსრულ იყო დედაკაცი ესე და შეცვალოს ყოველი წესი ქუეყანისაჲ ამის".

21. და მომექცა და მრქუა: "ჩუენებაჲ შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხჱ სადიდებელად ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ".

თავი ზ

1. რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიამან, სახელით სიდონია, ასულმან აბიათარ მღდელისამან.

2. და იყო ოდეს მოხედა ღმერთმან წყალობით ქუეყანასა ამას დავიწყებულსა ჩრდილოჲსასა - კავკასიათა, სომხითისა მთეულსა,

რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა, და ველნი - არმურსა ცთომისა და უმეცრებისასა, და იყო ქუეყანაჲ ესე ჩრდილო მზისაგან სიმართლისა, ძისა ღმრთისა მოსლვისათჳს და ცნობისა, ვითარცა სახელი ერქუა სამართლად ჩრდილოჲ.

3. არა თუ ამის მზისა ნათლისაგან დაკლებულ იყო, ანუ აწ არს დაკლებულ მისგან, ყოველი ცასა ქუეშე მყოფი იხილავს და ყოველსა ჰხედავს იგი, და რომელსა სიცხითა მიჰრიდის, ნათლითა ყოველსა ადგილსა მიხედის.

4. ესე არა თუ ამისთჳს ერქუა ქუეყანასა ამას ჩრდილო, არამედ იყვნეს ესოდენნი წელნი და ესთენნი ნათესავნი ნოვესითგან და ებერისითგან და აბრაჰამისითგან. და მუნ შინა იყო იობ აზნაური, განცდილი განმცდელისაგან ვითარცა იოსებ, მოსე, ისუ, მღდელნი და მსაჯულნი და შემდგომითი-შემდგომად, რომელი-იგი ვიცით სმენილი წიგნთაგან საღმრთოთა.

20. და კიდევ თქვა: „იერუსალიმო, იერუსალიმო, როგორ გაგიფანტავს შენი შვილები! (შდრ. მთ. 23:37; ლკ.13:34) და შეჰკრებ მთელი ცისქვეშეთის მოდგმას შენს ფრთებს ქვეშ“. (ფს. 16:8;35:8). აჰა, აგერ აქაც მოსულა ეს ქალი და შეცვლის ამ ქვეყნის ყველა წესს“.

21. მომიბრუნდა აბიათარის ასული და მითხრა: „შენი სიზმარი ის არის, რომ ბაღის ეს ადგილი შენს მიერ გადაიქცევა ღვთის სადიდებელ ბაღად, რომლისაცაა დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.

თავი 7

1. რომელიც აღწერა იუდეველმა ქალმა, სახელად სიდონიამ, აბიათარ მღვდლის ასულმა.

2. და იყო: როდესაც გადმოხედა ღმერთმა წყალობით ჩრდილოეთის ამ დავიწყებულ ქვეყანას, კავკასიას, სომხითის მთიულეთს, რომლის მთებიც დაეფარა ნისლს და ველები _ ცდომილებისა და უმეცრების ალმურს; და იყო ეს ქვეყანა სიმართლის მზისაგან მიჩრდილული, ძე ღვთისას მოსვლისა და ცნობის გარეშე, როგორც სამართლიანად ერქვა სახელი _ ჩრდილო.

3. ამ მზის ნათელს კი არ იყო მოკლებული, ან ახლა არის მოკლებული მისგან _ ყველა ცისქვეშეთში მყოფი უმზერს მას და ყოველივეს ხედავს იგი; და თუმც რომელიღაცას სიცხეს მოარიდებს, მაგრამ ნათლით ყველა ადგილს მიხედავს.

4. ამრიგად, არა ამისთვის ერქვა ამ ქვეყანას ჩრდილო, არამედ იმიტომ, რომ ამდენი წელი და ამდენი თაობა ყოფილიყო ნოედან და ებერიდან და აბრაამიდან; იქ იყო იობ აზნაური, განმცდელისაგან განცდილი, ისევე როგორც იოსები, მოსე, ისუ, მღვდლები და მსაჯულები და ასე თანმიმდევრობით, რაც საღმრთო წიგნებიდან გაგონილი ვიცით.

5. გარდაჴდეს ქრისტჱს მოსლვადმდე წელნი ჭფ~, შობითგან ქრისტჱსით ვიდრე ჯუარ-ცუმამდე ლგ~, და ჯუარ-ცუმითგან ქრისტჱსით ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფესა მონათლვადმდე ტია~.

6. და ათოთხმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ ნინო, დედოფალი ჩუენი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები რაჲ აღმოჰჴდის და ცისკარი აღიღის, და მისა შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისაჲ.

7. ეგრეთ იყო ცხორებაჲ ჩუენი, ქართველნო, რამეთუ ვიქცეოდეთ ნათელსა და მკჯდრ ვიყვენით ბნელსა, ვიხარებდით შუებითა და ვიუნჯებდით გლოვასა, რომლისა ნუგეშინის-მცემელი არა იყო.

8. ვჰმსახურებდით სამე დაბადებულთა და არა დამბადებელსა, ქერობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მთათა მაღალთა თავყუანის-სცემდეს მამანი ჩუენნი, გებალსა.და გარიზინსა, და მას ზედა არა იყო არცა ღმერთი, არცა მოსე, არცა ნიში მათი, არამედ კერპნი ქვისანი უსულონი.

9. ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი: არმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პირმშოჲსასა. არმაზ და ზადენ,

10. და შესაწირავად უჩნდეს მშობელთა მათთა მსხუერპლად, ვითარ-მცა უკუნისამდე არა იყო სიკუდილი. და ესე იყო მოაქამდე.

11. ხოლო იყვნეს კერპნი სხუანი-ცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა.

12. და ამის ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთაგან ვიცი კითხვით, და მამისა ჩემისაგან თხრობილსა

13. ოდეს-იგი მეფობდა ჰეროდე და მოგუესმა აქა, ვითარმედ სპარსთა იერუსალჱმი დაიპყრეს-ო. გლოვისა წიგნი მოეწერა ყოვ-

5. გავიდა ქრისტეს მოსვლამდე ხუთიათას ხუთასი წელი; ქრისტეს შობიდან ვიდრე ჯვარცმამდე _ ოცდაცამეტი; და ქრისტეს ჯვარცმიდან ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფის მონათვლამდე _ სამას თერთმეტი;

6. და თოთხმეტი წლის შემდეგ მოევლინა ჩვენს ქვეყანას ჭეშმარიტების ქადაგი ნინო, ჩვენი დედოფალი, როგორც სიბნელეში მნათობი ამობრწყინდება რა და გამოიცისკრებს, და მის შემდეგ ამოვა დღის დიდი მფლობელი.

7. ასე იყო ჩვენი ცხოვრება, ქართველებო, ვინაიდან ვიარეებოდით ნათელში და ბნელში ვმკვიდრობდით, ვხარობდით განცხრომით და ვიმკიდით გლოვას, რომლის ნუგეშისმცემელი არავინ იყო.

8. ვემსახურებოდით თურმე დაბადებულებს და არა დამბადებელს, ქერობინთა ეტლებზე მჯდომის მაგივრად ჩვენი მამები მაღალ მთებს სცემდნენ თაყვანს, გებალს და გარიზინს (შდრ. ის. ნავ. 8:33) და მასზე არ იყო არც ღმერთი, არც მოსე, არც მათი სასწაულები, არამედ უსულო ქვის კერპები.

9. ხოლო ქართლის ამ ქვეყანაში იყო ორი მთა და მათზე _ ორი კერპი, არმაზი და ზადენი; რომლებიც ათასობით პირმშო ყრმის სუნის სიმყრალით ყარდნენ _ ეს არმაზი და ზადენი.

10.და მათ მშობლებს ისინი შესაწირავ მსხვერპლად ეგულებოდათ, რომ უკუნისამდე არ დამდგარიყო სიკვდილი. და ასე იყო აქამდე.

11.იყვნენ სხვა, სამეფო კერპებიც _ გაცი და გა. და შეიწირებოდა მათთვის ერთი სეფეწული ცეცხლით დასაწველად და კერპის თავზე ფერფლის გადასაბნევად.

12.და ყველაფერ ამის შემდეგ, მოგითხრობთ მამაჩემის მონათხრობს, რომელიც წიგნებიდან ვიცით კითხვით, და მამაჩემისგან მოთხრობილს.

13. როდესაც მეფობდა ჰეროდე[77] და მოგვესმა აქ, რომ სპარსებმა იერუსალემი დაიპყრესო, გლოვის წერილი მოეწერა

ელთა ჰურიათა მომართ ქართლისათა, მცხეთელთა მკჳდრთა, ბოდ-
ელთა მღდელთა, კოდის-წყაროველთა მწიგნობართა, და სობის-
კანანელთა თარგმანთა, ვითარმედ: "ათორმეტნი მეფენი მოვიდეს-
ო დაპყრობად ქუეყანისა ჩუენისა". და ყოველნი შეიძრნეს სივ-
ლტოლით შეწევნად მათა

14. ხოლო შემდგომად მცირედ-რე მოიწია სხუაჲ ღაღადისი
ნუგეშინის-ცემისაჲ იერუსალჵმით ყოველსა ქუეყანასა, ვი-
თარმედ: "სპარსნი იგი არა დაპყრობად ქუეყანისა მოვიდეს, არამედ
აბჯრისა და საჭურველისა წილ და საგზლისა აქუნდა ოქროჲ
ყჳთელი, მური მწრაფლ მკურნალი წყლულისაჲ, და გუნდრუკი
სულჰამოჲ.

15. ესე ყოველსა მჴედარსა მათსა და თჳთ მეფეთა თითო
სატჳრთი აქუნდა, და ეძიებდეს ყრმასა ვის-მე ახლად შობილსა,
ძესა დავითისსა, რომელი-ცა პოვეს მწირი ერთი, მწირისა
დედაკაცისა ძჵ, უჟამოდ შობილი უადგილოსა ადგილსა, ვითარცა
აქუს ჩუეულებაჲ გარე-მდგომთა.

16. ესენი მის ყრმისა მოვიდეს და თავყუანის-სცეს, და ესე
ყოველი ძღუენი მისა შეწირეს. და მთაჲ გარდავლეს და წარვიდეს
მშჳდობით.

17. აწ ნუ გეშინინ, ჰურიანო, მე, ჰეროდე, ვეძიებდ და არა ვპოვე
ყრმაჲ იგი და არცა დედაჲ მისი, არამედ აწ წარვჰმართო მახჳლი
ყოველსა წულსა ზედა ორით წლითგან და უდარესსა, და მოწყდეს
იგი-ცა მათ თანა

18. აწ გულ-დებულ იყვენით. რამეთუ უცნებით იყო ესე ყოვე-
ლი".

19. ამისა შემდგომად გარდაჴდეს წელნი ოც და ათნი, მოწერა
ანა მღდელმან იერუსალჵმით მამის-მამისა ჩემისა ოზიაჲსა, ვი-
თარმედ: "იგივე ყრმაჲ, რომლისა სპარსთა მეფენი მოსრულ იყვნეს
ძღუნითა, იგი ყრმაჲ გან-სამე-ზრდილ არს, საზომსა ჰასაკისასა
მოწევნულ არს.

ქართლის მთელ იუდეველებს, მცხეთელ მკვიდრებს, ბოდელ
მღვდლებს, კოდის-წყაროელ მწიგნობრებს და სობის-კანანელ
მთარგმნელებს, რომ: „თორმეტი მეფე მოვიდა ჩვენი ქვეყნის
დასაპყრობად“. ყველა დაიძრა სირბილით მათ დასახმარე-
ბლად.[78]

14. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მოაღწია ნუგეშისცემის
ცნობამ იერუსალემიდან მთელ ქვეყანაზე, რომ: „ის სპარსები
ქვეყნის დასაპყრობად კი არ მოსულან, არამედ აბჯრის,
საჭურვლისა და საგზლის ნაცვლად ჰქონდათ ყვითელი ოქრო,
წყლულის სწრაფმკურნალი მური და სურნელოვანი გუნდრუ-
კი.

15. მათ ყველა მხედარს და თვით მეფეებს თითო სატვირთი
პირუტყვი ჰყავდათ. და ეძებდნენ ვინმე ახალშობილ ყრმას,
დავითის ძეს, რომელიც იპოვეს _ იყო ერთი ხიზანი, ხიზანი ქა-
ლის ძე, უადგილო ადგილას უდროოდ შობილი, როგორც ეს
სჩვევიათ სახლის გარეთ მყოფებს.

16. ისინი იმ ყრმასთან მოვიდნენ და თაყვანისცეს და ეს
მთელი ძღვენი მას შესწირეს, მთა გადაიარეს და წავიდნენ მშ-
ვიდობით.

17. ახლა ნუ გეშინიათ, იუდეველებო, მე, ჰეროდე, ვეძებდი
და ვერ ვიპოვე ის ყრმა და ვერც დედამისი, მაგრამ ახლა მივ-
მართავ მახვილს ყველა ვაჟზე _ ორი წლიდან და უმცროსზე,
და მოკვდება ისიც მათთან ერთად.

18. ახლა გულმშვიდად იყავით, რადგან ეს ყველაფერი
გლოვა და შფოთი უვიცობით იყო“.

19. ამის შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი, მოსწერა ანა
მღვდელმა[79] იერუსალემიდან ჩემს მამის მამას, ოზიას, რომ:
„იგივე ყრმა, რომელთანაც სპარსთა მეფეები იყვნენ მოსული ძღ-
ვენით, _ ის ყრმა თურმე გაზრდილა, და სრულ ასაკში შესულა.

20. წყალსა მას იორდანისასა ზაქარიაჲს ძისა განვიდოდეს ყოველნი ნათესავნი ისრაჱლისანი, და შენი მამის დედის ძმაჲ ელიოს თანა-ვე იყო და აჰა ესერა ცაჲ ქუხდა და ქუეყანაჲ იძრვოდა, მთანი ჰკრთებოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღუაჲ დგა, წყალნი აღმართ დიოდეს, ზაქარიაჲს ძჱ ივლტოდა და ჩუენ ყოველთა ზარი შეძრწუნებისაჲ დაგუეცა. და ერისა სიმრავლისათჳს დავიდუმეთ საქმჱ ესე, რომელი იყო სამე ცხად საუკუნითგან ღმრთისა თანა".

21. და მეოთხესა წელსა გამოჴდა ბრძანებაჲ იერუსალჱმით ჰეროდე მეფისაგან, ვითარმედ: "ყოველთა ძეთა ისრაჱლისათა, განბნეულთა ყოველსა ქუეყანასა იხილეთ ერთი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ ერთი შჯული.

22. და ისწავეთ ერთი სიტყუაჲ მოსესი, რომელი თქუა: "რომელმან ქუეყანასა ზედა თქუას ღმრთად თავი თჳსი, ძელსა დამოეკიდენ". და მერმე თქუა: "წყეულ იყაენ ყოველი, რომელი დამოკიდებულ იყოს ძელსა".

23. აწ ესერა აღდგა კაცი ერთი, და სახელი მისი იესუ, თავით თჳსით ჰხადის ღმერთსა მამად და რეცა თუ არს იგი თჳთ ვითარცა ღმერთი, მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა და აღვასრულოთ მცნებაჲ ღმრთისაჲ და მოსჱსი".

24. და წარვიდა აქაჲთ მამის დედის ძმაჲ ჩემი ელიოს, კაცი მოხუცებული. და ესუა მას დედაჲ ტომისაგან ელი მღდელისა, და ესუა ერთი ხოლო დაჲ ელიოზს.

25. ეევედრებოდა დედაჲ ძესა თჳსსა და ეტყოდა: "წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა. ხოლო რომელსა იგინი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი მას ყოვლად-ვე, ნუ, შვილო ჩემო, რამეთუ სიტყუაჲ არს წინაჲსწარმეტყველთაჲ და იგავი ბრძენთაჲ, საიდუმლოჲ არს დაფარული ჰურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხორება საუკუნო".

20. იორდანის წყალზე ზაქარიას ძესთან[80] გადიოდა მთელი ისრაელის მოდგმა და მამაშენის დედის ძმა ელიოსიც მათთანვე იყო. და აჰა, აი, ცა ქუხდა და მიწა იძვროდა, მთები შეტოკდნენ, ბორცვები შეთამაშდნენ, ზღვა იდგა, წყალი აღმართში მიედინებოდა, ზაქარიას ძე გარბოდა და ჩვენ ყველას შეძრწუნების ზარი დაგვეცა. და ხალხის სიმრავლის გამო მივაჩუმათეთ ეს საქმე, რომელიც თურმე ღმერთთან საუკუნოდ ცხადი იყო“.

21. მეოთხე წელს გამოვიდა ბრძანება იერუსალემიდან ჰეროდე მეფისაგან, რომ: „ისრაელის ყველა შვილმა, გაბნეულებმა მთელ ქვეყანაზე უყურეთ ერთ ღმერთს და დაიცავით და შეისმინეთ ერთი რჯული.

22. გენიშნოთ მოსეს ერთი სიტყვის, რაც თქვა: „ვინც მიწაზე თავის თავს ღმერთად იტყვის, ძელზე ჩამოიკიდოს“. და მერე თქვა: „წყეული იყოს ყველა, რომელიც ძელზე ჩამოიკიდება“*.

23. ახლა აი, ადგა ერთი კაცი და მისი სახელია იესუ, თავად უწოდებს ღმერთს მამად და თითქოს თვით ისიც ღმერთია. მოდით ყველა მის სიკვდილზე და აღვასრულოთ ღმერთის და მოსეს მცნება“.

24. და წავიდა აქედან მამაჩემის დედის ძმა ელიოსი, უხუცესი კაცი. და ჰყავდა მას დედა ელი მღვდლის ტომიდან** და მხოლოდ ერთი და ჰყავდა ელიოზს.

25. ეევედრებოდა დედა თავის ძეს და ეუბნებოდა: “წადი, შვილო, მეფის მოწოდებაზე და რჯულის წესზე, მაგრამ რასაც ისინი განიზრახავენ, იმას მთლად ნუ შეუერთდება შენი გონება, ნუ, შვილო ჩემო, რადგან არის წინასწარმეტყველთა სიტყვა და ბრძენთა იგავი, რომ საიდუმლო დაფარულია იუდეველთათვის, ხოლო წარმართებს ნათელი და საუკუნო ცხოვრება ელით“.

* II რჯ. 21:23; შდრ. გალ. 3:13.
** იხ. მეფ. I.

26. და წარვიდა ელიოზ და ყოველნი ჰურიანი ქართლით. და აღესრულა ყოველი-ვე, რომელი აწ ვიცით ნინოჲს მიერ, ევანგელეთაგან ქრისტჱს მიერ. ხოლო სამოსელი იგი ჰხუდა ამას ქუეყანასა წილით და წარმოიღო ელიოზ.

27. ხოლო დედასა მისსა, ვითარცა ესმა ჴმაჲ, ოდეს პასანიკმან ჯჯუარსა ზედა სამშჯუალსა დასცა კუერი მჭედლისაჲ იერუსალჱმს, აქა ესმა ჴმაჲ და იკრჩხიალნა მწარედ დედაკაცმან მან და თქუა:

28. "მშჯდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მჴსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა. ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარე მოვკუედ, რომელმან-მცა ესე არღარა სმენილ იყო, და არცა კნინ უკუანაჲს-რე დაჴრჩი, რომელ-მცა მეხილვა ნათელი გამობრწყინვებული წარმართთა ზედა დადიდებაჲ ერისა ისრაჱლისაჲ".

29. და ამას სიტყუასა ზედა შეისუენა დედაკაცმან მან, დედამან ელიოსისმან.

30. ხოლო ამან ელიოზ მოიღო კუართი იგი მაცხოვრისა იესუ ქრისტჱსი მცხეთად, სახლად ჩუენდა, და იხილა, რამეთუ მომკუდარ იყო დედაჲ მისი ამას სიტყუასა ზედა.

31. ხოლო დაჲ მისი მიეგებვოდა შესუარული ცრემლითა, ვითარცა სისხლითა, და მოეხჯა ყელსა ძმისა თჯსისასა და მოუღო სამოსელი იგი იესუჲსი და შეიტკბო მკერდსა თჯსსა ზედა. და მწრაფლ სულნი წარჰჴდეს სამითა ამით სიმწარითა: სიკუდილითა დედისაჲთა, და უმეტჱს ტკივილითა სიკუდილსა ზედა ქრისტჱსსა და სურვილითა მის სამოსლისაჲთა.

32. მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და მთავართაჲ და ყოვლისა ერისაჲ. და იხილა მეფემან ამაზაერ სამოსელი იგი იესუჲსი და უნდა წარღებაჲ მისი, ხოლო ზარსა მას ზედა დედაკაცისა მკუდრისა ჴელთ-გდებასა, შეშინდა და ვერ იკადრა.

33. ხოლო ელიოზ დაჰმარხა დაჲ იგი თჯსი, და ჴელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი. და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან

26. და წავიდა ელიოზი და ქართლიდან ყველა იუდეველი. და აღსრულდა ყველაფერი, რომელიც ახლა ვიცით ნინოსგან, ქრისტეს სახარებებიდან. ხოლო ის სამოსელი ხვდა ამ ქვეყანას წილად და წამოიღო იგი ელიოზმა.

27. ხოლო დედამისს, როგორც კი ესმა ხმა, როდესაც მსახურმა ჯვარზე ლურსმანს დაჰკრა მჭედლის ურო იერუსალიმში, აქ ესმა ხმა და შეჰკივლა მწარედ იმ ქალმა და თქვა:

28. „მშვიდობით, იუდეველთა მეფობავ, რადგან მოჰკალით საკუთარი მაცხოვარი და მხსნელი და ამიერიდან შემოქმედის მტრები გახდით. ვაი, ჩემს თავს, რომ უწინ არ მოვკვდი, რომ ეს აღარ მსმენიყო და არც ცოტა კიდევ ვიცოცხლე, რომ მეხილა ნათელი გამობრწყინებული წარმართებზე და დიდება ისრაელის ერისა“.*

29. და ამ სიტყვაზე გარდაიცვალა ის ქალი, ელიოზის დედა.

30. ხოლო ელიოზმა მოიტანა მაცხოვარ იესო ქრისტეს კვართი მცხეთაში, ჩვენს სახლში და ნახა, რომ მომკვდარიყო დედამისი ამ სიტყვაზე.

31. ხოლო მისი და მიეგებებოდა ცრემლით, როგორც სისხლით, შესველებული. მოეხვია თავის ძმას ყელზე, გამოართვა იესოს სამოსელი, მკერდზე მიიხუტა და სწრაფად ამოხდა სული ამ სამი სიმწარის გამო: დედის სიკვდილით, უფრო მეტად ქრისტეს სიკვდილზე ტკივილით და იმ სამოსლის სურვილით.

32. მაშინ იყო მცხეთაში მეფეების, მთავრებისა და მთელი ხალხის დიდი მღელვარება. ნახა ამაზაერ მეფემ[31] იესოს სამოსელი და უნდოდა მისი წაღება, მაგრამ მკვდარი ქალის მიერ სამოსლის ხელში ჩაგდების შემზარავი ამბის გამო შეშინდა და ვერ გაბედა.

33. ხოლო ელიოზმა დამარხა თავისი და და მას ხელებში კვლავ ის სამოსელი ჰქონდა. და ეს არის ის ადგილი, რომელიც

* შდრ. ლკ. 2:29-32

იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყჳს, რამეთუ არა ჯერ-არს სიტყუად აწ.

34. არამედ ესე ხოლო კმა-იყავნ ნინოჲს მოწაფეთათჳს და ქრისტჱს მორწმუნეთა, რამეთუ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძ-უსა მის ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა.

35. თჳნიერ ესე მესმა მამისა ჩემისაგან: "არს სხუაჲ-ცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგი-ცა, ხალენი ელიაჲსი ამას ქალაქსა შინა ჴელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა".

36. რამეთუ მრავალგზის მაბრა მე დედამან ჩემმან ნინო მამი-სა ჩემისა მიმართ, რაჲთა გამოვსწულილო ადგილი იგი სა-მოსლისაჲ მის გულითად. ხოლო მან ესთენ დადვა ნაწილი ჩემ თანა და მრქუა:

37. "აქა არს-ო ადგილი სამარხვოჲ მისი-ო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცა-ად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ".

თავი Თ

1. თქუმული სიდონიაჲსი-ვე დედაკაცისაჲ.

2. ოდეს ვიხილე ასულმან აბიათარისმან სიდონია წმიდაჲ ნინოჲ თაესა ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მაღალსა ბრინჯთა მათ ქუეშე, ბრატმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჯდა,

3. ოდეს-იგი შემუსრნა უფალმან არმაზ და სხუანი იგი კერპნი საზარელითა რისხვითა პირისა მისისაჲთა, რომელი-იგი წინა წერ-ილ არს ანდერძსა მას მისსა შინა,

ღმერთმა იცის და იცის ჩემმა დედამ ნინომ[82] და არ ამბობს, რადგან ახლა არ არის სათქმელი.

34. არამედ მხოლოდ ეს იყოს საკმარისი ნინოს მოწაფეების და ქრისტეს მორწმუნეთათვის, რომ ის ადგილი ლიბანიდან მოსული და მცხეთაში დარგული ნაძვის ახლოს არის".

35. კიდევ ეს მსმენია მამაჩემისაგან: „არის სხვაც, ძლიერე-ბით შემოსილი, ისიც რჩეული, ელიას ხალენი ამ ქალაქში, ჩვენს ხელთ, საკურთხევლის საფუძვლის ქვეშ, ქვებს შორის ულპობელად ინახება, თავის დრომდე",

36. რადგან მრავალჯერ მათხოვნინა მე დედაჩემმა ნინომ მამაჩემთან, რომ გამოვკითხო იმ სამოსლის ადგილი სარწმუნოდ. ხოლო მან ესოდენი გამიზიარა მე და მითხრა:

37. „აქ არისო მისი სამარხავი ადგილი, სადაც ხალხის ენა არ დადუმდება ღმერთის მიმართ საგალობლად, მასზეა ის ადგ-ილი, როგორც იაკობის ადგილი, კიბედ ხილული და ზეცამდე მიღწეული (შეს. 28:12-13), ამიერიდან და უკუნისამდე დიდება და ქება მოუკლებელი".

თავი 8

1. თქმული დედაკაც სიდონიასივე.

2. როდესაც ვნახე აბიათარის ასულმა სიდონიამ წმინდა ნინო პირველად, მცხეთის ციხის თავზე, მაღალ კოშკზე, ბრინჯის ხის ქვეშ, ბრატმან მეფის[83] საგრილობელში და მოსასვენებელში იჯდა.

3. როდესაც შემუსრა უფალმა არმაზი და სხვა კერპები მისი პირის საზარელი რისხვით, რომელიც წინ წერია მის ანდერძში,

4. ხოლო ვიდრე რწმუნებადმდე დედოფლისა ნანაჲსა ქრისტე ღმერთი ძედ ღმრთისა. სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ-იგი თჳთ იტყჳს ყოფასა შინა მისსა,

5. და ოდეს-მე შჳდნი დედანი დაგჳმოწაფნა შჯულსა მისსა, რამეთუ ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის ნებსით იწყო კურნებაჲ განგებითა ღმრთისაჲთა.

6. დედოფლისა ნანაჲს ზედა აჩუენა ღმერთმან პირველად ძალი მისი მიერ მაყულოვანსა მას შინა, განკურნა ლოცვითა მისითა სენისა მისგან მძიმისა, რომლისა ჴელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი.

7. და შემდგომად მისა მოგჳ მთავარი სპარსი ხუარა სნეულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მიწევნულ იყო. და იყო მთავარი იგი დედის ძმაჲ ნანაჲსი, დედოფლისაჲ.

8. მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი; და მეფე-ცა იხილვიდა მცირე-მცირედ საქმესა მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: "რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვებით მოხუედ და შეუ[ვ]რდი,

9. ხოლო მას ზედა-აწ მოწყალებაჲ, და მიგინიჭეს ძალი კურნებისაჲ, რაჲთა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუეყანასა. და დიდებულ-მცა არიან უკუნისამდე!

10. ხოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარადის, ვითარცა ერთი მაწოვნებელთაგანი, პატივ-ცემულ ქუეყანასა ამას, არამედ უცხოსა მას სიტყუასა ნუ იტყჳ, ჰრომთა მათ შეცთომილთა შჯულსა, და ნუ გნებავნ ყოვლად-ვე აქა თქუმად,

11. რამეთუ აჰა ესერა ღმერთნი, დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წჳმისა მომცემელნი. ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელნი, ქართლისანი - არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი. და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი - გაცი და გა, და თავი შენი იგი იყავნ დასარწმუნოვებად კაცთა მიმართ.

4. ხოლო ვიდრე ნანა დედოფალი ღვთის ძედ ქრისტე ღმერთს ირწმუნებდა, სანატრელმა წმინდა ნინომ დაჰყო ექვსი წელი, როგორც იგი თვითონ ამბობს თავის „ცხოვრებაში“.

5. მანამდე შვიდი დედა დაგვიმოწაფა თავის რჯულზე, რადგან ფარულად ახდენდა მრავალ კურნებას, ვიდრე თავისუფლად დაიწყო კურნება ღვთის განგებით.

6. დედოფალ ნანაზე აჩვენა ღმერთმა პირველად მის მიერი ძალა იმ მაყვლოვანში, ნინოს ლოცვით განკურნა იმ მძიმე სენისგან, რომლის განკურნებაც კაცთა ოსტატობამ ვერ შეძლო.

7. მის შემდეგ მოგვი, სპარსი მთავარი ხუარა იყო სნეული, უკეთური სულით სასტიკად იგვემებოდა, სიკვდილამდე იყო მისული. და იყო ის მთავარი ნანა დედოფლის დედის ძმა.

8. მაშინ ევედრნენ დედაჩემ ნინოს ნანა დედოფალი და მეფეც, რომელიც ხედავდა ცოტა-ცოტაობით იმ საქმეს და ორგულობით ეუბნებოდა ნინოს: „რომელი ღმერთის ძალით ახდენ ამ კურნების საქმეს? შენ ან არმაზის ასული ხარ, ან ზადენის შვილი, უცხოობიდან მოხვედი და შეეფარე,

9. და მაგიტომაც გაქვს წყალობა, და მიგანიჭეს კურნების ძალა, რომ ამით იცხოვრო ამ უცხო ქვეყანაში. და დიდებულნიც არიან უკუნისამდე!

10. ხოლო შენ მუდამ ჩემს წინაშე იყავ, როგორც ერთი ძიძათაგანი, _ამ ქვეყანაში პატივცემული, მაგრამ იმ უცხო სიტყვას ნუ იტყვი, რომაელთა იმ მცდარ რჯულს და მის შესახებ სულ ნუ ინებებ აქ ლაპარაკს,

11. რადგან აჰა, აგერ ღმერთები _ დიდი ნაყოფიერების მომცემელნი და ქვეყნის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმის მომცემელნი, მიწიდან ნაყოფთა გამზრდელნი, _ ქართლის ღმერთები არმაზი და ზადენი, ყველა საიდუმლოს გამომეძიებელნი; და ჩვენი მამების ძველი ღმერთები _ გაცი და გა და შენი თავისთვის ისინი გაიხადე ხალხის დასარწმუნებლად.*

* აზრი დედანშიც ბუნდოვანია

12. და აწ, უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და
გყო მკჳდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა,
13. დაღაცათუ ჰაერისა მის სიფიცხლითა შეიმუსრა, არამედ
მისი ადგილი შეუძრავ არს. ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი
ითრუშანა ყოვლად-ვე მტერ არიან. მან მის ზედა ზღუაჲ მოადგ-
ინის და მან ამის ზედა ერთი ნუ რაჲმე მოაწიის, ვითარცა აქუს
ჩუეულებაჲ სოფლის მპყრობელთა, და კმა-გეყავნ ჩემგან ბრძ-
ანებად ესე".
14. მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და ჰრქუა: "მეფე, შენ უკუ-
ნისამდე ცხოვნდი სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა წმიდისა
დედისა მისისაჲთა და მის თანა ყოველთა წმიდათაჲთა. მოავლინენ
შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადე-
ბელმან ყოვლისა დაბადებულისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან
და აურაცხელისა მოწყალებისა მისისაგან, ვითარცა საჴუმილისა-
გან ნაბერწყალი ერ[თ]ი მადლისა მისისაჲ,
15. რაჲთა სცნა და გულისხმა-ჰყო სიმართლჱ ცისაჲ და სი-
ნათლჱ მზისაჲ, სიღრმჱ ზღჳსაჲ და საძირკუელნი მისნი, სიფრცჱ
ქუეყანისაჲ და საფუძველნი მისნი,
16. და რაჲთა უწყებულ იყო შენ, მეფე, თუ ვინ შემოსნა ცანი
ღრუბლითა და ქუხილნი ჴმითა ჰაერისაჲთა, და იძრვინ ქუეყანაჲ
სიმძაფრითა მისითა და რბიოდიან მეხის-ტეხანი, კუალსა მისსა
ეგზებინ ცეცხლი გულის-წყრომითა მისითა,
17. ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა
შინა, და შეძრის ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრემდის დაირღჳან მთანი
მყარნი და კლდენი;
18. და მეცნიერ გყავნ შენ ამას ყოველსა ზედა-მიწევნით, რამ-
ეთუ ღმერთი არს ცათა შინა და უხილავ არს თავადი იგი ყოვლის-
აგან დაბადებულისა, თჳნიერ მისა, რომელი-იგი მისგან გამოვიდა.
19. ესე მოივლინა ქუეყანასა ზედა ვითარცა კაცი, რომელმან
ყოველი-ვე აღასრულა, რომლისათჳს-ცა მოსრულ იყო, და აღჴდა

12. და ახლა, თუკი განკურნავ ამ მთავარს, გაგამდიდრებ და
გაქცევ მცხეთის მკვიდრად, არმაზის მსახურად;
13. და თუმცა კი იმ ჰაერის სისასტიკით შეიმუსრა, მაგრამ
მისი ადგილი შეურყეველია. ეგ არმაზი და ქალდეველების[84]
ღმერთი ითრუშანა[85] ყველანაირად მტრები არიან. ამან მასზე
ზღვა მოაქცია და მან ამაზე არა ერთი რამ მოაწია, როგორც
აქვთ ჩვეულება სამყაროს მპყრობელთ, და ეს იკმარე ჩემგან ბრ-
ძანებად".
14. მიუგო ნეტარმა ნინომ მეფეს და უთხრა: „მეფევ, იცოცხ-
ლე შენ უკუნისამდე! ქრისტეს სახელით და მისი წმინდა დედის
და მასთან ყოველი წმიდანის სახელით მოავლინოს შენზე ღმ-
ერთმა, ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ყოველი დაბადებულის
დამბადებელმა, მისი დიდი დიდებისაგან და მისი აურაცხელი
მოწყალებისაგან, როგორც ღუმელიდან მისი მადლის ერთი ნა-
პერწკალი,
15. რომ შეიცნო და გონებით მიხვდე ცის სიმართლეს და
მზის სინათლეს, ზღვის სიღრმეს და მის საძირკვლებს, ქვეყნის
სივრცეს და მისი საფუძვლებს,
16. და რომ უწყოდე შენ, მეფევ, თუ ვინ შემოსა ცანი
ღრუბლით და ქუხილი ჰაერის ხმით, და იძვრის მიწა მისი სიმძაფ-
რით და რბიან მეხისტეხანი, მის კვალზე გიზგიზებს ცეცხლი
მისი გულისწყრომისგან,
17. ან როდესაც შეიძვრება ის დიდი ვეშაპი, რომელიც
არის ზღვაში, და შეიძვრება მთელი დედამიწა მყარი მთებისა
და კლდეების დარღვევამდე;[86]
18. და გამცნე შენ ეს ყველაფერი ზედმიწევნით, რადგან
ღმერთი არის ცათა შინა და ის თვითონ უხილავია ყველა და-
ბადებულისგან, გარდა იმისა, რომელიც მისგან გამოვიდა.
19. იგი მოივლინა ქვეყანად როგორც კაცი, რომელმაც ყვე-
ლაფერი აღასრულა, რისთვისაც იყო მოსული, და ავიდა იმავე
სიმაღლეებში მამასთან. მან ერთადერთმა იხილა დაუსაბამო

მათ-ვე სიმაღლეთა მამისა თანა. მან მხოლომან იხილა დაუსაბამოჲ
იგი, და იგი მხოლოჲ მის თანა არს, რომელი-იგი მდაბალთა ჰხე-
დავს და მაღალნი იგი შორით იცნის.

20. ხოლო აწ, მეფე, ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღმრთისა. მე
ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა
ღმრთისაჲ, და ხალენისა მის ელიაჲსისა ყოფაჲ ვიეთ-მე აქა თქუეს,
და მრავალნი სასწაულნი არიან აქა, რომელნი თჳთ ღმერთმან
გაუწყნეს.

21. ხოლო მე ესე მთავარი განვკურნო ძალითა ქრისტე[ს]
ჩემისაჲთა და ჯუარითა ვნებისა მისისაჲთა, ვითარცა-იგი დე-
დოფალი ნანა განკურნა ღმერთმან სენისა მისგან ფიცხლისა და
რაჲ-იგი ვაუწყე მას, ჰყოფს მას იგი, რაჲთა სული-ცა თჳსი განა-
ბრწყინვოს და ერი-ცა თჳსი მიაახლოს ღმერთსა".

22. მაშინ მოჰგუარეს მთავარი იგი, და წარიყვანა წმიდამან
ნინო და მე და ნანა დედოფალი სამოთხესა მას შინა, ნაძუთა მათ
ქუეშე, დაადგინა იგი და აღმოსავალით აღპყრობად-სცნა ჴელნი
მისნი. და ათქუმია სამგზის: "ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგები
ქრისტესა, ძესა ღმრთისასა".

23. და ტიროდა სულთქუმითა სულისა თჳსისაჲთა წმიდაჲ
ნინო და ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა კაცსა მას ზედა, და ჩუენ
მის თანა ერთ დღე. და მწრაფულ განვიდა ასული იგი ბოროტი და
დაემოწაფა წმიდასა ნინოს იგი და ყოველი სახლი მისი, და
ადიდებდა ღმერთსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ
არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

და იგი ერთადერთი არის მასთან, რომელიც თავმდაბლებს ჰხე-
დავს და ქედმაღლებს შორიდან ცნობს*.

20.ხოლო ახლა, მეფევ, ახლოს არის ღმერთთან შენი მიახ-
ლება. მე ვხედავ, რომ არის ამ ქალაქში ერთი სასწაული, ღმერ-
თის ძის სამოსელი და ელიას მოსასხამის ყოფნაც ზოგმა აქ თქვა
და მრავალი სასწაულია აქ, რომლებიც თვით ღმერთმა გაუწყ-
ოს.

21.ხოლო მე ამ მთავარს განვკურნავ ჩემი ქრისტეს ძალით
და მისი ვნების ჯვრით, როგორც დედოფალი ნანა განკურნა
ღმერთმა იმ სასტიკი სენისაგან და რაც კი ვაუწყე მას, იმას
აკეთებს იგი, რომ თავისი სულიც გააბრწყინოს და თავისი
ხალხიც აახლოს ღმერთს“.

22.მაშინ მოჰგვარეს ის მთავარი და წაიყვანა წმინდა ნინ-
ომ, და მასთან ერთად მე და ნანა დედოფალი, ბაღში, იმ ნაძვებ-
ის ქვეშ დააყენა და აღმოსავლეთით ააპყრობინა ხელები და
ათქმევინა სამჯერ: “ვიჯმნი შენგან, ეშმაკო და შევუდგები
ქრისტესა, ძესა ღმრთისასა“. [87]

23.და ტიროდა ოხვრით თავისი სულის სიღრმიდან წმინდა
ნინო და ითხოვდა ღვთისაგან შეწევნას იმ კაცზე, და მასთან
ერთად ჩვენც ერთი დღე. და სწრაფად გავიდა ბოროტი სული
და დაემოწაფა წმინდა ნინოს ის და მთელი მისი სახლი და
ადიდებდა ღმერთს _ მამას, ძეს და წმინდა სულს, რომლისაც
არის დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

* ფს. 137:6;ფს.112:6

თავი თ

1. თქუმული მისი-ვე.

2. და იყო დღესა ერთსა, ზაფხულის პირსა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესან შაფათსა, აკდა მეფჱ და განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო, და მოვლო სანახები მუხნარისაჲ და განვიდა მთათა ზედა მაღნართა თხოთისათა, რაჲთა-მცა მიჲხილა ასპდ და კასპდ (!) და უფლის-ციხედ, და განვიდა თხემსა მის მთისასა.

3. შოვა სამხარს ოდენ დაბნელდა მას ზედა მზჱ, და იქმნა ღამე ბნელ, უკუნ ფრიად. და დაფარნა ბნელმან არენი და ადგილნი იგინი, და განიბნივნეს ურთიერთარს ჭირისა მისგან და ურვისა ყოველნი ერნი მისნი, და დარჩა მეფჱ მარტოჲ და იარებოდა მთათა მათ ზედა მის მთისათა მაღნართა შინა შეშინებული და შეძრწუნებული.

4. და დადგა ერთსა ადგილსა და წარეწია სასოებაჲ ცხორებისა მისისაჲ. ხოლო კეთილის მყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაჲ მისი უცნობელობისაგან ცნობად და უმეცრებისაგან მეცნიერებად. და მოეგო თავსა ცნობასა და განიზრახვიდა გულსა თჳსსა: "აჰა ესერა, ვხედავ, რამეთუ ვხედევდ ღმერთთა არმაზს და ზადენს და არაჲ ვპოვე ლხინებაჲ ჩემ ზედა. აწ რომელსა-იგი ნინო ქადაგებს ჯუარსა და ჯუარ-ცმულსა და ჰყოფს კურნებასა მისითა სასოებითა. არა-მცა ძალ-ედვად ჴსნაჲ ჩემი ამის ჭირისაგან, რამეთუ ვარ მე ცოცხლივ, ვითარცა ჯოჯოხეთს შინა, და ვერ უწყი ესე, თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევაჲ და ნათელი ბნელად გარდაიქცა, ა[ნ]უ თუ ჩემთჳს ოდენ. აწ თუ ჩემ-ზედა ოდენ არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოჲსო, განმინათლე ღამეჲ ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი, და ავიარო (!) სახელი შენი, და აღვჰმართო ძელი და თაყუანის-ესცე მას, და აღვაშჱნო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოჲსა და რჩულსა ზედა ჰრომთასა".

თავი 9

1. მისივე თქმული.

2. და იყო: ერთ დღეს, ზაფხულის პირზე, ივლისის თვის ოცში,[88] შაბათ დღეს[89], ადგა მეფე და გავიდა სანადიროდ მუხნარის მხარეს. შემოიარა მუხნარის სანახები და გავიდა მთებზე, თხოთის მაღლარ ტყეში, რომ შეეხედა ასპისთვის, კასპისთვის და უფლისციხისთვის. ამისთვის გავიდა იმ მთის თავზე.

3. სწორედ შუადღისას დაბნელდა მზე მასზე, დადგა ბნელი ღამე, ფრიად უკუნი და დაფარა ბნელმა ის არე-მარე და ადგილები. გაეფანტა ერთმანეთს იმ გაჭირვებისაგან მისი ყველა მხედარი, დარჩა მეფე მარტო და დადიოდა იმ მთებზე, მთის ტყეებში შეშინებული და შეძრწუნებული.

4. გაჩერდა ერთ ადგილზე მეფე და გადაეწურა ცხოვრების იმედი, მაგრამ კეთილისმყოფელმა ღმერთმა მოაქცია მისი გონება უგუნურებიდან გონიერებისკენ და უმეცრებიდან ცოდნისკენ. მოეგო გონს და ფიქროობდა თავის გულში: „აჰა, აი, ვხედავ, რომ შევყურებდი ღმერთებს _ არმაზსა და ზადენს და ვერ ვპოვე შვება ჩემთვის. ახლა, ვახსენებ იმას, რომელსაც ნინო ქადაგებს _ ჯვარს და ჯვარცმულს _ და განკურნავს მისი იმედით. ვერც შეძლეს არმაზმა და ზადენმა ჩემი ხსნა ამ ჭირისაგან, რადგან ვარ მე ცოცხლად, როგორც ჯოჯოხეთში და ესეც არ ვიცი, მთელი ქვეყნიერებისთვის მოხდა დაქცევა და ნათელი ბნელად გადაიქცა, თუ ჩემთვის მხოლოდ. ახლა, თუ ჩემზეა მხოლოდ ეს ჭირი, ნინოს ღმერთო, გამინათე ეს ღამე, მაჩვენე ჩემი სამყოფელი და ვაღიარებ შენს სახელს, აღვმართავ ძელს[90] და თაყვანს ვცემ მას; ავაშენებ სახლს შენს სახლად და ჩემს სალოცავად და ვიქნები მორჩილი ნინოსი და რომაელთა რჯულისა“.

5. და ესე არ-ღა წარმოთქუა, განთენა და მსწრაფლ გამო-
ბრწყინდა მზჱ. და გარდამოვიდა მეფჱ ცხენისაგან და დადგა მას
ადგილსა განიპყრნა ჴელნი მჴარნი (!) აღმოსავალით და თქუა: "შენ
ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა
უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყჳ, და საქებელ სახელი შენი
ყოვლისაგან დაბადებულისა ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამ-
ეთუ შენ მიჴსენ ჭირისაგან ამის და მსწრაფლ სახელდებითა შენი-
თა მსწრაფლ განმინათლე [ბნე]ლი ჩემი. აჰა ესერა მიცნობიეს, რამ-
ეთუ გინდა ჴსნაჲ ჩემი და მიახლებად შენდა, ღმერთო კურთხეუ-
ლო. და მე ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისაჲ, რომლითაცა
იდიდებოდის სახელი შენი და იჴსენებოდის საქმჱ ესე სასწაულთაჲ
ამათ უკუნისამდე. ამენ".

6. და დაჲსწაჳლა ადგილი იგი, და წარმოემართა. და ვითარცა
იხილა ნათელი ერმან მისმან, გამოერთვოდა განბნეული იგი. მეფჱ
ღაღადებდა და ეტყოდა ყოველსა მას ერსა მისსა: "მიეცით დიდე-
ბაჲ ღმერთსა ნინოჲსსა ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი
საუკუნოჲ და მას მხოლოსა ჰშუენის ქებაჲ უკუნისამდე, ამინ".

7. ხოლო ნანა დედუფალი და ყოველი7 იგი ქალაქი განვიდო-
დეს მიგებებად მეფისა, რამეთუ პირველ ესმინა წარწყმედაჲ და
მერმე მოქცევაჲ მშჳდობით. და მიეგებვოდეს ქინძარს და ღართს.
და იყო სიხარული დიდი მშჳდობით მოქცევისათჳს.

8. ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა
ჩუეულებისაებრ მაყლოვანსა მას შინა, და ჩუენ მის თანა ორმეოც
და ათი სული.

9. და იყო, ვითარცა შემოვიდა მეფჱ, იძრვოდა ყოველი იგი ქა-
ლაქი, და ჴმითა მაღლითა ღაღადებდა მეფჱ და იტყოდა: "სადა უკუე
არს დედაკაცი იგი უცხოჲ, რომელ არს დედაჲ ჩემი, და ღმერთი
იგი მისი მჴსნელი ჩემი?".

10. და ვითარცა ესმა, ვითარმედ აქა მაყლოვანსა შინა არს და
ილოცავს, მოდრკა მეფჱ და ყოველი იგი ლაშქარი, მოვიდა და გარ-

5. და ეს არც კი წარმოეთქვა, რომ გათენდა და სწრაფადვე
გამობრწყინდა მზე. გადმოვიდა მეფე ცხენიდან, დადგა იმ ადგ-
ილზე, გაიწვდინა ხელები აღმოსავლეთით და თქვა: „შენ ხარ
ღმერთი ყველა ღმერთზე მაღლა და უფალი ყველა უფალზე
მაღლა (შდრ. II რჯ. 10:17; დან. 2:47), ღმერთი, რომელსაც ნინო
ქადაგებს და საქებელია შენი სახელი ცის ქვეშ და ქვეყანაზე
ყველა დაბადებულისაგან; რადგან შენ მიხსენი ამ ჭირისაგან
და შენი სახელის სწრაფი ხსენებით სწრაფადვე გამინათე ბნე-
ლი (ფს. 17:29). აჰა, აი, მივხვდი, რომ გინდოდა ჩემი ხსნა და
შენთან მიახლოვება, ღმერთო კურთხეულო. მე კი ამ ადგილას
აღვმართავ ჯვრის ძელს, რომლითაც იდიდებს შენი სახელი და
მოიხსენება ამ სასწაულთა საქმე უკუნისამდე, ამინ“.

6. დაიხსომა ის ადგილი მეფემ და გამოემართა და
როგორც კი იხილა ნათელი მისმა მხედრობამ, გაფანტულები
კვლავ შეუერთდნენ მას. მეფე ყვიროდა და ეუბნებოდა მთელ
მის მხედრობას: „მიეცით დიდება ნინოს ღმერთს მთელმა ერმა,
რადგან იგია საუკუნო ღმერთი და მხოლოდ მას შეშვენის ქება
უკუნისამდე, ამინ“.

7. *ხოლო ნანა დედოფალი და მთელი*[91] ქალაქი გადიოდა
მეფესთან შესაგებებლად, რადგან პირველად გაეგოთ მისი
დაღუპვა და მერე მშვიდობით მობრუნება. და მიეგებებოდნენ
ქინძარში და ღართში. იყო დიდი სიხარული მეფის მშვიდობით
მობრუნების გამო.

8. ხოლო ნეტარი ნინო იდგა მწუხრის ლოცვაზე[92]
ჩვეულებისამებრ მაყვლოვანში და ჩვენც მასთან ერთად _ ორ-
მოცდაათი სული.

9. და იყო: როგორც კი შემოვიდა მეფე, შეიძრა მთელი
ქალაქი. მაღალი ხმით ღაღადებდა მეფე და ამბობდა: „სად არის
ახლა ის უცხო ქალი, რომელიც დედაა ჩემი და მისი ღმერთი _
ჩემი მხსნელი?“

10. და როგორც კი გაიგო, რომ აქ, მაყვლოვანშია და ლოც-
ულობს, მობრუნდა მეფე და მთელი ის ლაშქარი, მოვიდა და

დამოვარდა საჴედრისაგან და ეტყოდა ნინოს: "აწ ღირს ვარ-ა ხადიდ სახელსა ღმრთისა შენისასა და მჴსნელისა ჩემისასა?"

11. ხოლო წმიდაჲ იგი ასწავებდა და აწუევდა მწრაფულ თავყუანის-ცემასა აღმოსავალით ქრისტჱსა, ძისა ღმრთისა[ჲ]სა.

12. მაშინ იგი გრგჳნვაჲ და ტირილი ყოვლისა მის ერისაჲ, რამეთუ ჰხედვიდეს მეფისა და დედოფლისა ცრემლთა დინებასა სიხარულისა მისგან და საკჳრველებისა დიდისა, რომელი იქმნა.

13. და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა. ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღე და ღამე ყოველსა კაცსა ჭეშმარიტსა მას გზასა სარწმუნოვებისასა.

თავი ი

1. მისი-ვე აღწერილი აღშენებისათჳს ეკლესიათაჲსა.

2. ხოლო მეფჱ ეტყოდა ნინოს აღშენებისათჳს ეკლესიისა, ოდეს-იგი წარემართა მეფჱ და ყოველი ერი მოწრაფებით ქრისტეანობასა, ვიდრე მღდელთა მათ მოსლვადმდე საბერძნეთით.

3. ჰრქუა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს: "სადა უშენო სახლი ღმერთსა?" ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა: "სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს".

4. ხოლო მეფემან ჰრქუა: "მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ესრჱთ, არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე".

5. და მეყსეულად მოიღეს ძელი და იწყეს შენებად. და მოჰკუეთეს ნაძჳ იგი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი ეკლესიისაჲ. და იყო სუეტისა მის საშინელ ხილვაჲ და საძირკუელი, რომელი ზემო წერილ არს.

ჩამოვიდა სახედრიდან და ეუბნებოდა ნინოს: „ახლა ღირსი ვარ შენი ღმერთის და ჩემი მხსნელის მოწოდებისა?“,

11. ხოლო წმინდანი ასწავლიდა და მოუწოდებდა, რომ სასწრაფოდ თაყვანი ეცა აღმოსავლეთით ქრისტესთვის, ღვთის ძისთვის.

12. მაშინ იყო გრგვინვა და ტირილი მთელი იმ ხალხის, რადგან ჰხედავდნენ მეფისა და დედოფლის ცრემლთა დენას სიხარულისგან და დიდი საკვირველებისგან, რომელიც მოხდა.

13. და მეორე დღეს გააგზავნა მეფემ მოციქულები საბერძნეთში, ხოლო ნეტარი ნინო ასწავლიდა დღე და ღამე მთელ ხალხს სარწმუნოების ჭეშმარიტ გზას.

თავი 10

1. მისივე აღწერილი ეკლესიების აშენებისათვის.

2. ხოლო მეფე ელაპარაკებოდა ნინოს ეკლესიის აშენებაზე, როდესაც დაადგა მეფე და მთელი ერი გულმოდგინებით ქრისტიანობას, ვიდრე მღვდლების მოსვლამდე საბერძნეთიდან.

3. უთხრა მორწმუნე მეფემ წმინდა ნინოს: „სად ავუშენო სახლი ღმერთს?“, ხოლო ნეტარმა უთხრა: “სადაც მეფეთა აზრია მტკიცე“.

4. ხოლო მეფემ უთხრა: „მიყვარს ეგ შენი მაყვლოვანი და იქ მნებავს გონებით, მაგრამ არ [მოხდება] ასე; არამედ არ დავზოგავ სამეფო ბაღს და ნაძვების სიმაღლეს და იმ რტოების ნაყოფიერებას და იმ ყვავილების სურნელებას; არამედ მასში ავაშენებ ტაძარს ჩემს სალოცავად, რომელიც იდგება უკუნისამდე“.

5. მაშინვე მოიტანეს ხე და დაიწყეს შენება. მოკვეთეს ნაძვი და შეამზადეს სვეტად და მის ძირზე დადეს ეკლესიის საფუძველი. შიშის მომგვრელი იყო იმ სვეტის შესახედაობა და საძირკველი, რაც ზემოთაა აღწერილი.

6. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად სუეტი იგი პირველ მოჴსენებული, იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს. მაშინ შეკრბა სიმრავლჱ ურიცხჳ და მეფჱ მათ თანა. იწყეს ფერადფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადებად. არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვად-ცა.

7. და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნჱ და ღონის-ძიებაჲ კაცთაჲ, რაჲთ სუეტისა მის აღმართებითა საკჳრველად ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოებასა.

8. და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და უმარჴჯუ იქმნა საქმჱ იგი, წარვიდა მეფჱ და ყოველი ერი გულ-[გ]დებული ურვისაგან და მწუხარე იყვნეს ამას, ზედა.

9. ხოლო ნეტარი ნინო დაშთა ადგილსა-ვე, და ათორმეტნი დედანი სხუანი. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა.

10. და ვითარცა შუვაღამე ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე მთანი - არმაზ და ზადენ, რეცა თუ ესრჱთ ჩამოირღუევოდეს, და დააყენნეს ორთა-ვე წყალნი იგი.

11. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა საშინელად ქალაქი. და მიერ შეიქმნნეს ჴმანი საშინელნი და საზარელნი ტყებისა და სივლტოლისანი. ეგრე-ვე არაგჳ გარდამოჴდა ციხესა ზემოჲთ და იქმნებოდეს საშინელნი გრგჳნვანი.

12. და შეშინდეს დედანი იგი და ივლტოდეს, და მეცა მათ თანა-ვე, ხოლო ნეტარი წმიდაჲ ნინო ღაღადებდა: "ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი იგი მუნ-ვე ჰგიან და წყალნი იგი მუნ-ვე დიან და ერსა ყოველსა სძინავს.

13. ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გუაჩუენებს, რამეთუ ურწმუნოვებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს, დაეყენა სისხლი იგი ყრმათაჲ ეშმაკთა შეწირვისაჲ.

6. ხოლო როდესაც მოვიდა დრო თავდაპირველად ხსენებული სვეტის აღსამართად, დაიწყეს ხუროებმა აღმართვა და ვერ შეძლეს. მაშინ შეიკრიბა ურიცხვი სიმრავლე და მეფეც მათთან ერთად. დაიწყეს ნაირ-ნაირი ხერხის ძიება და იარაღების დამზადება. მაგრამ არათუ მხოლოდ აღმართვა ვერ შესძლეს, არამედ _ დაძვრაც კი.

7. და ფუჭი გამოდგა კაცთა მთელი სიბრძნე და ღონისძიება, რომ სვეტის საკვირველი აღმართვით იდიდოს ღმერთი და ხალხი უფრო მეტად განმტკიცდეს სარწმუნოებაში.

8. და რომ ვერ შესძლეს აღმართვა და ამაო გამოდგა ის საქმე, წავიდა მეფე და მთელი ხალხი გულდამძიმებული დარდისაგან და მწუხარე იყვნენ ამის გამო.

9. ხოლო ნეტარი ნინო დარჩა ადგილზევე და მასთან თორმეტი სხვა ქალი. ხოლო ის სანატრელი გოდებდა და ცრემლებს ადენდა იმ სვეტზე.

10. და როცა შუაღამე მოახლოებული იყო, ჩამოიქცეოდა ორი ეს მთა _ არმაზი და ზადენი, ისე თითქოს ჩამოირღვნენო და შეაჩერეს ორივე ის წყალი.

11. და მტკვარმა გადმოხეთქა და საშინლად მიჰქონდა ქალაქი. და ამისგან შეიქნა საშინელი და საზარელი ხმაური მოთქმისა და სირბილის. ასევე არაგვი გადმოვიდა ციხის ზემოთ და საშინელი გვრგვინვა ატყდა.

12. და შეშინდნენ დედები და გარბოდნენ და მეც _ მათთან ერთად, ხოლო ნეტარი წმინდა ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინიათ, ჩემო დებო, ის მთები იქვე დგანან და ის წყლები იქვე მოედინებიან და მთელ ხალხს სძინავს.

13. ხოლო ეს, რომ თითქოს მთები დაირღვნენ, სამართლიანად გვაჩვენებს, რომ ურწმუნოების მთები დაირღვნენ ქართლში. და წყლები, რომლებიც შეჩერდნენ, გვაჩვენებს, რომ შეჩერდა ყრმების ეშმაკებისადმი შეწირვის სისხლი.

14. ხოლო ჴმანი ესე ტყებისანი არიან ეშმაკთა სიმრავლისანი, რამეთუ ეგლოვიან თავთა მათთა ოჴრებასა, რამეთუ არიან იგინი მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისაჲთა და ჯუარითა ქრისტჱსითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ, შვილნო!"

15. და მეესეულად დასცხრეს ჴმანი იგი, და იყო არარაჲ. და დადგა წმიდაჲ ნინო და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ცად მიმართ, და თუალნი ღმრთისა მიმართ, ილოცვიდა და ევედრებოდა, რაჲთა არა დააბრკოლოს საქმჱ ესე სარწმუნოვებისაჲ მტერმან, რომელსა წადიერებით წარმართებულ არს მეფჱ და ყოველი ერი.

16. და ვიდრე არღა ეყივნა ქათამსა, სამთა-ვე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწეს კარნი ქალაქისანი. და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და მეესეულად შეიქმნეს ზარის აღსაჴდელნი ზრინვანი, და ყივილნი და კლვაჲ ერისაჲ, ვითარ-მცა სისხლი დიოდა.

17. და აღივსო ყოველი ადგილი, და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავ-ლჱ ზახილთაჲ და მახჳლთაჲ, და დადნეს ჴორცნი ჩუენნი და განილია სული ჩუენი.

18. ხოლო მე ვტიროდე მამისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს, და მწრაფლ მესმა, ჴმობდეს ძლიერად: "ამას ბრძანებს მეფჱ სპარსთაჲ ხუარა და მეფეთ-მეფჱ ხუარან ხუარა, ყოველი ჰურიაჲ განარინეთ პირისაგან მახჳლისა". ვითარცა ესე მესმა, მოვეგე გონებასა, შე-ორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა.

19. და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი და ჩუენსა გარემოჲს სცემდეს და კლვიდეს. და ისმა ჴმაჲ ძლიერად, მირეან მეფჱ შეიპყრეს-ო. და გარე-მოიხილა მჴნედ მოღუაწემან მან და თქუა: "კუალად ყვეს-ა? ვიცი, რამეთუ დიდად შჭირს".

20. და ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს, და ქართლისა ცხორებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ. და ნუგეშინის-გუცემდა, ვითარცა მოძღუარი

14. ხოლო მოთქმის ეს ხმები ეშმაკთა სიმრავლის ხმები არიან, რადგან იგლოვენ საკუთარ თავთა დამხობას, ვინაიდან იდევნებიან ისინი ამ ადგილიდან მაღლის ძალითა და ქრისტეს ჯვრით. მობ-რუნდით და ილოცეთ ღვთის მიმართ, შვილებო!“

15. და მაშინვე დაცხრნენ ის ხმები და აღარაფერი იყო. და დადგა წმინდა ნინო და აღაპყრო თავისი ხელები ცისკენ და თვალები _ ღვთის მიმართ, ლოცულობდა და ევედრებოდა, რომ არ დაებრკოლებინა მტერს[93] სარწმუნოების ეს საქმე, რომელ-საც მოწადინებით დაადგა მეფე და მთელი ერი.

16. და ვიდრე ჯერ არ ეყივლა მამალს, სამივე კარს[94] შიშის ზარი დასცა ძლიერმა ლაშქარმა და დალეწეს ქალაქის კარები. და აივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრით და შეიქნა თავზარდამცე-მი ზრიალი, და ყვირილი და ხალხის კვლა ისეთი, რომ სისხლი მოედინებოდა.

17. და აივსო ყველა ადგილი სისხლით. და წამოვიდა ჩვენ-ზე ყიჟინისა და მახვილთა სიმრავლე და დადნა ჩვენი ხორცი და გაილია ჩვენი სული.

18. ხოლო მე ვტიროდი მამისათვის და ჩემი ნათესავები-სთვის, და უცებ მომესმა, ხმამაღლა იძახდნენ: „ამას ბრძანებს სპარსთა მეფე ხუარა და მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა, ყველა იუდეველი გაარიდეთ მახვილის პირს“.[95] როგორც კი ეს მომეს-მა, მოვეგე გონებაზე, შევეჭვდით რწმენაში მე და ის ათიც ჩემთან ერთად.

19. და მოახლოებულიყვნენ მახვილოსნები და ჩვენს გარშემო კაფავდნენ და კლავდნენ. და გაისმა ხმა ძლიერად, მირიან მეფე შეიპყრესო. და ირგვლივ მიმოიხედა მხნედ მოღ-ვაწემ და თქვა: „კვლავ ჩაიდინეს? ვიცი, რომ დიდად უჭირთ“.[96]

20. და მადლობდა ღმერთს, რადგან ეს მათი წარწყმედის და ქართლის ცხონების და ამ ადგილის დიდების ნიშანია. და ნუგეშს

ველოვანი, ნანდჳლ-ვე ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი წმიდაჲ ნინო.

21. და მოექცა ერსა მას მომავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: "სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუან ხუარა? საბასტანით გუშინ წარმოხუედითა? მალე მოხუედით. და დიდად სამე არს ლაშქარი, უზომო ვიდრემე ხართ, და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე, მახჳლი დაეცით. [უბრძანებ] ქართა და ნიავთა: წარვედით ბნელთა ჩრდილოჲსათა მთათა მათ კედარისათა. აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ევლტოდეთ".

22. და განძრა მარჯუენე თჳსი და დასწერა ველითა სახჱ ჯუარისაჲ. და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლჱ ერისაჲ, და იქმნა დაყუდება დიდ. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა, და ვჰნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოს.

23. და ვითარცა ცისკარი აღეღებოდა მცირედ, მიერულა დათა მათ ჩემთა, ხოლო მე მღჳძარე ვიყავ. და წმიდაჲ ნინო დგა ველ-აღპყრობილ.

24. და აჰა ესერა ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი ყოვლად-ვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის-სახედ ზეწარი. და არქუნა სამნი რაჲმე სიტყუანი ნეტარსა ნინოს. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა.

25. ხოლო ჭაბუკმან მან მიყო ველი სუეტსა მას და უპყრა თავი და აღამაღლა და წარიღო სიმაღლესა ცათასა.

26. და მე განკჳრვებული მივეახლე და ვარქუ ნეტარსა დედო-ფალსა: "რაჲ არს ესე?". ხოლო მან მომიდრიკა თავი ჩემი ქუეყანად. და მე ტირილდ ვიწყე ზარსა მას ზედა.

27. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი და მეცა აღმადგინა და განვეშორენით მას, ადგილსა მას. ხოლო დედ-ანი იგი იყვნეს-ვე კიდე.

28. და აჰა ვიხილე სუეტი იგი ცეცხლის-სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თჳსსა. და ვითარ დაემართა, და დადგა ზედა

გვცემდა, როგორც ხელოვანი მოძღვარი, ნამდვილად ჭეშმარიტი მოძღვარი და ქრისტეს მოციქული _ წმინდა ნინო.

21. და მოუბრუნდა ჩვენზე მომავალ ხალხს და უთხრა: “სად არიან სპარსთა მეფეები ხუარა და ხუან ხუარა? საბასტანიდან გუშინ წამოხვედით? მალე მოხვედით! და მაშ ასე დიდია [თქვენი] ლაშქარი? განა ასე უზომო ხართ?! და ძალიან დალეწეთ ეს ქალაქი?! _ მახვილი ქარსა და ნიავს დაჰკარით! წადით ჩრდილ-ოეთის ბნელში, იმ კედარის მთებში. აქ მოვიდა ის, რომელსაც თქვენ უფრთხით“.

22. გაიშვირა თავისი მარჯვენა, დაწერა ხელით ჯვრის გამო-სახულება, მაშინვე გაუჩინარდა მთელი ხალხის სიმრავლე და შეიქმნა დიდი სიმყუდროვე. და ჩვენ ვადიდებდით ღმერთს და შევნატროდით წმინდა და სანატრელ ნინოს.

23. და როცა ცისკარი იხსნებოდა, ჩაეძინათ ჩემს დებს, ხოლო მე მღვიძარე ვიყავი. და წმინდა ნინო იდგა ხელაპყრო-ბილი.

24. და აჰა, აი, წარმოუდგა ერთი ჭაბუკი, მთლიანად ნათლით შემოსილი და შემოეგრაგნა ცეცხლის მსგავსად ზე-წარი. და უთხრა სამი რამ სიტყვა ნეტარ ნინოს. ხოლო იგი დაემხო პირქვე.

25. ხოლო იმ ჭაბუკმა მოჰკიდა ხელი სვეტს და აუწია თავი და აამაღლა და წაიღო ცათა სიმაღლეში.

26. და მე გაკვირვებული მივუახლოვდი და ვუთხარი ნე-ტარ დედოფალს: „რა არის ეს?“. ხოლო მან მომადრეკინა თავი მიწაზე. და მე ავტირდი შიშისგან.

27. და მცირე დროის შემდეგ ადგა ის ნეტარი და მეც ამაყე-ნა და გავშორდით მას _ იმ ადგილს. ხოლო ის ქალები იყვნენ ისევ განზე.

28. და აჰა, ვიხილე ის სვეტი, ცეცხლის მსგავსად ჩამოდიოდა და მოუახლოვდა თავის კვარცხლბეკს. და რომ დაეშვა და დადგა

ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად ჩამოიცვალებდა თჳსსა-ვე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი.

29. და ვითარ რიჟურაჟუ ოდენ იყო, აღდგომილ იყო მეფჱ, გულ-გდებული ურვათაგან, და მიხედა სამოთხესა მას, დაწყებულსა მას მისსა ეკლესიასა, რამეთუ მუნ მტკიცე იყო გონებაჲ მისი. და იხილა მუნ ნათელი, ვითარცა ელვაჲ ზეცადმდე აღწევნული სამოთხესა მას შინა.

30. იწყო სრბად, მკჳრცხლ მოსლვად, და ყოვლისა ერისა სიმრავლჱ მის თანა. და ვითარცა მოვიდეს და იხილეს საკჳრველი იგი, ნათლითა მბრწყინვალჱ სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსა, რეცა თუ დადგა ხარისხსა თჳსსა ზედა და დაემყარა ჴელთ-შეუხებელად კაცთაგან.

31. ნეტარ მას ჟამსა, რაჲ იგი იქმნებოდა!

32. შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთაჲ ქალაქი, და დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავართა და ყოველსა ერსა სულთქუმითა სულისა მათისაჲთა, და ადიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს ნეტარსა ნინოს

33. და იქმნებოდეს მას დღესა შინა სასწაულნი მრავალნი.

თავი ია

1. თქუმული მისი-ვე.

2. პირველი სასწაული. მო-ვინმე-ვიდა ჰურიაჲ, ბრმაჲ შობითგანი და მიეახლა სუეტსა მას ცხოველსა, და მუნქუეს-ვე იქმნა იგი მხედველ და ადიდებდა ღმერთსა.

3. [ბ~.] ყრმაჲ ვინმე სეფეწული იდვა რვა წლისა სნეული, წარმართი, მოიღო იგი დედამან მისმან სარწმუნოვებით, დადვა იგი ცხედარსა ზედა წინაშე სუეტისა მის ნათლისაჲსა და ნანდჳლ-ვე

იმ კვარცხლბეკზე მიწიდან აცილებული, ასე თორმეტი წყრთა,[97] და ნელა ჩამოინაცვლებდა იმ თავისსავე გადანაჭერზე, რადგან კვარცხლბეკად იყო მისი ძირი, რომლისგანაც მოკვეთილი იყო ის ცხოველი სვეტი.

29. და როცა ის-ის იყო გარიჟრაჟდა, ამდგარიყო მეფე, გულდამძიმებული დარდისაგან, და გახედა ბაღს, თავის დაწყებულ ეკლესიას, რადგან იქ იყო მტკიცე მისი ნება. და იხილა იქ ნათელი, როგორც ელვა ბაღში, ზეცად აღწეული.

30. იწყო სირბილი სწრაფად მოსასვლელად და მთელი ხალხის სიმრავლე იყო მასთან ერთად. და როგორც კი მოვიდნენ და იხილეს ის საკვირველება _ ნათლით ბრწყინვალე სვეტი ჩამოდიოდა თავის ადგილზე, თითქოს დადგა თავის კვარცხლბეკზე და დაემყარა კაცთაგან ხელშეუხებლად.

31. ნეტავი იმ დროს, ეს რომ ხდებოდა!

32. შიშით და სიხარულით აივსო მცხეთა_ქალაქი და გადმოსდიოდათ ცრემლის მდინარეები მეფეს და მთავრებს და მთელ ერს_ოხვრით სულის სიღრმიდან და ადიდებდნენ ღმერთს და შენატროდნენ ნეტარ ნინოს.

33. და ხდებოდა იმ ხანებში მრავალი სასწაული.

თავი 11

1. მისივე თქმული.

2. პირველი სასწაული: მოვიდა ერთი იუდეველი, დაბადებიდან ბრმა და შეეხო ცხოველ სვეტს და იქვე აეხილა თვალი და ადიდებდა ღმერთს.

3. მეორე: ერთი ყრმა სეფეწული[98], წარმართი, რვა წლის განმავლობაში სნეული იწვა, მოიყვანა იგი მისმა დედამ სარწმუნოებით, დააწვინა საკაცეზე იმ ნათლის სვეტის და ნამდვილად ნათლით

ნათლით შემოსილისა. და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს და ეტყოდა: "მოხედე, დედოფალო, ძესა ამას ჩემსა, მიახლებულსა სიკუდიდ, რამეთუ ვიცი, ვითარმედ იგი არს ღმერთი ღმერთთაჲ, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჩუენ გჳქადაგებ".

4. მაშინ შეახო ნეტარმან ნინო ჴელი თჳსი სუეტსა მას ცხოველსა და დასდვა ყრმასა მას ზედა და ჰრქუა: "გრწამსა იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ, ჴორცითა მოსრული ცხორებისათჳს ყოვლისა სოფლისა?" და ჰრქუა ყრმამან მან: "ჰე, დედოფალო, მრწამს იესუ ქრისტე, მჴსნელი დაბადებულთაჲ".

5. მაშინ ჰრქუა მას წმიდამან ნინო: "განიკურნე ამიერითგან და ადიდებდი მას, ვისმან ძალმან განგკურნა". და მწრაფლ აღდგა ყრმაჲ იგი ვითარცა უტკივნელი. და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა სიმრავლესა ერისასა.

6. და თითოსახენი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს, ვიდრემდის მეფემან შექმნა საბურველი ძელისაჲ გარემოჲს სუეტსა მას და დაფარა ხედვისაგან და ეგრეთ შეეხებოდეს ერნი სართულსა მას და განიკურნებოდეს მწრაფლ და ადიდებდეს ღმერთსა საკჳრველთ-მოქმედსა.

7. და იწყო მეფემან აღშენებად სამოთხესა მას შინა ეკლესიასა გულს-მოდგინებითა და სიხარულითა დიდითა.

8. მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით, მღდელთ-მოძღუარი, მღდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლის-ცემად, ვითარცა ზემო-წერილ არს, ყოვლისა ერისა.

შემოსილის წინაშე და ევედრებოდა ნეტარ ნინოს და ეუბნებოდა: „მოხედე, დედოფალო, სიკვდილს მიწევნულ ამ ჩემს ძეს, რადგან ვიცი, რომ ის არის ღმერთთა ღმერთი, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ“.

4. მაშინ შეახო ნეტარმა ნინომ თავისი ხელი ცხოველ სვეტს და დაადო ყრმას და ჰკითხა: „გწამს იესო ქრისტე, ცოცხალი ღმერთის ძე, მთელი ქვეყნიერების საცხონებლად ხორცით მოსული?“ და უპასუხა იმ ყრმამ: „დიახ, დედოფალო, მწამს იესო ქრისტე, დაბადებულთა მხსნელი“.

5. მაშინ უთხრა მას წმიდა ნინომ: „განიკურნე ამიერიდან და ადიდებდე მას, ვისმა ძალამაც განგკურნა“. და სწრაფად წამოდგა ის ყრმა, როგორც უტკივარი. და დაეცა დიდი შიში მეფეს და ხალხის მთელ სიმრავლეს.

6. და სხვადასხვანაირი სნეულნი მოდიოდნენ და იკურნებოდნენ, ვიდრე მეფემ არ შექმნა ხის საბურველი სვეტის გარშემო და დაფარა თვალთახედვისგან და ასე ეხებოდა ხალხი იმ სახურავს და განიკურნებოდნენ სწრაფად და ადიდებდნენ საკვირველთმოქმედ ღმერთს.

7. და დაიწყო მეფემ ბაღში ეკლესიის შენება გულმოდგინედ და დიდი სიხარულით.

8. მაშინ მოვიდნენ საბერძნეთიდან მოციქულები, მღვდელთმოძღვარი, მღვდლები და დიაკვნები და დაიწყეს ნათლისცემა, როგორც ზემოთაა დაწერილი, მთელი ერისა.

თავი იბ

1. რომელი თქუა აბიათარ, რომელი იყო პირველ მღდელი ბაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას და ნათელ-იღო ჴელსა შინა ნინოჲსსა.

2. მე, აბიათარ, მღდელი ვიყავ წილით ხუედრებული სამღდელოსა ზედა მის წელიწდისასა, ოდეს ესე ნეტარი დედაკაცი ნინო მოვიდა მცხეთად.

3. მას ჟამსა ჩემ თანა წიგნები მოსრულ იყო ჰრომით და ეგჳპტით და ბაბილოვნით ჰურიათაჲ, მღდელთაჲ და მწიგნობართაჲ, რომელსა წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ: "განხეთქა ღმერთმან მეფობაჲ ჰურიათაჲ, აჰა ესერა წინაჲსწარმეტყუელნი დასცხრეს, რამეთუ რომელსა სული აწუევდა, ყოველი აღესრულა,

4. და განვიბნიენით ჩუენ ყოველსა ქუეყანასა, და ჰრომთა დაიპყრეს მეფობით ქუეყანაჲ ჩუენი, რამეთუ ვცოდეთ ყოვლითურთ და განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი.

5. აწ იხილენ წიგნნი მოსესნი, რომელმან დამიწერა ჩუენ ესე ყოველი: "რომელი იტყჳს ქუეყანასა ზედა ღმრთად თავსა თჳსსა, ძელსა დამოეკიდოს".

6. ანუ უკუე შე-ვიდრემე-ვსცეთით ნაზარეველისა მის იესუჲს სიკუდილსა, რამეთუ ჰხედავ პირველ, ოდეს მამათა ჩუენთა შესცოდიან ღმერთსა და ყოვლად-ვე დაივიწყიან იგი, მისცნის ჴელმწიფესა ძლიერსა და ტყუეობასა.

7. ხოლო ოდეს მოიქციან და აღად-ყვიან, მწრაფლ განარინნის იგინი ჭირისაგან. და ესე შჳდგზის ვიცით წერილთაგან.

8. ხოლო ვინაჲთგან ჴელნი შეასხნეს ძესა მას დედაკაცისა მწირისასა და მოკლეს, აღიღო ღმერთმან ჴელი მისი ჩუენ ზედა, განხეთქა მეფობაჲ და განგუაშორნა ტაძარსა ღმრთისასა, და უგულებელს-ყო ნათესავი ჩუენი სრულიად.

თავი 12

1. რომელიც თქვა აბიათარმა და რომელიც იყო თავდაპირველად მღვდელი იუდეველთა ბაგინში მცხეთაში და ნათელიღო ნინოს ხელში.

2. მე, აბიათარი, ვიყავი ტაძარზე წილხვედრილი მღვდელი იმ წელიწადს, როდესაც ეს ნეტარი დედაკაცი ნინო მოვიდა მცხეთაში.

3. იმ დროს ჩემთან მოსული იყო რომიდან, ეგვიპტიდან და ბაბილონიდან იუდეველთა მღვდლებისა და მწიგნობრების წერილები, რომელშიც ასე ეწერა, რომ: „გახლიჩა ღმერთმა იუდეველთა მეფობა. აჰა, აი, წინასწარმეტყველნი დადუმდნენ[99], რადგან ვისაც სული იწვევდა, ყველა აღესრულა

4. და გავიფანტეთ ჩვენ მთელ ქვეყანაზე და რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა[100] და მეფობენ, რადგან შევცოდეთ ყველაფერში* და გავარისხეთ შემოქმედი ღმერთი.

5. ახლა იხილეთ მოსეს წიგნები, რომელმაც დაგვიწერა ჩვენ ეს ყველაფერი: „ვინც მიწაზე თავის თავს ღმერთად იტყვის, ძელზე ჩამოიკიდოს“.

6. ნუთუ ასე შევცდით იმ იესო ნაზარეველის[101] სიკვდილში? რადგან იცი, რომ უწინ, როდესაც ჩვენი მამები შესცოდავდნენ ღმერთს და სრულიად დაივიწყებდნენ მას, მისცემდა ღმერთი მათ ძლიერი ხელმწიფის ხელში და ტყვეობაში.

7. ხოლო როდესაც მოიქცეოდნენ და შეჰღაღადებდნენ, სწრაფად იხსნიდა მათ ჭირისაგან. და ეს შვიდგზის ვიცით წიგნებიდან.

8. და რადგან ხელი შემართეს იმ მწირი ქალის ძეზე და მოკლეს, აიღო ღმერთმა ხელი ჩვენზე, გახლიჩა მეფობა და გაგვაშორა ღვთის ტაძარს და სრულიად უგულებელყო ჩვენი მოდგმა.

* დან.3:29

9. ხოლო აწ არს სამასი წელი, ვინაჲთგან არცა-ღა ყოვლად-ვე ისმინა ვედრებაჲ ჩუენი, არცა ყო ლხინებაჲ. საგონებელ მიჩს, ვითარმედ ზეცით იყო კაცი იგი". და ესე განემრავლა მოწერილი.

10. ხოლო მე, ვითარცა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედაკაცისა მის ნინოჲსა ქრისტესთჳს, თუ ვინაჲ იყო იგი, ანუ რომლისა მიზეზისათჳს იქმნა ღმერთი კაც.

11. მაშინ ნეტარმან მან აღაღო პირი თჳსი, ვითარცა ჯურღუმულმან აღმომდინარემან და ვითარცა წყარომან დაუწყუედელმან.

12. იწყო საუკუნითგანთა, ჩემთა წიგნთა ზეპირით წარმოიტყოდა და განმიმატებდა და ვითარცა მძინარესა განმაღჳძებდა და ვითარცა დასულებულსა განმანათლებდა და მამათა ჩემთა შემაწყალებდა და შჯულისა ცვალებასა შემაჯერებდა,

13. ვიდრემდის მრწმენა სიტყჳთა მისითა ქრისტე, ძჲ ღმრთისაჲ, და ვნებაჲ მისი და აღდგომაჲ დიდებით, და მეორედ მოსლვაჲ მისი საშინელებით, და ჭეშმარიტად იგი არს მოლოდებაჲ წარმართთაჲ.

14. მას ჟამსა მე [და] ასული ჩემი ღირს ვიქმნენით საპკურებელსა და განსაწმედელსა ცოდვათასა, ემბაზსა, წყალსა მას წმიდასა, რომელსა-ცა ინატრიდა დავით წინაჲსწარმეტყველი და ვერ ეწიფა.

15. და კუალად მესმა მე ჴმაჲ ახლისა შჯულისა მგალობელთაჲ, რომელსა ინატრიდა იგი-ვე დავით და ვერ მიემთხჳა

16. და ღირს ვიქმენ ზიარებად ჭეშმარიტსა ჴორცსა და სისხლსა კრავისა მის ღმრთისასა სოფლისა ცოდვათათჳს შეწირულისა, რომლისა ტკბილ არს მისი გემოჲს-ხილვაჲ და ამას ზედა ყავნ უფალმან განსლვაჲ ჩემი ჴორცთაგან, რამეთუ მრავალნი სასწაულნი იხილნეს თუალთა ჩემთა ნინოჲს მიერ მცხეთას შინა დღეთა ჩემთა.

17. ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა.

9. და ახლა სამასი წელია, რაც არც არანაირად შეისმინა ჩვენი ვედრება, არც დაგვალხინა. ფიქრი გვაქვს, რომ ზეციდან იყო ის კაცი“. და გახშირდა ასეთი წერილები.

10. ხოლო მე როცა გავიგე ეს, დავიწყე გამოკითხვა იმ ქალისაგან, ნინოსაგან, ქრისტეს შესახებ, თუ საიდან იყო იგი, ან რა მიზეზით იშვა ღმერთი კაცად.

11. მაშინ ნეტარმა ნინომ გახსნა ბაგე, როგორც ამომდინარე ჭამ და როგორც დაუწყვეტელმა წყარომ.

12. დაიწყო დასაბამიდან. ჩემს წიგნებს[102] ზეპირად წარმოთქვამდა და განმიმარტავდა; და როგორც მძინარეს გამაღვიძებდა და როგორც უგნურს განმანათლებდა; და მაბრალებდა ჩემს წინაპრებს და რჯულის შეცვლას შემაგონებდა.

13. ვიდრე არ ვირწმუნე მისი სიტყვებით ქრისტე, ღვთის ძე, და მისი ვნება და დიდებით აღდგომა და მისი მეორედ მოსვლა საშინელებით, და ჭეშმარიტად იგია წარმართთა მოლოდინი.

14. იმ დროს მე და ჩემი ასული ვეღირსეთ საპკურებელს და ცოდვათა განსაწმედელს, ემბაზს, წმიდა წყალს, რომელსაც ნატრობდა დავით წინასწარმეტყველი და ვერ ეწია.

15. და კიდევ მესმა მე ახალი რჯულის მგალობელთა ხმა, რომელსაც ნატრობდა იგივე დავითი და ვერ მოესწრო

16. და ღირსი გავხდი, რომ ვზიარებოდი ქვეყნიერების ცოდვებისთვის შეწირული ღვთის კრავის ჭეშმარიტ ხორცსა და სისხლს, რომლის გემოს ხილვაც ტკბილია და დე, ამის მერე ინებოს უფალმა ხორციდან ჩემი გასვლა, რადგან ჩემს დღეებში მრავალი სასწაული იხილეს ჩემმა თვალებმა ნინოსაგან მცხეთაში აღსრულებული.

17. და ელიოზის სახლი იყო ქალაქში დასავლეთით, მოგვეთის კართან, მტკვარზე.

18. და იყო მცირჱ ბაგინი, სამარხვოჲ მათი, რომელსა ზედა აღჰმართა წმიდამან ნინო ჯუარი ქრისტესი.

19. და ერთი ერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა ჴელითა იაკობ მღდელისაჲთა და პროსილა მთავარდიაკონისაჲთა, მთავართა შვილებსა, წიაღთა ქალაქისათა. და ერქუა ადგილსა მას მთავართა სანათლოჲ.

20. და ფრიად დიდებულ იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა თჳნიერ ნაშენებისა.

21. და მათ დღეთა შემეშურვნეს ფრიად ჰურიანი მცხეთელნი ჩემ ზედა და დასცეს ხჱ იგი კილამოჲ, რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისასა, რომელი განაშუენებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა

22. და იწყეს სადაჲთ-ვე წარსლვად თჳნიერ ხოლო ბარაბეანთასა, რომელნი-ცა მოინათლნეს ორმეოც და ათი სული სახლისა მათისაჲ. და მკჳდრ იქმნეს მცხეთას შინა.

23. და მიუბოძა მირეან მეფემან დაბაჲ ერთი, რომელსა ჰრქვან ციხე-დიდი, და იყვნეს დიდ წინაშე მეფისა და ქრისტეანეთასა მადლითა ნეტარისა ნინოჲსითა და მოძღურებითა მისითა.

24. და მათ დღეთა შინა მოიწია წიგნები ჰრომით წმიდისა პატრეაქისაჲ ნეტარისა ნინოჲსა და მირეან მეფისა და ყოვლისა ერისა ქართველისა.

25. და მოევლინა ბრაჯი მთავარდიაკონი ქებისა შესხმად და კურთხევისა მოცემად, და წმიდისა და ნეტარისა ნინოჲს ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად.

26. და ჰქონდა წიგნი ბრაჯთა მეფისაჲ ნეტარისა ნინოჲსა, რამეთუ მოენათლნეს იგინი მამასა მისსა ზაბილოვნს.

27. და ესე ყოველი მისმენილ იყო მათა იერუსალჱმით, ჰრომით, კოსტანტინეპოვლით, ვითარმედ მიფენილ არს მზჱ იგი სიმართლისაჲ, ნათელი, მამისა მიერ მოსრული - ქრისტე

28. და ამისთჳს სანატრელი წიგნი მოეწერა, რაჲთა-მცა ეუწყნეს საქმენი იგი და სასწაულნი და სუეტისაჲ მის და მაყუ-

18. და იყო მცირე ბაგინი, მათი სამარხვო, რომელზეც აღმართა წმიდა ნინომ ქრისტეს ჯვარი.

19. და სათითაოდ ნათელსცემდა იქ, ქალაქის წიაღში იაკობ მღვდელის და პროსილა მთავარდიაკონის ხელით მთავართა შვილებს. და ერქვა იმ ადგილს მთავართა სანათლო.

20. და ფრიად დიდებული იყო ის ადგილი ჩვენს დღეებში, რადგან იდგა ის უშენებელ ველზე.

21. და იმ დღეებში ძლიერ იეჭვიანეს მცხეთელმა იუდეველებმა ჩემზე და წააქციეს ის დარიჩინის ხე[103], რომელიც იდგა ბაგინის კართან და ამშვენებდა იმ ადგილს, რადგანაც გადაეფინა თავისი რტოები ბაგინის მთელ სტოაზე[104],

22. და დაიწყეს იუდეველებმა იქიდან წასვლა, გარდა ბარაბეანთა[105] სახლის ორმოცდაათი სულისა, რომლებიც მოინათლნენ და გახდნენ მცხეთის მკვიდრნი.

23. და უბოძა მირეან მეფემ ერთი დაბა, რომელსაც ჰქვია ციხედიდი და იყვნენ განდიდებულნი მეფისა და ქრისტიანთა წინაშე ნეტარი ნინოს მადლითა და მისი მოძღვრებით.

24. და იმ დროს მოვიდა წმიდა პატრიარქის წერილები რომიდან ნეტარი ნინოს, მირიან მეფისა და მთელი ქართველი ერისადმი.

25. და გამოეგზავნა ბრანჯი მთავარდიაკვანი ხოტბის შესასხმელად და კურთხევის მოსაცემად და წმიდა და ნეტარი ნინოს ლოცვის წასაღებად და მის მადლთან საზიარებლად.

26. და ჰქონდა ბრანჯთა მეფის წერილი ნეტარი ნინოსადმი მოწერილი, რადგან ისინი მამამის ზაბილონს მოენათლა.

27. და ეს ყველაფერი სმენოდათ მათ იერუსალემიდან, რომიდან, კონსტანტინეპოლიდან, რომ ამ ჩრდილოეთის ქვეყანას მიჰფენოდა სიმართლის მზე, ნათელი მამისაგან მოსული _ ქრისტე

28. და ამიტომაც მოეწერა სანეტარო წერილი, რომ გაგებული ჰქონდათ ის ამბები და სასწაულები და იმ სვეტისა და მაყვლოვა-

ლოვანისაჲ მის საკჳრველებანი და ძალი იგი კურნებათაჲ, რომელი იხილა მთავარდიაკონმან და განკჳრვებით ადიდებდა ღმერთსა.

29. და წარიღო წიგნები და წარვიდა.

თავი იგ

1. პატიოსნისა ჯუარისათჳს, რომელი აღწერა იაკობ

2. და იყო რაჟამს მოეკუეთა ხჱ იგი პატიოსნისა და ძლევის-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲ. და მოაქუნდა იგი ათსა ათეულ-სა კაცსა ზე-ზე რტოჲთურთ, და ფურცლით შემოაქუნდა ქალაქად.

3. და მისტყდებოდა ერი იგი მწუანის-ფერობასა მას და ფურ-ცლიანობასა. დღეთა ზაფხულის პირისათა, ოდეს სხუაჲ ყოველი ხჱ ჴმელ იყო, ხოლო იგი ყოვლად-ვე ფურცელდაუცჳვნებელ და სულჰამო და ხედვად შუენიერ იყო.

4. მაშინ ძირსა ზედა აღჰმართეს, კარსა ეკლესიისასა სამხრით-სა. ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა. და ჰბერვიდა წყალთაგან ნიავი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან და აძრევდა რტოთა მისთა. და იყო ხილვაჲ მისი შუენიერ და სულჰამო, ვითარცა სმენით ვიცით ხისა მისთჳს ალვისა. და ესე მოვჰკუეთეთ თუესა მარტსა კე~სა, დღესა პარასკევსა. და დაადგრა ხჱ იგი ოც და ათჩჳდმეტ დღედმდე, და არა შეიცვალა ფურცელი მისი, ვითარცა ძირსა ზედა მდგომარ-ისაჲ თავსა წყაროჲსასა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მაღნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერნი შეიმკვნეს ყუავილი-თა.

5. მაშინ თთუესა მაისსა ერთსა შეიქმნეს ჯუარნი ესე და შჳდსა მის თჳსასა აღემართნეს ჴელის დადებითა მეფისაჲთა, სიხ-

ნის საკვირველებანი და კურნებათა ის ძალა, რომელიც იხილა მთავარდიაკვანმა და გაკვირვებით ადიდებდა ღმერთს.

29. და წაიღო წერილები და წავიდა.

თავი 13

1. პატიოსანი ჯვრის შესახებ, რომელიც აღწერა იაკობმა.

2. და იყო: როცა მოიკვეთა პატიოსანი და გამმარჯვებელი პატიოსანი ჯვრის ხე, და მოჰქონდა ის ათ ათეულ ადამიანს ზეზეულად, რტოებით და ფოთლებით შემოჰქონდათ ქალაქში.

3. და მიაწყდებოდა ხალხი იმ სიმწვანესა და ფოთლოვანებას ზაფხულის პირის ჟამს, როდესაც ყველა სხვა ხე ხმელი იყო, ხოლო ის სრულიად ფოთოლდაუცვენელი, სურნელოვანი და შესახედავად მშვენიერი იყო.

4. მაშინ ძირზე აღმართეს, ეკლესიის სამხრეთ კართან. და უბერავდა წყლის მხრიდან ნიავი და შლიდა ხის ფოთლებს და არხევდა მის რტოებს. და იყო მისი შესახედაობა მშვენიერი და სურნელოვანი, როგორც გვსმენია იმ ალვის ხის შესახებ[106]. მოვკვეთეთ ის მარტის თვის ოცდახუთში, პარასკევ დღეს[107]. და იდგა ის ხე ოცდაჩვიდმეტი დღე და არ შეიცვალა მისი ფოთო-ლი, როგორც წყაროსთავთან თავის ფესვზე მდგარი, სანამ ტყის ყველა ხე არ შეიმოსა ფოთლით და ნაყოფიერი ხეები ყვა-ვილით არ შეიმკნენ.

5. მაშინ მაისის თვის პირველში დამზადდა ჯვრები და იმ თვის შვიდში აღიმართა მეფის ხელდასხმით, სიხარულით და მთე-ლი ქალაქის დიდი წადიერებით, იყვნენ რა ყველანი ეკლესიაში.

არულითა და დიდითა წადიერებითა ყოვლისა ქალაქისაჲთა, იყვნეს რაჲ ყოველნი იგი ეკლესიასა შინა.

6. და იხილეს სიმრავლემან ქალაქისამან ბნელთა მათ ღამეთა, და აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისაჲ დაგჳრგჳნებული ვარსკულავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადმდე, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა ამას ზედა.

7. და განთიად, რიჟურაჟუს ოდენ, გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი: ერთი იგი წარვიდის აღმოსავალით, და ერთი დასავალით.

8. და იგი თავადი ეგრე-ვე დგან მბრწყინვალედ, და ნელიად-ნელიად განდგის მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა, ზემო კერძო, ახლოს წყაროსა მას, რომელი-იგი აღმოადინეს ცრემლთა წმიდისა ნინოჲსთა, და მუნით აღმაღლდის ზეცად.

9. ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრავლემან ერისამან მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ.

10. მაშინ-ღა ვიწყეთ ნეტარისა ნინოჲსა კითხვად, ვითარმედ: "რაჲ-მე არს, რამეთუ გამოვიდის ნაბერწყალი და წარვიდის აღმოსავალით და დასავალით?"

11. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა მეფესა და ყოველსა ერსა: "განავლინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავალად ვიდრე კახეთისა მთადმდე, და დასავალით, ვიდრე მიაწევდეს სამეუფოჲ შენი.

12. და ოდეს მთიებნი იგი გამობრწყინდენ, იხილონ, თუ სადა დადგენ და მუნ-ცა აღჰმართენით ორნი ესე ჯუარნი საცოდ ყოველთა ქრისტეანეთა და დასამჴობელად მტერისა".

13. ხოლო მეფემან ყო ეგრეთ და შეიცვნა თავნი მთათანი მიწყებით ათ დღე,8

14. ესე იყო პარასკევსა, შაბათად-ღა განთენებოდა, და იყო სასწაული იგი-ვე, იქმნა ეგრე-ვე, ვითარცა ყოვლად-ვე იქმნის.

15. ხვალის დღე მოვიდეს დასავალითნი იგი, რომელნი-იგი დგეს მთათა ზედა, რომელ არს მთაჲ ქუაბთა-თავისაჲ, და უთხრეს

6. და იხილა მრავალმა ქალაქელმა იმ ღამეთა სიბნელეში, რომ ჩამოდიოდა ცეცხლის ჯვარი, ვარსკვლავით დაგვირგვინებული და დაადგებოდა ეკლესიას განთიადამდე, და ყველანი ადიდებდნენ ღმერთს ამის გამო.

7. და განთიადზე, გარიჟრაჟისას გამოდიოდა ხოლმე მისგან ორი ვარსკვლავი: ერთი წავიდოდა აღმოსავლეთით, და ერთიც დასავლეთით

8. და თვით იგი ისევე იდგა ბრწყინვალედ და ნელ-ნელა გადაინაცვლებდა არაგვის იმ მხარეს და დაადგებოდა კლდის ბორცვზე, ზემო მხარეს, იმ წყაროს ახლოს, რომელიც აღმოაცენეს წმიდა ნინოს ცრემლებმა და იქიდან ამაღლდებოდა ხოლმე ზეცად.

9. ასე მრავალჯერ იხილა ხალხის მთელმა სიმრავლემ ჩვენი ღმერთის მაცხოვარება.

10. მაშინღა დავიწყეთ ნეტარი ნინოს გამოკითხვა, რომ: „რა ნიშანი არის ეს, რომ გამოდის ნაპერწკალი და მიდის აღმოსავლეთით და დასავლეთით?“

11. ხოლო წმიდანმა უთხრა მეფეს და მთელ ერს: „გააგზავნეთ ხალხი მაღალ მთებზე აღმოსავლეთისკენ კახეთის მთამდე და დასავლეთით, ვიდრემდე შენი სამეფო უწევს.

12. და როდესაც ის მნათობები გამობრწყინდებიან, ნახავენ, თუ სად დადგებიან და იქვე აღმართეთ ეს ორი ჯვარი ყველა ქრისტიანის მცველად და მტრის დასამხობელად“.

13. და მეფემ გააკეთა ასე და მოიცვა მთის თხემები მიყოლებით;[108]

14. ეს იყო პარასკევს, შაბათი თენდებოდა და იყო იგივე სასწაული _ მოხდა ისევე, როგორც ყოველთვის ხდებოდა.

15. მეორე დღეს მოვიდნენ დასავლელები, რომლებიც იდგნენ მთებზე, ქვაბთა-თავის მთა რომ არის, და უთხრეს მეფეს, რომ

მეფესა, ვითარმედ დაადგრა ვარსკულავი იგი მთათა თხოთისათა
და შთავიდა ერგჳს [!] კასპისასა და დაადგრა ადგილსა ერთსა და
ნელად უჩინო იქმნა.

16. ეგრე-ვე მოვიდეს აღმოსავალით და თქუეს: "ვიხილეთ ვარ-
სკულავი იგი აქაჲთ მომავალი და დაადგრა დაბასა ბოდს კახეთისა
ქუეყანასა".

17. მაშინ ბრძანა ნეტარმან ნინო, რაჲთა წარიხუნენ ორნი ესე
ჯუარნი და აღჰმართნენ ერთი თხოთს, სადა-იგი ამხილა ღმერთმან
მეფესა ძალი თჳსი,

18. "და ერთი იგი მიეც სალომეს უჟარმელსა, ჭეშმარიტსა
მჴევალსა ქრისტესსა, და აღჰმართოს იგი უჟარმას ქალაქსა.

19. და დაბაჲ ბოდისი არა წინა-აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა,
რამეთუ ერისა სიმრავლჱ არს მუნ. დაბაჲ კულა ბოდისი თჳთ ვიხ-
ილოთ სათნოჲ იგი ადგილი ღმრთისაჲ".

20. და ვყავთ ეგრეთ, ვითარცა გჳბრძანა ჩუენ წმიდამან ნინო.

21. ხოლო ესე სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსა-
ნი ჯუარი მცხეთისაჲ აღვიპყართ ჴელითა კაცობრივითა და
მივედით ბორცუსა მას ქუეშე, წყაროსა მას ზედა და ვათიეთ ღამჱ
და ვილოცევდით ღმრთისა მიმართ.

22. ხოლო ნეტარი წმიდაჲ ნინო ცრემლითა განჰზავებდა წყა-
როსა მას, და იქმნებოდეს კურნებანი და სასწაულნი დიდ-დიდნი.

23. და ხვალის დღე აღვედით კლდესა მას ზედა. და მივიდა
ნეტარი ნინო და დავარდა ქვათა მათ ზედა ბორცჳსათა, და ტიროდა
იგი და მეფჱ და ყოველნი მთავარნი და ყოველი იგი სიმრავლჱ
ერისაჲ, მამათაჲ და დედათაჲ, და [იყო] ყრმათა ჩჩჳლთა ჟივილი,
ვიდრემდის მთანიცა ჴმა-სცემდეს.

24. და სასდვა ჴელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა და მრქუა მე:
"მოვედ, შენდა ჯერ-არს, დასწერე ჯუარი ქუასა ამას". და მე ვყავ
ეგრეთ.

დადგა ის ვარსკვლავი თხოთის მთებზე და ჩავიდა კასპის ერგვის-
ში[109] და დაადგა ერთ ადგილს და ნელა გაუჩინარდა.

16. ასევე მოვიდნენ აღმოსავლეთიდან და თქვეს: „ვნახეთ ის
ვარსკვლავი აქედან მომავალი და დაადგა დაბა ბოდს, კახეთის
ქვეყანაში“.

17. მაშინ ბრძანა ნეტარმა ნინომ, რომ: „წაიღონ ეს ორი
ჯვარი და აღმართონ ერთი თხოთზე, სადაც უჩვენა ღმერთმა
მეფეს თავისი ძალა

18. და ერთი მიეცი სალომე უჯარმელს, ქრისტეს ჭეშმარიტ
მხევალს, და აღმართოს ის ქალაქ უჯარმაში.

19. და დაბა ბოდისი ნუ შეეცილება მეფეთა ქალაქს, რადგან
ხალხის სიმრავლეა იქ. დაბა ბოდისს კი, იმ ღვთის სათნო ადგ-
ილს, საკუთრივ ვნახავთ“.

20. და გავაკეთეთ ისე, როგორც გვიბრძანა ჩვენ წმინდა ნი-
ნომ.

21. ხოლო ეს ზეცის საწაულებით გამოჩენილი მცხეთის პა-
ტიოსანი ჯვარი ავწიეთ კაცობრივი ხელით და მივედით იმ
ბორცვის ქვეშ, წყაროზე და ვათიეთ ღამე და ვლოცულობდით
ღვთის მიმართ.

22. ხოლო ნეტარი წმიდა ნინო ცრემლით განაზავებდა იმ
წყაროს და ხდებოდა კურნებები და დიდ-დიდი სასწაულები.

23. მეორე დღეს ავედით იმ კლდეზე. და მივიდა ნეტარი
ნინო და დაემხო იმ ბორცვის ქვებზე და ტიროდა ის და მეფე და
ყველა მთავარნი და მთელი ხალხის, ქალთა და კაცთა სიმრავ-
ლე და იდგა ჩვილი ბავშვების ჟივილი, იქამდე, რომ მთებიც
ხმას გამოსცემდნენ.

24. და დაადო ხელი წმიდა ნინომ ერთ ქვას და მითხრა მე:
„მოდი, შენ შეგფერის, დასწერე ჯვარი ამ ქვას“. და მეც გავაკეთე
ასე.

25. და მუნ აღჰმართეს ჯუარი იგი დიდებული მეფეთა. და მო-
დრკა მეფჱ მუჴლთა თჳსთა ზედა და ყოველნი მთავარნი, და ყოვე-
ლი სიმრავლჱ ერისაჲ და თავყუანის-სცეს ძლევით შემოსილსა
ჯუარსა,

26. და აღიარეს ჯუარ-ცუმული იესუ ქრისტე ჭეშმარიტად
ღმრთად და ძედ ღმრთისა ცხოველისად და ჰრწმენა სამებით დიდე-
ბული ღმერთი ყოველთა, რომელსა შუენის დიდებაჲ უკუნითი
უკუნისამდე, ამენ.

27. ხოლო დედანი იგი მთავარნი არასადა განეშორებოდეს
წმიდასა ეკლესიასა და სუეტსა ნათლისასა და ჯუარსა ცხოველსა,
რამეთუ ჰხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა და კურნებათა
მიუთხრობელთა.

28. მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთაჲ ქალაქი და წარვ-
იდა მთეულთა ხარებად პირუტყუთ-სახეთა მათ კაცთა და შემუსრ-
ვად კერპთა მა[თ].

29. ხოლო აქა შინა დაუტევა აბიათარ, ჰურია-ყოფილი იგი
მღდელი, რომელი იყო მეორჱ პავლე, რომელი არა დასცხრებოდა
ღამე და დღე ქადაგებასა ქრისტესსა, დიდებასა მისსა, ვიდრემდის
სივლტოლად იწყეს ჰურიათა;

30. ხოლო ბაგინისათჳს [ა]იძულებდა მეფესა, რაჲთა არა
შეძრან ნაშენები იგი მისი, არამედ რაჲთა შესძინოს აღშენებაჲ.
რამეთუ ვიდრე არღა გამოჩინებულ იყო ახალი მადლი ქუეყანასა
ამას, მუნ შინა იყო დიდებული სახელი საუკუნოჲსაჲ მის
ღმრთისაჲ.

31. და ერჩდა მეფჱ მისთა დღეთა, და იყვნეს მუნ შინა ელიოზის
ნათესავნი მღდელად ჰურიათა ზედა.

25. იქ აღმართეს ის დიდებული ჯვარი მეფეებმა. მოიდრიკა
მუხლი მეფემ, ყველა მთავარმა და ხალხის მთელმა სიმრავლემ და
თაყვანი სცეს ძლევით შემოსილ ჯვარს

26. და აღიარეს ჯვარცმული ქრისტე ჭეშმარიტ ღმერთად
და ცოცხალი ღვთის ძედ; და ირწმუნა ყველამ სამებით დიდებუ-
ლი ღმერთი, რომელსაც შვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე,
ამენ.

27. ხოლო ის მთავარი ქალები არ შორდებოდნენ წმიდა ეკ-
ლესიას და ნათლის სვეტს და ცოცხალ ჯვარს, რადგან ხედავდ-
ნენ იმ უზომო სასწაულებს და გამოუთქმელ კურნებებს.

28. მაშინ დატოვა წმიდა ნინომ მცხეთა ქალაქი და წავიდა
მთიელების, იმ პირუტყვის მსგავსი ხალხის სახარებლად და
მათი კერპების შესამუსრად.

29. ხოლო აქ დატოვა აბიათარი, იუდეველყოფილი მღვდე-
ლი, რომელიც იყო მეორე პავლე; რომელიც არ ცხრებოდა დღე-
დაღამე ქრისტეს ქადაგებაში, მის დიდებაში, ვიდრე იუდე-
ველებმა არ დაიწყეს გაქცევა.

30. ხოლო ბაგინისათვის აიძულებდა აბიათარი მეფეს, რომ
კი არ დაენგრიათ მისი შენობა, არამედ რომ შეემატებინა ნაგებო-
ბა, რადგან სანამ ჯერ კიდევ არ იყო გამოჩენილი ახალი მადლი
ამ ქვეყანაზე, მასში იყო საუკუნო ღმერთის დიდებული სახე-
ლი.

31. და უჯერებდა მეფე თავის სიცოცხლეში და იყვნენ იქ
ელიოზის შთამომავლები იუდეველ მღვდლად.

თავი იდ [9]

1. აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ

2. და იყო რაჟამს მოიქცა ყოველი ქართლი, ზრახვა-ყვეს მღდელთა მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს საბერძნეთით, აღმართებად ნიში ჯუარისაჲ.

3. ჰრქუეს მღდელთა მათ მირეან მეფესა: "ჯერ და წეს-არს აღმართებად საუფლოჲ ნიში ჯუარისაჲ".

4. და სათნო უჩნდა მეფესა და ყოველსა ერსა. და სიხარულით შეიწყნარეს სიტყუაჲ იგი მღდელთაჲ მათ და სწავლაჲ.

5. და უბრძანა მირეან მეფემან ძელი საჯუარედ. წარვიდეს ხუროონი და მოჰკუეთეს ხჱ ერთი ჰაეროვანი.

6. და უბრძანა მეფემან შესაქმედ ჯუარი. ხოლო მღდელნი იგი ასწავებდეს სახესა მას ჯუარისასა, და რაჟამს შექმნეს ჯუარი იგი, მოვიდეს და უთხრეს მირეან მეფესა ხუროთა მათ, ვითარმედ: "შევქმენით ჩუენ ჯუარი იგი, ვითარცა მღდელთა მათ გუასწავეს".

7. და მეყს აღდგა მეფჱ იგი სიხარულით და ყოველმან ერმან იხილეს სახჱ იგი ჯუარისაჲ მის. და დაუკჳრდა ფრიად და ადიდებდეს ღმერთსა.

8. მას ჟამსა გულისხმა-ყო და მოეჴსენა მეფესა, ოდეს-იგი დღჱ დაუბნელდა მთასა ზედა. ვითარ-იგი ნათელი მბრწყინვალებისა დიდისაჲ იხილა მსგავსად ჯუარისა, და ვითარ იხილა, იცნა.

9. მაშინ უთხრობდა მღდელთა მათ და ყოველსა ერსა ხილვასა მას და ვითარ განუნათლა ბნელი იგი ნიშმან ჯუარისამან წინაშე თუალთა მისთა.

10. მაშინ, ვითარცა ესმა ერსა მას სიტყუაჲ იგი მეფისაჲ, უმეტესად-ღა და უფროჲს ჰრწმენა იესუ ქრისტე და ნიში იგი ჯუარისა მისისაჲ, და ყოველთა ერთობით სიხარულით თაყუანისსცეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.

თავი 14

1. მცხეთის პატიოსანი ჯვრის აღმართვა და მერე ისევ გამოცხადება.

2. და იყო; როცა მოიქცა მთელი ქართლი, იმ მღვდლებმა, რომლებიც საბერძნეთიდან იყვნენ მოსულნი, ჯვრის ნიშის აღმართვა განიზრახეს.

3. უთხრეს იმ მღვდლებმა მირიან მეფეს: „წესი და რიგია საუფლო ჯვრის ნიშის აღმართვა“.

4. და მოიწონა მეფემ და მთელმა ხალხმა და სიხარულით მიიღეს იმ მღვდლების სიტყვა და დარიგება.

5. და უბრძანა მირიან მეფემ საჯვარედ ძელის [დამზადება]. წავიდნენ ხუროები და მოკვეთეს ერთი მშვენიერი ხე.

6. და უბრძანა მეფემ ჯვრის შექმნა. ხოლო ის მღვდლები ასწავლიდნენ ჯვრის შესახედაობას და როცა შექმნეს ის ჯვარი, მოვიდნენ და უთხრეს მირიან მეფეს ხუროებმა, რომ: „გავაკეთეთ ჩვენ ჯვარი, როგორც იმ მღვდლებმა გვასწავლეს“.

7. და მაშინვე ადგა მეფე სიხარულით და მთელმა ხალხმა იხილა იმ ჯვრის გამოსახულება. და გაუკვირდათ ძალზე და ადიდებდნენ ღმერთს.

8. იმ დროს მოიგონა და გაახსენდა მეფეს: როდესაც დღე დაუბნელდა მთაზე, როგორ იხილა ჯვრის მსგავსი დიდი ბრწყინვალების ნათელი და როგორც კი ნახა, იცნო.

9. მაშინ უამბობდა იმ მღვდლებს და მთელ ხალხს იმ ხილვას და თუ როგორ გაუნათა ჯვრის ნიშანმა ბნელი საკუთარ თვალწინ.

10. მაშინ, როცა გაიგო ხალხმა მეფის ეს სიტყვები, კიდევ უფრო მეტად ირწმუნა იესო ქრისტე და მისი ჯვრის ნიშანი და ყველამ ერთობლივად სიხარულით თაყვანი სცა მას და ადიდებდნენ ღმერთს.

11. მაშინ განაზრახვიდა მეფჱ ყოველსა მას ერსა, ვითარმედ
რომელსა-მე ადგილსა აღჰმართონ სახჱ იგი ჯუარისაჲ. ხოლო
კაცად-კაცადი იტყოდა, სადა ვის მარჯუე უჩნდა, არამედ ვერ სადა
გამოირჩიეს.

12. მას ჟამსა მირეან მეფჱ ილოცვიდა და იტყოდა: "უფალო
იესუ ქრისტე, რომელი გურწამ ტყჳსა ამის მიერ და გუასწავეს
მღდელთა ამათ შენთა,

13. შენ, იესუ ქრისტე, რომელმან თავი თჳსი დაიმდაბლე და
ხატი მონებისაჲ შთაიცუ სიმდაბლითა შენითა, რომელი
გარდამოჰჴედ კურთხეულთაგან წიაღთა მამისათა,

14. რომელმან დაუტევენ ჩუენთჳს საყდარნი, უფლებანი და
ძალნი და დაემკჳდრე საშოსა წმიდისა ქალწულისასა,

15. და მერმე ჯუარს-ეცუ პონტოველისა პილატეს ზე, დაეფალ
გულსა ქუეყანისასა და მესამესა დღესა ასდეგ და აღასრულე
ყოველი-ვე თქუმული წინაჲსწარმეტყუელთაჲ,

16. აღჰმაღლდი ზეცად და დაშჯედ მარჯუენით მამისა, და
მერმე მოსლვად ხარ განშჯად ცხოველთა და მკუდართა,

17. და დაგჳტევე ჩუენ ნიში ჯუარისა შენისაჲ დასარღუევე-
ლად უხილავთა მანქანებათა მტერისათა;

18. ხოლო ჩუენ, მოშიშთა შენთა, მოგჳღებიეს სასწაულად,
რაჲთა განვერნეთ პირსა ეშმაკისასა, რომლისაგან-ცა
წარტყუენულ ვიყვენით.

19. ხოლო აწ შენ, უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, ინებე
გამოცხადებაჲ ადგილისაჲ, რომელსა აღვჰმართოთ ნიში ჯუარისა
შენისაჲ,

20. რაჲთა იხილონ მოძულეთა ჩუენთა და ჰრცხუენოდის, რამ-
ეთუ შენ, უფალი, შემეწიე ჩუენ და ნუგეშინის-მეც ჩუენ".

21. და ვითარცა შემწუხრდა, მას ღამესა ჩუენებით დაადგრა ან-
გელოზი უფლისაჲ მირეან მეფესა და უჩუენა მას ბორცჳ ერთი არა-
გუსა წიაღ კერძო, მახლობელად მცხეთასა და ჰრქუა მას: "ესე ადგი-
ლი გამოურჩევიეს ღმერთსა. ამას ზედა აღჰმართე ნიში ჯუარისაჲ".

11. მაშინ ეთათბირა მეფე მთელ ხალხს, თუ რომელ ადგილას
აღემართათ ჯვრის გამოსახულება. ხოლო თითოეული კაცი იმას
ამბობდა, სადაც ვის მარჯვე ეჩვენებოდა, მაგრამ ვერცერთი გამო-
არჩიეს.

12. იმ დროს მირიან მეფე ლოცულობდა და ამბობდა: „უფა-
ლო იესო ქრისტე, რომელიც გვწამხარ ამ ტყვის მიერ და შენი
მღვდლების სწავლებით[110],

13. შენ, იესო ქრისტე, რომელმაც საკუთარი თავი დაიმდ-
აბლე და შენი სიმდაბლით მონების ხატი შეიმოსე, რომელიც
ჩამოხვედი მამის კურთხეული წიაღიდან,

14. რომელმაც ჩვენს გამო დატოვე საყდარნი, უფლებანი და
ძალნი[111] და დამკვიდრდი წმინდა ქალწულის საშოში

15. და მერე ჯვარს ეცვი პონტოელი პილატეს დროს, დაე-
ფალ მიწის გულში და მესამე დღეს აღსდექი და აღასრულე
წინასწარმეტყველთა ყველა ნათქვამი,

16. ამაღლდი ზეცაში და დაჯექი მამის მარჯვნივ და ისევ
მოხვალ ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად

17. და დაგვიტოვე ჩვენ ჯვრის ნიშანი მტრის უხილავი
ხრიკების გასაქარწყლებლად;

18. და ჩვენ, შენს მოშიშებს, მიღებული გვაქვს ნიშნად, რომ
გავერიდოთ ეშმაკის პირს[112], რომლისგანაც დატყვევებული
ვიყავით.

19. ხოლო ახლა შენ, უფალო, ღმერთო ჩვენო მაცხოვარო,
ინებე იმ ადგილის გამოცხადება, რომელზეც უნდა აღვმართოთ
ჯვრის ნიშანი,

20. რომ ჩვენმა მოძულეებმა იხილონ და შერცხვეთ, რადგან
შენ, უფალი, შეგვეწიე ჩვენ და ნუგეში გვეცი".

21. და როცა მოსაღამოვდა, იმ ღამეს ეჩვენა უფლის ან-
გელოზი მირიან მეფეს და უჩვენა მას ერთი ბორცვი არაგვის
გაღმა მხარეს, მცხეთის მახლობლად და უთხრა მას: „ეს ადგ-
ილი გამოურჩევია ღმერთს. ამაზე აღმართე ჯვრის ნიშანი".

22. და ვითარცა განთენა, უთხრა მირეან მეფემან მღდელთა მათ ჩუენებაჲ იგი ანგელოზისაჲ და სიტყუაჲ-ცა იგი, რომელ ჰრქუა. და ბორცკ-ცა იგი, რომელი უჩუენა.

23. ვითარცა ესმა ჩუენებაჲ იგი და ადგილი-ცა იგი იხილეს, სათნო უჩნდა ყოველსა ერსა ბორცკ იგი, და სიხარულითა და გალობითა დიდითა ყოველთა ერთბამად აღიღეს ჯუარი იგი და აღჰმართეს ბორცუსა მას ზედა მძლჱ ნიში ჯუარისაჲ მცხეთასა მახლობელად, მართლ წინაშე აღმოსავალით, დღესა კჳრიაკესა, აღვსებისა ზატიკის ზატიკსა.

24. და ვითარცა აღემართა ნიში ჯუარისაჲ ქუეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუსრნეს, და საკერპონი დაირღუეს.

25. ვითარცა იხილეს ესე საკჳრველი საქმჱ და სასწაული, რომელი ქმნა ძლევის-მყოფელმან მან ნიშმან ჯუარისამან კერპთა ზედა, უფროჲს განუკჳრდებოდა საქმჱ ესე და ადიდებდეს ღმერთსა და სიხარულით თავყუანის-სცემდეს პატიოსანსა ჯუარსა.

26. და ყო მირეან მეფემან და ყოველმან ერმან მცხეთისამან შესაწირავი დიდი მას დღესა შინა პატიოსნისა ჯუარისა.

27. და დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღვსებისა ზატიკის ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა, ყოველმან ქართლმან, ვიდრე დღენდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდე.

28. და იყო რაოდენისა-მე ჟამისა შემდგომად, მარტჳლიისა უკუანა, იხილეს სასწაული დიდი და საშინელი დღესა ოთხშაბათსა.

29. აჰა ესერა სუეტი ნათლისაჲ სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგჳრგჳნებულ იყვნეს გარემოჲს მისა, ეგრე-ვე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგჳრგჳნებულ იყვნეს.

22. და როცა გათენდა, მოუთხრო მირიან მეფემ მღვდლებს ანგელოზის ჩვენება და ის სიტყვაც, რაც მან უთხრა და მიანიშნა ის ბორცვიც, რომელიც ანგელოზმა უჩვენა.

23. როცა მოისმინეს ის ჩვენება და ის ადგილიც ნახეს, მოეწონა მთელ ხალხს ის ბორცვი და დიდი სიხარულითა და გალობით ყველამ ერთბაშად აიღო ჯვარი და აღმართეს იმ ბორცვზე ჯვრის მძლე ნიშანი მცხეთის მახლობლად, მის მოპირდაპირედ აღმოსავლეთით, კვირა დღეს, აღვსების ზატიკის ზატიკზე[113].

24. და როგორც კი აღიმართა ჯვრის ნიშანი ქართლის ქვეყანაზე, მაშინვე დაეცა ყველა კერპი, რომელიც ქართლის საზღვრებში იყო, შეიმუსრნენ და საკერპოებიც დაიქცნენ.

25. როცა ნახეს ეს საკვირველი საქმე და სასწაული, რომელიც მოაწია იმ გამმარჯვებელი ჯვრის ნიშანმა კერპებზე, უფრო მეტად გაუკვირდათ ეს ამბავი და ადიდებდნენ ღმერთს და სიხარულით თაყვანს სცემდნენ პატიოსან ჯვარს.

26. და გაიღო მირიან მეფემ და მთელმა მცხეთელმა ხალხმა დიდი შესაწირავი იმ დღეებში პატიოსანი ჯვრისთვის.

27. და დააწესა მთელმა ქართლმა ძლევით შემოსილი ჯვრის დღესასწაული აღვსების ზატიკის ზატიკზე, კვირა დღეს, ვიდრე დღევანდელ დღემდე და ვიდრე უკუნისამდე.

28. და იყო რამდენიმე ხნის შემდეგ, მარტვილიის[114] მერე, იხილეს დიდი და საშინელი სასწაული ოთხშაბათ დღეს.

29. აჰა, აი, ჯვრის მსგავსი ნათლის სვეტი ზედ დაადგა იმ ჯვარს და თორმეტი ანგელოზი დაგვირგვინებული იყო მის გარშემო, ამგვარადვე იყო დაგვირგვინებული თორმეტი ვარსკვლავი.

30. ხოლო ბორცჴ იგი ჯუარისაჲ ერთ-სახედ კუმოდა სულნელად.

31. და ვითარ ჰხედვიდეს სასწაულსა მას, მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცევოდეს და ნათელს-იღებდეს და აღაშენებდეს ეკლესიათა. ხოლო მორწმუნენი უფროჲს განმტკიცნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

32. და მერმე კუალად იხილეს სხუაჲ სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ: ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი,

33. და ვითარცა საჴუმილისა რაჲ ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრე სახედ იყო: აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდამოვიდოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა.

34. ხოლო ბორცჴ იგი ჯუარისაჲ იხარებდა ძლიერად და ყოველი ქუეყანაჲ იძრვოდა, და მთათა და ბორცუთა და ღელეთა არმური სულნელებისაჲ აღვიდოდა ცამდე, და კლდენი შეიმუსრვოდეს, და სულნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა ყოველსა ქუეყანასა.

35. და ესე არა ზედა-მოჲთ იყო და არცა თანა-წარსლვით, არამედ მყოვარ ჟამ.

36. და ჴმანი დიდნი ისმოდეს და ყოველი იგი ერი ჰხედვიდა მას და ესმოდა ოხრაჲ იგი გალობისაჲ;

37. შეშინდეს და დაუკჴრდა ფრიად, შიშით და ძრწოლით თავყუანის-სცემდეს პატიოსანსა ჯუარსა და სიხარულითა დიდითა ადიდებდეს ღმერთსა.

38. და იყო რაოდენისა-მე ჟამისა შემდგომად, ვითარცა სასწაულნი და ხილვანი დასცხრებოდეს, ეგრე-ვე ძრვანი იგი დიდ-დიდნი და საშინელნი და-ვე-სცხრეს.

39. და შემდგომად ამისა სხუანი მრავალნი სასწაულნი და ნიშნი იქმნებოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა ზეცით გარდამო.

40. და ჰხედვიდა ყოველი ერი და შიშით და ძრწოლით მივლენედ თავყუანის-ცემად გულს-მოდგინედ პატიოსანსა ჯუარსა და სიხარულით ადიდებედ ღმერთსა.

30. ხოლო ჯვრის ის ბორცვი ერთიანად სურნელად იკმეოდა.

31. და როცა ხედავდნენ ამ სასწაულს, უღმერთოთაგან მრავალი მოიქცეოდა და ნათელს იღებდა და აშენებდნენ ეკლესიებს. ხოლო მორწმუნეები კიდევ უფრო განმტკიცდებოდნენ და ადიდებდნენ ღმერთს.

32. და მერე კვლავ იხილეს პატიოსანი ჯვრის სხვა სასწაული: თითქოს ცეცხლი ადგა და თითქოს მზეზე სამჯერ უბრწყინვალესი ალი გიზგიზებდა ჯვრის თავზე,

33. და როგორც ღუმელის ნაპერწკლები აედინებიან ძლიერად ზემოთ, ამგვარადვე იყო: ადიოდნენ ანგელოზები და ჩამოდიოდნენ პატიოსან ჯვარზე.

34. ხოლო ჯვრის ბორცვი ძლიერ ხარობდა და მთელი ქვეყანა იძვროდა, მთათა და ბორცვთა და ღელეთა სურნელების კვამლი ცამდე ადიოდა, კლდეები ირღვეოდნენ და დიდძალი სურნელი მიეფინებოდა მთელ ქვეყანას.

35. და ეს იყო არა უცაბედი დაცხრომით და უცაბედი ჩავლით, არამედ ხანგრძლივად.

36. და ძლიერი ხმები გაისმოდა და მთელი ის ხალხი ხედავდა ამას და ესმოდა გალობის ხმა.

37. შეშინდნენ და ძლიერ უკვირდათ, შიშით და ძრწოლით თაყვანს სცემდნენ პატიოსან ჯვარს და დიდი სიხარულით ადიდებდნენ ღმერთს.

38. და იყო: რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სასწაულები და ხილვები დაცხრნენ, ის დიდ-დიდი და საშინელი ძვრებიც ასევე დაცხრნენ.

39. და ამის შემდეგაც სხვა მრავალი სასწაული და ნიშანი ხდებოდა პატიოსან ჯვარზე ზეციდან.

40. და ხედავდა მთელი ხალხი და შიშით და ძრწოლით მიდიოდნენ პატიოსანი ჯვრის გულმოდგინედ თაყვანის საცემად და სიხარულით ადიდებდნენ ღმერთს.

41. მას ჟამსა იყო ვინმე კაცი ერთი მოშიში ღმრთისაჲ, რომელ-
სა ერქუა რევ, ძჱ მეფისაჲ.

42. და იყო ძჱ რევისი სნეულ და მიწევნულ სიკუდიდ.

43. რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა, მოიღო იგი და დააგდო
წინაშე პატიოსნისა ჯუარისა და ცრემლით ითხოვდა მისგან:
"უკუეთუ მომიბოძო ყრმაჲ ესე, გუმბადი აღვაშენო საყოფლად
შენდა".

44. და ვითარცა იგი მწარედ და უწყინოდ ტიროდა წინაშე
პატიოსნისა ჯუარისა, მუნქუეს-ვე განიკურნა ყრმაჲ იგი, და სიხ-
არულითა დიდითა წარიყვანა და ადიდებდა ღმერთსა და
პატიოსანსა ჯუარსა.

45. მერმე მოვიდა აღნათქუემისა აღსრულებად და ყო მადლისა
მიცემაჲ და დიდი სიხარული, და გულს-მოდგინედ გუმბადი
აღაშენა მცხეთისაჲ რევის ძემან,

46. და წლითი-წლად მოვიდის და აღასრულის მსახურებაჲ იგი
პატიოსნისა ჯუარისაჲ.

47. და მიერითგან უფროჲს-ღა და უმეტეს მოვიდოდეს
სნეულნი მრავალნი და უძლურნი და განიკურნებოდეს და
სიხარულით ადიდებდეს ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა.

48. იყო ვინმე ჭაბუკი ერთი და ორნი-ვე თუალნი დადგომილ
იყვნეს. მოვიდა და შეუერდა პატიოსანსა ჯუარსა და ევედრებოდა
იგი გულს-მოდგინედ. და შემდგომად შჯდისა დღისა აღეხილნეს
თუალნი მისნი და სიხარულით ადიდებდა ღმერთსა და პატიოსანსა
ჯუარსა.

49. დედაკაცი ვინმე იყო მარადის გუემული სულითა უკეთუ-
რითა, და ეგოდენ გუემაჲ მოიღო, რაჟამს პატიოსანსა ჯუარსა
შეამთხუეედ, სამოსელსა ჯუარისასა მოაპებნ.

50. და იყო მეათოთხმეტისა დღისა შემდგომად განიკურნა
დედაკაცი იგი და წარვიდა იგი ფერჴითა თჳსითა სიხარულით,
ადიდებდა ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა.

41. იმ დროს იყო ერთი ვინმე კაცი, ღვთის მოშიში, რომელ-
საც ერქვა რევი, მეფის ძე.

42. და იყო რევის ძე სნეული და სიკვდილამდე მისული.

43. რადგან მხოლოდ ის ერთი ჰყავდა, მოიყვანა იგი და
დააწვინა პატიოსანი ჯვრის წინაშე და ცრემლით ითხოვდა
მისგან: „თუკი დამიბრუნებ ამ ყრმას, გუმბადს[115] ავაშენებ შენს
სახლად“.

44. და რადგანაც მწარედ და მოუწყენლად ტიროდა პა-
ტიოსანი ჯვრის წინაშე, იქვე განიკურნა ის ყრმა და დიდი სიხ-
არულით წაიყვანა და ადიდებდა ღმერთს და პატიოსან ჯვარს.

45. მერე მოვიდა აღთქმულის შესასრულებლად და გადაიხ-
ადა მადლობა და დიდი ლხინი; და გულმოდგინედ ააშენა მცხე-
თის გუმბადი რევის ძემ

46. და ყოველწლიურად მოდიოდა და აღასრულებდა იმ პა-
ტიოსანი ჯვრის მსახურებას.

47. და მას შემდეგ და კიდევ უფრო მრავალი სნეული და
უძლური მოდიოდა და განიკურნებოდა და სიხარულით ადიდებდ-
ნენ ღმერთს და პატიოსან ჯვარს.

48. იყო ერთი ვიღაც ჭაბუკი და ორივე თვალი ბრმა ჰქონდა.
მოვიდა და თაყვანი სცა პატიოსან ჯვარს და ევედრებოდა იგი
გულმოდგინედ. და შვიდი დღის შემდეგ თვალი აეხილა და სიხ-
არულით ადიდებდა ღმერთს და პატიოსან ჯვარს.

49. იყო ვიღაც ქალი უკეთური სულის მიერ მუდმივად
ნაგვემი, და იმდენად იგვემებოდა, რომ როცა პატიოსან ჯვარზე
ამთხვევდნენ, ჯვრის სამოსელს შემოახევდა ხოლმე.

50. და მეთოთხმეტე დღის შემდეგ განიკურნა ის ქალი და
წავიდა იგი თავისი ფეხით, სიხარულით ადიდებდა ღმერთს და
პატიოსან ჯვარს.

51. კუალად იყო ვინმე დედაკაცი სხუაჲ, და ესუა მას ძჱ და
მეესეულად დასწყჳდნა ყრმასა მას; და აღიქუა იგი დედამან
მისმან, მოიღო იგი და დააგდო წინაშე პატიოსანსა ჯუარსა,

52. და იდვა ყრმაჲ იგი მწყდარი წინაშე წმიდასა ჯუარსა
დილეულითგან ვიდრე მწუხრადმდე, ხოლო დედაჲ ყრმისაჲ მის
ტირილით ილოცვიდა წინაშე პატიოსნისა ჯუარისა.

53. და ეტყოდეს მას მუნ მდგომარენი: "მომკუდარ არს ეგე.
წარიღე და დაჰმარხე და ნუღარა აწყინებ!"

54. ხოლო მან არა წარიკუეთა სასოვებაჲ, არამედ უფროჲსადღა
საწყალობელად ცრემლოოდა და ითხოვდა შეწევნასა.

55. და მწუხრისა ოდენ ჟამსა სულნი უკუნ-იხუნა ყრმამან მან
და თუალნი აღიხილნა და შემდგომად სამისა დღისა განკურნებული
წარიყვანა იგი დედამან თჳსმან და ადიდებდა ღმერთსა და
პატიოსანსა ჯუარსა.

56. და ვითარცა იხილ[ნ]ეს ყოველთა სასწაულნი ესე დიდებულნი
პატიოსნისა ჯუარისანი, მრავალნი უშვილონი მოვლენედ
და ილოცვედ მისგან შვილიერებასა და შვილითა განმაძღარნი
ადიდებედ ღმერთსა და შესაწირავთა და მადლთა მისცემედ
პატიოსანსა ჯუარსა.

57. არა ხოლო თუ რომელნი მუნ მივლენედ და მათ ოდენ მიჰ-
მადლებნ სათხოველსა, არამედ მათ-ცა, რომელნი შორს არიედ,

58. გინათუ ბრძოლასა, ღუაწლსა შინა ხადიედ პატიოსანსა
ჯუარსა მცხეთისასა, მუ[ნ]თქუესვე მძლე-ექმნ[ნ]იან მტერთა,
შეწევნითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, და დიდითა სიხარულითა მო-
ვიდიან მადლისა მიცემად პატიოსნისა ჯუარისა.

59. მრავალნი უღმრთონი-ცა ჭირსა შეცჳვეს, ხოლო რაჟამს
სარწმუნოებით ჰხადოდეს პატიოსანსა ჯუარსა მცხეთისასა,
მუნქუეს-ვე განერნიან, და სიხარულითა დიდითა მოვიდიან
თავყუანის-ცემად პატიოსანსა ჯუარსა, და ნათელი მოიღიან, და
სიხარულით ადიდებედ ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა.

51. კიდევ იყო სხვა ქალი და ჰყავდა მას ძე და უეცრად
დაენარცხა ის ყრმა და აიღო მისმა დედამ და მოიყვანა იგი და
დააწვინა პატიოსანი ჯვრის წინაშე

52. და იწვა ის ყრმა ცოცხალ-მკვდარი წმიდა ჯვრის
წინაშე დილიდან საღამომდე, ხოლო იმ ყრმის დედა ტირილით
ლოცულობდა პატიოსანი ჯვრის წინაშე.

53. და ეუბნებოდნენ მას იქ მდგომნი: „მკვდარია ეს. წაიღე
და დამარხე და ნუღარ აწუხებ“.

54. ხოლო მან არ დაკარგა იმედი, არამედ კიდევ უფრო საწ-
ყალობლად იცრემლებოდა და ითხოვდა შეწევნას.

55. და როცა მოსაღამოვდა, სული მოიბრუნა იმ ყრმამ და
თვალები აახილა და სამი დღის შემდეგ განკურნებული წაიყ-
ვანა იგი დედამისმა და ადიდებდა ღმერთს და პატიოსან
ჯვარს.

56. და როცა ნახა ყველამ დიდებული და პატიოსანი ჯვრის ეს
სასწაულები, მრავალი უშვილო მოდიოდა და ევედრებოდა მას
შვილიერებას და შვილებით ავსებულნი ადიდებდნენ ღმერთს და
შესაწირავებს და მადლობას სწირავდნენ პატიოსან ჯვარს.

57. რომლებიც იქ მიდიოდნენ, არა მხოლოდ მათ მიანიჭებდა
სათხოვარს, არამედ მათაც, რომლებიც შორს იყვნენ,

58. გინდაც ბრძოლისას, ლაშქრობაში რომ მოუხმობდნენ მცხ-
ეთის პატიოსან ჯვარს, მაშინვე სძლევდნენ მტრებს პატიოსანი
ჯვრის შეწევნით და დიდი სიხარულით მოდიოდნენ პატიოსანი
ჯვრისთვის მადლობის შესაწირად.

59. მრავალი უღმერთოც გასაჭირში ჩაცვივდა და რაწ-
ამსაც სარწმუნოებით მოუხმობდნენ მცხეთის პატიოსან ჯვარს,
მაშინვე გადარჩებოდნენ და დიდი სიხარულით მოდიოდნენ პა-
ტიოსანი ჯვრის თაყვანის საცემად, ნათელს იღებდნენ და სიხ-
არულით ადიდებდნენ ღმერთს და პატიოსან ჯვარს.

60. ხოლო სხუანი მრავალნი მრავალსა ჭირსა შეცჳვეს და ვე-
დრებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა განერჩნიან, და მრავალნი
სნეულნი პირად-პირადითა სენითა მავლენედ ვედრებად
პატიოსნისა ჯუარისა და განიკურნებიედ ვიდრე დღენდელად
დღედმდე.

61. და სხუანი-ცა სასწაულნი იქმნებოდეს წინაშე პატიოსნისა
ჯუარისა ზეცით გარდამო ღმრთისა მიერ, რომელნი არა დაწერილ
არიან წიგნსა ამას.

62. ხოლო ესე ოდენ დაიწერნეს საქებელად ღმრთისა და
სადიდებელად პატიოსნისა ჯუარისა და რაჲთა ჩუენ ყოველნი ვა-
დიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს
დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი იე

1. წიგნი, რომელი დაწერა მირეან მეფემან ქართლისამან ჟამსა
სიკუდილისასა, აღწერა ჴელითა იაკობ მთავარებისკოპოსისაჲთა
და მისცა სალომეს უჟარმელსა, ძის ცოლსა თჳსსა, რომელი
მეცნიერ იყო ყოველსა-ვე ჭეშმარიტად.

2. და იყო ჟამსა მას, რომელსა მოიჴსენა უფალმან ქუეყანაჲ
ესე ჩრდილოჲსაჲ, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცთომითა ეშ-
მაკისაჲთა, ვიყვენით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი,

3. რამეთუ ვარ მე ოც და მეათექუსმეტჱ მეფჱ, ვინაჲთგან მამ-
ანი ჩუენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთამდე

4. და შეჭამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათჳს საძ-
აგელთა და უბრალოჲ იგი ერი ქუეყანისაჲ მის,

5. და რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა თივასა, თიბდეს მამა-
ნი ჩუენნი, რაჲთა სათნო-ეყვნენ კერპთა, და უფროჲს ხოლო ორთა
მათ მთათა, არმაზისა და ზადენისა, რომელთა ქვანი-ცა მათნი
დაულტვან სისხლითა ჩჩჳლთაჲთა.

60. და სხვა მრავალიც მრავალ გასაჭირში ჩაცვივდა და პა-
ტიოსანი ჯვრის ვედრებით გადარჩა. და მრავალი სნეული, ნაირ-
ნაირი სენით მოდის პატიოსან ჯვართან სავედრებლად და
იკურნებიან დღევანდელ დღემდე.

61. და სხვა სასწაულებიც ხდებოდა პატიოსანი ჯვრის
წინაშე ზეციდან ღვთის მიერ, რაც არ დაწერილა ამ წიგნში.

62. მხოლოდ ესოდენი დაიწერა ღვთის საქებლად და პა-
ტიოსანი ჯვრის სადიდებლად, რათა ჩვენ ყველა ვადიდებდეთ
მამას და ძეს და წმიდა სულს, რომლისაც არის დიდება აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 15

1. წიგნი, რომელიც დაწერა მირეან ქართლის მეფემ
სიკვდილის ჟამს, აღწერა იაკობ მთავარეპისკოპოსის ხელით და
მისცა სალომე უჯარმელს, თავის ძის ცოლს, რომელიც ჭეშმარ-
იტად ყოველივეს მცოდნე იყო.

2. და იყო: იმ დროს, როცა გაიხსენა უფალმა ჩრდილოეთ-
ის ეს ქვეყანა, ცოდვით დაბნელებული და ეშმაკის ცდომილებე-
ბით სავსე, ვიყავით ჩვენ, როგორც დასაკლავი ცხვრები*,

3. ვინაიდან მე ვარ ოცდამეთექვსმეტე[116] მეფე, რა
დროიდანაც ჩვენი მამები გამოჩნდნენ ჩემამდე

4. და შეჭამეს თავიანთი შვილები საძაგელ კერპთა მსხ-
ვერპლად** და ამ ქვეყნის უბრალო ხალხიც;

5. და ჩვენი მამები, რომლებიც როგორც თივას, ისე
თიბავდნენ თავის შვილებს, რომ კერპების მოსაწონნი გამხ-
დარიყვნენ და უფრო მეტად კი იმ ორი მთის, არმაზისა და
ზადენის, რომელთა ქვებიც კი დაულტვიათ ჩვილთა სისხლით.

* ფს. 43:23; რომ. 8:36
** შდრ. ფს. 105:37

6. და ღირს-ცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, რისხვითა ღმრთისამიერითა.

7. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ,

8. რომელი-ცა აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი - დედა, შეუწევნელი - შესავედრებელ ყოველთა, და უტყჳ იგი - ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულისსიტყუათა,

9. ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ და შუაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჱ მბრწყინვალჱ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე.

10. და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თავყუანისცემითა.

11. და მო-მცა ჩუენ შჯული ახალი ცხორებისაჲ და სიხარულისაჲ და ღირს-მყენა გემოჲს-ხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა.

12. მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელი-ცა მასწავა და აღვაშენე ეკლესიაჲ სალოცველად სამოთხესა მას მამათა ჩემთასა,

13. და მას შინა სუეტი ესე ნათლისაჲ, რომელი-ცა მე ყოვლად ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მაღალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყანით ცად აღიწია.

14. და თჳთ თუალნი თქუენნი ხედვენ საშინელებასა და საკჳრველებასა მისსა და მერმე კურნებათა მათ მისთა.

15. და ოდეს მაუწყა აღმართებაჲ, წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა.

6. და ღირსნი არიან ეს მთები ღვთისმიერი რისხვის ცეცხლით მოსასპობად.

7. ხოლო როდესაც დრო დადგა და მოვიდა ეს ნეტარი ქალი, ძე ღვთისას მოციქული და მახარებელი, წმიდა ნინო, პირველად როგორც ტყვე, როგორც უცხო და როგორც ხიზანი, როგორც უმწეო, როგორც უსმენო და უტყვი,

8. რომელიც ახლა გადაგვექცა ჩვენ ტყვე დედოფლად, უცხო _ დედად, უმწეო _ ყველას შესავედრებლად და უტყვი _ ძლიერ ქადაგად და ჩემი დაფარული გულისთქმების მცოდნედ,

9. ამ წმიდანმა აანთო ჩემს გულში ნათლის სანთელი. და შუაღამისას მეჩვენა მე ბრწყინვალე მზე, ქრისტე ღმერთი ჩვენი, რომელსაც ნათელი არ მოაკლდება უკუნისამდე.

10. და გადაგვექცა ჩვენ მოძღვრად და შეგვაერთა ჩვენ ქრისტეს მხედრობას წმიდა ნათლისღებითა და პატიოსანი ძელის თაყვანისცემით.

11. და მოგვცა ჩვენ სიცოცხლისა და სიხარულის ახალი რჯული. და ღირსი გაგვხადა ზეცის უხრწნელ საიდუმლოთა გემოს ხილვისა[117].

12. მე გავხდი მისი ბრძანებების მორჩილი, როგორც მასწავლა და ჩემი მამების ბაღში ავაშენე ეკლესია სალოცავად

13. და მასში აღიმართა ეს ნათლის სვეტი, რაც მე ვერაფრით შევძელი ვერავითარი ძალით და კაცობრივი ცოდნით, ხოლო მაღალმა ღმერთმა მოავლინა თავისი ერთი მსახურთაგანი და ის სვეტი თვალის დახამხამებაში მიწიდან ზეცისკენ აიწია.

14. და თვით თქვენი თვალები ხედავენ მის საშინელებას და საკვირველებას და მერე მის კურნებებს.

15. და როდესაც მითხრა ჯვრის აღმართვის შესახებ, გავაგზავნე ხუროები ხის მოსაძიებლად.

16. და ვითარ პოვეს [!] ხჱ ერთი მარტოჲ, მდგომარჱ კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო ჴელი კაცისაჲ,

17. არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ მის, რამეთუ ოდეს ირემსა-ღა ეცის ისარი, მიივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხჱ იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცჳვნებულსა და სიკუდილისაგან განერის.

18. ესე მითხრიან და ვიყავ დაკჳრვებულ ამისთჳს. მოვჰკუეთე მე ხჱ იგი და შევქმნენ მისგან სამნი ჯუარნი:

19. ერთი ესე, რომელ ზეცით იყო სასწაული მისი;

20. და ერთი აღვჰმართე ადგილსა მას, სადა-იგი მხილებაჲ უფლისამიერი ვიხილე, მთასა ზედა თხოთისასა,

21. ხოლო ერთი იგი ქალაქსა უჟარმას, რომელი წარიღო სალომე. და აღვაშენე ეკლესიაჲ მაყულოვანსა მას შინა ნინოჲსსა,

22. და ვქმენ მას შინა საქმჱ, ქმნული უჩინოჲ და ცხადი, დიდებაჲ მაყულოვანთა მათ,

23. რამეთუ არა გამოვაჴუ ფურცელი ერთი-ცა მათგან, არამედ ხარისხითა გარე-შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი.

24. და აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა ჩემისათჳს ქვითა და ერისა სიმრავლითა,

25. რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა "წმიდაჲ წმიდათაჲ" და ყოვლად-ვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თჳნიერ ხოლო დღესა კჳრიაკესა,

26. არცა შესლვად ვინ იკადრებდა თჳნიერ მღდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა.

27. და ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა. და მიხედვად-ცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თჳთ ვხედავთ.

16. და იპოვნეს ერთი ხე, კლდეზე მარტო მდგომი, რომელსაც კაცის ხელი არ შეხებოდა,

17. მაგრამ მონადირეებისაგან გვსმენოდა იმ ხის სასწაული, რომ როდესაც ირემს ისარი დაჭრიდა, მიირბენდა იმ ბორცვის ქვეშ, რომელზედაც იდგა ხე და სწრაფად შეჭამდა იმ ხის ჩამოცვენილ მარცვალს და სიკვდილს გადარჩებოდა.

18. ასე მიყვებოდნენ და ამის გამო გაკვირვებული ვიყავი. მოვკვეთე ის ხე და გავაკეთე მისგან სამი ჯვარი:

19. ერთი ეს, რომლის სასწაულიც ზეციდან იყო;

20. და ერთი აღვმართე იმ ადგილას, სადაც უფლისმიერი გამოცხადება ვიხილე, თხოთის მთაზე;

21. ხოლო ერთი _ ქალაქ უჯარმაში, რომელიც წაიღო სალომემ.

22. და ავაშენე ეკლესია ნინოს იმ მაყვლოვანში და გავაკეთე მასში საქმე, გაკეთებული უჩინარი და ცხადი, იმ მაყვლოვანის დიდება,[118]

23. რადგან ერთი ფოთოლიც კი არ გამოვაცალე მას, არამედ საფეხური შემოვუშენე, რადგან მენახა მრავალი სასწაული მასში და დიდი კურნებები.

24. და ავაშენე ჩემთვის ზემო ეკლესია ქვით და მრავალი ხალხის მეშვეობით,

25. რადგან ქვემო ეკლესიას ერქვა „წმიდათა წმიდა“ და მე სრულიად ვერ ვბედავდი მისი კარების გაღებას, გარდა მხოლოდ კვირა დღისა,

26. ვერც ვინმე გაბედავდა შესვლას მღვდლების გარეშე, რომლებიც გალობდნენ მასში, რადგან დიდი შიში იყო დაცემული ყველა ადამიანზე ცხოველი სვეტისაგან.

27. და უცქერდა ყველა ადამიანი იმ სვეტს, როგორც ღვთის ძალას. და მისი სახურავის[119] შეხედვაც კი არ შეეძლოთ ადამიანებს, რომლის თვითმხილველნი ჩვენც ვართ.

28. და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სა-
მარედ ჩემდა, რაჲთა-მცა დავსხენ ჴორცნი ჩემნი მის წინაშე,
რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა.

29. და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი, რაჲთა თუალსა მისსა
მივჰრიდო და წყალობასა მისსა მივემთხჳო აღდგომასა.

30. და ვითარცა შევიმზადე კეთილთა ღმრთისათა განსრულე-
ბასა ჩემ ზედა და ვიტყოდე, ვითარმედ: "შევჰვედრო სული ჩემი
დედასა ჩემსა წმიდასა ნინოს".

31. ხოლო წმიდამან მან შეჰვედრა სული თჳსი უბიწოჲ ჴელთა
დამბადებელისა თჳსისათა,

32. რამეთუ აღასრულა ყოველი-ვე მცნებაჲ ღმრთისაჲ და
სწავლაჲ წმიდისა მის დედის ძმისა მისისა, მამისა ჩუენისა
პატრიაქისაჲ

33. და დაგუაობლნა ჩუენ ახლად-შობილნი ჩჩჳლნი უმეცარნი.

34. და ფრიად შევძრწუნდი სულითა ჩემითა და ყოველი ნათე-
სავი ჩრდილოჲსაჲ აღივსო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენ-
სრულ იყო მზჱ სიმართლისაჲ და მო-ოდენ-ფენილ იყო ჭეშმარ-
იტი.

35. და დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო.

36. ხოლო წმიდაჲ იგი ყოვლად-ვე ნათელსა შინა არს და ყოვ-
ელთა განგუანათლებს.

37. ხოლო მე განვიზრახე წმიდაჲ იგი გუამი მისი რაჲთა-მცა
წარმოვიდე გულს-მოდგინებითა დიდითა აქა, წინაშე სუეტსა
ნათლით შემოსილსა

38. და არა ვპოვე ღონე ყოვლად-ვე, რამეთუ ვერ განძრეს
ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი, რომელსა ზედა შეისუენა
წმიდამან და სანატრელმან ნინო.

39. მაშინ დავჰმარხეთ წმიდაჲ იგი გუამი მისი ყოვლად-ვე
დიდებულისაჲ ბოდს, დაბასა კახეთისასა.

28. და ვერ გავბედე მის წინაშე ჩემი სამარისთვის მიწის
ამოკვეთა, რომ მის წინაშე დამესვენებინა ჩემი ძვლები, რადგან
მეშინოდა მისი მე, ოდენ ცოდვის მოქმედს.

29. და გავიმზადე ჩემი საფლავი ზემოთ, რომ მის თვალს
მოვერიდო და მის წყალობას ვეწიო აღდგომისას.

30. და როცა გავემზადე ჩემზე ღვთის სიკეთეთა აღსას-
რულებლად და ვამბობდი, რომ: "შევვედრებ სულს დედაჩემს,
წმინდა ნინოს",

31. სწორედ მაშინ შევედრა წმიდანმა თავისი უბიწო სული
საკუთარ დამბადებელს,

32. რადგან აღასრულა ღვთის ყველა მცნება და დედამისის
ძმის, ჩვენი წმიდა მამის, პატრიარქის მოძღვრება

33. და დაგვაობლა ჩვენ, ახლადშობილი უმეცარი ჩვილნი.

34. და ძალზე შევძრწუნდი სულით და ჩრდილოეთის მთელი
მოდგმა მწუხარებით აღივსო, რადგან მზე სიმართლისა ოდნავ
იყო ამოსული და ჭეშმარიტება ოდნავ იყო მოფენილი.

35. და დაფარა ღრუბელმა წმიდა ნინო*.

36. ხოლო ის წმინდანი მუდამ ნათელშია და ყველას გაგ-
ვანათლებს.

37. ხოლო მე განვიზრახე, რომ მისი წმიდა გვამი დიდი
გულმოდგინებით წამომელო აქ, ნათლით შემოსილი სვეტის წინაშე

38. და ვერავითარი ღონე ვერ ვიძიე, რადგან ორასმა კაც-
მაც კი ვერ დასძრა მისი მცირე საკაცე, რომელზედაც აღესრუ-
ლა წმიდა და სანატრელი ნინო.

39. მაშინ დავმარხეთ იმ ყოვლადდიდებულის წმიდა გვამი
ბოდში, კახეთის დაბაში.

* შდრ. საქმ. 1:9

40. და ვეგლოვდით სიობლესა ჩუენსა ოც და ათ დღე ყოვლ-
ითურთ სამეუფოჲთ ჩემით.
41. და აღვაშენე მას ზედა ეკლესიაჲ და განვადიდე ფრიად,
42. და მისითა მეოხებითა მაქუს სასოებაჲ ძისა ღმრთისაგან
და სარწმუნოებასა ზედა დაუსაბამოჲსა ღმრთისა მამისასა და
ყოვლად ძლიერისა ძისასა და ცხოველს-მყოფელისა სულისა
წმიდისა უკუდავისასა.
43. და ვეძიებ და მოველი აღდგომასა მკუდრეთით
44. და შევჰვედრებ სულსა ჩემსა ქრისტეს მეუფისადა, რომ-
ლისაჲ არს დიდებაჲ, სიმტკიცე და ძლიერებაჲ აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე, ამენ".

ანდერძი მირეან მეფისაჲ ძისა თჳსისა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა.

1. აჰა ესერა მე წარვალ, ვინაჲ-ცა მოვედ,
2. ხოლო შენ, ნანა, უკუეთუ გეცეს მოცალებაჲ ცხორებისაჲ
შემდგომად ჩემსა, განყავ სამეუფოჲ ჩემი ორად და მიიღე სა-
მარხვოსა წმიდისა ნინოჲსსა ჟამთა შეცვალებისათჳს, რაჲთა არა
შეირყიოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა
საჯდომი არს, მწირ არს ადგილი იგი.
3. ეგრე-ვე ვჰვედრებ მთავარებისკოპოსსა, რაჲთა დადვას
დიდებაჲ მის ადგილისაჲ, რამეთუ ღირს არს პატივის-ცემისა.
4. ხოლო ძესა თჳსსა ასწავებდა: "აჰა ესერა შეიცვალა ბნელი
ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი - ცხორებად.
5. აწ სადა-ცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ენება(ნი) იგი
ქართლისანი, მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი
მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდეს!

40. და ვგლოვობდით ჩვენს სიობლეს ოცდაათი დღე მთელი
ჩემი სამეფოთი.[120]
41. და ავაშენე იმ ადგილზე ეკლესია და ფრიად განვადიდე
42. და მისი მეოხებით მაქვს იმედი ღვთის ძისა და დაუსაბა-
მო მამა ღმერთის, ყოვლადძლიერი ძისა და უკვდავი, ცხ-
ოველმყოფელი წმიდა სულის სარწმუნოებისა.
43. და ვეძიებ და მოველი აღდგომას მკვდრეთით,[121]
44. და შევვედრებ ჩემს სულს ქრისტე მეუფეს, რომლისაც
არის დიდება, სიმტკიცე და ძლიერება აწ და მარადის და უკუნი-
თი უკუნისამდე, ამენ".

მირიან მეფის ანდერძი მისი ძის რევისა და თავისი ცოლის ნანას მიმართ

1. აჰა, აი, მე მივდივარ, საიდანაც მოვედი,
2. ხოლო შენ, ნანა, თუკი დაგცალდება ცხოვრება ჩემს შემ-
დეგ, გაყავი ჩემი სამეფო ორად და უბოძე ერთი ნაწილი წმიდა
ნინოს საფლავს ჟამთა ცვალებადობის გამო, რომ არ შეირყეს
უკუნისამდე ის ადგილი, რადგან არ არის მეფეთა სატახტო,
მწირია ის ადგილი.
3. ასევე ვევედრები მთავარეპისკოპოსს, რომ დააწესოს იმ
ადგილის დიდება, რადგან პატივისცემის ღირსია.
4. ხოლო თავის ძეს ასწავლიდა: აჰა, აი, შეიცვალა ჩვენი
სიბნელე სინათლედ და ჩვენი სიკვდილი _ სიცოცხლედ.
5. ახლა სადაც იპოვი შენს ქვეყანაში ქართლის მტანჯველ
მაცდურ კერპებს, ცეცხლით დაწვი და მათი ნაცარი შეასვი მათ,
ვინც გლოვას დაიწყებს. (შდრ. გამოსვლ. 32,20).

6. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან.

7. ხოლო შენ ესრე ჰყოფდ: თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდამო-დიდებულსა და პატიოსანსა ჯუარსა ცათა შინა ჩინებულსა და იყავნ შენი მისლვაჲ მიწად ძილად საუკუნოდ სარწმუნოვებასა ზედა წმიდისა სამებისასა, ამენ.

წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინვებისაჲ; ძალთა ზეცისა მგა....: [აღყ]უავილდა უბიწოჲ სარწმუნოვებაჲ შეუძრავი კედ ..... ქრისტესსა. ესე ჩუენისა ... სულისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუარ-თაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ.

* * *

6. და ეს ამცნე შენს შვილებს, რადგან ვიცი მე ეს, კავკასიაში ისინი სწრაფად არ დაილევიან.

7. და შენ ასე მოიქეცი: შენი თავი შეავედრე ზეცისგან განდიდებულ სვეტს და ზეციდან გამოჩენილ ჯვარს და მიებარე მიწას საუკუნო ძილისთვის წმიდა სამების სარწმუნოებაზე, ამენ.

წიგნი ქართლის მოქცევისა, რომლითაც ღმერთმა გამოაბრწყინა ნათელი, წმიდა ეკლესიათა გამობრწყინების დასაბამი; ზეცის ძალთა მგა. . . . აყვავდა უბიწო სარწმუნოება, შეუძრავი კედ . . . . . ქრისტეს. ეს ჩვენი . . . . სულისა, როგორც წინამძღვართაგან დაფარული ტალანტი, მრავალი ხნისა და წლის შემდეგ ვიპოვეთ.

* * *

შენიშვნები (ტექსტისთვის)

1 აქ ხელნაწერს ფურცელი აკლია. შევსებულია ჭელიშურის მიხედვით.

ყველა შევსებული ტექსტი აქაც და ქვემოთაც წარმოდგენილია კურსივით.

2 აქედან გრძელდება შატბერდული.

3 ჭელიშური და სინური რედაქციების შემდეგი თავი სოჯი დედოფლისა და მრავალთა მთავართა მონათვლის შესახებ ბოდში, შატბერდულში არ შესულა. შატბერდულში არ შესულა.

4 აქ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი. შევსებულია სინურიდან.

5 აქედან გრძელდება შატბერდული.

6 აქ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი. შევსებულია სინურიდან.

7 აქედან გრძელდება შატბერდული.

8 „ათ დღე“ შატბერდულში გადამწერის შეცდომაა. სწორი უნდა იყოს ჭელიშური — „და დღე იგი იყო პარასკევი“ და სინური წაკითხვა — „და დღეჲ ესე იყო პარასკევი“. ამას ეთანხმება ლეონტისეული რედაქციაც — „ხოლო დღე ესე იყო პარასკევი“ (ქ. ც. I, გვ. 120).

9 ჭელიშურ და სინურ რედაქციებში აღნიშნული თავი არ არის.

შენიშვნები (თარგმანისათვის)

1 თარგმანი მიჰყვება “მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ რედაქციას (შატბერდის კრებული, თბ., 1979). ნაკლული ადგილები შევსებულია ჭელიშური (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ძქალძ), I, თბილისი, 1963) და სინური (Le neuveau manuscrit Georgien Sinaitique NSIN50, Louvanii, 2001) რედაქციებიდან.

2 ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 334-323).

3 იგულისხმება აბრაამის ძმის შვილის, ლოთის, ლოთის ორი ძის, მოაბისა და ამონის შთამომავლების — მოაბელები და ამონელები (შდრ. დაბ. 19,1-38).

4 კედარი - ებრაულში “კდრ“ ძირი აღნიშნავს “შავს“, “მუქს“, “მწუხარეს“, სიტყვა “კედაროთ“ — “ბნელს“, “წყვდიადს“. კავკასიას ძველ მწერლობაში იცნობდნენ, როგორც ბნელ და უმწეო ჩრდილოეთის მხარედ.

5 “ბუნ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს “ძირს“, “ფესვს“, “ძირითადს“.

6 იებოსელნი - ქამის შვილიშვილის, ქანაანის ძის შთამომავლები (დაბ. 10,16).

7 ჰუნები — კავკასიის ჩრდილოეთ მოსახლე მომთაბარე ტომი.

8 დასტაგი — სპარსული სიტყვაა და ნიშნავს სახელურს.

9 ზოგი მეცნიერი არიან-ქართლში ხედავს სპარსეთის ქართლს, უფრო კონკრეტულად კი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ჩემი აზრით, ეს არის სპარსულიდან ნათარგმნი “არიან ვრკან“ (ქართლს სპარსულად “ვრკან“ ეწოდებოდა) და გულისხმობს ისტორიულ ბაქტრიას.

10 კონსტანტინე დიდი (306-337წწ.).

11 კონსტანტინე ქლოროსი (292-305წწ.).

12 სავარაუდოა, რომ თავდაპირველ ტექსტში ყოფილიყო „ძალითა ჯუარისაითა“ და „ძელითა“ გადამწერის შეცდომა იყოს.

13 ელენე დედოფალი.

14 შატბერდულში სხვა ადგილას გვაქვს „ვადაგი“. ჭელიშურში გვხვდება „ავადაგი“ და „ავადგი“, სინურში - „ევადაგი“. ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებში ეს სიტყვა არ გვხვდება. მ. ანდრონიკაშვილს იგი გამოჰყავს საშუალო სპარსული სიტყვიდან „აბადაჰაკ“ = დანატოვარი, ნაშთი, ნაშიერი, შთამომავალი.

15 თრდატ IV (298-330წწ.).

16 იგულისხმება დღევანდელი სამთავროს დედათა მონასტერი მცხეთაში.

17 იგულისხმება სვეტიცხოვლის ეკლესია.

18 აქ ხელნაწერს ფურცელი აკლია, ამიტომ შევსებულია ჭელიშურის მიხედვით.

ყველა შევსებული ტექსტი აქაც და ქვემოთაც წარმოდგენილია კურსივით.

19 ტექსტში არის “კლდისასა“, რაც სავარაუდოდ გადამწერის შეცდომაა. უნდა ყოფილიყო „წყლისასა“.

20 იგულისხმება ზემო, ანუ სამთავროს ეკლესია.

21 აქედან გრძელდება შატბერდული.

22 მიწისგან ნათლისღებაში იგულისხმება მაცხოვრის დაფლვა და მესამე დღეს აღდგომა.

23 იგულისხმება კუხეთი, დაახლოებით უდრის გარე კახეთს.

24 ტექსტში გვაქვს ფორმები: „ბოდინი“, „ბოდისი“, „ბოდი“, „ბუდი“. ყველგან ვტოვებ უცვლელად. ბოლო გამოკვლევების მიხედვით, ეს უნდა იყოს სოფელი ნინოწმინდა, საგარეჯოს რაიონში.

25 “ცხოველი“ ნიშნავს ცოცხალს. ვტოვებ უთარგმნელად რათა ნათლად გამოჩნდეს, თუ რომელ სვეტზეა საუბარი.

26 მარზაპანი - სასანური ირანის მოხელე, რომელიც ინიშნებოდა დაპყრობილი ქვეყნის მმართველად.

27 პიტიახში - სასანური ირანის დიდი მოხელე, დაახლოებით ქართული ერისთავის შესატყვისი.

28 სივნიეთი და ვასპურაკანი ისტორიული სომხეთის პროვინციებია.

29 ვახტანგის დროს აშენდა სვეტიცხოვლის ქვის ეკლესია.

30 ე. ი. 496 წელს (326წ+170წ=496წ)

31 იგულისხმება დღევანდელი ანჩისხატის ეკლესია.

32 „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეს გუარამი არის ბაგრატიონთა მამა.

33 იგულისხმება სიონის ეკლესია.

34 იგულისხმება მცხეთის ჯვრის ეკლესია.

35 ჰერაკლე კეისარი (610-641წწ.).

36 ხაზანთა ხაკანი ჯიბღუ.

37 ირანის სასანიანთა მეფე ხოსრო V (632-633წწ.).

38 ფულის ერთეული.

39 შდრ. ფს. 77:44; 104:29.

40 სინური რედაქციის მიხედვით წმ. ნინო „იყო სნეულ სიცხისა და ხურვებისაგან, რომელიცა ექმნა მას სალმობა სასიკუდინე“, რაც მალარიაზე (ციებ-ცხელებაზე) მიანიშნებს.

41 კონტექსტიდან ამოვარდნილი ეს ფრაზა გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს.

42 შატბერდულშია “მახლობელნო ღმრთისანო“, რაც გადამწერის მიერ დაშვებული გაუგებრობაა; ჭელიშურშია: “მახარებელნო ღმრთისანო“, ხოლო სინურში: “მახარებელნო სარწმუნოებისა ღმრთისანო“. ასე, რომ აქ აღვადგინეთ “მახარებელნო“.

43 გიორგი კაბადოკიელი ეწამა 303 წელს.

44 კოლასტა - უნდა იყოს ფრიგიის ქალაქი კოლასა.

45 დევტალარი - ეს იშვიათი ტერმინი სავარაუდოდ ნიშნავს მოადგილეობას, თანაშემწეობას.

46 „მოქცევაი ქართლისაი“-ში ყველგან გვაქვს ფორმა „მიაფორი“. მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“-ში მოთავსებულ წმ. ნინოს ცხოვრებაში გვხვდება „ნიაფორი“. ჩემი აზრით, სწორი უნდა იყოს პირველი ფორმა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან maphorion, რაც ნიშნავს ქალის ზედა სამოსს, რომელიც სხეულს ფარავდა თავიდან ფეხამდე. როგორც წესი, ეს სამოსი ეცვათ დედათდიაკვნებს და აქედან გამომდინარე, სიტყვა „მიაფორი“ დედათდიაკონს უნდა ნიშნავდეს.

47 ბრანჯები - სავარაუდოდ ფრანკთა ტომი — დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მცხოვრები გერმანული ტომი ან ტომთა გაერთიანება.

48 იგულისხმება ქრისტიანობის სიმბოლო, მრწამსი.

49 წირვა შეიძლება ჩატარდეს ღიაცის ქვეშ ან საგანგებოდ დადგმულ კარავში.

50 შატბერდულში გადამწერის შეცდომაა “განუტევნა“; ჭელიშურშიცა და სინურშიც იკითხება “დაუტევნა“.

51 რომის იმპერიის კანონმდებლობით 12 წელი ითვლებოდა სრულწლოვანების ასაკად.

52 რომის იმპერიის კანონმდებლობით 12 დან 14 წლამდე ახალგაზრდა საჭიროებდა მეურვეს.

53 დედანშია „ანტაკრად აღუდგეს“. “ანტაკრად“ შესაძლოა მოდიოდეს ბერძნული ზმნიდან antakouo, antakroaomai = თავის მხრივ მოსმენა.

54 შატბერდულში გადამწერის შეცდომაა: “სულსა წმიდისასა“; ჭელიშურსა და სინურში გვაქვს: “სულსა წმიდასა“.

55 პილატეს ცოლის (პროკლა ან კლავდია პროკულა) შესახებ არსებულ ამ მოთხრობას აპოკრიფული ხასიათი აქვს.

პროკლა წმინდანადაა შერაცხილი საბერძნეთის ეკლესიის მიერ (ხსენება 27 ოქტომბერს).

56 უჟიკი - აქ ნიშნავს სპარსელს.

57 შატბერდულში გადამწერს აქაც დაუწერია „მან“; ჭელიშურსა და სინურში არის „მე“.

58 იგულისხმება მარტის თვე, წლის პირველი თვე რომის იმპერიაში.

59 იგულისხმება სტეფანე დიაკვანი, პირველმოწამე.

60 ამგვარი ადგილი არ არსებობდა. სიტყვა უნდა მოდიოდეს ბერძნული სიტყვიდან „hyloforos“, რაც ნიშნავს ტყით დაფარულს, ტყიანს.

61 აქ შატბერდულ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი. ნაკლულ ადგილს ვავსებთ სინური ხელნაწერის მიხედვით, რადგან ის უფრო ძველია, ვიდრე ჭელიშური და, შესაბამისად, ნაკლებად შერყვნილი, გადამწერის მიერ.

62 ჭელიშურშია: „ფარავნაი“.

63 ანუ ნახევრად მელოტი.

64 იგულისხმება სჯულის ფიცრები.

65 იგულისხმება მდინარე ფარავანი, ანუ ჯავახეთის მტკვარი.

66 მტკვარი აღმოსავლეთით იწყებს დინებას ქალაქ ახალციხესთან.

67 იგულისხმება სენი, რომელსაც ერქვა „ყვავილი“.

68 ფრცხილი და ბივრიტი — ნახევრადძვირფასი ქვები.

69 იგულისხმებიან ქრისტიანები და მათი ღმერთი.

70 შატბერდულში ეს სიტყვა არ არის, აღდგენილია ჭელიშურისა და სინურის მიხედვით, სადაც გვაქვს “დათმენაბ“.

71 საწყაო ერთეული.

72 იგივე ბივრილი — berilus.

73 სულხან-საბას განმარტებით - “აკაკის ხე“.

74 იგულისხმება ფერიცვალების დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 6 აგვისტოს. ცოცხალთა შორის უპირველესში იგულისხმება ილია წინასწარმეტყველი, რომელსაც სიკვდილი ჯერ არ უხილავს, ვინაიდან ის ცოცხალი წაიყვანა ღმერთმა ზეცად. ხოლო მიცვალებულთა შორის უპირველესში იგულისხმება მოსე წინასწარმეტყველი (შდრ. მთ. 17:1-8).

75 შატბერდულ ხელნაწერში აშიაზე მინაწერია: "ესე დედაკაცი იყო სიდონია, მოწაფეი წმიდისა ნინოისი, რომელმან ესე ყოველი აღწერა"

76 ბაღისა და ნაძვის შესახებ ამბის აღწერილობა შდრ. ეზეკ. 31:3-9.

77 ჰეროდე I დიდი, იუდეას მეფე (ძვ.წ. 37 – ახ.წ. 4ნწ.).

78 მეფეთა თუ მოგვთა რიცხვი, რომლებმაც თაყვანი სცეს ახალშობილ მაცხოვარს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორებთან მერყეობს: 2,3,4,6,8. რიცხვ 12-ს, ჩვწნი ტექსტის გარდა, ვხვდებით მხოლოდ სირიის ეკლესიაში შემორჩენილ გადმოცემაში (pravoslavnaia enciklopedia, IX, 2005, გვ. 280).

79 ანა - იუდეველთა მღვდელმთავარი.

80 იგულისხმება იოანე ნათლისმცემელი.

81 ამ სახელით მეფეთა სიაში მხოლოდ ერთი მეფე იხსენიება, ორმეფობის ხანის არსოკის მეწყვილე.

82 ჭელიშურსა და სინურში ნინო არ იხსენიება.

83 მეფეთა სიაში იხსენიება ორი ბრატმანი, ერთი, "რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო" და მეორე, რომლის დროსაც "ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს". გაურკვეველია, რომელი იგულისხმება ამ შემთხვევაში.

84 ქალდეველები - იგულისხმებიან სპარსელები.

85 ითრუშანა - იგულისხმება სპარსული "ატურშან" = ცეცხლი, ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის მთავარი ობიექტი.

86 შდრ. ლოცვას ნათლობის ღვთისმსახურებიდან.

87 ფორმულა ნათლისღების წესიდან.

88 აქ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი; ნაკლულ ადგილს ვავსებთ სინური ხელნაწერის მიხედვით.

89 ივლისის 20 შაბათი დღე იყო 323 წელს.

90 იგულისხმება ჯვრის ძელი, ჯვარი.

91 აქედან გრძელდება შატბერდული.

92 მწუხრის ლოცვის შესრულების დრო ითვლება მზის ამოსვლიდან მე-9 საათი, ანუ დაახლოებით 3 საათზე, როცა იწყება მზის დაისი.

93 იგულისხმება ეშმაკი.

94 იგულისხმება ქალაქ მცხეთის სამი კარი.

95 სპარსეთში ამ დროს მეფობდა შაბურ II, რომელიც იუდეველთა მიმართ შემწყნარებელი იყო.

96 აზრი დედანში ბუნდოვანია.

97 სიგრძის ერთეული.

98 სინურში ვკითხულობთ: „სეფეწული ვინმე ყრმაი ამაზასპეანი". „ქართლის ცხოვრებაში": „სეფეწული მოვიდა ყრმაი, ამაზასპანი".

99 ძველი აღთქმის ბოლო წინასწარმეტყველები – ზაქარია და მალაქია ცხოვრობდნენ დაახლოებით ძვ.წ. 400 წელს.

100 რომმა იუდეა დაიპყრო ძვ. წ. 63 წელს.

101 მაცხოვარმა თავისი ბავშვობა გაატარა ქალაქ ნაზარეთში, რის გამოც მას ეწოდა ნაზარეველი.

102 იგულისხმება ძველი აღთქმის წიგნები.

103 ძველ ქართულ ტექსტში არის „კილამოი", რაც მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან kinnamon = „დარიჩინი".

104 გადახურული კოლონადა.

105 იგულისხმება ავაზაკი ბარაბა, რომელიც იესოს სანაცვლოდ გათავისუფლდა სასჯელისაგან. შდრ. მთ. 27:15-26;მკ. 15:7-11.

106 იგულისხმება სამოთხის სიცოცხლის ხე.

107 ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა სავარაუდოდ 326 წელს. ამ წელს 25 მარტი პარასკევი იყო.

108 აქ შატბერდულში გვაქვს დამატებული „ათ დღე“, რაც სხვა ხელნაწერებით არ დასტურდება და გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. ამიტომ, ამ ადგილის თარგმანი ჭელიშურს მისდევს.

109 მნიშვნელობა გაუგებარია.

110 შემდეგი ოთხი მუხლი ქრისტიანობის სარწმუნოების სიმბოლოს, მრწამსის პერიფრაზია, კერძოდ, ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოსი.

111 საყდარნი, უფლებანი და ძალნი — ანგელოსთა დასებია.

112 შდრ. გამოთქმა: “ღვთის პირიდან გადავარდნილი“.

113 აღვსების ზატიკი ნიშნავს აღდგომის დღესასწაულისციკლს სულთმოფენობამდე, შესაბამისად, საუბარია ამ 50 დღიანი შუალედის ერთ-ერთ კვირა დღეზე.

114 მარტვილია — სულთმოფენობის დღესასწაული.

115 ამ გუმბადს ქრონიკის ნაწილში “კუბაი“ ეწოდება, რაც საფარველად ვთარგმნე.

116 მეფეთა სიაში ჩამოთვლილია 33 მეფე (21 + 6 წყვილი). უნდა ვიფიქროთ, რომ ნუსხა ნაკლულია.

117 იგულისხმება ზიარების საიდუმლო.

118 ფრაზის ბუნდოვანება გამომდინარეობს დედნიდან.

119 იგულისხმება, რომ სვეტს ზემოდან ეხურა რაღაც საბურველი.

120 ოცდაათი დღე გლოვობდა ისრაელი აარონის სიკვდილს (რიცხვ. 20:29) და მოსეს სიკვდილს (IIრჯ. 34:8). შდრ. ასევე შეს. 50:3.

121 მრწამსის ერთი მუხლის პერიფრაზი.

წმინდა შუშანიკ
დედოფლის წამება

წინათქმა

დედოფალ შუშანიკის მარტვილური აღსასრული, რაც აღწერა მისმა მოძღვარმა იაკობმა, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ტექსტი „წამებისა“, რომლის შემცველი უძველესი ნუსხა XI ს-ის დამდეგს ეკუთვნის (დანარჩენი ნუსხები XVIII ს-ისაა), უნდა თარიღდებოდეს 475 წლის მიწურულით, როდესაც აღესრულა შუშანიკი, რადგან აშკარაა, რომ იაკობი ნეტარი მოწამის მოღვაწეობის აღწერას მის სიცოცხლეშივე შესდგომია და, ცხადია, მარტვილობის ახლო ხანებშივე დაასრულებდა (ამასვე მოითხოვდა ლიტურგიკული საჭიროებაც). ცნობილია „შუშანიკის წამების“ სომხური ტექსტიც. ქართველი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ სომხური ტექსტი ქართულის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა სომეხი მკვლევრები პირიქით თვლიან. სინამდვილეში აშკარაა, რომ ქართულ-სომხური ტექსტები დამოუკიდებელი ძეგლებია და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნილი, გამომდინარე ისტორიული აუცილებლობიდან. საქმე ისაა, რომ წმინდა შუშანიკი დაუყოვნებლივ იქნა წმინდანად შერაცხილი არა მხოლოდ ქართლის ეკლესიის მიერ, რომელსაც სარწმუნოებრივად ეკუთვნოდა იგი (ამგვარ კუთვნილებას უთუოდ ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი მოძღვარი იყო სწორედ ქართლის ეკლესიის მღვდელი იაკობი და რომ მას „განამტკიცებდა“ სწორედ ქართლის ეკლესიის ეპისკოპოსთა „თავი“ სამოელი), არამედ - სომხეთის ეკლესიის მიერაც, რომელთანაც გენეტიკურად და მამაპაპეულად ჰქონდა მას კავშირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე ეკლესიაში თავიდანვე შეიქმნებოდა ლიტურგიკული აუცილებლობა მარტვილის ხსენების დღის დაწესებისა და მარტვილობის ამსახველი წერილობითი „მოსახსენებლის“ ჩამოყალიბებისა, რაც ხსენების დღეს მრევლის წინაშე იქნებოდა წაკითხული. თუ მაინც ქრონოლოგიურ მიმართებაზე გავამახვილებდით ყურადღებას, ქართულ-სომხურ „მარტვილობათა“ შორის დროით უწინარესი უთუოდ უნდა იყოს ქართული ტექსტი, რადგან სრულიად აშკარაა, რომ უპირველესად სწორედ იმ ეკლესიაში დაწესდებოდა წმინდა შუშანიკის ხსენების დღე და იმ ეკლესიაში დაიდებოდა მისი ღვაწლის ამსახველი წერილობითი მოსახსენებელი, რომელსაც აღმსარებლობითად ეკუთვნოდა იგი. ამასთან, ნათელია ისიც, რომ დიდად არც სომხური ეკლესია დაახანებდა და, შესაბამისად, სომხურ ენაზეც მალევე (იმავე V ს-ის 70-იან წლებში) აღიწერებოდა დედოფლის მარტვილობა. ანონიმი სომეხი ავტორი, საფიქრებელია, იცნობდა იაკობის შრომას (ამას ცხადყოფს ქართულ-სომხური ძეგლების ზოგიერთი საგულისხმო ტექსტობრივი დამთხვევა), მაგრამ აშკარაა, რომ იგი წერს დამოუკიდებელ „მოსახსენებელს“, რომელსაც ასევე უნარჩუნდება ისტორიული დოკუმენტის ღირებულება. დავძენთ, რომ ქართული ტექსტის შესწავლისას აშკარად იკვეთება არა მხოლოდ ზემომითითებული ადრეული (XI ს-ის დამდეგის) ნუსხის, არამედ გვიანდელი ნუსხების (განსაკუთრებით BD ლიტერებით აღნიშნულთა) მნიშვნელობაც, რისი გაცნობიერებაც ახალ შესაძლებლობებს ქმნის გამოცემებში დამკვიდრებული ტექსტის არსებითი შესწორებისთვის.

წმ. შუშანიკის მარტვილობა

თთუესა ოკდონბერსა: ი“ზ:

წამებაჲ წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისაჲ[1]

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი.

I. იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეუფოდ წარემართა ვასქენ პიტიახში, ძჱ არშუშაჲსი, რამეთუ პირველ იგიცა ქრისტიანე იყო და ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲპეტისაჲ, რომლისათჳსცა-ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარდან, და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით; და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაჲსა მარადის გულს-ეტყჳნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვისყოფად მისთჳს, რაჲთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტჱსსა.

ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვასქენისი ვითარ-მე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარ-იგი განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტჱსი? ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტჱსთჳს?!

რამეთუ რაჟამს მივიდა და წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათჳს, არამედ ძღუნად თაესა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარისყოფითა ჭეშმარიტისა ღმ-

[1] ხელნაწერების ნუსხა: A: A _ 95, B: A 130, C: A 170, D: A 176, E: H 2977, F: H 1672, G: S 3637, H: H 1370, I: H 2121, K: Q 300, L: M _ 21.

შუშანიკის წამება

ოქტომბრის თვის 17-ში

წამება წმინდა მოწამე შუშანიკ დედოფლისა

და ახლა დამტკიცებით[1] გეტყვით თქვენ წმინდა და სანატრელი შუშანიკის აღსასრულის შესახებ.

1. სპარსელთა მეფის მერვე წელს სამეფო კარისკენ გაემართა ვასქენ[2] პიტიახში, არშუშას ძე; თავდაპირველად ისიც ქრისტიანი იყო და ქრისტიანი მამისა და დედის ნაშობი, და მის ცოლად იყო სომეხთა სპასპეტის, ვარდანის ასული, რომლის შესახებაც მოგწერეთ თქვენ[3]. მამისგან სახელი ჰქონდა ვარდანი, სიყვარულით კი მისი სახელი იყო შუშანიკი, მოშიში ღვთისა, როგორც ვთქვით[4], თავისი სიყრმიდან; ხოლო თავისი ქმრის უკეთური ბუნების გამო იგი მუდამჟამს ფიქრებში იყო[5] და ყველას ევედრებოდა მისთვის ლოცვის აღვლენას, რომ ღმერთს შეეცვალა იგი უგუნურების ბუნებისგან[6] და მიახლებოდა ქრისტეს გონიერებას

ხოლო უბადრუკი და სამგზის შესაბრალისი ვასქენის, ამ ყოვლად განწირულის, შესახებ როგორღა თქვას ვინმემ, თუ როგორ უკუაგდო მან სანატრელი იმედი ქრისტესი? ანდა ვინ არ იტირებს მას, რომელსაც არც ჭირი ენახა, არც შიში, არც მახვილი, არც პყრობილება ქრისტესთვის?

რადგან როდესაც მივიდა და წარდგა იგი სპარსელთა მეფის წინაშე, წარდგა არათუ პატივის მისაღებად, არამედ ძღვნად სწირავდა თავის თავს ამ მეფეს ჭეშმარიტი ღვთის უარყოფით და თაყვანს სცემდა ცეცხლს, რომ ყოველმხრივ გაეშორებინა თავისი თავი ქრისტესგან. ამასთან, ეს საბრალო, ცოლს ითხოვდა სპარსელთა მეფისგან, რომ მოსწონებოდა იგი

რთისაჯთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რაჯთა ყოვლითკერძოვე თავი თჳსი ქრისტჱსგან განაგდოს. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჯთამცა სათნო-ეყო მეფესა, და ეს-რეთ ეტყოდა, ვითარმედ: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა, ვითარცა-ესე მე, შენსავე მაგას მსახურებასა მოვაქცინე". ამას უქადებდა, რომელი-იგი არა აქუნდა ჴელთა შუშ-ანიკისგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჯ.

II. და იჯმნა მეფისა მისგან სპარსთაჯსა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჯთა აუწყოს და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჯთა მათ გამო, ვითარცა გუელი, სოფლად შემოვიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოჯთა ცხენითა მონაჯ, და ვი-თარცა მოიწია დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტაეთ, და ვი-თარცა შევიდა წინაშე წმიდისა შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, და კითხვაჯ ჰრქუა, ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინაწარმეტყუელმან თქუა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჯ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ". ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად. ხოლო წმიდაჯ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხ-ვიდა მას დამტკიცებულად. ხოლო კაცმან მან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ: „ვასქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი".

ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვასქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარ-იტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა. და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთისმოშიშებით ეკლე-სიად შევიდა, და თანამიყვანნა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასუ-

მეფეს, და ასე ეუბნებოდა: „რომლებიც თავდაპირველი[7] ცოლია და შვილები, იმათაც ისევე მოვაქცევ შენს მსახურებაზე, როგორც - მე" (იმას ჰპირდებოდა იგი, რაც შუშანიკისგან ხელთ არ ჰქონდა). მაშინ გაიხარა მეფემ და ბრძანა მის ცოლად ასული მეფისა.

2. და წამოვიდა სპარსელთა მეფისგან პიტიახში, ხოლო როდესაც მოაღწია მან ქართლის საზღვრებს, ჰერეთის მხარეს, განიზრახა, რომ შეეტყობინებინა და წინ მიჰგებებოდნენ მას აზნაურები, თავისი ძეები და თავისი მსახურები, რომ მათ მიერ ქვეყანაში გველივით შემოსულიყო[8]. წარმოგზავნა მან მონა მალემსრბოლის[9] ცხენით; და როდესაც ეს მონა მოვიდა იმ დაბასთან, რომელსაც სახელად ერქვა ცურტავი, და რაჟამს შევიდა იგი წმინდა შუშანიკთან[10], ჩვენს დედოფალთან, მოკითხვა უთხრა[11] მას, ხოლო სანატრელმა შუშანიკმა, როგორც წინასწარმეტყველმა, თქვა: „თუკი სულით ცოცხალია იგი, სიმრთელით იყავით[12] ისიც და შენც, ხოლო თუ სულით მომკვდარი ხართ, ეგ შენი მოკითხვა შენვე მოგიბრუნდეს". იმ კაცმაც ვერ გაბედა სიტყვის თქმა, წმინდა შუშანიკი კი აფიცებდა და ეკითხებოდა მას დაჭეშმარიტებით, ხოლო იმ კაცმა უთხრა მართალი და აუწყა, რომ „ვასქენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი".

როგორც კი გაიგონა ეს ნეტარმა შუშანიკმა, დაეცა იგი მი-წაზე, თავს ქვევით ურტყამდა და მწარე ცრემლით ამბობდა: „სა-ცოდავი გახდა უბადრუკი ვასქენი, რადგან უარყო მან ჭეშმარ-იტი ღმერთი, აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოებს". ადგა შუშანიკი, დატოვა თავისი სასახლე და ღვთისმოშიშებით შევიდა ეკლესიაში. თან მიიყვანა მან თავისი სამი ძე და ერთი

ლი და წარუდგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა, და ესრეთ ილ-
ოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან
და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა
მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწ-
ყემსისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა“.

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე
პოვა მახლობელად ეკლესიასა და მუნ შევიდა შინა სიმწარითა სავსჱ
და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა
სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ ვანად კაცისა ვისამე
წმიდისა მისრულ იყო კითხვად. და მეცა, ხუცესი დედოფლისაჲ, მის
თანავე ვიყავ ვანსა მას. და მყის დიაკონი მოიწია შინაჲთ და უთხრა
ესე ყოველი: მოსლვაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. და
ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ
განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათჳს.

და მე ვიჯმენ ადრე-ადრე და მოვიწიე დაბასა მას, რომელსაცა
ნეტარი შუშანიკ იყო. და ვითარცა ვიხილე იგი ფრიად განმწარე-
ბული, მეცა ვტიროდე მის თანა. და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს:
„ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო ჩემო, ეკრძალე სარწ-
მუნოებასა მას ქრისტჱსსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსჳლმან
საძოვარი პოოს შენ თანა“, ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:
„ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მე ვარ-
ქუ მას: „ეგრჱთ არს: მჴნე იყავ ეგე, მოთმინე და სულგრძელ“.
ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე“! ხოლო მე
ვარქუ მას: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარუ-

ასული, წარუდგინა[13] ისინი ღმერთს საკურთხევლის წინ და ასე
ლოცულობდა და ამბობდა: „უფალო ღმერთო, შენი მოცემულე-
ბი არიან და შენ დაიცავი ესენი, სულიწმინდის მადლით წმინ-
და ემბაზისგან განათლებულნი, რომ იყვნენ ერთი სამწყსო ერთი
მწყემსისა, ჩვენი უფლის იესო ქრისტესი“.

და როდესაც მწუხრის მსახურება[14] აღასრულეს, ნახა მან
ერთი პატარა სახლაკი ეკლესიის ახლოს, შევიდა იქ, შიგნით,
სიმწარით სავსე, მიეყრდნო ერთ კუთხეს და მწარე ცრემლით
ტიროდა[15].

3. ხოლო პიტიახშის სახლის ეპისკოპოსი, რომელსაც
სახელად ერქვა აფოცი, არ იმყოფებოდა იქ, არამედ ვიღაც
წმინდა კაცის სახლში[16] იყო მისული მოსაკითხად[17] და მეც,
დედოფლის ხუცესი, მასთან ერთად ვიყავი იმ სახლში[18]. და
მყისვე მოვიდა შინიდან დიაკონი და უთხრა მას ეს ყოველივე:
პიტიახშის მოსვლა და დედოფლის საქმეები, ხოლო ჩვენ ავივსეთ
მწუხარებით და გამწარებულნი ვტიროდით დიდი ტირილით
ჩვენი ცოდვების წარმოჩენისთვის.

ხოლო მე ადრე წამოვედი და მოვედი იმ დაბაში, სადაც იყო
ნეტარი შუშანიკი. როდესაც ვნახე იგი მეტად გამწარებული,
მეც ვტიროდი მასთან ერთად. ამასთან, ვუთხარი ნეტარ
შუშანიკს: „დიდ ბრძოლაში შედიხარ[19], ჩემო დედოფალო.
გაუფრთხილდი[20] ქრისტეს სარწმუნოებას, რომ არ ნახოს
საძოვარი შენთან მტერმა, როგორც განგრენამ“. ხოლო წმინდა
შუშანიკმა მითხრა მე: „ხუცესო, მეც დიდი ბრძოლისთვის
გამზადებული ვარ“. და მე ვუთხარი მას: „ეგ ეგრეა. მხნე იყავი
შენ, მომთმენი და სულგრძელი“. მან კი მითხრა მე: „მარტო
ჩემთვისაა ეს ჭირი“. და მე ვუთხარი მას: „შენი ჭირი ჩვენი ჭირია
და შენი სიხარული ჩვენი სიხარული. ჩვენი არა მხოლოდ

ლი ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“.

და ვარქუ მე სანატრელსა მას: „ხუაშიადად რაჲ ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაჲთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი“. ხოლო მან მრქუა მე: „რაჲსა მკითხავ ამას“? და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე მე საქმეთა და ცოდვათა ვასქენისთა“. მე მიუგე და ვარქუ მას: „მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ“. ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობჱს იყავნ ჴელთა მისთაგან სიკუდილი ჩემი, ვიდრე მისი და ჩემი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჱს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ გინა დაჲ, არამედ განეყენენ“. და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“.

IV. და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშჯდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა?“ ხოლო ზრახვითა იყო იგი ვასქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის, ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვით ზრახვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვასქენ პიტიახში. და მიუთხრა სპარსმან მან ფარულად: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და გეტყჳ შენ, ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“.

და ხვალისა დღჱ ვითარ აღდგა პიტიახში, გჳწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით. და სიყუარულით შეგჳმთხჳვნა და თქუა: „აწ ნუ რად მერიდებით მე, ნუცაღა გძაგ“. და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: „წარიწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ.“ მაშინ-ღა

დედოფალი იყავი, არამედ ჩვენ ყველას როგორც შვილებს ისე გვხედავდი“.

და მე ვუთხარი ამ სანატრელს: „ჩანაფიქრით რა როგორ გაქვს განზრახული, მითხარი მე[21], რომ ვიცოდე და აღვწერო შენი ღვაწლი“, მან კი მითხრა მე: „რისთვის მეკითხები ამას?“ მეც მივუგე და ვუთხარი: „მტკიცედ დგახარ?[22]“ და მან მითხრა მე: „ნუ მოხდება ჩემზე, რომ ვეზიარო მე ვასქენის საქმეებსა და ცოდვებს“. მე მივუგე და ვუთხარი: „მწარე განზრახვა აქვს მას, დიდ გვემასა და ტანჯვაში ჩაგაგდებს შენ“; ხოლო მან მითხრა მე: „უმჯობესი იქნება მისი ხელით ჩემი სიკვდილი, ვიდრე მისი და ჩემი შეყრა და ჩემი სულის წარწყმედა, რადგან მსმენია პავლე მოციქულისგან: „არ არის დამონებული ძმა ანდა და, არამედ გაიმიჯნოს“[23]. და მე ვთქვი: „ასეა“.

4. და სანამ ჩვენ ამ საუბარში ვიყავით, ერთი სპარსელი კაცი მოვიდა, შევიდა იგი ნეტარ შუშანიკთან და ტირილით ამბობდა: „მშვიდობის ასეთი სახლი როგორ შესაბრალისი გახდა და როგორ გადაიქცა სიხარული მწუხარებად?“ მაგრამ ვასქენისგან ჰქონდა მას დარიგება და მზაკვრულად ამბობდა ამას, რადგან უნდოდა მონადირება ამ ნეტარისა, წმინდანმა კი შეიცნო მისი მზაკვრული ჩანაფიქრი და შემოიმიჯნა თავისი თავი მტკიცედ[24].

და სამი დღის შემდეგ მოვიდა ვასქენ პიტიახში. უთხრა მას იმ სპარსელმა ფარულად: „მე როგორც შემიცვნია, შენი ცოლი გამდგარია შენგან, და მე გეუბნები შენ: რაიმე მკაცრ სიტყვას ნუ ეუბნები მას, რადგან ქალთა ბუნება ვიწროა[25]“.

მეორე დღეს, როდესაც ადგა პიტიახში, გვიხმო ჩვენ, ხუცესებს, და მივედით. სიყვარულით მიგვიღო მან და თქვა: „ახლა ნურაფრისთვის მერიდებით მე, ნურც გძულვართ“. ჩვენ კი მივუგეთ და ვუთხარით: „დაღუპე შენი თავი და ჩვენც დაგვღუპე“. მაშინღა დაიწყო მან ლაპარაკი და თქვა: „რატომ იუფლა ჩემზე ჩემმა ცოლმა ამგვარის ჩასადენად? ახლა მიდით

იწყო სიტყუად და თქუა: „რაჲსა ჴელ-იწოფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: "შენ ჩემიცა ხატი დაამჴუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ".

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არათუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამჴუ, ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სა-მარტჴლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენ-მან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ; მან ღმერთი, შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ, აღიარა და ჰრწმე-ნა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარ-ყავ და ცეცხლსა თაყუა-ნის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი შეურაცხ-ყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყოფ და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა". და ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა. ხოლო მან გული-განიწყო და იბრდღუენდა მისთჳს.

V. მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმაჲ თჳსი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის-ცოლი თჳსი, და ეპისკოპოსი სახლისა თჳსისაჲ, და ჰრქუა მათ: „ესრეთ არქუთ: ადეგ, ადგილსა თჳსსა მოვედ და ნუ ეგევითარი გონებაჲ გიპყ-რიეს! უკუეთუ არა, თრევით მოგითრიოთ აქა უწყალოდ".

და ვითარცა მიიწინეს და შევიდეს დაბასა მას და შევიდეს წინაშე დედოფლისა, მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას. მაშინღა წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: „კაცნო ბრძენნო, თქუენ კე-თილად იტყჳთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მისდა ცოლად ვიქ-მენ-ღა. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოაქციოთ და ღმერთი ჭეშ-მარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმისცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის-კერძო და

და უთხარით: შენ ჩემი ხატიც დაამხე და ჩემს საწოლს ნაცარი გადააყარე, შენი ადგილი დაგიტოვებია და სხვაგან წასულხარ".

ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა: „არათუ მე აღმემართა ის ხატი, რომ მე დამემხო[26], მაგრამ შენმა მამამ აღმართა სამარტვილეები[27] და ეკლესიები ააშენა, შენ კი შენი მამის საქმეები შებილწე და გააუკულმართე მისი სიკეთეები[28]. შენმა მამამ წმინდანები შემოიყვანა თავის სახლში, ხოლო შენ დევები[29] შემოიყვანე. მან აღიარა და ირწმუნა ცისა და მიწის შემქმნელი ღმერთი, შენ კი ჭეშმარიტი ღმერთი უარყავი და ცეცხლს ეთაყვანე. ამიტომ, როგორც შენ შეურაცხყავი შენი შემოქმედი, ასევე მე შენ შეურაცხგყოფ, და თუნდაც ბევრი ტანჯვა მომაყენო მე, არ ვეზიარები შენს საქმეებს". ჩვენც ეს ყოველივე ვაუწყეთ პიტიახშს, ის კი განრისხდა და ბრდღვინავდა მის გამო.

5. შემდეგ მიაგზავნა მან ჯოჯიკი, თავისი ძმა, და ჯოჯიკის ცოლი, თავისი ძმისცოლი, აგრეთვე თავისი სახლის ეპისკოპოსი, და უთხრა მათ: „ასე უთხარით: ადექი, შენს ადგილას მოდი და მაგნაირი განზრახვა ნუ გაქვს, თორემ თრევით მოგათრევთ აქ უმოწყალოდ".

როდესაც ესენი მივიდნენ და შევიდნენ დედოფალთან, მრავალ დამარწმუნებელ სიტყვას ეუბნებოდნენ მას; მაშინ კი წმინდა შუშანიკმა უთხრა მათ: „ბრძენო ადამიანებო[30], თქვენ კარგად ამბობთ, მაგრამ ნუ დაგიჯერებიათ, რომ მისი ცოლი ვიყავი. მეგონა მე, რომ მას ჩემკენ მოაქცევდით და აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს, და ახლა მე მაიძულებთ ამის გაკეთებას? ნუ მოხდება ეს ჩემზე! შენ კი, ჯოჯიკ, აღარ ხარ ჩემი მაზლი და არც მე ვარ შენი ძმისცოლი, არცთუ შენი ცოლია ჩემი და,

მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. ჯოჯიკ თქუა: „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰქრუა: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს მე, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განრინებაჲ ჩემი მისგან“. და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯოჯიკ აღდგა და ცრელით გარე გამოვიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყჳ შენ დაჯერებად ჩემი მისდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ და ჯოჯიკ ეევედრებოდა და ეტყოდა: „დაჲ ჩუენი ხარ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სამეუფოსა“. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ, ერთად განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმედ სისხლი იქმნეს, და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნნეთ“, და ვითარცა ფრიად აიძულეს მას, აღდგა ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და ტირილით ესრჱთ იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდიდ მივალ“.

და ესე თქუა და წარვიდა მათ თანა და თანაწარიტანნა ევანგელჱ და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძართა მათ, არა თჳსსა მას გაჳალაკსა დაჯდა, არამედ სენაკსა მცირესა შინა, და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალჱ და არცა ერისაგანი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდიდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვასქენს“.

VI. და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“.

და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი

რომლებიც მის მხარეს და მისი საქმეების მოზიარეები ხართ“. უთხრა მას ჯოჯიკმა: „ვიცი მე, ახლა გამოგზავნის მსახურებს და თრევით წაგიყვანს შენ“. წმინდა შუშანიკმა უთხრა: „თუკი შემკრავს მე და მათრევს, გამიხარდება, რადგან ამ სახით იქნება ჩემი გადარჩენა მისგან[31]“. როდესაც ეს გაიგონეს მისგან, აცრემლდა ყველა, ჯოჯიკი კი ადგა და ცრემლით გარეთ გამოვიდა[32]. წმინდა შუშანიკმა უთხრა ეპისკოპოსს: „როგორ მეუბნები შენ, რომ დავუჯერო მე მას, რადგან მან ღმერთი უარყო?“ მაგრამ ჯოჯიკი ევედრებოდა: „ჩვენი და ხარ, ნუ დაღუპავ ამ სამეფო სახლს“. უთხრა მას წმინდა შუშანიკმა: „ვიცი, რომ და ვარ, ერთად გაზრდილები, მაგრამ ვერ ვიზამ მაგას, რომ სისხლი დაიქცეს და თქვენ ყველანი პასუხისმგებლები გახდეთ“, და როდესაც ძალიან აიძულეს, ადგა ნეტარი შუშანიკი, თან წაიღო თავისი სახარება და ტირილით ასე ამბობდა: „უფალო ღმერთო, შენ იცი, რომ მე მთელი გულით სიკვდილისკენ მივდივარ“.

ეს თქვა და წავიდა მათთან ერთად. თან წაიღო მან თავისი სახარება და მოწამეთა წმინდა წიგნები. როდესაც შევიდა იგი სასახლეში, დაჯდა არა თავის ტახტზე, არამედ - პატარა სენაკში. აღიპყრო თავისი ხელები ზეცად წმინდა შუშანიკმა და თქვა: „უფალო ღმერთო, არც რომელიმე მღვდელთაგანი აღმოჩნდა მოწყალე, არცთუ საეროთაგანი ვინმე გამოჩნდა ამ ხალხში, არამედ ყველამ მიმგვარა მე სასიკვდილოდ ღვთის მტერს ვასქენს“.

6. ორი დღის შემდეგ მოვიდა ის მგელი სასახლეში და უთხრა თავის მსახურებს: „დღეს მე, ჯოჯიკი და მისი ცოლი ერთად პურს შევჭამთ[33], სხვას კი ნურავის ექნება ჩვენთან შემოსვლის ნება“.

როდესაც შეღამდა, მოუხმეს ჯოჯიკის ცოლს და ინებეს განმარტოებით პურისჭამა, რომ მოეყვანათ წმინდა შუშანიკიც.

მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა ჯჳეკმა აიძულებდეს–, ძლით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯერესა გინებად ვასქენ და ფერჴითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა, ვითარცა მჴეცი მძჳნ-ვარჱ ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელ-სა, გამოუღო ჴელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვასქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლეულისა მაოჴრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერჴთა მისთა.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვ-იდა სპარსი იგი და მჴურვალედ ევედრებოდა მას, რაჲთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაჲ მისი, და სენაკსა ერთსა შეყვ-ანებაჲ. და კრძალულად დაიცვის იგი ერთითა მსახურითა და სხუ-აჲ არავინ შევიდის ხილვად მისა, – გინა მამაკაცი, გინა დედაკაც-თაგანი.

როგორც კი დადგა პურობის დრო, შევიდნენ ჯოჯიკი და მისი ცოლი წმინდა შუშანიკთან, რომ მისთვისაც ეჭმიათ პური, რადგან მთელი ის დღეები უზმოდ გადაევლო. როდესაც მეტისმეტად აიძულეს, ძალით წაიყვანეს სასახლეში, მაგრამ მან არაფრის გემო არ გასინჯა, ჯოჯიკის ცოლმა კი მიართვა ჭიქით ღვინო და აიძულებდა მას, რომ მხოლოდ იგი შეესვა. უთხრა მას წმინდა შუშანიკმა რისხვით: „როდის ყოფილა აქამდე, რომ კაცებსა და ქალებს ერთად ეჭამოთ პური?“ გაიქნია მან ხელი, ჭიქა სახეში შეალეწა და ღვინო დაიქცა.

მაშინ დაიწყო უწესოდ გინება ვასქენმა და თავისი ფეხით წიხლავდა მას; აიღო აქანდაზი[34], დაჰკრა თავზე[35] და ჩამარხა[36]. დაუსივა[37] მას ერთი თვალი, თანაც სახეში მჯიღით სცემდა უმოწყალოდ და თმით მიმოათრევდა[38]; როგორც მძვინვარე მხეცი, გაჰკიოდა და ყვიროდა იგი, როგორც გიჟი. მაშინ საშველად ადგა ჯოჯიკი, ვასქენის ძმა, და იბრძოდნენ, სანამ არ გვემა ისიც. და კუბასტიც[39] მოჰგლიჯა მის თავს, და გაჭირვებით, როგორც მგელს - კრავი, გამოაცალა მას ხელებიდან იგი. და იდო მიწაზე წმინდა შუშანიკი, როგორც მკვდარი, ვასქენი კი აგინებდა მის თესლ-ტომს[40] და ოჯახის მაოხრებელს უწოდებდა მას. შემდეგ ბრძანა მისი შეკვრა, და მის ფეხებზე ბორკილების დადება.

როდესაც ვასქენი ცოტათი დაცხრა გულისწყრომისგან, მოვიდა ის სპარსელი და მხურვალედ ევედრებოდა მას, რომ ბორკილებისგან გაეთავისუფლებინა წმინდა შუშანიკი, და რადგან ძალიან ევედრებოდა, ბრძანა გაეშვათ და ერთ სენაკში შეეყვანათ, ამასთან, საიმედოდ იცავდა მას ერთი მსახურის მიერ და სხვა არავინ შედიოდა მის სანახავად, გინდ კაცი ყოფილიყო, გინდ ქალთაგანი.

VII. და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვერ განსარინებელ არს იგი“. მაშინ თჳთ შევიდა და იხილა და დაუკჳრდა სიმსივნჱ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“. და თჳთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე“. და მე ვარქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა შენ? და თუცა მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს?!“ მაშინ შემიტევა მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული და ჴმაჲ განმერა ტირილით. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე“. და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთამთხუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ“. ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღუანა სამოელს ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, ვერ ძალმიც გემოჲსხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. მაშინ მოვიღე მცირედ ღჳნოჲ და პური, დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა.

და მე ვისწრაფდი გამოსლვად. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეჴმარების“. ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“.

და ჩუენ-ღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?!“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ

7. და როდესაც ჯერ კიდევ ცისკარი იყო, იკითხა მან და უთხრა თავის მსახურს: „როგორ არის ჭრილობისგან?“ მან კი უთხრა მას: „ვერ გადარჩება იგი“. მაშინ თვითონ შევიდა, ნახა იგი და გაუკვირდა მისი სიმსივნე. შემდეგ ამცნო მსახურს და უთხრა: „ნურავინ შევა მის სანახავად“, და თვით სანადიროდ წავიდა.

ხოლო მე ავდექი, მივედი და ვუთხარი იმ მცველს: „მხოლოდ მე მარტო შემიშვი და ვნახავ მის ჭრილობას“. მან კი მითხრა მე: „იქნებ გაიგოს და მომკლას მე“. და მე ვუთხარი მას: „ჰოი უბადრუკო, მისი გაზრდილი არ ხარ შენ? მის გამო რომც მოგკლას, რა არის?“ მაშინ შემიშვა მე ფარულად.

როდესაც შიგნით შევედი, ვნახე მისი სხეული[41] დამსკდარი და გასიებული. ხმა გამიქრა ტირილისგან, წმინდა შუშანიკმა კი მითხრა მე: „ნუ ტირი ჩემთვის, რადგან სიხარულის სათავე გახდა ჩემთვის ეს ღამე“. ვუთხარი მე წმინდა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბან მაგ სისხლს სახეზე და ნაცარს, რაც შენს თვალებშია ჩაცვენილი. სალბუნსა და წამალს დაგადებ, რომ იქნებ, მაშ, ღამით განიკურნო“. მაგრამ წმინდა შუშანიკმა მითხრა მე: „ხუცესო, ნუ ამბობ მაგას, რადგან ეგ სისხლი ჩემი ცოდვების გამწმენდია“. ხოლო მე დავაძალე ცოტათი საჭმლის მიღება, რაც მოერთმიათ სამოელ ეპისკოპოსს და იოანეს, რადგან ფარულად ზრუნავდნენ მასზე და ანუგეშებდნენ. მაშინ მითხრა მე წმინდა შუშანიკმა: „ხუცესო, არ შემიძლია გემოს გასინჯვა, რადგან ყბები და ზოგი კბილი ჩამტვრეულია“. მაშინ ავიღე ცოტათი ღვინო და პური, დავალბე და ცოტათი გემო გასინჯა.

მე კი ვჩქარობდი გამოსვლას. მაშინ მითხრა მე წმინდა შუშანიკმა: „ხუცესო, გავუგზავნი ამ სამკაულს, იქნებ თხოულობს, რადგან მე ამ ცხოვრებაში აღარაფრად მჭირდება“. მაგრამ მე ვუთხარი: „ნურას ჩქარობ, იყოს შენთან“.

და როდესაც ჩვენ ამ ბჭობაში ვიყავით, მოვიდა ერთი ჭაბუკი და თქვა: „იაკობი მანდ არის?“ მე ვუთხარი: „რა გნებავს?“ მან თქვა: „უხმობს პიტიახში“. მე გამიკვირდა, თუ რატომ მიხმობს

გინებს?“ და მან თქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა? და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, - იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაჲცა რაჲ არს“. ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ იგი პიტიახშსა. და მან მი-იღო ჩემგან, აღიხილა, და პოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

VIII. და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირჱ სენაკი და მუნ შინა დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირჱ სარკუმე-ლი და დაყო იგიცა. და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვითა და ლოცვითა და ტირილითა.

და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყჳ მას“.

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპიკოპოსსა მას აფოცს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინე-ბად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რაჲსა ეგრე ჰზამ და იტყჳ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყჳ?“ ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა, და მან ვერ-ღარა იკადრა სიტყუად.

ამ დროს. მივიჩქარე და მივედი, მან კი მითხრა მე: „იცი, ხუცესო, მე ჰუნებზე საბრძოლველად მივდივარ და ჩემს სამკაულს მას არ დავუტოვებ. რადგან იგი ჩემი ცოლი არ არის, მოინახება ის, ვინც გაცვეთს მას. წადი და მომართვი მე აქ ის ყოველივე, რაც კი რამ არის“. მეც მივედი და ვუთხარი წმინდა შუშანიკს, მან კი მეტად გაიხარა და მადლობა უძღვნა ღმერთს, შემდეგ მომიტანა ყოველივე და მივართვი პიტიახშს, მან კი მიიღო ჩემგან, დაათვალიერა და ნახა ყველაფერი დაცულად[42] და კვლავ თქვა: „შემდეგაც მოინახება ვინმე, ვინც ამას დაიმშვენებს“.

8. და როდესაც დადგა დიდმარხვა[43], მივიდა ნეტარი შუშ-ანიკი ეკლესიის მახლობლად, მოძებნა პატარა სენაკი და მასში განმარტოვდა. იყო იმ სენაკში პატარა სარკმელი და ისიც ჩაკე-ტა. და იმყოფებოდა იგი იმ სიბნელეში მარხვით, ლოცვითა და ტირილით.

უთხრა კი პიტიახშს ვიღაცამ, მისმა ახლობელმა: „ამ წმინ-და მარხვებში ნურაფერს ეტყვი მას“.

და როდესაც დადგა აღვსების ორშაბათი[44] და დაბრუნდა პიტიახში ჰონების წინააღმდეგ ბრძოლისგან, მის გულს ეშ-მაკი თხრიდა[45]. ადგა იგი, მივიდა ეკლესიაში და ეუბნებოდა ეპისკოპოს აფოცს: მომეცი მაქედან[46] ჩემი ცოლი, რად გამა-შორებ მე?“ და დაიწყო მან გინება და სასტიკად ღვთის გმო-ბა, ერთმა ხუცესმა კი უთხრა მას: „ბატონო, რისთვის აკეთებ ასე, რომ ამგვარად უკეთურს ამბობ, აგინებ ეპისკოპოსს და წმინდა შუშანიკს რისხვით ეუბნები?“ მაგრამ მან დაჰკრა კვერთხი იმ ხუცესს ზურგზე და იმან ვეღარ გაბედა სიტყვის თქმა.

და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჴათა შიგან
და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი
მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა და თჳთ ფერჴნი
დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჴორცნი
წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს
იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ; ხისტოოდა და
იტყოდა: „აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა
ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი. და ვითარცა
სცეს კუერთხითა სამას ოდენ, არარაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვაჲე-
ბაჲ, არცა კუნესაჲ. მაშინ-და ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩუ-
ლოსა ვასქენს: „უბადოო, შენ-და თავი თჳსი არა შეიწყალე და გან-
სდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?“

და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა
ჩჩჳლთა მათ ჴორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭჳ ქედსა
მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ
შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და
მოკუდეს მუნ შინა.

IX. და დიაკონი ვინმე ერთი მის ეკლესიისაჲ დგა წმიდისა შუშ-
ანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამო-და-ჰყვანდა იგი ტაძრით, და
უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა
პიტიახშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ
ჰრქუა: „მტკი“... და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო
სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჴამური
და თმაგარდატეებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი და
ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი
მჴედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა
გინებითა.

და ასე, თრევით წამოათრია[47] წმინდა შუშანიკი ტალახ-
ში[48] და ეკლებზე. და ეკლესიიდან სასახლემდე მიათრია იგი
როგორც მკვდარი, თან ადგილ-ადგილ ქვეშ ძეძვი[49] დაეფინა,
თვითონ მას ფეხები დაედგა ძეძვებზე, ხოლო შუშანიკის
კალთები და სხეული წვრილ-წვრილად დაეგლიჯა ამ ძეძვს.
ასე მოიყვანეს იგი სასახლეში. ვასქენმა ბრძანა მისი შეკვრა
და ცემა, თან ფიცხობდა[50] და ამბობდა: „აი, არ გარგო შენ შენ-
მა ეკლესიამ, არც მაგ შენმა ზურგმა - ქრისტიანებმა და მათ-
მა უფალმა“. როდესაც დაჰკრეს მას კვერთხი თითქმის სა-
მასჯერ, არანაირი ვაება არ აღმოხდომია მის პირს, არცთუ
კვნესა. მაშინ კი უთხრა წმინდა შუშანიკმა უსჯულო ვასქენს:
„უბადრუკო, შენ შენი თავიც კი არ შეიწყალე და ღვთისგან
განდექი და მე შემიწყალებ?“

და როდესაც ვასქენმა დაინახა დიდძალი სისხლი, რაც
ჩამოსდიოდა შუშანიკის რბილ სხეულს, მაშინ ბრძანა მან,
ჯაჭვი დაედოთ მის კისერზე[51], და უბრძანა ერთ მესენაკეს,
წაეყვანა წმინდა შუშანიკი ციხეში და ბნელ საპყრობილეში
ჩაეკეტა, რომ მომკვდარიყო იქ, შიგნით.

9. და იმ ეკლესიის ერთი დაიკონი იდგა შუშანიკთან იმ
დროს, როდესაც გამოჰყავდათ იგი სასახლიდან და უნდოდა,
რომ ეთქვა: „მტკიცედ დადექი!“ მაგრამ თვალი ჰკიდა[53]
პიტიახშმა და რადგან სხვა ვეღარაფრის თქმა ვეღარ დას-
ცალდა, ასე უთხრა მხოლოდ: „მტკი...“ და დადუმდა კიდეც
და გასაქცევად მიბრუნდა სწრაფად[54].

მაშინ წამოიყვანეს და მოჰყავდათ ნეტარი შუშანიკი ფეხ-
შიშველი და თმაგადაშვებული როგორც ერთი ვინმე მდა-
ბიოთაგანი და ვერავინ გაბედა დაფარება მის თავზე, რადგან
პიტიახში ამხედრებული მიჰყვა უკან მის კვალს და აგინებდა
მას მრავალი გინებით.

და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იცემდეს მკერდსა და იჴაჴდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ. და ჯჳმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჴედრ მიმოდასდეენინ და მეოტ ჰყოფენ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჴიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჴითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“.

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ-კერძო, მცირჱ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჯჳაჭჳ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაჰბეჭდა ურჩულომან ვასქენ ბეჭდითა თჳსითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯჳ და მუნ განვისუენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“.

მაშინ დაადგინნა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი. და ესრეთ ეტყოდა მათ: „გეტყჳ თქუენ, უკუეთუ შე-ვინმე-ვიდეს მისა, ანუ მამაკაცი, გინა დედაკაცი, განიხილენით თავნი თქუენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქუენ“.

და მიდიოდა წმიდანთან ერთად დიდძალი ხალხი[55] კაცებისა და ქალებისა, - ურიცხვი სიმრავლე, რადგან უკან მიჰყვნენ მას, ხმა აემაღლებინათ, ტიროდნენ, იცემდნენ მკერდზე, იკაწრავდნენ თავიანთ ღაწვებს, და შესაბრალისად ღვრიდნენ თავიანთ ცრემლებს წმინდა შუშანიკისთვის, წმინდა შუშანიკმა კი უკან მოჰხედა ხალხს და უთხრა მათ: „ნუ ტირით, ჩემო ძმებო და დებო, და ჩემო შვილებო, არამედ ლოცვაში მომიხსენეთ, ხოლო მე ამიერიდან განშორებული ვიყო თქვენგან[56], რადგან ვეღარ მნახოთ გამოსული ციხიდან ცოცხალი“. როდესაც დაინახა პიტიახშმა ეს ხალხი და ტირილი კაცებისა და ქალებისა, მოხუცებულებისა და ახალგაზრდებისა, ამხედრებული აქეთ-იქით დასდევდა და დევნიდა მათ ყველას. როდესაც მიაღწიეს ციხის ხიდს, უთხრა პიტიახშმა წმინდა შუშანიკს: „შენთვის მაგდენად იკმარებს შენი ფეხით სვლა, რადგან ცოცხალი ვეღარ გამოხვალ, არამედ ოთხი თუ გამოგიტანს“.

და როდესაც შევიდნენ ციხეში, ნახეს ერთი პატარა ოთახი ჩრდილოეთ მხარეს, მცირე და ბნელი, და იქ ჩაკეტეს[57] წმინდანი, ჯაჭვი კი, რაც კისერზე ჰქონდა მას დადებული, ისევე ედო; უსჯულო ვასქენმა დაბეჭდა იგი თავისი ბეჭდით, ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა: „მე ამით ვარ გახარებული, რომ აქ დავიტანჯები და იქ მოვისვენებ“. პიტიახშმა კი უთხრა მას: „ჰო, ჰო, მოისვენე!“

მაშინ დაუყენა მას მცველები და ამცნო მათ, რომ შიმშილით მოეკლათ იგი, ეუბნებოდა რა ასე: „გეუბნებით თქვენ, თუ ვინმე შევა მასთან ან კაცი ანდა ქალი, მერე ნახეთ თქვენი თავი[58], თქვენი ცოლები, შვილები და სახლები. უდანაშაულო ვიქნები, რასაც გაგიკეთებთ თქვენ“.

X. მაშინ გამოვიდა ციხით. და მესამესა კჳრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთსა, ჰკითხა მას და ჰრქუა: „აქამომდე ცოცხალ-ღა არსა საწყალობელი იგი?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალო, სიკუდიდ-კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“. ხოლო მან ჰრქუა: „ნურარაჲ გგლიან, უტე, - მოკუდეს“.

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ. და ძნიად თავს-იდვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: „რაჟამს დაღამნეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ“.

და ვითარ შემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტჱსი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათ-გან, და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან ჩემმან, ვტიროდე ფრიად. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „კეთილისა ამისთჳს სტირ-ა, ხუცეს?“ ხოლო მცველმან მან მრქუა მე: „ესე-ღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“. ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკი-ცებად მისა, რავდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და ვიჳმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა.

ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, არა დახუდა, ოდეს საქმჱ ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკუანა სდევდა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვარ-თა ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაჲ მისი. და ვითარ ფრიად აწყინა, ბრ-ძანა განტევებაჲ საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰვადა ჯაჭჳ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულადმდე მითურთით. რამეთუ ექუსი იგი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმ-რთოჲთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღჳძარებითა, ლოცვითა და ვედრებითა, ზედგომითა, თაყუანისცემითა და ცრემლითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებელად. განაბრწყინა და განა-შუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

10. მაშინ გამოვიდა იგი ციხიდან. და მესამე კვირას მოუხ-მო მან ერთ მცველს, ჰკითხა მას და უთხრა: „აქამდე კიდევ ცოცხალია ის საწყალი?“ მან კი უთხრა: „ბატონო, სიკვდილ-ისკენ უფროა საფიქრებელი ვიდრე სიცოცხლისკენ, ხოლო შიმშილით უფრო მეტად კვდება, რადგან არაფერს იღებს საჭ-მელს“. მან კი უთხრა: „ნურაფერი გაწუხებს, დაე მოკვდეს“.

მე კი დიდი ხვეწნით ვუთხარი[59] იმ მცველს და დავპირდი მის-თვის რაღაც ნივთს[60]. ძნელად აიღო მან თავის თავზე ჩემი შეშვება და მითხრა მე: „როდესაც დაღამდება, მოდი მხოლოდ შენ მარტო“. და როდესაც შემიყვანა იმ მცველმა, ვნახე ქრისტეს ტარიგი[61], სას-ძლოსებრ ლამაზად შემკული[62] იმ ბორკილებით[63]. მეც, რადგან ვერ მომითმინა ჩემმა გულმა[64], ვტიროდი ძალიან, წმინდა შუშანიკმა კი მითხრა მე: „ამ სიკეთეებისთვის ტირი, ხუცესო?“ მცველმა კი მითხრა მე: „ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდი შენ“[65]. დავიწ-ყე ლაპარაკი და მისი განმტკიცება, რამდენადაც მომცა მე ღმერთ-მა სათქმელად; შემდეგ გავცილდი მას და წავედი სწრაფად ჩემს სახლში.

პიტიახში კი ჩორში[66] წავიდა. ჯოჯიკი, მისი ძმა, არ შეესწრო, როდესაც ეს ამბავი მოხდა წმინდა შუშანიკზე. როდესაც მოვიდა ჯოჯიკი, უკან მისდია პიტიახშს, დაეწია ჰერეთის საზღვრებთან და ძალიან ევედრებოდა მას, რომ ებრძანებინა იმ ბორკილებისგან მისი განთავისუფლება, და რადგან ძალიან შეაწუხა, უბრძანა მან, მხოლოდ ბორკილებისგან გაეთავისუფლებინათ იგი. როდესაც მოვიდა ჯოჯიკი, მოაცილა ჯაჭვი მის კისერს, ბორკილებისა კი არ განიკუთვნა[67] წმინდა შუშანიკმა, ვიდრე არ აღესრულა იგი ამ ბორკილებთან ერთად[68], რადგან ექვსი წელი ციხეში დაასრულა მან და ყვაოდა იგი საღვთო წესიერებით[69]: მარხვით, მარადის მღვიძარებით, ლოცვა-ვედრებით, ზედგომით, თაყვანისცემითა და ცრემლით მოუწყენლად და წიგნთა კითხვით დაუზარებლად . გა-ნაბრწყინა და განამშვენა მან მთელი ის ციხე სულიერი ქნარით[70].

XI. და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რაჲ ვის უჴმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა ახილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგჳ, რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას, რაჲთამცა დაუტევა მოგუებაჲ იგი და იქმნა იგი ქრისტიანე. ხოლო დედაკაცმან მან თავს-იდვა ადრე-ადრე. და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „მივედ იერუსალჩმდ და განსწმიდნე განბორებისა მაგისგან შენისა“. და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარემართა გზასა მას სახელითა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, და განიკურნა იგი სალმობისა მისგან. და ვითარ გარემოიქცა იგი სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაჴდად და წარვიდა სახიდ თჳსა სიხარულითა განმრთელებული.

XII. ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ჴელთა აღიხუნა დავითნი და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავნა, რომლითა-იგი დღჱ და ღამჱ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირავნ ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: „შვილნი იგი შენნი მიაქცინა მოგუებასა“. მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თჳსსა ქუე-დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებაეს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა“.

11. და ამის შემდეგ გაითქვა მთელ ქართლში მისი ამბავი. მოდიოდნენ მამები და დედები აღთქმულთა[71] შესაწირად და ვისაც რა სჭირდებოდა, მიემადლებოდა ნეტარი შუშანიკის წმინდა ლოცვით (რასაც აძლევდა მას კაცთმოყვარე უფალი): უშვილოებს შვილი, სნეულებს განკურნება, ბრმებს თვალის ახელა.

იყო ერთი ვიღაც სპარსელი ქალი მოგვი, რომელსაც კეთროვნების ტკივილი[72] ჰქონდა. მოვიდა იგი სანატრელ შუშანიკთან, ის კი ასწავლიდა მას, რომ დაეტოვებინა მოგვობა და გამხდარიყო ქრისტიანი; იმ ქალმაც მალევე განიკუთვნა ეს, შუშანიკი კი ასწავლიდა ამ ქალს და ეუბნებოდა: „მიდი იერუსალიმში[73] და განიწმინდები მაგ შენი კეთროვნებისგან“. იმანაც გულმოდგინედ შეისმინა[74], გაემართა იმ გზაზე ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და განიკურნა ტკივილისგან.

როდესაც შემობრუნდა იგი დიდი სიხარულით და მოაღწია იქვე, მოვიდა წმინდა შუშანიკთან მადლობის გადასახდელად და სიხარულით წავიდა თავის სახლში გამოჯანმრთელებული.

12. წმინდა შუშანიკმა კი ძვირფას სამოსელზე ზრუნვის სა-ნაცვლოდ[75] დიდი გულმოდგინებით აიღო ხელში „დავითნი“[76] და ცოტა დღის შემდეგ დაისწავლა ასორმოცდაათი ფსალმუნი, რითაც დღე და ღამე ზენა მეუფის მიმართ სათნო გალობას სწირავდა ცრემლით. და უთხრეს ნეტარ შუშანიკს: „შენი შვილები მოგვობაზე მიაქცია ვასქენმა“. მაშინ დაიწყო მან ღვთისადმი დიდი ტირილით თაყვანისცემა და, თავის თავს ქვევითკენ ურტყამდა რა, ამოიოხრა და თქვა: „გმადლობ შენ, უფალო ჩემო, რადგან იყვნენ-კი არა ჩემნი, არამედ შენი მოცემულნი. როგორც გნებავს, იყოს შენი ნება, უფალო, და მე დამიცავი მტრის საქმეთაგან“.

და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა. და რამეთუ მოეძღუანა წმიდასა მას ეპიკოპოსსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემოჲ-იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა; ხოლო რაჟამს მიაქცინეს და უვარ-ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელიცა მათი სძაგდა სმენად.

XIII. და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხჳდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრეთ: „უბადოო და უგულისხმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე“. და გულსა-ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთჳს (ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხჳო“), ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“. და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათჳს იტყოდა, რაჲთამცა სათნო-ეყო ღმერთსა.

ხოლო პიტიახშმან გამოარჩია ძუძუჲსმტჳ მისი საკუთარი, რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჴრებ სახლსა მას თქუენსა“, ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ: შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერჴითა არა გამოხჳდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინებად, პირველად დედაჲ შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარ-

და მე მივედი და ვნახე წმინდა შუშანიკი ტირილისგან მოწყლული და გახევებული[77], და რომ მისთვის საჭმელი მოეტანა წმინდა ეპისკოპოსს. როდესაც ძალიან ვაიძულე, მხოლოდ ცოტათი გასინჯა, და ვმადლობდით ღმერთს. ამ დრომდე მოდიოდნენ მისი შვილები თავიანთი დედის სანახავად, მაგრამ როდესაც გადაიბირეს ისინი და ღმერთი უარყვეს მათ, ველარ გაბედეს მისი ნახვა. პირიქით, მათი სახელის მოსმენაც კი სძაგდა მას.

13. შემდეგ შუამავლები გაუგზავნა მას პიტიახშმა და უთხრა: „ან ჩემს ნებას დაჰყევი და მოდი სასახლეში, ანდა, თუკი არ მოხვალ შინ, სახედრით გაგგზავნი შენ ჩორში ან კიდევ კარში“[78]. წმინდა შუშანიკმა ასე შეუთვალა[79]: „უბადრუკო და უგუნურო, მე თუ კარში ან ჩორში გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ იქ რაიმე კარგს შევეყარო და ამ ბოროტს განვერიდო“. ფიქრებში იყო პიტიახში ამ სიტყვების გამო (მას რომ უთხრა: „ვინ იცის, იქნებ რაიმე კარგს შევეყაროო“), რომ: „იქნებ ვინმე მთავართაგანს ეცოლოს“, და ამის შემდეგ აღარავინ მიაგზავნა მასთან, თუმცა წმინდა შუშანიკი ამ ბოროტ გვემულებათა მოთმენის გამო ამბობდა, რომ სათნო გამხდარიყო ღვთისთვის.

ხოლო პიტიახშმა გამოარჩია თავისი საკუთარი ძუძუმტე, რომ მას მოეყვანა შუშანიკი სასახლეში. და როდესაც უთხრა მას ამ კაცმა: „ისმინე ჩემი, ჩამოდი სასახლეში და ნუ აოხრებ თქვენს სახლს“, წმინდა შუშანიკმა ასე მიუგო: „უთხარი იმ უღვთოს: შენ მომკალი და მითხარი მე: ჯანმრთელი ფეხით ვერ გამოხვალ შენ მაგ ციხიდან; ახლა კი, თუ შეგიძლია მკვდრის აღდგინება, პირველად შენი დედა აღადგინე, რომელიც ურდშია დამარხული, მაგრამ თუ მისი აღდგინება არ ძალგიძს, ვერც ჩემი აქედან გაყვანა შეგიძლია, მხოლოდ

ნა თრევით განმითრიო“. და ვითარცა მიუთხრეს პიტიახშსა სიტყუაჲ იგი, და მან თქუა: „ნანდჳლვე ვთქუ ეგე!“

და მეორესა დღესა შემო-ვინმე-ვიდა და ჰრქუა წმიდასა შუშანიკს: „კეთილად მიუგე მას სიტყუაჲ იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუვილი შენი და მას სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეკვადა სიბოროტისაჲ შენთჳს“. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: „მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ“.

XIV. და ვითარცა აღივსებოდა მეექუსჱ იგი წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმჴნისა მისისაჲთა სენი სნეულებისაჲ მოიწია მის ზედა, რომელსა-იგი წინაჲსწარ უღაღადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ: „ნუ - ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ ჴორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაჲსმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“. და არცაღა მცირედ სადა სცა ჴორცთა მისთა განსუენებაჲ, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა, ერგასისთა მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამჱ არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარის ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენაკი მხლისა შექმნული - იგიცა მცირედ - მიიღის, ხოლო პურისა გემოჲ არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაჲთგან პყრობილ-ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზაკი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი და კაცთა თუალსა სასთაულაკი ერთი ხალენისაჲ უცნ სასთუნ-

თრევით თუ გამათრევ“. როდესაც ეს სიტყვა უთხრეს პიტიახშს, მან თქვა: „ნამდვილად ვთქვი ეგ“.

მეორე დღეს შემოვიდა ვიღაც და უთხრა წმინდა შუშანიკს: „კარგად მიუგე მას ის სიტყვა, რადგან მაგ გზით ჰქონდა მას განზრახული შენი მოტყუება და სხვა ჩანაფიქრი ედო გულში სიბოროტისა შენს მიმართ“. წმინდა შუშანიკმა უთხრა მას: „და შენ ღმერთი ძილში ნუ გგონია, რომელიც განუმზადებს სიტყვებს ადამიანის პირს, რადგან თვით უფალი ამბობს: „მე მივუგებ სიტყვას თქვენს ნაცვლად“.

14. და როდესაც სრულდებოდა მეექვსე წელი საპყრობილეში, თავისი მხნეობის ღვაწლში დიდი შრომის შედეგად ავადმყოფობის სნეულება მოიწია მასზე, რასაც წინასწარვე ვუცხადებდი და ვეუბნებოდი: „ძალიან ნუ, რადგან დაუმძიმებ მაგ სხეულს, ვერ დაგითმობს რა, და შემდეგ ველარაფერს შესძლებ, რომ რაიმე კარგის გამკეთებელი იყო, მაგ ზომის მკაცრი მარხვით, მუდამ-ჟამს ზედგომით და მთელი ღამე გარჯით, ფსალმუნებითა და გალობით“. და მცირედითაც კი არ მისცა მოსვენება თავის სხეულს, და იმგვარი გახდა და ისე დადნა როგორც ფერფლი.

ხოლო აღვსების დიდ მარხვაში, იმ ორმოცდაათ დღეს, ექვსი წლის განმავლობაში არც დღისით და არც ღამით არ დამჯდარა იგი ქვევით, არც დაუძინია, არც რამ საჭმელი მიუღია, თუ არა ის, რომ კვირადღეს ეზიარებოდა ჩვენი ღვთის, ქრისტეს, ხორცსა და სისხლს და მხოლოდ ცოტათი ბოსტნეულისგან გაკეთებულ წვენს, იმასაც ცოტათი, იღებდა, ხოლო პურის გემოს არ სინჯავდა ვიდრე აღდგომამადე.

და იმ დღიდან, რაც დაატყვევეს იგი ციხეში, სასთუმალზე თავი არ დაუდია, არამედ ერთი აგური ჰქონდა დადებული სასთუმლად, ქვეშსაგებად კი იყო ნაგლეჯი ერთი ძველი, ადამიანთა თვალისთვის კი ტყავის ერთი ბალიში ჰქონდა სასთუმლად და

ლით-კერძო. და თაყუანისსაცემელად კილიკი ერთი მცირჱ ქუე
წარუგდებიედ, და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას
დასხმულ იყო. ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი
მჴურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი,
რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა
განსივებულნი და განყჳთლებულნი, დაწერტილნი და დამშრ-
შალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და
დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუ-
ეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და
მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.

XV. და ვითარცა მეშჳდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და
სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებაჲცა ჴორცთა
მისთაჲ და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჴნი
მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. და წყლულე-
ბანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ,
რომელ-იგი აღიღო ჴელითა თჳსითა და მიჩუენებდა მე და ჰმად-
ლობდა ღმერთსა. და თქუა: „ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი
იგი მატლი უდიდჱს არს და არა მოკუდების“. და მე, ვითარცა ვიხ-
ილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და
ვტიროდე ფრიად. კუალად მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუხ-
არე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობჱს იყავნ
ამათ მოკუდავთა შეჭმაჲ აქავე ამას ცხორებასა“. და მე მიუგე და
ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედ-ღა შეგერაცხაა საგუემელად, და
აწ მატლთა მაგათთჳს მხიარულ ხარ?“ და მან მრქუა მე ქენებით: „ნუ
ვის თანა იტყჳ ძაძისა სამოსლისათჳს ცხორებასა ჩემსა, რამეთუ
ადრე ყოფად არს დატევებაჲ უბადრუკთა ამათ ჴორცთა ჩემთაჲ“.
რამეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე,
ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქისა პალეკარტი ემოსა.

თაყვანისცემის აღსავლენად ტყავის ერთი პატარა ნაჭერი წაეგ-
დო ქვევით, და წარმოუდგენელი რწყილი და ტილი იყო მოდებუ-
ლი იმ ადგილას. იქ ზაფხულის დროს იყო ცეცხლივით დამწველი
მზის მხურვალება, ცხელი ქარები და მავნებელი წყლები, და ამ
ადგილის მკვიდრნი სნეულებით იყვნენ სავსენი, წყლით დასიე-
ბულები, გაყვითლებულები, დასვრეტილები, მოწყლულები, და-
მუნიანებულები, სახედაავადებულები, პირისახედასიებულები და
დღემოკლედ მცხოვრებნი; იმ მხარეებში არავინ არის მოხუცებუ-
ლი. აი, ამგვარ ციხეში ექვსი წელი იყო იგი დატყვევებული და
მძიმე ბორკილებში მყოფი ადიდებდა ღმერთს.

15. და როდესაც დგებოდა მეშვიდე წელი, მოიწია წმინ-
და და სანატრელ შუშანიკზე მისი სხეულის დაწყლულება.
დაუცხრომელ ღვაწლთა გამო დაუსივდა მას თავისი ფეხები
და ჩირქი ამოსდიოდა ადგილ-ადგილ. დიდ-დიდი წყლულე-
ბი იყო და მატლიც მოსდებოდა წყლულებს, რაც აიღო მან
თავისი ხელით, მიჩვენებდა მე და, მადლობდა რა ღმერთს,
თქვა: „ხუცესო, სამძიმოდ ნუ გიჩანს ეს, რადგან იქაური მატ-
ლი უფრო დიდია და არ კვდება“. მე კი, როდესაც ვნახე ის
მატლი, წარმოუდგენლად დიდად დავმწუხრდი და ძალიან
ვტიროდი. კვლავ მითხრა მან მე მრისხანედ: „ხუცესო, მწუხ-
არე რად ხარ? იმ უკვდავ მატლთაგან შეჭმას ამ მოკვდავთა-
გან შეჭმა უნდა გვიჯობდეს ამ სააქაო ცხოვრებაშივე“. მე კი
მივუგე და ვუთხარი: „ნუთუ ძაძის სამოსი ცოტა გეჩვენა საგვე-
მად და ახლა მაგ მატლთა გამო ხარ მხიარული?“ მან კი თხ-
ოვნით მითხრა მე: „ნურავისთან იტყვი ძაძის სამოსის შესახებ
ჩემს სიცოცხლეში, რადგან მალე მოხდება ამ ჩემი უბადრუკი
სხეულის დატოვება“. ეს მითხრა, რადგან შიგნით ძაძა ეცვა
და არავინ იცოდა ჩემს გარდა, ხოლო გარედან ადამიანთა
თვალისთვის ანტოქიის პერანგი[80] ჰქონდა შემოსილი.

XVI. და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდიდ, წარვიდა და თანაწარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მჴევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტჴლისა. და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა და თაყუანის-სცა პატიოსანსა ჯუარსა და მოიკითხა წმიდაჲ შუშანიკ. თანადაუჯდა და ჰკითხვიდა სალმობათა მათთჴს. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ“. ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე, პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: „სძალო და მჴევალო ქრისტჱსო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „თუ შენ სხუად სახედ ყრმებრ არარაჲ ჰქმენ, ღმერთმან მოგიტევნეს შენ“. და ჯოჯიკ ჰრქუა: „მაგის სახისათჴს მოვედ მე შენდა, რაჲთა, რომელი-იგი არა რაჲმე სათნო იყოს ღმრთისა, არა ვქმნე“. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ ეგე ეგრეთ ჰყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყჴთა და ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხორებისა შენისათა“.

და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ჴორცთა ამათგან, ჰრქუა: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მჴევალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მჴევალნი ჩემნი, და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროჲსათა და სოფლისმოყუარეთა, მოგჴტევენ და ნუ მოიჴსენებ მედგრობათა ჩემთა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა: „ჰყავთ წარმდებად საქმჱ ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჴს, რომელმანმცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა“. ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ თჴნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ“. მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: „განვისაჯნეთ მე და ვასქენ პიტიახში მუნ,

16. და როდესაც შეიტყო ჯოჯიკმა, რომ მიახლოებულია სიკვდილს ნეტარი დედოფალი წმინდა შუშანიკი, წავიდა და თან წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი და მონა-მხევლები, და მივიდა ციხეში სანატრელი შუშანიკ მარტვილის სანახავად. როდესაც მიაღწია, ძალისძალადღა შევიდა, თაყვანი სცა პატიოსან ჯვარს, მოიკითხა წმინდა შუშანიკი, გვერდით დაუჯდა და ეკითხებოდა მის ტკივილებზე, წმინდა შუშანიკმა კი უთხრა: "კარგად ვარ, როგორც ღმერთს უნდა, მაგრამ ყველას წასასვლელ გზაზე მეც მივდივარ“, ხოლო ჯოჯიკი სწრაფად ადგა, პირვანდელ უწესო საქმეებს აღიარებდა და ევედრებოდა წმინდა შუშანიკს და ეუბნებოდა: „ქრისტეს სძალო და მხევალო, ითხოვე ღვთისგან, რომ მომიტევოს მე ჩემი მრავალი შეცოდება“, წმინდა შუშანიკმა კი უთხრა მას: „თუ შენ სხვაგვარად არაფერი ჩაგიდენია ახალგაზრდულად, ღმერთმა მოგიტევოს შენ“. და ჯოჯიკმა უთხრა: „მაგ მიზნით მოვედი მე შენთან, რომ რაც კი რამ სათნო არ იქნება ღვთისთვის, არ გავაკეთო“. წმინდა შუშანიკმა უთხრა: „თუკი ამას ამგვარად იზამ შენ, უკვდავი გამიხდები მე მაგ სიტყვით და ღმერთი შეჰმატებს შენი ცხოვრების დღეებს“.

შემდეგ კი, როდესაც შეატყო ჯოჯიკმა, რომ იმ დღეს გავიდოდა წმინდანი ამ სხეულიდან, უთხრა მას: „მაკურთხე მე, ჩემი ცოლი, - შენი მხევალი, - და ჩემი შვილები და ჩემი მონა-მხევლები, და თუ რამ შეგცოდეთ, როგორც საწუთროს ადამიანებმა და სოფლისმოყვარეებმა, მოგვიტევე და ნუ გაიხსენებ ჩემს უკეთურებებს“. ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა ჯოჯიკს და მის ცოლს: „უგულისყუროდ მოექეცით ჩემს საქმეს, რადგან არავინ აღმოჩნდა ადამიანთაგანი, რომელსაც ექნებოდა სიბრალული და თანაგრძნობა ჩემდამი, ვინც შეაჯერებდა ამ წუთიერ უღვთო მეუღლეს“, მათ კი მიუგეს: „ჩვენ შენს გარეშე ძალიან გავისარჯეთ, მაგრამ არ იყო არც გაგონება, არც პასუხი“. მა-

სადა-იგი არა არს თუალღებაჲ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა
და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და
დედაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უკამოდ ნაყ-
ოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი
დააჭნო, და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ
ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო
მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხ-
ინებაჲ ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათჳს მე განსუენებასა
მივემთხჳო, და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს მე წყ-
ალობასა მოველი იესუ ქრისტჱს მიერ უფლისა ჩემისა".

ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისსა ზედა ტიროდეს
მწარედ და ჰრქუეს: „მოგჳტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ,
წმიდაო მოწამეო და მარტჳლო სანატრეო ქრისტჱს ღმრთისაო".
ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „ღმერთმან მიგიტევენინ,
რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ". მაშინღა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი
მისი და შვილნი მისნი და მონა-მჴევალნი მისნი და ყოველი ეზო და
ბალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა,
ვითარმედ: „ესე ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ,
წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა, მოიმკო და ვინ გა-
ნაბნია გლახაკთათჳს, - შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს
თავი თჳსი, მან ბოოს იგი, რომელმან ადიდა იგი". და უჯმნნა და
გამოგზავნნა იგინი მშჳდობით.

XVII. მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგი ეპისკო-
პოსთაჲ სამოელ და იოვანე ეპიკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელი-
იგი იყენეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეული-

შინ წმინდა შუშანიკმა უთხრა: „განვისჯებით მე და ვასქენ
პიტიახში იქ, სადაც არ არის პირმოთნეობა მსაჯულთა მსა-
ჯულისა და მეუფეთა მეუფის წინაშე, სადაც არ არის გარჩევა
მამაკაცისა და ქალისა, სადაც მე და ის თანასწორ სიტყვას ვი-
ტყვით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წინაშე. მიაგებს მას უფა-
ლი, როგორც მან უდროოდ მომკა ჩემი ნაყოფი, ჩემი სანთელი
ჩააქრო, ჩემი ყვავილი დააჭკნო, ჩემი სილამაზის მშვენიერე-
ბა[81] დააბნელა და ჩემი დიდება დაამდაბლა. ამიტომ, ღმერთმა
საჯოს მას და ჩემს შორის, მე კი ახლა ამას ვმადლობ ღმერთს,
რომ მისგან ტანჯვით მე შეწყალებას ვპოვებ, და მისგან გვემა-
თა და თრევათა გამო მე მოსვენებას მივაღწევ, და მისი უგ-
ულისხმოებისა და შეუბრალებლობის სანაცვლოდ მე წყალო-
ბას მოველი ჩემი უფლის იესო ქრისტეს მიერ".

ხოლო ისინი მის ყველა ამ სიტყვაზე ტიროდნენ მწარედ;
და უთხრეს მას: „მოგვიტევე ჩვენი დანაშაული და გვაკურთხე,
ქრისტე ღმერთის წმინდა მოწამეო და სანატრელო მარტვი-
ლო". წმინდა შუშანიკმა კი უთხრა: „ღმერთმა მოგიტევოთ,
რაც კი რამ ჩაიდინეთ". მაშინღა აკურთხა მან ჯოჯიკი და მისი
ცოლი, მისი შვილები, მონა-მხევლები მისი და ყოველი ეზო
და სასახლე მისი. და ამცნებდა მათ ღვთის გზებით სიარულს
და ეუბნებოდა: „მთელი ეს ცხოვრება, როგორც ველთა
ყვავილი, წარმავალია და არამდგრადი. ვინც დათესა, მოიმ-
კო, ხოლო ვინც მიმოფანტა გლახაკთათვის, შეკრიბა, და ვინც
დაღუპავს თავის თავს, იგი იპოვის იმას, ვინც ადიდა იგი".
და განიშორა და გამოუშვა ისინი მშვიდობით.

17. შემდეგ, ჯოჯიკის მომდევნოდ, მოვიდნენ ეპისკოპოს-
თა თავი სამოელი და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე სამღვდე-
ლოების წევრი, რომლებიც იყვნენ მისი განმამტკიცებლები

თურთ თანაყოფით იყვნეს მონა და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარჰგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტჱსისა. მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდ-ნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს. ეგრეთვე, რომელნი-იგი გულს-მოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა სან-ატრელობით, ვითარცა ახოვანსა მჴნესა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოს-ნი და აზნაურნი ერთბამად, რაჲთა ბორკილი იგი ფერჴთაჲ ბრძა-ნოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველთათჳს, რომლისათჳსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ, ვითარმედ: „მე რაჲ ვარ, არაღირსი ესე? ხოლო ღმრთის-მოყუარებისა თქუენისათჳს ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათჳს. ხოლო მე რაჲმე რაჲ შემძლებელ ვარ, არამედ ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი-ესე ჩემთჳს მოშუერით და ეზიარენით ვნება-თა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა ესერა წინაგანმზადებულსა მას გზასა წარვალ საუკუნესა.ჭირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატან-ჯველთა ამათ წილ განსუენებაჲ, გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა - მივემთხჳო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა“. და იგინი ჯჳმნულნი, ცრემლითა სავსენი, ძლევისა მისთჳს დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს.

და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს.

XVIII. და მოიწია დღჱ იგი წოდებისა მისისაჲ. და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლებისა მისისათჳს, ვითარცა მამასა და მამამძუძესა შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა

და დიდად დამაშვრალები, სახლეულითურთ თანამყოფობდ-ნენ მასთან მომსახურედ და მისეულ ღვაწლთა მონაწილე და თანაზიარნი იყვნენ და მადლიერებით გზავნიდნენ მას ქრისტეს ნავსადგურისკენ. ამგვარივე სახით მოვიდნენ ქართ-ლის ქვეყნის დიდი აზნაურები და დიდგვაროვანი ქალები, აზნაურები და მდაბიოები. ასევე, რომლებიც მის ღვაწლთა გულმოდგინე მონაწილენი იყვნენ, ნეტარყოფდნენ მას და, როგორც ახოვანსა და მხნეს, ქრისტეს აბარებდნენ.

და სათხოვარს ერთს ითხოვდა მისგან ყველა ის ეპისკოპოსი და აზნაური ერთობლივად, რომ მის ფეხთა ბორკილი ყველასთვის განეჩინა დამცველად და ნაკურთხევად, რაზეც წმინდა შუშანიკმა უთხრა მათ: „მე რა ვარ, ეს უღირსი, თუმცა თქვენი ღვთისმოყ-ვარების გამო ხუცესმა შეგისრულოთ თქვენი წადილი მაგ მიზნით, მე კი რისიღა შემძლე ვარ, მაგრამ ყოვლადსავსე ქრისტემ აგავ-სოთ თქვენ ყველა სიკეთით, რომლებიც კი ჩემს გამო აქ მოხ-ვედით და ეზიარეთ ჩემს ამ ვნებულებებს, ჭირსა და ტანჯვას, ხოლო მე, საყვარელნო, წინასწარ გამზადებულ საუკუნო გზაზე მივდივარ. ამ ჩემი ჭირის სანაცვლოდ ქრისტე მომმადლებს მე სიხარულს, ამ სატანჯველთა სანაცვლოდ - მოსვენებას, ამ ჩემს გვემათა, თრევათა და შეურაცხყოფათა ნაცვლად მივეახლები მე ცათა შინა დაუსრულებელ დიდებასა და პატივს“. და ისინი, განშორებულნი და ცრემლით სავსენი, ამ მძლეობისთვის დიდე-ბას სწირავდნენ ღმერთს.

და გამოვიდნენ ისინი ციხიდან და წავიდნენ.

18. და დადგა მისი ხმობის დღე. და მოუხმო მან თავისი სახლის ეპისკოპოსს აფოცს და მადლობას უძღვნიდა მისდამი თანალმობისათვის. მას, როგორც მამასა და გამზრდელს, ჩა-მაბარა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი.

მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოითრიეს, და ეტყოდა: „უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტჱ მოქმედი ვენაჯისაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“.

და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჯდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე. და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა.

XIX. და მაშინ-ღა ადრე-ადრე მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად მჩუარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთაჲ, და ეგრეთ სხუათა მათ აღვიღეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლთა, და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან, და შევმოსეთ მჩურითა მით. და მაშინ-ღა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვანე და აფოც, ვითარცა ჴართა მჴნეთა დაუღლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა. და დავკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამჱ იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განამჴნის მამანიცა და დედანიცა და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

აბარებდა მას აგრეთვე თავისი ძვლების ნეშტს და უბრძანებდა, რომ დაეკრძალა ისინი იმ ადგილას, საიდანაც პირველად გამოათრიეს, და ეუბნებოდა: „თუკი რაიმეთი ღირსი ვარ მე, ეს უკანასკნელი, - მეთერთმეტე, - მშრომელი ვენახისა, კურთხეული იქნებით ყველანი უკუნისამდე დროთა“.

და ჰმადლობდა რა ღმერთს, თქვა: „კურთხეულია ჩემი უფალი ღმერთი, რადგან მშვიდობით დავწექი და დავიძინე მასზე“, და მიაბარა თავისი სული ყოველთა შემწყნარებელ უფალს.

19. და მაშინ კი სწრაფად მოიტანა სანატრელმა ეპისკოპოსმა იოანემ წმინდა ტილო მის წმინდა და პატიოსან ნაწილთა შესახვევად, და ასევე სხვებმაც ავიღეთ ის სხეული, მეტად დამაშვრალი და მატლებით დაჭმული, და გავბანეთ იგი მიწიანი მატლისა და ჩირქისაგან, და შევმოსეთ იმ ტილოთი. მაშინ კი იმ ორთავე ეპისკოპოსმა, იოანემ და აფოცმა, როგორც ზენა საუნჯისთვის დაუღლვილმა მხნე ხარებმა, მთელი კრებულითურთ, სულიერი ფსალმუნებით, ანთებული კანდლით და სურნელოვანი საკმევლით ავიღეთ პატიოსანი ძვლები და გამოვიტანეთ წმინდა ეკლესიაში. და დავკრაძალეთ წმინდა შუშანიკის წმინდა, დიდებული და პატივმიგებული ნაწილები [მათთვის] გამზადებულ ადგილას, და იმ ღამეს, ანგელოზთა მსგავსად, ის ღამე გავათენეთ და დავითის ქნარით ყოვლადძლიერ ღმერთს და მის ძეს, ჩვენს უფალ იესო ქრისტეს ვადიდებდით, რომელიც ყველაფრით ყველას მიმართ შემძლეა, განამხნევებს რა კაცებსაც და ქალებსაც, და თავისიანებს თავის მძლეობას მიჰმადლებს ძლიერებისას, - ყველას, ვინც ეძიებს მას ერთი გულით.

XX. და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთაჲ თთუესა აპნისსა, მერვესა თთჳსასა და დღესა ორშაბათსა, და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა, და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა, და აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკდონბერსა ათშჳდმეტსა, საჴსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანეთა, და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საჴსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ.

* * *

20. და არის წმინდა შუშანიკის ტანჯვათა დასაწყისი იანვრის თვეში, თვის რვაში და ორშაბათ დღეს, და მეორედ მისი გვემა შემდეგ, აღვსების შვიდეულში[82], ორშაბათ დღეს, და კიდევ, ტანჯვა მაისის თვის ცხრამეტში, და მისი აღსასრული ოქტომბრის თვის ჩვიდმეტში, წმინდა და სანატრელი მოწამეების კოზმან და დამიანეს ხსენებისას, და დღე ხუთშაბათი იყო, რომელ [დღესაც] დავაწესეთ წმინდა შუშანიკის ხსენება ღვთის სადიდებლად და საქებრად, - მამის, ძისა და სულიწმინდისა, - რომელსაც შეჰფერის დიდება უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

* * *

შენიშვნები

1 **„დამტკიცებით“** – დედნისეული **„დამტკიცებულად“** ნიშნავს: **„დანამდვილებით“**, **„დაბეჯითებით“**, **„საფუძვლიანად“**, **„დასაბუთებულად“**, რასაც კარგად იტევს ტერმინი **„დამტკიცებით“**. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერმინი კიდევ იჩენს თავს **„მარტვილობაში“**: „ხოლო წმიდაბ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა **დამტკიცებულად**“.

2 ძველ ტექსტშიც და, შესაბამისად, ახალშიც ნაცვლად დამკვიდრებული ფორმისა **„ვარსქენ“** უპირატესობას ვანიჭებთ BD ნუსხათა წაკითხვას: **„ვასქენ“**, რადგან ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ეს ფორმა იქნებოდა ამ საკუთარი სახელისთვის იაკობისეულ ტექსტში, როგორც ამას გვიდასტურებს (გარდა ხსენებული ნუსხებისა) **„მოქცევაბ ქართლისაბ“**-ს ახლად აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერი (შემორჩენილია სახელის მხოლოდ პირველი ნაწილი: „ვასქ“).

3 **„რომლის შესახებაც მოგწერეთ თქვენ“** – ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ „მარტვილობას“ ჰქონდა ჰაგიოგრაფიული შრომისთვის საკმაოდ ნიშანდობლივი მცირე ზომის შესავალი, სადაც იქნებოდა მოკლე მიმართვა მრევლისადმი (როგორც ადრესატი-სადმი) მომხდართან დაკავშირებით და, ცხადია, საკუთრივ წმ. შუშანიკის შესახებ (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. **ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, გამოსცა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ. 2005**, გვ. 42-45. ქვემოთ აღნიშნულ ნაშრომს ვუთითებთ შემოკლებით: ***ჭელიძე, ლიტერატურა***).

4 **„როგორც ვთქვით“** – ეს მონაცემიც (შდრ. **„ვითარცა-იგი ვთქუთ“**) არაერთი მკვლევრის მიერ სამართლიანად მიიჩნევა შუშანიკის შესახებ სხვა წერილობითი თხრობის არსებობის საბუთად (შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 115), თუმცა თვით შესაბამისი ცნობა, რომ შუშანიკი იყო **„მოშიში ღმრთისაი ... სიყრმითგან თგსით“** იმდენად ზოგადი, იმდენად საყოველთაო ხასიათის მითითებაა ნებისმიერ წმინდანთან დაკავშირებით, რომ საუბარი იაკობის მიერ შუშანიკის ყრმობის საგანგებოდ აღწერის შესახებ უშედეგო ჩანს, რადგან ყველაზე მოკლე შეტყობინებაშიც კი ჰაგიოგრაფს შეეძლო (და შეიძლება ითქვას, ევალებოდა კიდეც), ხაზი გაესვა შუშანიკის ღვთისმოშიშებაზე ადრეული ასაკიდანვე (ამგვარი ხაზგასმა ხშირად იჩენს თავს წმინდანთა შესახებ დაწერილ ყველაზე მოკლე ჰაგიოგრაფიულ, თუნდაც საკუთრივ სვინაქსარულ, საკითხავებში).

5 **„ფიქრებში იყო“** – ჰაგიოგრაფი იყენებს რთულ ზმნას **„გულსეტყგნ“**, რაც გაგებული უნდა იქნეს არა **„სურვილის“**, **„წადილის“**, **„ნდომის“**, არამედ **„წუხილის“**, **„დარდის“**, **„შეფიქრიანების“** მნიშვნელობით. ამასვე უეჭვოდ გვიდასტურებს აღნიშნული სიტყვის ხელმეორე დამოწმება ჰაგიოგრაფის მიერ: **„და გულსაეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთგს, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხვო“**, ვითარმედ: **„ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“**. აშკარაა, რომ მოტანილ ადგილას **„გულსა-ეტყოდა“** ნიშნავს: **„ფიქრებში იყო“**, **„შფოთავდა“**, **„წუხდა“** (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ.45-47).

6 **„უგუნურების ბუნებისგან“** – დედნისეული ფრაზა **„სახისა მისგან უგუნურებისა“** (ისევე როგორც წინმსწრები **„უკეთურებისა მის სახისა“**), ვფიქრობთ, ნათლად გვიკარნახებს, რომ ტერმინ **„სახეში“** ჩავდოთ არა საკუთრივ **„სახის“**, არამედ **„ბუნების“**, **„თვისების“**, **„ნატურის“** შინაარსი. როგორც სხვაგან ვრცლად გვაქვს საუბარი, უძველეს ეპოქაში, ვიდრე ქართულ საეკლესიო მწერლობაში გაბატონდებოდა ფალაურიდან მომდინარე **„ბუნებაბ“** (ბერძნული **fysis**, ლათინური **natura)**, ქართულად ტერმინოლოგიურად გადმოიცემოდა ორი უმთავრესი შესატყვისით: **„სახე“** და **„წესი“** (იხ.

ე. ჭელიძე, „ტერმინოლოგია“, I, გვ. 146-216). **„შუშანიკის წამება“**, როგორც უადრესი ძეგლი, ცხადია, ჯერ კიდევ აირეკლავდა უშუალოდ მისი წინარე ეპოქის (V ს-ის I ნახევარი და შუა წლები) ტერმინოლოგიას.

7 „თავდაპირველი“ – დედნისეული **„ბუნებითი“** (შდრ.: **„რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი“**) მოტანილ ადგილას ნაკლებად იტევს **„ბუნების“** საღვთისმეტყველო აზრს და, როგორც სხვაგანაც გვაქვს აღნიშნული, არ გამოვრიცხავთ ავტორისეულ ტექსტში **„ბუნებითის“** ნაცვლად **„ბუნითის“** არსებობას, რაც სწორედ **„თავდაპირველის“**, **„პირვანდელის“** მნიშვნელობის შემცველია (ისევე როგორც ზედსართავი **„ბუნი“;** იხ. ე. ჭელიძე, ტერმინოლოგია, I, თბ. 1996, გვ. 160, შენ. 1).

8 „რომ მათ მიერ ქვეყანაში გველივით შემოსულიყო“ - შდრ. „ვითარცა გუელი, სოფლად შემოვიდეს“. ტექსტის მეცნიერულ პუბლიკაციებში დამკვიდრებული „ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“ მცდარია, რადგან ამგვარი წაკითხვა დასტურდება გაცილებით ნაკლებღირებულ **CEFGHIKL** ნუსხებში, მაშინ როცა, ერთი მხრივ, უძველეს A ნუსხაში ნაცვლად „ერთგულისა“ გარკვევით იკითხება „გუელი“, მეორე მხრივ კი არსებითად ამავე წაკითხვას უჭერს მხარს გვიანდელ ნუსხათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი BD მანუსკრიპტები, სადაც იგივე **„გუელი“** გვაქვს (გვიანდელი დაწერილობით), რაც მკვლევართაგან წაკითხულია როგორც „გული“. თუნდაც ეს წაკითხვა გავიზიაროთ, აშკარაა, რომ იგი სწორედ „გუელის“ დამახინჯებაა და არა „ერთგულისა“. გარდა აღნიშნულისა, ძეგლის სახისმეტყველებითი პლასტი სწორედ ამგვარი წაკითხვით იკვეთება, რადგან მკაფიო მინიშნება ეძლევა მოღალატე ვასქენის გველისებრ შემოძრომას ქართლის ქვეყანაში. ამიტომ, მართებული გვეჩვენება ზ. სარჯველაძის, კ. დანელიასა და ე. გიუნაშვილის კონიუქტურა (იხ. მათ მიერ მომზადებული სასკოლო გამოცემა, თბ. 1999, გვ. გვ. 6; ქვემოთ ამ

გამოცემას ვუთითებთ, როგორც „სასკოლო გამოცემას“) დავძენთ, რომ მოტანილ ფრაზაში ისმის გამოძახილი „მიქეას წინასწარმეტყველების“ სიტყვებისა: **„ლოშდენ მიწასა ვითარცა გუელნი და ძურებოდიან ქუეყანასა“ (7.17, OJ**; შდრ. **GSB; „ლოშნიდენ მტუერსა, ვითარცა გუელი, მთრევნი ქუეყანად“).** ასევე უფრო მართებული გვეჩვენება **BCDEFGHIKL** ნუსხების „შემოვიდეს“ ვიდრე **A** ნუსხის „შევიდეს“, რადგან ავტორი ვასქენის იმ „სოფელში“ შესვლაზე საუბრობს, რომელშიც თვით იმყოფება. შდრ. წინმსწრები და მომდევნო ზმნები: **„მოიწია“ ... „წარმოჰმართა“.**

9 „მალემსრბოლის“ – დედნისეული **„სადიასპანობ“** (შდრ.: **„სადიასპანობთა ცხენითა“**) ნიშნავს **„მალემსრბოლისას“**. მართლაც, ერთგან სინონიმურად ენაცვლებიან ერთიმეორეს **„დიასპანი“** და **„მალემსრბოლი“**. მხედველობაში გვაქვს **„ესთერის წიგნის“** შემდეგი ადგილი: „იწრაფა და მიმოგანსცა **დიასპანებითა**, რომელ დაეწერა წიგნები იგი“. ესაა ოშკის ბიბლიის რედაქცია (ესთ. 3.13), რასაც საბასეულ ბიბლიაში ენაცვლება შემდეგი ტექსტი: „წარუძღუანეს წიგნები იგი დელითა **მალედმსრბოლთაგან**“ (დამოწმებულია ი. აბულაძის მიერ, იხ. ძვ. ქართ. ენის ლექს., თბ. 1976, გვ. 140). ზემოაღნიშნული გვიკარნახებს, რომ ტერმინი **„სადიასპანობ“** შეიძლება გადმოვიტანოთ როგორც **„სამალემსრბოლო“** ანუ **„მალემსრბოლისა“**.

10 „წარმოგზავნა მან მონა მალემსრბოლის ცხენით; და როდესაც ეს მონა მოვიდა იმ დაბასთან, რომელსაც სახელად ერქვა ცურტაეთი, და რაჟამს შევიდა იგი წმინდა შუშანიკთან“ - მოტანილ სიტყვებთან დაკავშირებით, უპირველესად, იმას გავუსვამთ ხაზს, რომ ჩვენ ვამჯობინებთ BD-ს წაკითხვას **„ცურტაეთ“**, რადგან იაკობის ნაშრომის მიხედვით ხსენებული დაბა აშკარად ქართული რეალიაა და მისი სახელწოდებაც ქართულისათვის ნიშანდობლივი წესით უნდა ყოფილიყო სუფიქსირებული („-ეთ“ სუფიქსი, როგორც ცნობილია, მრავალ ქართულ ტოპონიმს აწარ-

მოებს). ასე რომ, **„ცურტავი“** მიგვაჩნია აღნიშნული დაბის გვიანდელ სახელწოდებად, როდესაც იქ სომხური ელემენტი დომინანტური გახდა. მართლაც, გაცილებით ძნელად სარწმუნოა, რომ გვიანდელ სკრიპტორს არარსებული ქართული ფორმით შეეცვალა აღნიშნული დაბის პირველადი სახელწოდება, ვიდრე ის, რომ, პირიქით, ძველი, მაგრამ უკვე არაარსებული ტოპონიმისთვის მას თავისი დროის (ე. ი. გვიანდელი) სახელი შეენაცვლებინა. რაც შეეხება მთლიანობაში ზემოდამოწმებულ ტექსტს, აღვნიშნავთ, რომ ეს ტექსტი პუბლიკაციებში, საზოგადოდ, შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: **„წარმოჰმართა სადიასპანობთა ცხენითა მონაბ თგსი, ვითარ[მ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა ხახელი ჰრქგან ცურტავ. და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა“.** ესაა მხოლოდ A-ს მონაცემი, რაც ხარვეზიანი ჩანს. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ი. აბულაძეს უგრძვნია აუცილებლობა მისი შესწორებისა და A-ს „ვითარცა“ (ვ~ა) შეუცვლია როგორც „ვითარმცა“, რაც თხრობით კილოს კავშირებითად გარდაქმნის და ამ გზით თითქოსდა გადაილახება A-ს ტექსტის დიდი უხერხულობა, ერთი მხრივ, წინადადებათა უკავშიროდ გადაბმისა **(„ ... ცხენითა მონაბ თგსი, ვითარცა მოვიდა დაბასა ... “)**, მეორე მხრივ კი აშკარად მიუღებელი ტავტოლოგიისა **(„*ვითარცა მოვიდა* დაბასა, რომელსა სახელი ჰრქგან ცურტავ. და *ვითარცა მოიწია*“)**, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, **რომ ი. აბულაძისეული შესწორება A-ს მონაცემს არანაკლებ ბუნდოვანს ხდის, რადგან ვიღებთ თხრობისთვის შეუსაბამო კავშირებით კილოს ანუ ტექსტს, რაც ახალ ქართულად ასე უნდა გადმოიცეს: „გამოგზავნა მალემსრბოლის ცხენით თავისი მონა, რათა მოსულიყო იმ დაბაში, რასაც სახელად ჰქვია ცურტავი“. აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, მართებული ტექსტი დაცულია BCDEFGHIL ნუსხებში: „ „და წარმოჰმართა სადიასპანობთა ცხენითა მონაბ, და ვითარცა მოიწია დაბასა, რომელსა სახელი ჰრქგან ცურტაეთ, და ვითარცა შევიდა წინაშე წმიდისა შუშანიკისა“.**

11 **„მოკითხვა უთხრა“** – შდრ. **„კითხვაბ ჰრქუა“** (პარალელისთვის შდრ. **„კითხვაბ არქუთ** პრისკილას ... **კითხვაბ არქუთ** მარიას... **კითხვაბ არქუთ** ანდრონიკეს...“, რომ. 16. 3. 6. 7).

12 **„სიმრთელით იყავით“** – შდრ. **„ცოცხალმცა ხართ“** – ესეც მისალმების ფორმაა.

13 **„წარუდგინა“** - A-ში გვაქვს **„წარადგინნა“**, თუმცა ვფიქრობთ, რომ უფრო მართებულია BD-ს **„წარუდგინნა“**, რადგან აღნიშნული სიტყვა გულისხმობს **„უფალს“**, ანუ მთელ ტექსტს ასეთი გააზრება აქვს: **„წარუდგინნა იგინი [უფალსა] წინაშე საკურთხეველისა“**. სამპირიანი **„წარდგინება“**, სადაც ირიბი ობიექტი ცხადად არ ჩანს, არაიშვიათია ძველ ქართულ ტექსტებში: „ყოველსა შინა ***წარუდგინენით*** თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისმსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა“; „რომელსა-ესე ჩუენ ვქადაგებთ, ვასწავებთ ყოველსა კაცსა და ვჰმოძღურით ყოველსა კაცსა ყოვლითა სიბრძნითა, რაბთა ***წარუდგინოთ*** ყოველი კაცი სრული ქრისტე იესუბს მიერ“ და ა. შ. ამრიგად, ვფიქრობთ, უფრო მოსალოდნელია, რომ **„წარუდგინნა“** შეეცვალა გადამწერს მისთვის ერთი შეხედვით უფრო მართებული ფორმით **„წარადგინნა“** (რასაც თითქოსდა ითხოვს მომდევნო სიტყვები „ ... წინაშე საკურთხეველისა“), ვიდრე პირიქით.

14 **„მწუხრის მსახურება“** – ე. ი. საღამოს ლოცვა.

15 **„მწარე ცრემლით ტიროდა“** – აქ ფრაზეოლოგიურად უეჭველად იგრძნობა პეტრეს ტირილის გამოძახილი: **„და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“** (მ. 26, 75; შდრ. ლ. 22.62).

16 **„სახლი“** – შდრ. **„ვანი“**. აღნიშნული ტერმინი ძველ ქართულში ძირითადად სინონიმური იყო **„სახლისა“**. შდრ.: „უკუეთუ განუტევნე **ვანად** მათა“, მრ. 8.3, ჯრუჭ-პარხლისა; ადიშური: „წართუ-უტევნე იგინი ... **სახიდ** თგსა“.

17 **„ვიღაც წმინდა კაცის სახლში იყო მისული მოსაკითხად“** - A-ში დამატებული **„რაბსმე სიტყგსა“** გადამწერისეულად მიგვაჩნია შემდეგი მიზეზის გამო: იაკობისგან ხსენებული **„კაცი ვინმე წმიდაბ“**, ცხადია, არ არის საეკლესიო ხარისხის მქონე, თორემ ავტორი სხვა შემთხვევათა მსგავსად ამჯერადაც გვაუწყებდა ამის შესახებ. იგი არ უნდა იყოს არც ბერი, როგორც ეს ზოგჯერ ივარაუდება, რადგან შეუძლებელია, რომ იაკობს ამის შესახებ არ აღენიშნა. თუნდაც რომ ხსენებული პიროვნება რაიმე ხარისხისა ან ბერული აღთქმისა ყოფილიყო, არასარწმუნო ჩანს, რომ ეპისკოპოსი პირადად ხლებოდა მას რაღაცის შესაკითხად, ნაცვლად იმისა, რომ თავისთან ეხმო. მითუმეტეს ერისკაცს, თუნდაც ღირსეულ ქრისტიანს, ეპისკოპოსი ზემორე მიზანდასახულობით სახლში არ მიაკითხავდა. საგულისხმოა, რომ ეპისკოპოსის მასპინძელი რაიმე მნიშვნელოვანი პიროვნება არ ჩანს, რადგან იაკობი მისი სახელის აღნიშვნასაც კი არ თვლის საჭიროდ. ეჭვი არაა, რომ ეს ადამიანი არის მრევლის წევრი, რომელიც ეპისკოპოსმა მოინახულა, თანაც იაკობთან ერთად. თუ ავტორი მას ახსენებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმიწევნითი რეალისტურობით აღწერს მოვლენებს და დაწვრილებით გვაუწყებს იმის შესახებ, თუ როგორ და სად შეიტყო მან ვასქენის ამბები. მაგრამ მაინც რის გამო იყვნენ სასახლის ეპისკოპოსი და ხუცესი ზემოხსენებულ წმინდა კაცთან? ვფიქრობთ, მათი ვიზიტის მიზანს გვიმხელს წინადადების ბოლო სიტყვა **„კითხვად“**, რაც აქ უთუოდ უნდა ნიშნავდეს არა „შეკითხვას“, არამედ **„მოკითხვას“** (**„კითხვაბ“** **„მოკითხვის“** მნიშვნელობით, როგორც შესაბამის კომენტარშიც გვაქვს აღნიშნული, სხვა უადრეს ძეგლებთან ერთად დამოწმებულია თვით „შუშანიკის წამებაშიც“) ანუ ეს ნიშნავს, რომ ეპისკოპოსმა და მღვდელმა მოინახულეს, მოიკითხეს მათი მრევლის ღირსეული წევრი, რომელსაც აქეთ მოსვლა არ შეეძლო ანუ რომელიც სნეულებაში, უძლურებაში იყო (პარალელისთვის შდრ. **„გიკითხვენ** თქუენ ძმანი ყოველნი. **მოიკითხევდით** ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა**. კითხვაბ** დელითა

ჩემითა, პავლესითა**“.** საზოგადოდ, გაცილებით სარწმუნოა, რომ გვიანდელ გადამწერს, რომლისთვისაც **„კითხვაბ“** უკვე არსებითად ნიშნავდა არა **„მოკითხვას“**, არამედ — **„შეკითხვას“**, დაემატებინა სიტყვები **„რაბსამე სიტყვისა“**, ვიდრე, პირიქით, მოეკლო ისინი.

18 **„მასთან ერთად ვიყავი იმ სახლში“** - შდრ. **„მის თანავე ვიყავ ვანსა მას“.** ამჯერადაც უფრო შესაფერისი გვეჩვენება BCDEFGHIKL-ის ტექსტი ვიდრე A-სი (**„თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“**), რადგან ამ უკანასკნელის მიხედვით აფოცი და იაკობი ერთად წასულან ზემორე პიროვნებასთან, თუმცა ამას ნაკლებად გულისხმობს წინამორბედი სიტყვები: **„ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაბ მის პიტიახშისაბ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ ვანად კაცისა ვისამე წმიდისა მისრულ იყო კითხვად“**. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აფოცი და იოანე ერთად არ მისულან **„წმინდა კაცთან“** (არც ერთად მოდიან უკან), რაც უპირატესობას BCDEFGHIKL ნუსხათა ტექსტისთვის გვანიჭებინებს.

19 **„დიდ ბრძოლაში შედიხარ“** – უძველეს ნუსხაში ტექსტი ამგვარია: **„ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ“**. ძალიან მნიშვნელოვან **B** ნუსხაში (**A** 130), რომლის წაკითხვები არაიშვიათად უფრო მართებულია, ვიდრე ზემოხსენებული უძველესი ხელნაწერისა, გვაქვს: **„ღუაწლსა დიდსა შეხუალ“**. ასეა თუ ისე, თუნდაც რომ **A** ხელნაწერის ტექსტი რედაქტორისეული იყოს, მასში ცხადად ისმის პავლე მოციქულის სიტყვები: **„ჭირსა შესლვად ვართ“** (I თეს. 3, 4); ფრაზეოლოგიურად საინტერესოა **„ორმოცი სებასტიელის მარტვილობის“** რედაქციები: **„შევერიენით დიდსა მას ღუაწლსა“** (**B**); **„ბრძოლასა შევედით დიდსა“** (**A**) (იხ. ი. აბულაძე, შრომები, I, თბ. 1975, გვ. 109; შდრ. ი. აბ. ლექს. გვ. 464).

20 **„გაუფრთხილდი“** – ძველი ქართული ტერმინი **„ეკრძალე“** ძალიან ხშირად ვერ არის მართებულად გაგებული. ეს ტერმინი, ჩვეულებრივ, ნიშნავს: **„გაუფრთხილდი“** (**„გაფრთხილდი“**), **„ყურა-**

დღება მიაქციე“, „**დაუკვირდი**“, „**დაიცავი**“ (შეიძლება შესატყვისად მოვიხმოთ „**ერიდე**“, მაგრამ მას აუცილებლად უნდა მოსდევდეს „**რომ არ...**“).

21 „**და მე ვუთხარი ამ სანატრელს: „ჩანაფიქრით რა როგორ გაქვს განზრახული, მითხარი მე**“ - შდრ. „**და ვარქუ მე სანატრელსა მას: „ხუაშიადად რაბ ვითარ გეგულების, მითხარ მე ... “.** გამოცემებში, A-ს კვალობაზე, სიტყვას „ხუაშიადად“ ემატება ოდნაობითის ნაწილაკი „**-რე**“ და იგი, გაგებული „**საიდუმლოს**“, „**დაფარულის**“ მნიშვნელობით, მიკუთვნებულია ზმნისადმი „**ვარქუ**“ („**ვარქუ ... ხუაშიადად-რე**“ ანუ „**ვუთხარი ცოტა უფრო საიდუმლოდ**“). პირველად მხოლოდ ზემოხსენებულ „სასკოლო გამოცემაში“ ვპოულობთ ამ სიტყვას მართებულად დაკავშირებულს ზმნასთან „**მითხარ**“, რაც სარწმუნოა. მართლაც, იაკობი ისედაც მარტო იყო შუშანიკთან და კიდევ რაღა საიდუმლო საუბარი ესაჭიროებოდა? ამასთან, ნიშნავდა კი ძველ ქართულში „**ხუაშიადი**“ „**საიდუმლოდ საუბარს**“? დღესაც ხომ ეს სიტყვა „**გულისმიერი საფიქრალის**“, „**ჩანაფიქრის**“, „**განაზრახის**“ აღმნიშვნელია? მითითებული ლექსიკური ერთეული, მაგალითად, დამოწმებულია „**იგავთა**“ წიგნის უძველეს ოშკურ (აგრეთვე მცხეთურ) რედაქციაში: „კაცი ორენა განაცხადებს მოყუსისა ***ხუაშიადსა***“ (იგავ. 11.13. მოტანილ ადგილას „**ხუაშიადი**“ ნიშნავს სწორედ „**ჩანაფიქრს**“, „**განაზრახს**“. ვფიქრობთ, ნათელია, რომ იაკობი შუშანიკს სთხოვს მისი ჩანაფიქრის შეტყობინებას. ზემორე წინადადება ახალ ქართულად ასე ითარგმნება: „**განზრახვითად (ე.ი. ჩანაფიქრში) რას როგორ აპირებ, მითხარი მე**“. არ გამოვრიცხავთ, რომ უფრო არქაული იყოს **D**-ს „**ხუაშიად**“, რაც **B**-შიც დასტურდება მცირედი დამახინჯებით: „**ხუაშად**“.

22 „**მტკიცედ დგახარ?**“ – დედნისეული „**მტკიცედ დგაა?**“ გამოძახილია პავლე მოციქულის სიტყვებისა: “... მტკიცედ სდგეთ უფლისა მიერ“ (I თეს. 3.8).

23 შდრ. I კორ. 7.15 [ეს მუხლი განხილულია კ. დანელიას მიერ. იხ. მისი დასახ. მონოგრაფია, გვ. 107-198. მკვლევარი რატომღაც უყოყმანოდ თვლის, რომ შუშანიკი არაზუსტად იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს და, შესაბამისად, პავლეს სწავლების საწინააღმდეგოდ იქცევა. მოგვაქვს ციტატა: „**ამ ადგილის განხილვა ცხადყოფს, რომ აქ არათუ ზუსტი ციტაცია არა გვაქვს, არამედ თვით პავლე მოციქულისეული აზრიც კი კონტექსტისათვის შეუფერებლად არის მოყვანილი. შუშანიკი პავლეს აზრს იმოწმებს იმის დასტურად (საბუთად), რომ მას, ქრისტიან მორწმუნეს, ცხოვრება არ შეუძლია ქრისტეს რჯულის უარმყოფელ ურწმუნო ქმართან. პავლე მოციქული ასეთ რამეს დასაშვებად მხოლოდ მაშინ თვლის, თუ თვით ურწმუნო (არაქრისტიანი) მეუღლე ისურვებს მორწმუნე (ქრისტიანი) მეუღლისგან განქორწინებას („უკუეთუ ურწმუნოი იგი განეყენებოდის, განეყენენ**“). მაშასადამე, პავლეს მოძღვრების მიხედვით, ურწმუნო ვარსქენს ჰქონდა უფლება განშორებოდა მორწმუნე შუშანიკს, მაგრამ პირიქით - არა“ (გვ. 107). შემდეგ მკვლევარი უფრო შორს მიდის და საკუთრივ ჰაგიოგრაფს, იაკობ ცურტაველს, პავლე მოციქულისა და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო თვალსაზრისს განუკუთვნებს, რაც გამართლებული ყოფილა ეროვნული ინტერესებით (შდრ. „ ... ეს, როგორც ვთქვით, პავლეს მოძღვრებას ეწინააღმდეგება. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ არის ავტორის მსოფლგაგებაში წინ წამოწეული ეროვნული ინტერესები ორთოდოქსალური სარწმუნოების ნორმების დაცვასთან შედარებით“, გვ. 108). აქ გამოთქმული შეხედულება არსებით დაზუსტებას მოითხოვს. მართალია, პავლე მოციქული მიუთითებს, რომ მორწმუნე მეუღლე ურწმუნოს არ უნდა გაშორდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ურწმუნო მეუღლის მოქცევის იმედი აქვს და, ამასთან, არ ხდება ძალადობა მის სარწმუნოებასა და სიმშვიდეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მორწმუნე მეუღლე უფლებამოსილია გაშორდეს ურწმუნოს. მარ-

თლაც, როდესაც პავლე მოციქული ამბობს, რომ **„არ არის დამონებული არც ის (მორწმუნე) ძმა, არც ის (მორწმუნე და) ამგვართადმი (ე.ი. ამგვარი მოვლენებით)“**, საკუთრივ **„ამგვარნი“** (ე.ი. იმგვარი შემთხვევები, როდესაც შეუძლია მორწმუნეს ურწმუნოსგან გაშორება) შემდეგნაირად განიმარტება მართლმადიდებლობაში: **„რომელსა იტყვს „ეგევითარად“? - გარნა ამას, ვითარმედ: უკუეთუ ანუ სარწმუნოებისაგან შენისა მიგდრეკდეს, ანუ მეშფოთე იყოს, ანუ თგთ განშორებაბ ენებოს, არღარა თანაგაც, რაითამცა იტგრთევდი მეშფოთეობასა მისსა, ვითარცა მორწმუნის მეუღლისასა, არამედ განეშორე“** (იხ. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოსცა ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ. 2003, გვ. 211). აქ ჩამოთვლილი სამი მიზეზიდან სამივე მკვეთრად ნიშანდობლივია ვარსქენისთვის. მართლაც, მას უპირველესად შუშანიკის სპარსთა რჯულზე გადაყვანა აქვს განზრახული (შდრ. მისი დაპირება: **„რომელი-იგი ბუნებით ცოლი არს და შვილნი, იგინიცა, ვითარცა-ესე მე, შენსავე მაგას მსახურებასა მოვაქცინე“**); (2). იგი არის საშინელი **„მეშფოთე“** და მტარვალი; (3) იგი თვით განეშორება შუშანიკს, როდესაც სხვა ცოლს ირთავს. შესაძლოა, სპარსთა რჯული მას აძლევდა უფლებას, რომ ორი ცოლი ჰყოლოდა, მაგრამ ქრისტიანული მოძღვრებით ჭეშმარიტი მეუღლე მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და ვარსქენიც, ირთავს რა სპარსთა მეფის ასულს, ამით, ერთი მხრივ, მრუშობს (რაც თავისთავად აძლევს უფლებას შუშანიკს, რომ გაშორდეს მას), მეორე მხრივ კი, შეურაცხყოფს კანონიკურ ქორწინებას და ამ ქორწინებაში მყოფად აღარ მოიაზრება. ამრიგად, შუშანიკის, როგორც ქრისტიანი მეუღლის, ქმედება აბსოლუტურად ეკლესიურია**]**.

24 **„შემოიმიჯნა თავისი თავი მტკიცედ“ -** დედნისეული სიტყვები: **„მოიზღუდა თავი თგსი მტკიცედ“** ფრაზეოლოგიურად ეხმიანება „ანტონი დიდის ცხოვრების“ უძველეს ქართულ თარგმანს:

„მოიზღუდავნ თავსა თგსსა“ (იხ. უდაბნ. მრავ., თბ. 1994, გვ. 78; შდრ. ი. აბ. ლექს., გვ. 263).

25 აღნიშნული გამოთქმის შესახებ იხ. ***ჭელიძე, ლიტერატურა,*** გვ. 54-56.

26 **“შენ ჩემი ხატი დაამხე ...“ ... “არათუ მე აღმემართა ის ხატი, რომ მე დამემხო“ შდრ:„შენ ჩემიცა ხატი დაამდუ ...“ ... „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამდუ“;** ვარსქენის სიტყვები ადასტურებს, რომ მოტანილ კონტექსტში ტერმინ **„ხატს“** ეკლესიოლოგიურ-იკონოლოგიური შინაარსი არა აქვს. ეჭვი არ არის, რომ **„ხატის აღმართვა“ და „ხატის დამხობა“** მიანიშნებს წარმართულ საკერპოთა და კერპთა **„აღმართვა-დამხობაზე“**. **„ხატი“** მოტანილ კონტექსტში ნიშნავს სწორედ **„კერპს“**. ამის ნიმუშები წმინდა წერილის ძველ ქართულ ვერსიებში საკმაოა. მაგალითად:

„კერპსა მას ოქრობსასა, რომელი შენ აჰმართე, არა თაყუანის-ვსცემთ“ (დან. 3.15-18 – OJ; შდრ. BS: **„ხატსა ოქრობსასა, რომელი აღსდგი**, არ თაყუანის-ვსცემთ“ (მრავალი სხვა ნიმუშის შესახებ იხ. ***ჭელიძე, ლიტერატურა,*** გვ. 57-62). **სრულიად ნათელია, რომ იაკობის შრომის ზემოაღნიშნული კოტექსტი „ხატის“ როგორც „კერპის“ სიმბოლურ აღმართვას მიანიშნებს.** აქვე იმასაც დავძენთ, რომ წმ. შუშანიკის სიტყვების მართებულად წვდომისთვის აუცილებელია **სწორად გვესმოდეს „და“ კავშირის მნიშვნელობაც,** რომელიც მოტანილ ადგილას არის **არა მაჯგუფებელი, არამედ მაქვემდებარებელი შინაარსისა და უიგივდება მიზნის გამომხატველ მაქვემდებარეელ კავშირს „რაბთა“** (თანამედროვე **„რათა“, „რომ“**). ამრიგად, ვარსქენი შუშანიკს უსაყვედურებს **ქმრის შეუვალი ავტორიტეტის** ანუ მისი როგორც **ქმრის „კერპის“,** როგორც **ცოლისგან თაყვანსაცემი ბომონის** დამხობას. რაც შეეხება წმინდანის პასუხს, მასში აშკარად შეიგრძნობა ზემოდამოწმებული ციტატების განწყობა თაყვანსაცემად აღმართული ხატ-კერპის უგულებელყოფის შესახებ. ამასთან, სახეობრი-

ვად უაღრესად მეტყველია შუშანიკის სიტყვებში გამომკრთალი მინიშნება, რომ მას ვარსქენის ხატ-კერპი თაყვანსაცემად არასოდეს ჰქონია აღმართული თავის გულში, რადგან ყოველთვის მარტოოდენ ჭეშმარიტ ღმერთს ეთაყვანებოდა. კიდევ, წმინდანის პასუხი ესაა მისდამი წამოყენებული ბრალდების მეტად მახვილგონივრული გაბათილება: ის, რაც არასოდეს აღმიმართავს, როგორ დავამხობდიო. დღეისათვის, ცხადია, ძნელია განვსაზღვროთ, ჩაწვდა თუ არა ვარსქენი მისი მეუღლის სიტყვათა ქვეტექსტს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: აღნიშნული სიტყვები უთუოდ შუშანიკისეულია და მათი ზედმიწევნითი შენარჩუნებით იაკობმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი თავი როგორც განსაცვიფრებელი მართლმეტყველებისა და მოვლენათა უაღრესი სიცხოველით გადმოცემის ხელოვანმესიტყვემ.

27 წმინდანთა საფლავებზე აგებული მათი სახელობის სამლოცველოები (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 64-66)

28 შდრ.: **„და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი“**. ამ შემთხვევაში ვარსქენის სახეში შეიძლება ჰაგიოგრაფს ნაგულისხმევი ჰყავდეს სახარებისეული უკეთური მონა, რომელმაც გააუკულმართა უფლის (სულიერი მამის) კეთილი მცნებები (შდრ. მ. 25.24-30). მოტანილ ადგილას გვესმის, აგრეთვე, გამოძახილი ევსუქი ხუცესის ქადაგებისა **„მკუდართა აღდგომისათგს“**, რაც უადრეს ეპოქაში ითარგმნა ქართულად. ქადაგებაში უკეთური მონის შესახებ ვკითხულობთ: **„მას კეთილნი იგი ბრძანებანი ერწმუნნეს, ხოლო მან გარდააქცინა ბოროტად“** (**„უდაბნოს მრავალთავი“**, გვ. 174). საკუთრივ გამოთქმა **„სხუად გარდაქცევა“** გვხვდება **„სინურ მრავალთავში“**: **„პირი დაეყავნ მწვალებელთა, რომელნი მრუდად იტყვან, კეთილადწერილსა სხუადსახედ და სხუად გარდააქცევენ“** (ეპიფანე კვიპრელი, ქალწულისა მარიამისთგს, სინ. მრ. გვ. 51.30-31; შდრ. ი. იმნაიშვილის ლექს. გვ. 150).

29 **„დევი“** აქ **„დრაკონს“** ნიშნავს, რაც ხსენებული „მარტვილობის“ ტერმინოლოგიური არქაულობის ნიშანია (ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 67-69).

30 **„ბრძენო ადამიანებო“** – შდრ. **„კაცნო ბრძენნო“**. ამგვარი მიმართვა თავისი ტონალობით ემსგავსება მოციქულთა ანალოგიურ მიმართვებს: **„კაცნო ძმანო“** (საქ. 1.16; 2.29; 13.15; 13.26; 13.38; 23.1; 23.6; 28.17), **„კაცნო ძმანო და მამანო“** (საქ. 22.1), **„კაცნო ისრაიტელნო“** (საქ. 2.22; 3.12; 5.35), **„კაცნო ეფესელნო“** (საქ. 19.35) და მისთ.

31 **„ამ სახით იქნება ჩემი გადარჩენა მისგან“** - ნუსხებში გვაქვს შემდეგი ტექსტი: **„მით სახითა იყოს განჩინებაბ ჩემი მისგან“**, სადაც სიტყვა **„განჩინებაბ“** კოტექსტის აზრს საკმაოდ გაუგებარს ხდის. მართლაც, აღნიშნულ ტერმინს ი. აბულაძე განმარტავს როგორც **„განკითხვას“** ანუ, რაც იგივეა, **„განსჯას“**. თავისთავად **„განჩინების“** ამგვარად გაგება მთლად მიუღებელი არ არის **[**შდრ. მაგ. **კორ. 1.9,** სადაც სწორედ **„განჩინებად“** არის თარგმნილი ბერძნული **„აპოკრიმა“,** რაც **„მსჯავრს“, „განაჩენს“, „სასჯელს“** ნიშნავს: **„განჩინებაბ („აპოკრიმა“) იგი სიკუდილისაბ მოგუელო“**; შდრ. აგრეთვე გამოსლ. 9.5: **„აწვე ანგელოზსა ღმრთისასა მოუღებიეს საშჯელისა განჩინებაბ** (ბერძნ. **„ფასის“**) **და განგაპოს შენ ორგან“**, თუმცა ქართული **„განჩინებაბ“**, ჩვეულებრივ, ნიშნავს **„განწესებას“, „განგებას“, „განსაზღვრებას“** (ბერძნ. **„აფორისმა“, „ჰოროს“**), ანუ იმავეს, რასაც დღესაც**],** მაგრამ ამგვარი შინაარსითაც კი წინადადების აზრი უკიდურესად ბუნდოვანია, რადგან გამოდის, რომ კვლავ ვასქენი განიკითხავს შუშანიკს (**„მით სახითა იყოს განჩინებაბ ჩემი მისგან“**). ჩვენ რომ აღნიშნულ წინადადებაში გვქონოდა არა **„ჩემი მისგან“**, არამედ **„ჩემგან მისი“**, რაღაცნაირი ახსნა შეიძლებოდა მოგვეძებნა, თუმცა მაინც გაუგებარი დარჩებოდა, თუ როგორ უნდა განეკითხა შუშანიკს ვასქენი **„მით სახითა“**, ანუ იმავე **„შეკვრითა და თრევი-**

თა“. გაცილებით მართებული განმარტებააა მოცემული **„სასკოლო გამოცემაში**“, სადაც **„განჩინებაბ**“ გაგებულია როგორც **„აშკარად დაშორება“** (ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა **„გამიჯვნა**“), რა შინაარსიც ძველ ქართულ **„გან-ჩინებას**“, ასე თუ ისე, მოეპოვება. მაგალითად: **„განაჩინნე** ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა“ **(რიცხვ. 8.14, AKSB**; შდრ. **G: „განათგსნე** (ბერძნ. **„დიასტელეის“)** ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა“). მაინც, **„განჩინებაბ**“ თვით უძველესი დროისთვისაც (როგორც ამას ერთსულოვნად სწამებს უადრესი ტესქტები) ნიშნავს **„განწესებას“, „განგებას“, „განსაზღვრებას**“, მკველვართაგან ხაზგასმული ზემორე მნიშვნელობები კი მხოლოდ უიშვიათესი გამონაკლისებია და განპირობებული ჩანს სათარგმნი ტექსტის გავლენით, რაც ხელოვნურობის და სემანტიკური ბუნდოვანების კვალს მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს (სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ოშკის ბიბლიის **„განაჩინნე**“ გელათურ თარგმანში შეცვლილია კონტექსტთან გაცილებით მისადაგებული და გასაგები ტერმინით **„განათგსნე**“). ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ იაკობის შრომა სიტყვათა გავრცელებულ და სასაუბრო მნიშვნელობებს მოუხმობს და არსად ავლენს სწრაფვას რთული და იშვიათი სემანტიკის აქცენტირებისკენ, მოცემულ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ გადამწერისეულ ცთომილებას და შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ იაკობისეულ ტექსტში ყოფილიყო არა **„განჩინებაბ**“, არამედ - **„განრინებაბ**“. ამგვარი დაშვება ასომთავრული ტექსტისთვის სავსებით მისაღებია, რადგან ასომათავრული **„რ**“ (–) და **„ჩ**“ (C) არსებითად მხოლოდ **„რ**“-ს წინა ფეხით განსხვავდება ერთიმეორისგან და გადამწერისგან მათი ერთიმეორეში აღრევა არანაირად არ უნდა იყოს მოულოდნელი. თუ მივიღებთ, რომ მართებული წაკითხვა არის **„განრინებაბ**“, კონტექსტის აზრი ზედმიწევნით ნათელი გახდება, რადგან ფიზიკური ტანჯვა-წამება მარტვილთათვის სულის გადარჩენისა და მტარვალთაგან თავის დაღწევის საშუ-

ალებად აღიქმება. მრავალთაგან დავიმოწმებთ ერთ ნიმუშს: როდესაც სებასტიელი მარტვილები უკიდურესად იტანჯნენ, ამ გზით მათ თავი დააღწიეს მტარვალებს („მონადირეებს“) და სული გადაირჩინეს. შესაბამის ტექსტში, კერძოდ, ვკითხულობთ: „და წმიდანი იგი, **დალეწილნი წათითა**, აღმოუტევებდეს სულსა და იტყოდეს: სული ჩუენი ვითარცა სირი **განერა** მახესა მას მონადირეთასა. ნანდგლვე საფრდა შეიმუსრა და **ჩუენ განვერენით**“ („წამებაბ წმიდათა ორმეოცთაა“, ი. აბულაძის გამოც. იხ. ი. აბულაზე, შრომები, I, გვ. 141). შდრ. აგრეთვე: „და პეტრე მოეგო გონებასა თგსსა და თქუა: აწ უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ მოავლინა ღმერთმან ანგელოზი თგსი და **განმარინა მე დელთაგან ჰეროდესთა** და ყოვლისაგან მოლოდებისა ერისა მის ჰურიათაბსა“ (საქ. მოც. 123.11); იხ. აგერთვე, „წამებაბ წმიდათა მესუკავეთაბ“: „... განრინებულნი **საბრდისაგან ეშმაკისა**“, 51.6, ი. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექს.“, გვ. 66). შთამბეჭდავი დადასტურება იმისა, რომ **„განრინებაბ**“ და **„განჩინებაბ**“ შესაძლებელია გადამწერთაგან ერთიმეორეში აირიოს, გვაქვს სწორედ ოშკურ ბიბლიაში, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „გამოვიდეს მოსე და აჰრონ ფარაობსგან და ღაღად-ყო მოსე უფლისა მიმართ **განრინებისა** მისთგს დრობსა მყურისა, ვითარცა-იგი თქუა ფარაო“ (გამოსლ. 8.12). ბერძნული ორიგინალი და სხვაენოვანი ვერსიები გვიდასტურებს, რომ მოტანილ ადგილას ქართულ ტექსტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა **„განრინებისა**“, არამედ **„განჩინებისა**“ (შდრ. ბერძნ. ოსრისმოუს, სლავ. определении). ამასვე ცხადყოფს B რედაქცია, რაც მოცემულ ადგილას თუმცა ოშკური რედაქციისაა, მაგრამ ზემოციტირებულ ტექსტში მართებულ ფორმას იცავს, რადგან მასში სწორედ **„განჩინებისა**“ გვაქვს და არა **„განრინებისა**“: „გამოვიდა მოსე და ჰარონ ფარაობსგან და ღაღად-ყო მოსე უფლისა მიმართ **განჩინებისა** მის დრობსა მყურისა, ვითარცა იგი თქუა ფარაო“ (იხ. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, შესაქმისაბ, გა-

მოსლვათაბ, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, თბ. 1989, გვ.342).

32 **„ადგა და ცრემლით გარეთ გამოვიდა“** – შდრ. ხანმეტი ოთხთავი: **„და გამოვიდა გარე [და ტიროდა მწარედ]“** (ლ 22.62; შდრ. ყველა სხვა: **„და განვიდა გარე და ტიროდე მწარედ“**). შდრ. აგრეთვე: **„აღდგა და გამოვიდა“** (მ. 1.35). შდრ. აგრეთვე მ. 26.75: **„და განვიდა (ადიშური: „გამოვიდა“)** გარე და ტიროდა მწარედ“.

33 ცხადია, რომ აქ **„პური“** გამოიყენება ზოგადად **„პურობის“**, **„სადილობა-ვახშმობის“**, **„ნადიმობის“** მნიშვნელობით, რაც საკუთრივ ქართული ფენომენი ჩანს (ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 71-80).

34 **„აქანდაზი“** – დედნისეული **„ასტამი“** საბას მიერ განმარტებულია როგორც **„ცომის მოსაფხეკი“**, ანტონ I-ის მიერ - როგორც **„ჭურჭელი რაიმე რკინისა ანუ რვალისა“**, ხოლო იოანე ბატონიშვილის მიერ - როგორც **„ცეცხლის სარევი მაშა რკინისა“**. ამ განმარტებათაგან ი. აბულაძეს, სავსებით დასაბუთებულად, მესამე მიაჩნია კონტექსტისთვის შესაფერისად (იხ. **„შუშანიკის მარტვილობის“** ი. აბულაძისეული გამოც. გვ. 163). მისი თქმით, **„ასტამი ცეცხლის ასაღები რკინის იარაღია“** (იქვე). მკვლევარი, ძალიან მახვილგონივრულად, ყურადღებას აქცევს ასტამით ნაცემ შუშანიკთან მისული იაკობის სიტყვებს: **„მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ (resp. შთამთხუეულ) არს“**. ცხადია, ეს ნაცარი ასტამისგან ჩაუცვივდებოდა თვალებში წმინდა შუშანიკს. ამიტომ განმარტავს ი. აბულაძე თავის **„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“**: **„ასტამი“ – „ცეცხლის ასაღებ-დასაღები, აქანდაზი“** (გვ. 11).

35 **„დაჰკრა თავზე“** – დედნისეული გამონათქვამი **„უხეთქნა თავსა“** შესაძლოა იყოს გამოძახილი **„იაკობის წამების“** ერთი ადგილისა, სადაც ვკითხულობთ: **„და აღდგა ერთი მათგანი ... აღ-**

ილო ძელი (შდრ. **„შუშანიკის მარტვილობა“**: **„აღილო ასტამი...“**)... და **უხეთქნა თავსა** მის მართლისასა“ (სინ. მრ. 56.34)

36 **„ჩამარხა“** – დედნისეული **„ჩაჰფლა“** რთულად განსამარტავი ლექსიკური ერთეულია. უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა **„შთაჰფლა“**, რაც პირდაპირი გაგებით იგივეა, რაც **„ჩაფლო“**, **„ჩამარხა“** (იხ. ზ. სარჯ. ლექს. გვ. 249). როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ვარსქენმა ასტამის დაკვრით, უხეშად რომ ვთქვათ, იქვე **„ჩაწიხლა“**, **„უსულოდ დასცა“**, **„მიწას დაასრისა“** კაცთაგან შემწეობას მოკლებული ქალი.

37 **„დაუსივა“** – დედნისეული **„დაუბუშტა“** (თუ ეს წაკითხვა პირვანდელია) უნდა ნიშნავდეს: **„ბუშტისებრ დაუსივა“**, **„ამოუბურცა“** (არა გამორიცხული, რომ თავდაპირველ ტექსტში ყოფილიყო არა „დაუბუშტა“, „არამედ „დაუბუშა“, რაც ნიშნავს: „გრძნობა დაუკარგა“ (აქ: „მხედველობის უნარი გაუქრო“).

38 „სახეში მჯიღით სცემდა უმოწყალოდ და თმით მიმოათრევდა“ - ტანჯვა-წამების ამგვარი აღწერილობანი მარტვილოლოგიაში არაიშვიათია. აი, ორი პარალელი: **„უბრძანა უწყალოდ ცემად (ფილეკტიმონისა)“** (კიმენი I, 138.14; ი. აბ. ლექს. გვ. 441); **„ითრევდა და სწიხნიდა (ფილიპე მოციქულს)“** (იხ. ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბ. 1959, გვ. 4.7; იხ. ი. აბ. ლექს. გვ. 182); **„მოჰყვანდა რიფსიმე მტარვალთა მძლავრ თრევით“**, ი. აბულაძე, შრომები, IV, 99.3; ი. აბ. ლექს. გვ. 182).

39 **„კუბასტი“** - თავსახვევი; კალთა, კაბის ბოლო (**„კუბასტის“** მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 82-87).

40 ტერმინი **„თესლ-ტომი“** ძველადაც იმავეს ნიშნავდა, რასაც დღეს, ე.ი. **„ჩამომავლობას, მოდგმას, ნათესაობას, წარმომავლობას“**. მაგალითად: **„თესლ-ტომი მისი ვინ უძლოს მითხრობად?“**

(საქ. მოც. 8.33); **„აღდგომილ არს ყოველი თესლ-ტომი მისი ერთ-ბამად ჩემ ზედა“** (II მეფ. 14.7).

41 „ვნახე მისი სხეული“. შდრ. „ვიხილე **ხატი** მისი“. ტერმინი **„ხატი“** აღნიშნულ ადგილას **„სხეულს“** ნიშნავს.

42 „დაცულად“ – შდრ. **„გებულად“**, რაც ნიშნავს: **„დაუზიანებლად“**, **„უდანაკარგოდ“**, **„დაცულად“**, **„დაუკლებლად“**, **„უნაკლოდ“**. აღნიშნული ტერმინი გვხვდება **„ადრიანეს და ანატოლეს მარტვილობის“** უძველეს ქართულ თარგმანში (მითითებულია ი. აბ., ლექს.-ში, გვ. 92): „და იყვნეს დორცნი მათნი **გებულ**, რამეთუ თმაბ ერთისა მათგანისაბ არა შეტუსვილ იყო“ (ი. აბულაძე, შრომები, I, გვ. 200). ამავე ტერმინს ვხვდებით იოანე მოსხის **„ლიმონარში“**: „პოვეს სენაკი მისი **გებულად** და ბერი იგი მშგდობით“ (იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსც. ი. აბულაძემ, თბ. 1960, გვ. 33.9; შდრ. ი. აბ. ლექს. გვ. 92), და ა. შ.

43 **„დიდმარხვა“** _ შდრ. დედანი: **„დიდნი იგი მარხვანი“**. ეს ტერმინი გულისხმობს ან საკუთრივ **„დიდ ორმოცეულს“**, რაც თავდება ბზობის პარასკევს და რასაც მოსდევს **„ვნების შვიდეული“**, ანდა - მთელ წინასააღდგომო მარხვას ვნების შვიდეულის ჩათვლით. პირველი მნიშვნელობით (ე. ი. **მხოლოდ „დიდი ორმოცეულის“ აღმნიშვნელად)** ტერმინი **„დიდნი მარხვანი“** დამოწმებულია კირილე სკვითოპოლელის „ევთვიმი დიდის ცხოვრების“ ძველქართულ თარგმანში: „ამისა შემდგომად გარდაიცვალა მას შინა (მცირე მონასტერში, ე. ჭ.) **დიდთა მარხვათა“** (მამათა ცხორებანი, გვ. 168). ერთი მხრივ, კონტექსტითაც ნათელია, რომ მოტანილ ტექსტში **„დიდნი მარხვანი“** აღნიშნავს არა მთელ წინასააღდგომო პერიოდს, არამედ - **საკუთრივ „დიდ ორმოცეულს“** (ბზობის წინმსწრებს), რადგან ცოტა ზემოთ ხაზგასმულია, რომ ევთვიმი დიდი ხსენებულ მცირე მონასტერში, სადაც აღესრულა იგი, ყოველწლიურად მიდიოდა „განცხადების ზატიკის“ („ნათლისღების სადღესასწაულო შვიდეულის“) შემდეგ და რჩებოდა იქ **ვიდრე**

„ბზობამდე“ (შდრ. „და მივიდის იგი მუნ შემდგომად განცხადებისა ზატიკისა და **დაეყუდის მუნ ვიდრე დღედმდე ბზობისა“**, მამათა ცხორებანი, გვ. 168). ასე რომ, რადგან ევთვიმი აღსასრულის ჟამს სწორედ „მცირე მონასტერში“ იმყოფებოდა, ცხადია, რომ **ბზობა ჯერაც არ დანდგარიყო**. შესაბამისად, მის შესახებ უწყებული, - რომ იგი **„დიდთა მარხვათა“** აღესრულა, - გულისხმობს ბზობამდელ მონაკვეთს წინასააღდგომო პერიოდისას (ვნების შვიდეულის წინმსწრებს), რაც ნიშნავს, რომ ტერმინი **„დიდნი მარხვანი“** უიგივდება საკუთრივ **„დიდ ორმოცეულს“**. ამასვე გვიდასტურებს ბერძნული ორიგინალიც, სადაც **„დიდთა მარხვათა“** შესატყვისად გვხვდება ტერმინი **„წმინდა ორმოცეული“ („ჰაგია ტესსარაკოსტე“)**. ამავე **„დიდთა მარხვათა“** მეორე მნიშვნელობა ანუ ამ ტერმინში მთელი წინასააღდგომო მარხვითი ციკლის (ვნების შვიდეულის ჩათვლით) მოაზრება გამოკვეთილია საკუთრივ წინამდებარე „მარტვილობაში“, რომლის მეთოთხმეტე თავში პირდაპირ ვკითხულობთ: „ ხოლო **დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა, ერგასისთა მათ დღეთა**, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამა არა დაჯდის ქუე...“. „

44 საფიქრებელია, რომ **„აღვსების ორშაბათი“** იაკობ ხუცესის დროისთვის აღმნიშვნელი ყოფილიყო არა ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათისა, რა შინაარსიც აქვს მას მოგვიანებით, არამედ - ვნების შვიდეულის ორშაბათისა (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 215-272)

45 „მის გულს ეშმაკი თხრიდა“ - ესაა საკმაოდ წარმატებული სახეობრივი გამონათქვამი, რომლის პარალელს სხვა საეკლესიო ძეგლებში (მათ შორის, წმინდა წერილში) ვერ ვპოულობთ.

46 „მომეცი მაქედან“ - ძველი ქართული **„გამომეც“**, რაც ძალიან გამომსახველია, ერთი სიტყვით ვერ გადმოიცემა. „გამოცემა**“** არ უდრის არც „მოცემას**“**, არც „გამოყვანებას**“** (ეს ლექსიკური ერთეულები თავისთავად არსებობს ძველ ქართულში). იგი შეესა-

ბამება ბერძნულ „**ეკდიდომი**“-ს(მაგ. „**გამოგუცენ** ქალაქი მათი“, ივდ. 7.9, ოშკური).

47 „**თრევით წამოათრია**“ - შდრ. „**თრევით მოითრია**“. ფრაზეოლოგიური თანხვედრისთვის შდრ. „**თრევით მოითრიეს** იგი“ („მარტგლობაბ თეკლაბსი“, ი. აბულ. შრ. 1, გვ. 56).

48 „**ტალახში**“ - შდრ. „**თიდათა შინა**“. ძველი ქართული „**თიდაბ**“, ისევე როგორც მისი ბერძნული ეკვივალენტი „**პელოს**“, ნიშნავს როგორც „თიხას“, „თიხნარ მიწას“, „მიწას“, ასევე „**ტალახს**“. ცხადია, ხსენებულ კონტექსტში სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს „**თიდას**“.

49 „**ძეძვი**“ - ე.ი. „ეკლიანი ბუჩქი“, „კვრინჩხი“ (შედარებით ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 94)

50 „**ფიცხობდა**“ - შდრ. ძვ. ქართ. „**ხისტოოდა**“ (ამ ტერმინის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 302-304).

51 „**ჯაჭვი დაედოთ მის კისერზე**“ - შდრ. „**...დადებად ჯაჭგ ქედსა მისსა**“. აქ ისმის გამოძახილი წმინდა წერილისა. მაგალითად: „**დადვას მან ჯაჭგ** რკინისაბ ქედსა შენსა“ (**BS**; შდრ. გელათური: „**დადვას სადივი** რკინისაბ ქედსა ზედა შენსა“, **II** სჯ. 28).

52 „მესენაკე“ - შდრ. ძვ. „**სენაკაპანი**“, რაც ნიშნავს „**მესაწოლეს**“ (საბა), **ოთახის მცველს.**

53 „**თვალი ჰკიდა**“ - ეს გამონათქვამი, რაც დღემდე სამეტყველო გამოყენებაშია, როგორც ვხედავთ, უძველესი წარმოშობისაა.

54 აღნიშნული ეპიზოდი უნათლესი დადასტურებაა იმისა, რომ ნაწარმოების ავტორი უეჭველად თვითმხილველია.

55 „**ხალხის**“ შესატყვისი ძველ ქართულ ტექსტში არის „ამბოხი“, სპარსული წარმომავლობის სიტყვა, რაც სომხურში იმავე ფორმი-

თაა როგორც ქართულში („**ამბოხ**“) და ნიშნავს, ი. აბულაძის განმარტებით, „**ჩოჩქოლს, მასას, ხალხს**“ (ი. აბულ., ლექს. გვ. 5; ამ ტერმინის შესახებ იხ. აგრეთვე ი. აბულაძე, შრომები, I, გვ. 34).

56 „**მე ამიერიდან განშორებული ვიყო თქვენგან**“ - შდრ. „**ჯმნულმცა ვარ თქუენგან მე ამიერითგან**“. ეს გამონათქვამი, როგორც ჩანს, ფრაზეოლოგიურად მომდინარეობს ზემოთ უკვე მითითებული „**ანდრიანეს და ანატოლეს წამების**“ უძველესი ქართული თარგმანიდან. შევადაროთ: „...**ჯმნულ ვარ ამიერ სოფლით**“ („მარტვილობის“ ტექსტი იხ. ი. აბულ., შრ. I, გვ. 182).

57 „**ჩაკეტეს**“ - შდრ. „**შეაყენეს**“. ლექსიკური ერთეული „**შეყენება**“ ტერმინოლოგიური შესატყვისი ჩანს ბერძნული სემანტემისა „**სინკლეიო**“ (იშვიათად „**კატაკლეიო**“), რაც ნიშნავს „ჩაკეტვას“, „შეკეტვას“, „დახშვას“ (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 97-99)

58 „**ნახეთ თქვენი თავი...**“ - შდრ. „**განიხილენით თავნი თქუენნი...**“. პარალელისთვის შდრ. „მამათა ცხორებანი“: „**განიხილენით თავნი თქუენნი**“ (**A** 1105, 430 **r**; იხ. ი. აბულ. ლექს. გვ. 81).

59 „**ვუთხარი**“ - აქ: „შევეხვეწე“ (ეს მნიშვნელობა აქვს ამ ადგილას ძვ. ტექსტის სიტყვას: „**ვარქუ**“.

60 „**ნივთს**“ - შდრ. „**ჭურჭერი**“, რაც ტერმინოლოგიურად გადმოსცემს ბერძნულ „**სკეუონ**“-ს.

61 „**ქრისტეს ტარიგი**“ - ე. ი. „**ქრისტეს კრავი**“. გამოთქმა „**ტარიგი ქრისტესი**“, შექმნილია იმ ცნობილი შესიტყვების ანალოგიით, რაც იოანე ღვთისმეტყველის მიერ მაცხოვრისადმი არის თქმული: „**ტარიგი ღმრთისაბ**“. მაგალითად: „აჰა ქრისტე, **ტარიგი ღმრთისაბ**“ (ი. 1.36; შდრ. ჰადიშური: „აჰა ესერა ქრისტე, **კრავი ღმრთისაბ**“; შდრ. იქვე 1.29). „**ტარიგი ქრისტესი**“ არაიშვიათად ეწოდებათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ქალწულ-

მოწამეებს (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჟელიძე, ლიტერატურა,* გვ. 99-105)

62 „სასძლოსებრ ლამაზად შემკული“ - შდრ. **„შუენიერად ვითარცა სძალი შემკული“**. ი. აბულაძეს წყაროდ მითითებული აქვს გამოცხ. 21.2, სადაც, ექვთიმესეული თარგმანით ვკითხულობთ: „იერუსალამი ახალი... **ვითარცა სძალი შემკული** ქმრისა მიმართ თგსისა“. ეს პარალელი თავისთავად საგულისხმოა (ყურადღებას მივაქცევთ აღნიშნული მუხლის ანდრია კესარია-კაპადოკიელისეულ განმარტებაზე, სადაც ახსნილია ეპითეტი **„სძალი“** და თქმულია, რომ **„ახალ იერუსალიმს“** აპოკალიფსის ავტორი უწოდებს **სძლად**, „რამეთუ **შეერთებულ არს იგი უფლისა სამკაულითა საღმრთობთა“**, ი. იმნაიშვილის გამოც., ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 7, თბ. 1961, გვ. 106; საგულისხმოა, რომ ხსენებული **„სძალი“** იქვე, - 21.9-ში, - სახელდებულია როგორც **„სძალი კრავისაბ“**, სადაც **„კრავი“** შეესატყვისება ბერძნულ **„არნიონ“**-ს და სომხურ **„garn“**-ს), თუმცა თვით „გამოცხადების“ აღნიშნული გამოთქმა, თავის მხრივ ეფუძნება ესაიას შემდეგ სიტყვებს: „იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ, რამეთუ ... **ვითარცა სძალი, შემამკო მე სამკაულითა“** (61.10). ძნელი სათქმელია, არსებობდა თუ არა „აპოკალიფსის“ ქართული თარგმანი იაკობ ხუცესის დროს (სადღეისოდ მიიჩნევა, რომ ექვთიმემ პირველმა თარგმნა ქართულად ეს ძეგლი), მაგრამ „ესაიას წინასწარმეტყველება“ რომ უთუოდ არსებობდა V ს-ში ქართულად, ეს უეჭველია, თანაც ესაიას სიტყვები გაცილებით ახლოს დგას შინაარსობრივად „მარტვილობის“ ზემორე ადგილთან, ვიდრე - „აპოკალიფსისა“.

63 ბორკილებით სამკაულებისებრ შემკობილობა უცხო არ არის საეკლესიო მწერლობისთვის. ამ მხრივ შეიძლებოდა მიგვეთითებინა წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ, სადაც ხსენებული მღვდელმოწამე თავის ბორკილებს

(**„საკრველებს“**) **„სულიერ მარგალიტებს“** უწოდებს. მოვიტანთ წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანს: **„საკრველნი** ესე ასურასტანითგან და ვიდრე ჰრომადმდე მიმომქონან - **სულიერნი ესე მარგალიტნი“** (საქ. ეკლ. კალენდ. 1988, გვ. 613).

64 „ვერ მომითმინა ჩემმა გულმა“ - შდრ. **„ვერ დამითმო გულმან ჩემმან“**. აღნიშნული გამონათქვამი, რაც იტევს ფიგურალურობას, როგორც ჩანს, სასაუბრო ენიდან არის იაკობისგან შემოტანილი. საგულისხმოა, რომ ეს გამონათქვამი დღემდე მეტყველებაშია.

65 „მცველმა კი მითხრა მე: ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდი შენ“ - ეს ფრაზაც იმდენად განსაცვიფრებლად რეალისტურია, რომ კვლავაც უეჭველს ხდის მთხრობელისგან ამბის თვითმხილველობას.

66 „ჩორი“, ი. აბულაძის შენიშვნით, იგივეა, რაც სომხური **„ჭორ“** და ამ ტოპონიმით დარუბანდი უნდა აღინიშნებოდეს (დასახ. გამოც. გვ. 058).

67 „ბორკილებისა კი - არ განიკუთვნა“ - შდრ. **„ხოლო ბორკილთაბ არა თავს-იდვა“**, ე.ი. ბორკილების მოხსნა არ ივალდებულა შუშანიკმა. აქ ტერმინი **„თავს-იდვა“**, რაც საზოგადოდ **„ვალდებულების აღებას“**, **„პასუხისმგებლობის ტვირთვას“** ნიშნავს, როგორც ჩანს, მიანიშნებს იმაზე, რომ ხსენებული წმინდანი ჯაჭვსაც და ბორკილებსაც ღვთის განგებად ანუ ღვთის განგებით მასზე დაკისრებულ სამოღვაწეო ვალდებულებად რაცხდა (რაც ბუნებრივია). ჯაჭვს, იძულების შედეგად, იგი თმობს, მაგრამ ბორკილების მოხსნის უფლებას (რაც ღვთივდადებული სამოღვაწეო მოვალეობისგან თავის არიდებად წარმოჩნდება) თავის თავს ვერ აძლევს და სიკვდილამდე ინარჩუნებს მათ.

68 „ამ ბორკილებთან ერთად“ - ამას ნიშნავს მოტანილ ადგილას იაკობისეული **„მითურთით“**.

69 „საღვთო წესიერებით“ - შდრ. **„წესიერებითა საღმრთობ-თა“**. აღნიშნული შესიტყვება, როგორც ჩანს, გულისხმობს სამოღ-ვაწეო განგებას, რაც „დაყუდებული“, “შეყენებული“ ანუ ასკე-ტურ ღვაწლში მყოფი შუშანიკისგან ფაქტობრივად სამონაზვნო რეგლამენტის ზედმიწევნით დაცვას მოასწავებს („წესიერება“ აქ, საფიქრებელია, შეესაბამებოდეს ბერძნულ **„ევტაქსია“**-ს). შესა-ბამისად, აღნიშნული გამონათქვამის შემდეგ გამოცემებში მარ-თებულადაა დასმული ორწერტილი.

70 იაკობ ხუცესის გამონათქვამი **„სულიერი ქნარი“, ვფიქრობთ,** სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საღვთო ღვაწლის ჟამს მოღ-ვაწის მიერ ფსალმუნთა გალობის აღვლენას საეკლესიო წესით. საკუთრივ **„ქნარი“** უთუოდ ფსალმუნებს ნიშნავს, **„სულიერი“** კი იმას გულისხმობს, რომ თუმცა, როგორც წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს, დავითის ფსალმუნებს გალობს, ცხადია, ეკლესიაც, მაგრამ გალობს არა, დავითისებრ, ნივთიერი ქნარით*2*, არამედ - **სულიერით ანუ საეკლესიო გალობის წესით**, რაც განუყრელია ღვაწლისგან, ასკეზისისგან, რასაც **„შეაზავებს სულიწმინდა“** და რაც არის **„სულისმიერი ჰარმონია“**, და **„გონითი ქნარი“**, როგორც უწოდებს მას წმ. ათანასე, ანუ ესაა, ორიგენესებრ, იგივე, **„ქნარი სულისა (სულიწმინდისა)“**, რითაც აღევლინება **„ყოველგვარი ტკბილი მუსიკის ყოვლადმწყობრი მელოდია“** (წმ. იოანე ოქროპი-რი). ამასვე ნიშნავს გამონათქვამი **„დავითის ქნარი“**, როგორც თავად იაკობ ხუცესი უწოდებს მას „მარტვილობის“ დასასრულს: **„დავითის ქნარითა** მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა მის-სა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“ (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 107-116).

71 „აღთქმულთა“ - შდრ. **„აღნათქუემთა“**. ტერმინი **„აღ-ნათქუემი“** არაიშვიათადაა დამოწმებული საღვთო წერილში. ბერძნულში, უპირველესად, მისი შესატყვისია **„ევხე“**, რაც, გარ-

და „ლოცვისა“, ნიშნავს აგრეთვე „აღთქმას“. ამავე ტერმინს გად-მოსცემს აგრეთვე **„ეპანგელია**“-ს (იშვიათად **„ეპანგელმა“**-ს), რაც „ძველ აღთქმაში“ ძალიან იშვიათად გვხვდება და არსებითად „ახალი აღთქმის“ კუთვნილებაა. კიდევ ერთი ტერმინი, რომელ-იც თუმცა აღთქმითი შინაარსით ზემოგანხილულებზე უფრო მნიშ-ვნელოვანია, მაგრამ ჩვენს მიერ ამჯერად მესამე რიგშია მოქცეუ-ლი და, შესაბამისად, ნაკლებად ვეხებით, რადგან იაკობ ხუცესის **„აღნათქუემთა**ნ“ ტერმინოლოგიური კავშირი არა აქვს, გახლავთ კარგად ცნობილი და საღვთო წერილში მრავალგზის დამოწმებუ-ლი **„დიათეკე“**, რაც „რჯულდებითი ანდერძის“, „ბრძანებულებითი დანაპირების“ შინაარსს ატარებს და, აქედან გამომდინარე, ძველ ქართულად ითარგმნებოდა არა მხოლოდ როგორც **„აღთქუმაბ“** ან **„აღნათქუემი“**, არამედ აგრეთვე — როგორც: **„შჯული“, „მცნებაბ“, „მცნებაბ აღთქუმისაბ“.** რაც შეეხებ **„ევხე“**-ს და **„ეპანგელია“**-ს, დამოწმებულმა ნიმუშებმა აშკარად წარმოაჩინა ამ ორი **„აღთქუ-მის“** გარკვეულწილად განსხვავებული შინაარსი. კერძოდ, პირვე-ლი მათგანი უფრო გულისხმობს **მსხვერპლშეწირვითი დანიშნულებ-ის აღთქმას** ანუ **აღთქმას როგორც ვალდებულებას**, რაც უნდა შეს-რულდეს, მაშინ, როცა მეორე ხაზგასმაა **იმგვარ აღთქმაზე, რასაც სამახარობლო დანიშნულება აქვს**. ამგვარად, **„დიათეკე“** ესაა უფრო რჯულდებითი აღთქმა, **„ევხე“** - ვალდებულებითი აღთქმა, **„ეპანგელია“** - სამახარობლო აღთქმა. ახლა გავიხსენოთ „მარ-ტვილობის“ შესაბამისი ადგილი: „მოვიდოდეს მამანი და დედანი **აღნათქუემთა** შეწირვად“. რადგან ტერმინი **„აღნათქუემი“** მკაფ-იოდ უკავშირდება **„შეწირვას“**, უეჭველი ხდება, რომ მასში იგ-ულისხმება **„ვალდებულებითი ანუ მსხვერპლშეწირვითი აღთქმა“**, რაც საკუთრივ ბერძნული **„ევხე“**-ს შინაარსს შეადგენს. მაგალი-თად: **„აღნათქუემად** შენდა არა **შეიწიროს“** (ლევ. 22.23); **„შეწირეთ ... აღნათქუემი** თქუენი“ (II სჯ. 12.6); **„აღნათქუემი... შესწირო“** (II სჯ. 12.27); **„შევსწირო აღნათქუამი**, რომელ **აღმეთქუა“** (II მფ. 15.7); **„შეიწირე აღნათქუემი** ჩემი (ფს. 55.13)

და ა.შ. ამრიგად, აშკარაა, რომ „მარტვილობის“ ზემორე შესიტყვება **„აღნათქუემთა** შეწირვა“ ძველი აღთქმის ტექსტიდან მომდინარეობს, სადაც **„აღნათქუემი**“ ბერძნული **„ევხე“**–ს შინაარსს ატარებს (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 116-125)

72 „კეთროვნების ტკივილი“ - შდრ. **„განბორებისა სალმობაბ**“. ტერმინი **„განბორებაბ“** ი. აბულაძის მიერ დაკავშირებულია სომხურ **„ბორ“**-თან, რაც **„კეთრს“** ნიშნავს. საბაც განმარტავს: **„განბორება - კეთრის სნეულება“** (იხ. ი. აბულ. დასახ. გამოც., გვ. 92). დღეისათვის არ ჩანს დამარწმუნებელი არგუმენტი ზემორე განმარტებაში ეჭვის შეტანისა, რის გამოც **„განბორებას“** ჩვენც **„კეთროვნებად“** ვთარგმნით, თუმცა აუხსნელია კეთროვანი ქალის ესოდენ თავისუფალი მისვლა-მოსვლა. იქნებ ყურადღება მიგვექცია იმაზე, რომ ტერმინი **„ბორ“** სომხურში ნიშნავს არა მხოლოდ „კეთრს“, არამედ **„მუნსაც“**, რაც, არ არის გამორიცხული, ზემორე **„განბორებაშიც“** იგულისხმებოდეს. თუ **„განბორებას“** მაინც **კეთროვნებად** გავიგებდით, მიზანშეწონილად წარმოჩნდებოდა მისი დაკავშირება მაცხოვრის მიერ კეთროვანთა განკურნების ეპიზოდებთან (მრ. 1.40-42; ლ. 17.12-13), თუმცა ძველ ქართულ რედაქციებში „კეთროვანს“ აღნიშნავს, ერთი მხრივ, თვით **„კეთროვანი“**, მეორე მხრივ კი **„განბოკლებული“** (და არა **„განბორებული**“; სომხურშია **„ბოროტ“**).

73 „მიდი იერუსალიმში“ - შდრ. **„მივედ იერუსალამდ“**. ეს სიტყვები და მომდევნო უწყება მოგვი ქალის იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ თვალნათლივი დადასტურებაა იერუსალიმთან ქართლის ქრისტიანთა პილიგრიმული (მომლოცველობითი) კავშირისა უადრესი ეპოქიდანვე.

74 „**შეისმინა**“ - შდრ. იაკობისერული **„შეიწყნარა“**, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ მოგვყოფილმა ქალმა **„მიიღო“** ანუ **„შეისმინა“** შუშანიკისგან ნამცნები და იმოქმედა კიდეც შესაბამისად.

75 „ძვირფას სამოსელზე ზრუნვის სანაცვლოდ“ - იაკობის სიტყვები **„ნაცვალად ჭიჭნაუსტისა საქმისა**“, ჩვეულებრივ გაიგება **ასე: „აბრეშუმის ხელსაქმის ნაცვლად**“. ტერმინ **„ჭიჭნაუსტისა**“ და მთელი კონტექსტის წყაროთმცოდნეობითი შესწავლა ცხადს ხდის, რომ ზემორე გაგება სრულიად არაზუსტია. შესაბამისი მასალები ააშკარავებს, რომ **„ჭიჭნაუსტისა საქმე“** ნიშნავს **იაკინთის ქსოვილზე,** ზოგადად **ძვირფას სამოსელზე მოფიქრალობას, ამაზე მზრუნველობას, ამით დაკავებულობას, რაც საკუთრივ მდიდარ ქალთა ცხოვრების წესია, მათი ინტერესის საგანია.** სწორედ ეს **ზიზილ-პიპილებით გატაცება, ფარჩაატლასისა და ოქროქსოვილისკენ სწრაფვა, ძვირფას შესამოსელზე ზრუნვა უარყო შუშანიკმა** ანუ **მან მთლიანად დატოვა ამგვარი ყოფითი სიამოვნებით ტკბობა და მთელი ყურადღება მაცხოვნებელი მოღვაწეობისკენ მიმართა** (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 129-177).

76 „**დავითნი**“ - „მარტვილობა“ ადასტურებს, რომ „ფსალმუნთა“ წიგნს ქართულში უძველესი დროიდანვე **„დავითნი“ / „დავითი“** ეწოდებოდა.

77 „**გახევებული**“ - შდრ. **„დაბუშებული“** (ი. აბულაძე განმარტავს: „დაბუშება, დაბუშვება: „დადსნა:, მოდუნება; გაშეშება; დაბუჟება“, „ძვ. ქართ. ლექს.“, გვ. 106)).

78 როგორც მიუთითებს ი. აბულაძე, **„კარი“** აქ **კტეზიფონ**ს გულისხმობს.

79 „**შეუთვალა**“ - ეს გააზრება აქვს მოტანილ ადგილას იაკობისეულ სიტყვას **„მიჰრქუა“** (შდრ. ი. აბულაძის განმარტება: **„მირქუმა - შეთვლა“**, „ლექს“, გვ. 249).

80 „პერანგი“ - შდრ. ძვ. „პალეკარტი“. ი. აბულაძე განმარტავს: **„პალეკარტი“ - „კვართი, გრძელი სამოსელი**“. საბას მითითებით **„პალეკარტი**“ (**„პალეგავტი“, პალიკარტი**“) იგივეა,

რაც **„პოდირი“**, ხოლო ეს უკანასკნელი მისგან ასეა განმარტებული: **„სამოსელი, შემცველი სხეულისა მკლავთაგან ფერდთამდე, მსგავსი კვართისა (პერანგისა)“**. დ. ჩუბინაშვილი ასეთ განმარტებას გვაწვდის: **„პოდირი, ვარმანდი, მონაზონთ წამოსასხამი“**. ტერმინი **„პალეგავტი// პარეგავატი“** ვლინდება **გამოსლ. 36.34** მუხლში: **„ქმნეს პარეგავატი ზეზისა ქმნულქსოილი აჰრონისთგს და ძეთა მისთა“** (B და, ალბათ, O; შდრ. S: „და უქმნეს კუართები იგი ზეზისა საქმე ქსელისაბ აჰრონს და ძეთა მისთა“). იგივე მუხლი AK ნუსხებში ასეთი სახისაა: „და უქმნეს კუართები იგი ზეეზისა საქმე ქსლისაბ **აჰრონს და ძეთა მისთა**“. ეგევე ტერმინი დამოწმებულია „ჯერასიმეს ცხოვრებაში“: „ერთი **პალეგავტი** და ფიჩგ ერთი და კუკული“ („მამათა ცხორებანი“, გვ. 313.22; შდრ. ბერძნ. „კოლობიონ“, რასაც ასე განმარტავს ლემპი: „მოკლესახელოებიანი სამოსი, განსაკუთრებით მონაზვნებისათვის“).

81 „ჩემი სილამაზის მშვენიერება“ – შდრ. **„შუენიერებაბ სიკეთისა ჩემისაბ“.** შესიტყვება **„შუენიერებაბ სიკეთისაბ“** საკმაოდ უჩვეულო გამონათქვამია, რადგან ძველ ქართულში **„სიკეთეც“ „შუენიერებას“** ნიშნავს. ხსენებულ სიტყვებში გვესმის გამოძახილი ზემოთ რამდენიმეგზის მითითებული ძეგლისა **„მარტგლობაბ ანდრიანასი და ანატოლასი“**. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, შემდეგი ადგილი: „ნუ მიხედავ ***შუენიერებასა სიკეთისა შენისასა***“ (იხ. „წამებაბ წმიდათა მოწამეთაბ ანდრიანასი და ცოლისა მისისა ანატოლასი და მათ თანა მოწამეთაბ, რომელნი ნიკომიდია ქალაქსა იწამნეს“, გამოსცა ი. აბულაძემ, შრომები, I, 1975, გვ.205). საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ადგილას ხსენებული „მარტვილობის“ ქართული ტექსტი სხვაობს ბერძნულ-სომხურისგან. ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგან გვიდასტურებს, რომ იაკობი მის მიერ გამოყენებულ სინტაგმას **„შუენიერებაბ სიკეთისაბ“** იღებს „ანდრიანეს და ანატოლეს მარტვილობის“ საკუთრივ ქართული თარგმანიდან, რაც კიდევ ერთი მოწმობაა

ჩვენს მიერ უკვე გამოთქმული აზრისა, რომ „ანდრიანეს და ანატოლეს მარტვილობა“ ქართულად თარგმნილი იყო, როდესაც იაკობი თავის ნაშრომს წერდა. ხსენებული თარგმანი განსაკუთრებული არქაულობის გამო მრავალმხრივ შესასწავლი ძეგლია. პირველი საგულისხმო გამოკვლევა და თვით პუბლიკაციაც (პარალელურ სომხურ ტექსტთან ერთად) ი. აბულაძეს ეკუთვნის, მაგრამ შესასწავლი კვლავაც ბევრია და სასურველი იქნებოდა ტექსტის ხელახალი პუბლიკაციაც ბოდლეანური ნუსხის გათვალისწინებით, რომელიც საყურადღებო ვარიანტულ სხვაობებს შეიცავს (მაგალითად საყურადღებო ლექსიკური ერთეული **„ავჟანდა“**, რაზეც საგანგებოდ მსჯელობს ი. აბულაძე, ხსენებულ ნუსხაში წარმოდგენილია უფრო არქაული ფორმით **„ავჟანდაკ“**).

82 „აღვსების შვიდეულში“ - შდრ. ძვ. **„აღვსებისა ზატიკსა“**. ტერმინი **„ზატიკი“** ზემორე შესიტყვებაში უნდა ნიშნავდეს არა „დღესასწაულს“, არამედ ზოგადად „შვიდეულს“, ხოლო **„აღვსების“** ანუ **„პასქალურ“ „შვიდეულად“** იაკობის დროს მართლმადიდებელი ეკლესია **„ვნების კვირიაკეს“** სახელდებდა და არა **„ბრწყინვალე შვიდეულს“** (აღნიშნული ტერმინების შესახებ ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა,* გვ. 215-272).

ევსტათი მცხეთელის
მარტვილობა

წინათქმა

ყოფილი მოგვი გვირობანდაკი, რომელსაც ნათლისღებისას ბერძნული სახელი „ევსტათი“ ანუ, ქართული თარგმანით, „კეთილადმდგომი“ ეწოდა, მართლაც „კეთილად“ ანუ მხნედ დაუდგა სულიერ მტერს და ხორციელ ტანჯვა-წამებათა ღირსეული დათმენით მარტვილური გვირგვინის მიმღები გახდა. მისი ღვაწლის ამსახველი ძეგლი, რომლის ავტორიც სამწუხაროდ უცნობია, არა მხოლოდ უადრეს ქართულ მარტვილოლოგიურ, არამედ VI ს-ის შუა წლების ქართლის უტყუარ საისტორიო დოკუმენტსაც წარმოადგენს და თავისი განსაკუთრებული სულიერ-ფაქტობრივი ღირებულების გამო, ვფიქრობთ, გაცილებით მეტ ყურადღებას უნდა იქცევდეს. კერძოდ, ეს ძეგლი „წმინდა შუშანიკის მარტვილობასთან“ ერთად უთუოდ უნდა იყოს შეტანილი სასკოლო პროგრამაში. „ევსტათის მარტვილობა“ გამორჩეულად ფასეულია წმინდა წერილის, კერძოდ კი სახარება-ოთხთავის უადრესი ქართული რედაქციების (სახელდობრ, ე. წ. „ჰადიშური რედაქციის“) ტექსტობრივი შესწავლის ასპექტით. ამ ძეგლში მოკლედ გადმოცემული ბიბლიური ისტორია, განსაკუთრებით კი მაცხოვრის გამომხსნელობითი მოღვაწეობა, უაღრესად საყურადღებო წყაროა ბიბლიის მკვლევართათვის.

წმ. ევსტათის მარტვილობა

თთუესა ივლისსა კთ

მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ[1]

I. წელსა მეათესა ხუასროს მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისაჲ, ძᲗ მოგჳსაჲ. და წარმართ იყო იგი, და სახელი ერქუა მას გჳრობანდაკ, და დღითა ყრმა იყო იგი ვითარ ოცდაათ წლის.

და მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა ჴელსა მეჴამლეობისასა. და ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა და მსახურებასა ქრისტᲗსსა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისაჲ და ჰრწმენა ქრისტე. და ვითარ ისწავა მეჴამლეობაჲ, ითხოვა მან ცოლი ქრისტეანᲗ და თჳთ ქრისტეანე იქმნა და ნათელი მოიღო. ხოლო ნათლისცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი. და ცხოვნდებოდა წმიდაჲ ევსტათი ქრისტეანობასა შინა და სათნოებასა ქრისტᲗსსა.

II. მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეჴამლენი, ტოზიკობდეს, და მიავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს: „მოვედ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა". ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა და ჰრქუა მათ: „თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს, და თქუენ, მეტოზიკენიცა, ბნელ ხართ. ხოლო მე ქრისტᲗს ბეჭედი მომიღებიეს და ქრისტᲗს ტოზიკსა ვტოზიკობ, რამეთუ ქრისტᲗს ბეჭდითა აღბეჭდულ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარ".

[1] **ხელნაწერების ნუსხა:** **A**: H 341, **B**: A 130, **C**: A 170, **D**: A 176, **E**: H 2977, **F**: H 1672, **G**: S 3637, **H**: M 21, **I**: H 2121.

ევსტათი მცხეთელის მარტვილობა

ივლისის თვის 29-ში

მარტვილობა და მოთმინება წმინდა ევსტათი მცხეთელისა

1. ხუასროს მეფის მეათე წელს და ქართლში არვანდ გუშნასპის მარზაპნობისას[1] მოვიდა სპარსეთიდან, სოფელ არშაკეთიდან, ერთი კაცი, მოგვის ძე. წარმართი იყო იგი და მას სახელად ერქვა გვირობანდაკი. ასაკით[2] ჭაბუკი[3] იყო იგი, დაახლოებით 30 წლის.

მოვიდა იგი ქალაქ მცხეთაში და განისწავლებოდა მეწაღეობის ხელობაში. ხედავდა იგი ქრისტიანების სჯულს, ქრისტეს მსახურებას და წმინდა ჯვრის ძალის გამოჩინებას. შეიყვარა მან ქრისტიანების სჯული და იწამა ქრისტე, ხოლო როდესაც ისწავლა მეწაღეობა, ითხოვა მან ქრისტიანი ცოლი, თავადაც ქრისტიანი გახდა და ნათელიღო, ხოლო ნათლისცემისას უწოდეს მას სახელი ევსტათი. და ცხოვრობდა წმინდა ევსტათი ქრისტიანობით და ქრისტეს სათნოებით.

2. იმ დროს შეიკრიბნენ სპარსელები, რომლებიც მცხეთაში იყვნენ, მეჯღანეები[4] და მეწაღეები, და, ტოზიკობდნენ რა, შეუთვალეს ნეტარ ევსტათის და უთხრეს: „მოდი და შემოგვიერთდი ჩვენს განცხრომაში". მაგრამ ნეტარმა ევსტათიმ გაიცინა და უთხრა მათ: „თქვენი ტოზიკიც[5] ბნელია და თქვენ, მეტოზიკეებიც[6], ბნელნი ხართ. ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღია და ქრისტეს ტოზიკს ვტოზიკობ[7], რადგან ქრისტეს ბეჭდით ვარ აღბეჭდილი და მაგ სიბნელეს განვეშორე".

და ვითარ ტოზიკი იგი გარდაიჴადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მეჴამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისსა, მცხეთელ ციხისთავისასა, და თქუეს: „აქა კაცი ერთი არს ჩუენისა რჩულისაგანი და ჩუენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცის და ჩუენსა რჩულსაცა ჰგმობს და ჩუენ გუაგინებს და იტყჳს, ვითარმედ მე ქრისტეანე ვარო. ხოლო აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა შინა ჴელმწიფე ხარ".

და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათისთჳს და მიავლინა ერთი მჴედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა, და მრისხანედ ჰრქუა: „გიწესს შენ ციხისთავი".

ხოლო წმიდაჲ ევსტათი მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდებაჲ. და მერმე განიზრახა და თქუა: „ესე მოყუასნი ჩემნი არიან, ამათგან\ღა შევიშინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე?! არამედ მივიდე მისა და ცხადად აღვიარო ქრისტე, რამეთუ მასმიეს წმიდისა ევანგელესაგან, ვითარ-იგი თქუა: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა". და დაიწერა ჯუარი შუბლსა და გულსა და თქუა: „უფალი ჩემ თანა".

და მოვიდა იგი ნეტარი ევსტათი და წარმოდგა წინაშე უსტამ ციხისთავისა მცხეთელისა. და მწოდებელმან მან ჰრქუა უსტამს: „ესე არს ჩუენისა რჩულისა მომაგინებელი". და მიხედა ციხისთავმან მან ნეტარსა ევსტათის და ჰრქუა: „შენ გეტყჳ, კაცო, მითხარ მე, რომლისა სოფლისაჲ ხარ, ანუ რომლისა ქალაქისაჲ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს"?

ხოლო წმიდამან ესტათი ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისაჲ ვიყავ, ჴევისა არშაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ ვიყავ. მამაჲ ჩემი მოგჳ იყო და მეცა მოგუებასა მასწავებდა, და მე მოგუებაჲ არა თავს-ვიდევ, რამეთუ განძაკს ქალაქსა ქრისტეანენი უფროჲს

როდესაც ტოზიკი გადაიხადეს, შეიკრიბნენ იგივე მეჯღანნეები და მეხამლეები, მოითათბირეს მცხეთელი ერისთავის უსტამის წინაშე და თქვეს: „აქ არის ერთი კაცი ჩვენი სჯულისა, ჩვენთან ტოზიკზე არ მოდის, ცეცხლს არ გამოსცემს და ჩვენს სჯულსაც გმობს, თანაც გვაგინებს ჩვენ და ამბობს, რომ მე ქრისტიანი ვარო. ახლა კი შენ მოუხმე და გამოჰკითხე, რადგან ამ ქალაქში ხელისუფალი ხარ".

უსტამმა, მცხეთის ციხისთავმა, მოისმინა მათი [ნათქვამი] ევსტათის შესახებ და გააგზავნა ერთ-ერთი მხედარი ნეტარი ევსტათის მოსახმობად, რომელმაც მრისხანედ უთხრა მას: „გიხმობს შენ ციხისთავი".

ხოლო წმინდა ევსტათი ოდნავ შეფერხდა და უნდოდა გარიდება, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა და თქვა: „ესენი ჩემი ახლობლები არიან. თუ ამათგანაც შევშინდები, შემდეგ დიდ მთავართა წინაშე როგორ წარვდგე?! პირიქით, მივალ მასთან და ცხადად ვაღიარებ ქრისტეს, რადგან მსმენია წმინდა სახარებისგან, უთქვამს რა ასე: „ვინც მაღიარებს მე ადამიანების წინაშე, მეც ვაღიარებ მას ჩემი ზეციერი მამის წინაშე, და ვინც უარმყოფს მე ადამიანების წინაშე, მეც უარვყოფ მას ჩემი მამის წინაშე, რომელიც არის ცათა შინა"[8], გადაიწერა მან ჯვარი შუბლზე და გულზე და თქვა: „უფალი ჩემთანაა"[9].

და მოვიდა ნეტარი ევსტათი და წარმოდგა იგი მცხეთელი ციხისთავის უსტამის წინაშე. წარგზავნილმა უთხრა უსტამს: „ესაა ჩვენი სჯულის მაგინებელი". მიხედა ციხისთავმა ნეტარ ევსტათის და უთხრა: „შენ გეუბნები, ადამიანო, მითხარი მე, რომელი ქვეყნისა ხარ ან რომელი ქალაქისა ანდა რომელი სჯული გაქვს"?

წმინდა ევსტათიმ უთხრა მას: „მე სპარსეთის ქვეყნისა ვიყავი, არშაკეთის ხევიდან. ქალაქ განძაკისა ვიყავი. ჩემი მამა მოგვი იყო და მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ მე მოგვობა არ ვინდომე, რადგან ქალაქ განძაკში ქრისტიანები უფრო მეტნი არიან და [ჰყავთ მათ] ეპისკოპოსი და მღვდლები. სწორედ

არიან და ებისკოპოსი და მღდელნი, და მათგან-ღა ყოველსა ზედამივწიე, რამეთუ უფროჲს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეანობაჲ, ვიდრე ... უღმრთოებაჲ. და აწ მე ქრისტე მრწამს და ქრისტჱს მსახურებასა შინა ვარ".

ხოლო უსტამ ციხისთავმან ჰრქუა მას: „არავინ გიტეოს ქრისტჱს მსახურყოფად და თუ მშჯდობით არა განუტეო სიცოფჱ ეგე, ტანჯვაჲ დიდი მოიწიოს შენ ზედა". ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა: „არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჱს სიყუარულისათჳს, არამედ სიკუდიდცა თავი ჩემი არა მეწყალის".

ვითარ იხილა უსტამ გულსმოდგინედ დამტკიცებაჲ ნეტარისა ევსტათისი, განიზრახა და თქუა: „ამის კაცისა პატიჟი მე არარაჲ ჴელმეწიფების, არცა აღბმაჲ ძელსა, არცა პყრობილებაჲ, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზაპანსა, და რაჲ-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჴელ-ეწიფების სიკუდილი და ცხორებაჲ".

და უბრძანა უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ორთა მჴედართა წარყვანებაჲ ნეტარისა ევსტათისი ტფილისს. და შეკრბეს იგივე მეჯადაგენი და მეჴამლენი და მოვიდეს უსტამისა და ჰრქუეს: „არიან აქა სხუანიცა ჩუენისა რჩულისანი და იგინიცა ქრისტეანე არიან, და მათიცა ბრძანე მოწოდებაჲ და ტფილისს მათიცა წარყვანებაჲ".

ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: „ვინ არიან იგინი"? და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: „ერთსა გუშნაკ ჰრქჳან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბურზო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე".

და უბრძანა უსტამ მოწოდებაჲ მათი, ხოლო განკითხვაჲ მათი არარაჲ ყო, გარნა ამათ რვათაჲვე შეკრვაჲ ბრძანა და წარცემაჲ ტფილისს არვანდ გუშნასპს, მარზაპანსა ქართლისასა, და ესრეთ მიჰრქუა: „ესე კაცნი ჩუენისა რჩულისანი იყვნეს და ქრისტეანეთა რჩული უპყრიეს, ხოლო მე შევიპყრენ და შენ, უფალსა, მიგიძღუანენ, რამეთუ შენ ჴელმგეწიფების მაგათი განკითხვაჲ".

მათგან ყველაფერს ჩავწვდი, რადგან ყველა სჯულზე აღმატებულია ქრისტიანობა ... ვიდრე უღვთოება[10]. და ახლა მე ქრისტე მწამს და ქრისტეს მსახურებაში ვარ".

ხოლო უსტამ ციხისთავმა უთხრა მას: „არავინ დაგანებებს ქრისტეს მსახურად ყოფნას და თუ მშვიდობიანად არ დატოვებ მაგ სიცოფეს, დიდი ტანჯვა მოიწევა შენზე". ხოლო წმინდა ევსტათიმ უთხრა: „არათუ მარტო ტანჯვისთვის ვარ გამზადებული ქრისტეს სიყვარულის გამო, არამედ სიკვდილისთვისაც ჩემი თავი არ მებრალება".

როდესაც ნახა უსტამმა გადაწყვეტილად შეუძრავობა ნეტარი ევსტათისა, აწონ-დაწონა და თქვა: „ამ ადამიანის არანაირი დასჯის უფლებამოსილი მე არ ვარ, არც ძელზე გასმის, არც შეპყრობისა, არამედ წავუყვან მას ქალაქ თბილისში არვანდ გუშნასპს, ქართლის მარზაპანს, და რაც შესაფერისი იქნება, იგი უზამს, რადგან ქართლის ყველა ადამიანის სიკვდილი და სიცოცხლე მის უფლებამოსილებაშია".

და უბრძანა უსტამმა, მცხეთის ციხისთავმა, ორ მხედარს ნეტარი ევსტათის თბილისში წაყვანა. მაშინ შეიკრიბნენ იგივე მეჯღანეები და მეწაღეები, მივიდნენ უსტამთან და უთხრეს: „არიან აქ სხვებიც ჩვენი სჯულისა და ისინიც ქრისტიანები არიან. ბრძანე იმათი ხმობაც და მათი წაყვანაც თბილისში".

უსტამმა უთხრა მათ: „ვინ არიან ისინი?" მათ აუწყეს იმათი სახელები და უთხრეს: „ერთს გუშნაკი ჰქვია, მეორეს ბახდიადი, მესამეს ბურზო, მეოთხეს პანაგუშნასპი, მეხუთეს პეროზაკი, მეექვსეს ზარმილი, მეშვიდეს სტეფანე".

ბრძანა უსტამმა მათი ხმობა, მაგრამ არანაირი მათი განსჯა არ მოუხდენია, მხოლოდ ამ რვავეს შეკვრა და თბილისში არვანდ გუშნასპთან, ქართლის მარზაპანთან, გაგზავნა ბრძანა, თან ასე შეუთვალა მას: „ეს ადამიანები ჩვენი სჯულისა იყვნენ და ქრისტიანთა სჯული აქვთ, მე კი შევიპყარი ისინი და შენ, ბატონს, გამოგიგზავნე, რადგან შენს უფლებამოსილებაშია მათი განსჯა".

III. და წარუდგინნეს ესე რვანივე წინაშე მარზაპანსა, ხოლო მან ჰრქუა მათ: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს"? და მათ უთხრეს კაცად-კაცადმან სოფელი თჳსი და დაბაჲ თითოეულისაჲ და ჰრქუეს ყოველთა: „მამულსა-ღა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდეთ, ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმენით და აწ ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სულნელ არნ და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუაჲ რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა".

ხოლო სიტყჳსმიმგებელ იყო მათ შორის მსაჯულისა მიმართ ნეტარი ევსტათი. და ვითარ ესმნეს ესევითარნი სიტყუანი მათგან, გული განუწყრა და უბრძანა მსახურთა თჳსთა პირსა ცემაჲ ნეტართაჲ მათ და გარე განყვანებაჲ მათ ყოველთაჲ და უბრძანა: „დაჰყჳნეთ მაგათ თავი და წუერი და განუჴურიტენით მაგათ ცხჳრნი და ჯაჭჳ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერჴთა, და შესხენით ეგენი საპყრობილესა და, თუ ვინმე აღიაროს მაგათგანმან მამული რჩული, განუტევეთ და ჩემდა მოაწიეთ, და მე განვამდიდრო იგი ბოძითა დიდითა; ხოლო რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ".

და ვითარ ესმა მარზაპნისა სიტყუაჲ იგი: „რომელმან აღიაროს, იგი ვაცხოვნო, და რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა მოკუედინო", მას ჟამსა ეშმაკი მოუჴდა გულსა ბახდიადისსა და პანაგუშნასპისსა და უვარ-ყვეს ქრისტჱ და უღმრთოებაჲ აღიარეს. ხოლო მათ ნაწილი ჯუარისმცუმელთა თანა მიიღეს. ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბურზო და პერროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულსმოდგინედ და მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტჱსსა. და ვითარ უთხრეს მარზაპანსა მას, ვითარმედ ორთა მათგანთა აღიარეს მამული რჩული, განიხარა მარზაპანმან და ბრძანა შეყვანებაჲ მათი და ინაჴით დაისხნა იგინი და უქადებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრობასა. ხოლო ნე-

3. და წარუდგინეს ეს რვავე მარზაპანს, მან კი უთხრა მათ: „ვინანი ხართ, ან რომელი სჯული გაქვთ?“ ყოველმა მათგანმა სათითაოდ აუწყა თავისი ქვეყანა და დაბა, და ყველამ უთხრა: „მამისეულ სჯულზე როდესაც ვიყავით, სპარსელების სჯული ვიცოდით, მაგრამ როდესაც ქართლში შემოვედით და ქრისტიანების სჯული ვნახეთ, ქრისტიანები გავხდით და ახლა ქრისტიანები ვართ, რადგან ქრისტიანთა სჯული წმინდაა და სურნელოვანი. მეტად კარგია იგი და მშვენიერი, ხოლო სხვა სჯული ვერ გაუთანაბრდება ქრისტიანთა სჯულს“.

ხოლო ამათ შორის მსაჯულისადმი პასუხის გამცემი ნეტარი ევსტათი იყო. როდესაც [მსაჯულს] ამგვარი სიტყვები მოესმა მათგან, გული განურისხდა და უბრძანა თავის მსახურებს, რომ სახეში ეცემათ ამ ნეტარებისთვის და გარეთ გაეყვანათ ყველანი, თანაც ბრძანა: „მოპარსეთ მაგათ თმა და წვერი, გაუხვრიტეთ მაგათ ცხვირები, ჯაჭვი დაადეთ მაგათ კისერზე, ბორკილები შეასხით ფეხებზე და შესვით ეგენი საპყრობილეში, ხოლო თუ ვინმე მათგანი აღიარებს მამისეულ სჯულს, გაუშვით და ჩემთან მოიყვანეთ, მე კი გავამდიდრებ მას დიდი საბოძვარით, მაგრამ ვინც მამისეულ სჯულს არ აღიარებს, იგი საპყრობილეში მოკვდეს“.

როდესაც გაიგონეს მარზაპნის სიტყვა, რომ „ვინც აღიარებს. იმას ვაცოცხლებო, და ვინც არ აღიარებს მამისეულ სჯულს, საპყრობილეში მოკვდესო“, მაშინ ეშმაკი შეუვიდა[11] ბახდიადისა და პანაგუშნასპის გულს, უარყვეს ქრისტე და უღვთოება აღიარეს, რის გამოც მათ ჯვარმცმელებთან მიიღეს ნაწილი, ხოლო ნეტარი ევსტათი, გუშნაკი, ბურზო, პეროზაკი, ზარმილი და სტეფანე გადაწყვეტილად და მტკიცედ იდგნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე. როდესაც უთხრეს მარზაპანს, რომ ორმა მათგანმა აღიარა მამისეული სჯული, გაიხარა მარზაპანმა, ბრძანა მათი შემოყვანა, გვერდით დაისვა ისინი და ჰპირდებოდა მათ დიდ სიმდიდრეს და კარგად მოპყრობას, ხოლო ნეტარი ევსტათისა

ტარისა ევსტათისი და სხუათა მოყუასთა მისთაჲ ბრძანა თავისა და წუერისა დაყუენაჲ და ჯაჭჯსა ქედსა დადებაჲ და ბორკილითა საპყრობილესა შესხმაჲ მათი. ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებაჲ მარზაპნისაჲ მის; და დაყჳნნეს იგინი თმითა და წუერითა, და ჯაჭჯთა და ბორკილითა საპყრობილედ შეაყენნეს. ხოლო ბახდიადს და პანაგუშნასპს ნუგეშინის-სცა და განუტევნა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა, რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ.

ხოლო წმიდაჲ ევსტათი და სხუანი იგი მოყუასნი მისნი პყრობილ ყენეს ვითარ ექუს თთუე ოდენ. და შემდგომად ექუსისა თთჳსა მწოდებელი სპარსთა მეფისაჲ მოიწია არვანდ გუშნასპისა. და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზაპნისა მის ჯჳმნად მოვიდეს.

რაჟამს ამჴედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს: „ეეეედრებით შენსა მაგას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ". ხოლო მან ჰრქუა მათ: „თქუთ, რაჲცა გნებავს. რაჲმცა იყო, რომელი თქუენ არა მიგმადლე"? ხოლო მათ ყოველთა ჰრქუეს: „გეეეედრებით შენ, ჯერ-გიჩნდინ შენ, უფალო, განტევებაჲ კაცთაჲ მათ, რომელნი-იგი მცხეთელნი ქრისტეანობისათჳს საპყრობილედ მიცემულ არიან". ჰრქუა მათ მარზაპანმან მან: „იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგვანდეს, ხოლო თქუენითა ოხითა განუტევნე ეგენი". ხოლო მათ მადლი მისცეს მას. და უბრძანა განტევებაჲ მათი. და გამოიყვანნეს იგინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თჳსა ქრისტეანებით. და სათნოდ ღმრთისა ცხონდებოდეს ნეტარნი იგი. და რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა ჟამად-ჟამად და რომელნიმე ცოცხალ არიან.

ხოლო რომელთა-იგი უვარ-ყვეს ქრისტჱ, ბახდიად ეშმაკეულიქმნა და ძნელად მოკუდა, ხოლო უბადრუკმან პანაგუშნასპ გლახ-

და მისი სხვა მეგობრებისთვის ბრძანა თავისა და წვერის მოპარსვა, კისერზე ჯაჭვის დადება და ბორკილებით ჩასმა მათი საპყრობილეში. მსახურებმა აღასრულეს მარზაპნის ბრძანება, მოპარსეს მათ თმა და წვერი და ჯაჭვითა და ბორკილით საპყრობილეში ჩააგდეს, ხოლო ბახდიადსა და პანაგუშნასპს [მარზაპანმა] ნუგეში სცა და გაუშვა, ის სიმდიდრე და სიკეთე კი, რასაც ჰპირდებოდა მათ, არაფერი მისცა, ერთი კალათიც[12] კი.

წმინდა ევსტათი და მისი სხვა მეგობრები შეპყრობილები იყვნენ თითქმის ექვსი თვე. და ექვსი თვის შემდეგ სპარსელთა მეფის წარგზავნილი[13] მოვიდა არვანდ გუშნასპთან. როდესაც მეფისკენ მიემართებოდა მარზაპანი, შეიკრიბნენ ქართლის მთავრები და მარზაპნის გასაცილებლად მოვიდნენ.

როდესაც უნდა ამხედრებულიყო მარზაპანი, ადგნენ ქართლის მთავრები, სამოელ ქართლის კათალიკოსი, გრიგოლ ქართლის მამასახლისი, არშუშა ქართლის პიტიახში და სხვა სეფეწულები[14], და უთხრეს მარზაპანს: „ეეეედრებით მაგ შენს უფლებამოსილებას, ერთ სათხოვარს გთხოვთ". მან კი უთხრა მათ: „თქვით, რაც გნებავთ. რა უნდა იყოს, რასაც თქვენ არ მოგმადლებთ?" ყველამ უთხრა: „გეეეედრებით შენ, რომ ინებო შენ, ბატონო, იმ მცხეთელი ადამიანების გაშვება, რომლებიც ქრისტიანობისთვის საპყრობილეს არიან გადაცემულები". უთხრა მათ მარზაპანმა: „ის ადამიანები მოსაკლავები ჩანდნენ, მაგრამ თქვენი შუამდგომლობით გავუშვებ მათ". გადაუხადეს მადლობა და მანაც ბრძანა იმათი გაშვება. გამოიყვანეს ისინი საპყრობილიდან და მოვიდნენ თავიანთ სახლებში ქრისტიანობით. და ღვთისსათნოდ ცხოვრობდენ ეს ნეტარები. ზოგმა მათგანმა დროთა განმავლობაში შეისვენა[15], ღვთის ნებით, ზოგი კი ცოცხალია.

ხოლო იმათგან, რომლებმაც უარყვეს ქრისტე, ბახდიადი ეშმაკეული გახდა და მძიმედ მოკვდა, ხოლო უბადრუკმა პანაგუშნასპმა გლახაკობით გარდავლო დღენი, რომელსაც პური არ ჰქონდა საჭმელად და სხეულის საფარველი არ მოეპოვებოდა

აკობითა აგნა დღენი, რომელსა პური საჭმლად არა აქუნდა და ჴორცთა საფარველი სამოსლად არა ეპოვებოდა, და ვიდრე-იგი ცოცხალ იყო, ურვით და ჭირით იყვნეს დღენი მისნი.

IV. და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჟან ბუზმირ ქართლსა მარზაპნად. და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისნი, ტფილისს და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა და ჰრქუეს: „კაცნი არიან მცხეთას ჩუენისა რჩულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტეანობენ. აწ განკითხვაჲ მათი თქუენ ჴელ-გეწიფების". და უბრძანა ვეჟან ბუზმირ ორთა მჴედართა წარსლვაჲ და მოწოდებაჲ წმიდისა ევსტათისი და სტეფანწსი. და ვითარცა მივიდეს მჴედარნი იგი, ჰრქუეს ევსტათის და სტეფანეს: „გიწესს თქუენ მარზაპანი". და ჰრქუეს: „მოვალთ თქუენ თანა, არას ვიურვით, არცა გუეშინის".

და ვითარ წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევსტათი სიდედრსა თჳსსა და ცოლსა და შვილთა თჳსთა და მონა\მჴევალთა თჳსთა: „ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ, და ქრისტწ მე არა უვარ-ვყო, და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით,

ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქავე ნებითა ღმრთისაჲთა".

და ვითარცა ესე ჰრქუა, იჯმნა ყოველთაგან. და მათ ყოველთა დაიწერეს ჯუარი და წარემართნეს ტფილისს იგი და სტეფანე მჴედართა მათ თანა, ხოლო სახლეულნი, ნათესავნი და თჳსნი მოსტიროდეს უკუანა. და ვითარ წიაღჴდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარსა მცხეთისასა, აღიპყრნა ჴელნი წმიდამან ევსტათი და თქუა: „უფალო ღმერთო, იესუ ქრისტე, უკუეთუ ღირს-მყო მე სიკუდილსა სახელისა შენისათჳს ქრისტეანებით, ჴორცთა ჩემთაჲ

სამოსლად. სანამ ცოცხალი იყო, მწუხარებით და გაჭირვებით იყო მისი დღეები.

4. სამი წლის შემდეგ შემოვიდა ვეჟან ბუზმირი ქართლის მარზაპნად. და წავიდნენ სპარსელები, ნეტარი ევსტათის დამბეზღებლები, მცხეთიდან თბილისში, წარდგნენ ისინი მარზაპან ვეჟან ბუზმირის წინაშე და უთხრეს: „არიან ჩვენი სჯულის ადამიანები მცხეთაში, რომლებიც განდგომილები არიან ჩვენგან და ქრისტიანობენ[16]. ახლა მათი განსჯა თქვენს უფლებამოსილებაშია". უბრძანა ვეჟან ბუზმირმა ორ მხედარს წასვლა და მოხმობა წმინდა ევსტათისა და სტეფანესი. როდესაც მივიდნენ მხედრები, უთხრეს ევსტათის და სტეფანეს: „გიხმობს თქვენ მარზაპანი". მათ უთხრეს: „მოვდივართ თქვენთან ერთად, არას ვწუხვართ, არც გვეშინია".

და როცა უნდა წასულიყვნენ ევსტათი და სტეფანე თბილისში, უთხრა ევსტათიმ თავის სიდედრს, ცოლს, თავის შვილებს და თავის მონა-მხევლებს: „გშორდებით თქვენ, რადგან მე აქ აღარ შემოვბრუნდები. ქრისტეს მე არ უარვყოფ და ისინი მე აღარ გამიშვებენ ცოცხალს. ხოლო ჩემი სიკვდილი თბილისში მოხდება საპყრობილეში და თავი მომეკვეთება მე, ჩემი სხეული კი აქვე მოვა ღვთის ნებით".

უთხრა რა ეს, ყველას განეშორა, მათ კი, ყველამ, გადაიწერეს ჯვარი. და გაემართნენ თბილისისკენ ის და სტეფანე მხედრებთან ერთად, ხოლო ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები მისტიროდნენ უკან. როდესაც მდინარის გაღმა ველზე გადავიდნენ და მიაღწიეს მცხეთის წმინდა ჯვარს, აღაპყრო თავისი ხელები წმინდა ევსტათიმ და თქვა: „უფალო ღმერთო იესო ქრისტე, თუკი შენი სახელისათვის სიკვდილის ღირსად გამხდი ქრისტიანობით, ნუ ინებებ ჩემი სხეულის გარეთ გაგდე-

ნუ ჯერ-გიჩნს განგდებაჲ გარჱ და შეჭმაჲ ძაღლთაჲ და მფრინ-
ველთა ცისათაჲ, არამედ ჴორცთა ჩემთაჲ ბრძანე აქავე მოქცევაჲ
და დამარხვაჲ მცხეთას, სადაცა ნათელ-მიღებიეს".

ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა ნეტარმან ევსტათი, ჯუარსა
თაყუანის-სცა და იჯმნა კრებულისა მისგან, და წარემართნეს
ტფილისს. და ვითარცა მივიდეს მჴედარნი იგი, წარუდგინეს
ევსტათი და სტეფანე წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა და თქუეს:
„ესე არიან ახალქრისტეანენი იგი მცხეთელნი". ხოლო ვეჟან ბუზმირ
ჰრქუა ევსტათის და სტეფანეს: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული
გიპყრიეს"? და აღდგეს ასურნი მთავარნი კაცნი სტეფანჱსთჳს და
ჰრქუეს: „ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მდაბური არს, მამაჲ და დედაჲ
და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტეანე არიან და ეგეცა ქრისტეანე
არს". ხოლო სტეფანე მათითა მით სიტყჳთა განუტევეს, ხოლო წმი-
დასა ევსტათის ჰრქუა: „შენ ვინაჲ ხარ, ანუ რომლითა რჩულითა
სცხონდები?"

წმიდამან ევსტათი თქუა: „უკუეთუ მკითხავ, ისმინე გულს-
მოდგინედ და გითხრა შენ ყოველი. მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთი-
საჲ, ჴევისა არშაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ. და მამაჲ ჩემი მოგჳ
იყო და ძმანი ჩემნი მოგუნი იყვნეს, და მეცა მამაჲ მოგუებასა მას-
წავებდა. ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა და ვთქუ გონებასა:
ესე რჩული არა მიყუარს, აწ ჰურიათაჲცა ვისმინო და ქრისტეანე-
თაჲცა, და რომელი უკეთჱს იყოს, იგი რჩული შევიყუარო. და დღისი
მამაჲ ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ღამეღა ქრისტეანეთა დაჰრ-
ეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა და ვხედევ-
დი მსახურებასა მას ქრისტეანეთასა, რომელსა ჰყოფდეს ღმრთი-
სათჳს. და ჰურიათა თანაცა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახ-
ურებასა ვხედევდი, ხოლო ქრისტეანეთა ლოცვასა ჴმაჲ მათი, ვი-
თარცა ჴმაჲ ანგელოზისაჲ, მესმინ და ფრიად სულნელ არს და ჰამო
ჟამობაჲ მათი. ხოლო ბაგინად ღამე შევიდი ჰურიათასა, ვერაჲ ვცნი,
რასა იტყჳედ. და მერმე კუალად შევედ და მომეახლა მე სამოელ

ბას და ძაღლებისა და ცის ფრინველებისგან შეჭმას, არამედ
ბრძანე ჩემი სხეულის აქვე მობრუნება და მცხეთაში დამარხვა,
სადაც ვარ ნათელღებული".

როდესაც ეს სიტყვები თქვა ნეტარმა ევსტათიმ, თაყვანი სცა
ჯვარს, განეშორა იქაურ კრებულს და გაემართნენ თბილი-
სისკენ. როდესაც მივიდნენ ის მხედრები, წარადგინეს ევსტათი
და სტეფანე მარზპან ვეჟან ბუზმირის წინაშე და თქვეს: „ესენი
არიან ის მცხეთელი ახალქრისტიანები". ვეჟან ბუზმირმა უთხრა
ევსტათის და სტეფანეს: „ვინ ხართ ან რა სჯული გაქვთ?" მაშინ
წამოდგნენ სირიელი თავკაცები[17] სტეფანეს გამო და უთხრეს:
„ეს კაცი ჩვენ ვიცით, ჩვენი თანამემამულეა. მაგისი მამა, დედა,
ძმები და დები ქრისტიანები არიან და ეგეც ქრისტიანია". და
მათი სიტყვებით სტეფანე გაუშვეს, ხოლო წმინდა ევსტათის
[მარზპანმა] უთხრა: „შენ საიდან ხარ, ან კიდევ რომელი სჯუ-
ლით ცხოვრობ?"

წმინდა ევსტათიმ თქვა: „თუ მეკითხები, ისმინე გულმ-
ოდგინედ და გეტყვი შენ ყველაფერს. მე ვიყავი სპარსეთის ქვეყ-
ნიდან, არშაკეთის ხევიდან, ქალაქ განძაკიდან. ჩემი მამა მოგვი
იყო და ჩემი ძმებიც მოგვები იყვნენ. მამა მეც მოგვობას მასწავ-
ლიდა, მაგრამ მე მამისეული სჯული არ მიყვარდა და ვთქვი
გონებაში: „ეს სჯული არ მიყვარს, ახლა ებრაელებისასაც მოვ-
ისმენ და ქრისტიანებისასაც და რომელიც უკეთესი იქნება, იმ
სჯულს შევიყვარებ". დღისით მამაჩემი მოგვობას მასწავლიდა,
ღამით კი, როდესაც ქრისტიანები დარეკავდნენ, მოვდიოდი
ეკლესიაში და ვისმენდი მათ ჟამობას[18] და ვუყურებდი ქრის-
ტიანთა მსახურებას, რასაც აღასრულებდნენ ღვთისთვის.
ებრაელებთანაც შევდიოდი ბაგინში[19] და მათ მსახურებასაც
ვუცქერდი, მაგრამ ქრისტიანების ლოცვისას მათი ხმა მესმოდა
როგორც ანგელოზის ხმა (მეტად სურნელოვანია და საამო მათი
ჟამობა), ბაგინში კი ღამე შევდიოდი ებრაელებთან და ვერ ვიგებ-
დი, რას ამბობდნენ; შემდეგ კი, როდესაც კვლავ შევედი [ეკლე-

არქედიაკონი და რჩულის მეცნიერი და მრქუა მე: „რაჲსა შემოხ-
უედი შენ ეკლესიად ესრე გულსმოდგინედ?" ხოლო მე ვარქუ მას:
„უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე, არამედ არა მიყუარს მე რჩული
ესე მამული ჩემი და მინებს, ვინმცა მაცნო რჩული ჰურიათაჲცა და
ქრისტეანეთაჲცა, და რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა
შევიყუარე".

„მაშინ სამოელ არქედიაკონმან მრქუა მე: „უკუეთუ გინებს ჭეშ-
მარიტად ცნობაჲ, ორივე რჩული მე გითხრა შენ კეთილად. ხოლო
გამორჩევაჲ არა შენი არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს.
ხოლო მე ფრიად ვევედრე და ვარქუ მას: „რომლითა ღმრთისა სათნო
ვიყო, იგი მინებს რჩული პყრობად და იგიცა მიბრძანე". ხოლო სამოელ
არქედიაკონმან იწყო თხრობად და მრქუა მე: „გულსმოდგინედ
ისმინე, ძმაო! წინაჲთ სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ თჳთ იცი,
ხოლო ღმერთსა სძაგდა რჩული იგი სპარსთაჲ და არა სთნდა. და მერმე
ჰურიანი გამოირჩინა ღმერთმან და სათნო იყვნა და მისცა მათ რჩუ-
ლი და მცნებაჲ დამარხვად. მაშინ-ღა ქრისტეანენი სათნო იყვნა ღმ-
ერთმან უფროჲს ჰურიათასა". და მერმე ვევედრე სამოელს არქედი-
აკონსადა ვარქუ: „უფალო, ნუ გეწყინებინ და კეთილად მაცნობე.
და მერმე ვჰკითხე: უფალო, ჰურიანი ვიეთნი იყვნეს, ვინაჲ მოვიდეს
და შეიყუარნა იგინი ღმერთმან? მაშინ მრქუა მე სამოელ არქედია-
კონმან: თხრობაჲ ეგე ჰურიათაჲ დიდ არს, ძმაო, ხოლო თუ განჰმარტ-
ნე სასმენელნი შენნი და გულსმოდგინედ ისმენდე, მეცა უწყინოდ
ყოველი გითხრა და გაცნობო შენ.

V. „კაცი იყო ერთი უბიწოჲ და ღმრთისმოყუარე სოფელსა
სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა და სახელი ერქუა მას აბრა-
ჰამ. და ეჩუენა მას ღმერთი ჩუენებასა ღამისასა და ჰრქუა აბრაჰამს:
გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყვანო შენ სხუად ქუეყა-
ნად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და

სიაში], მომეგება მე სამოელ მთავარდიაკონი, სჯულის მცოდნე,
და მითხრა მე: „რად შემოხვედი შენ ეკლესიაში ასე გულმ-
ოდგინედ?“ მე კი ვუთხარი მას: „ბატონო, შენც მიცნობ, ვინ ვარ
მე, მაგრამ მე არ მიყვარს ჩემი ეს მამისეული სჯული, მინდა
ვინმემ გამაცნოს სჯული ებრაელებისა და ქრისტიანებისა, და
რომელი სჯულიც უფრო წმინდა იქნება, ის რომ შევიყვარო“.

„მაშინ სამოელ მთავარდიაკონმა მითხრა მე „თუ გინდა ჭეშ-
მარიტად შეცნობა მათი, ორსავე სჯულს მე გაუწყებ შენ სათანა-
დოდ, ხოლო გამორჩევა არათუ შენია, არამედ როგორც უფალი
გიბრძანებს“, მე კი მეტად ვევედრე და ვუთხარი მას: „რითაც
ღვთისთვის სათნო გავხდები, ის სჯული მინდა მქონდეს და შენც
ის მამცნე“. დაიწყო სამოელ მთავარდიაკონმა თხრობა და მითხრა
მე: „გულმოდგინედ ისმინე ძმაო! ადრე სპარსელების სჯული იყო,
როგორც შენ თვით იცი, მაგრამ ღმერთს სძაგდა სპარსელთა სჯუ-
ლი და არ ესათნოებოდა. შემდეგ ებრაელები გამოირჩია ღმერთ-
მა, ისათნოვა ისინი და მისცა მათ სჯული და მცნება დასაცავად.
შემდეგღა ქრისტიანები ისათნოვა ღმერთმა ებრაელებზე მეტად“.
კვლავ ვევედრე სამოელ მთავარდიაკონს და ვუთხარი: „უფალო,
ნუ დაგეზარება და კარგად მაცნობე“, შემდეგ კი ვკითხე: „ბატონო,
ებრაელები რომლებიც იყვნენ, საიდან მოვიდნენ და [რად] შეიყ-
ვარა ისინი ღმერთმა?“ მაშინ მითხრა სამოელ მთავარდიაკონმა:
„ებრაელების ამბავი გრძელია, ძმაო, მაგრამ თუ შენს სმენას გახ-
სნი და გულმოდგინედ მოისმენ, მეც დაუზარებლად გეტყვი და
გაცნობებ შენ ყველაფერს“.

5. ერთი უბიწო და ღვთისმოყვარე კაცი იყო სპარსელების
ქვეყანაში და ბაბილონელთა ქალაქში, რომელსაც ერქვა სახ-
ელად აბრაჰამი. და ეჩვენა მას ღმერთი ღამის ჩვენებაში და
უთხრა აბრაჰამს: „გამოდი შენ მაგ ქვეყნიდან, წაგიყვან შენ
სხვა ქვეყანაში, გაგამრავლებ შენ, მეტად დიდად აგაღორძინებ

გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა. ხოლო აბრაჰამს ჰრწმენა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ და თქუა აბრაჰამ: იყავნ, უფალო, ჩემ ზედა სიტყუაჲ ეგე შენი! და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ქალდეველთაჲსა და მოვიდა ქუეყანად შუამდინარედ, ქალაქად ქანანდ, მახლობელად ევფრატსა. მოვიდა იგი წინამძღურებითა ანგელოზისაჲთა და დაეშენა იგი ქანანს შინა. და მერმე ცვალა იგი მუნით და მოიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად და დაეშენა იგი ქებრონს შინა. და ესუა აბრაჰამს ისაკი და ისაკს იაკობი. და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი. და უბრძანა ღმერთმან აბრაჰამს და ჰრქუა: წინადასცჯთე ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა, და იყავნ იგი თქუენდა რჩულად საუკუნოდ.

„და აბრაჰამ ყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან. და აღორძნდეს და განმრავლდეს ნათესავნი აბრაჰამისნი დიდად ფრიად. ესე არიან ჰურიანი. და უყუარდეს ღმერთსა ჰურიანი დიდად ფრიად, ვითარცა უყუარნ მამასა საყუარელი შვილი. და უწოდა ჰურიათა სახელი ისრაჱლ. ხოლო ისრაჱლი გამოითარგმანების: ერი ღმრთისაჲ. და განდიდნა და განფრცნა ერი იგი ღმრთისაჲ ისრაჱლი. და გარდამოჴდა ღმერთი ზეცით ქუეყანად და მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინაჲსასა, და დაწერნა ღმერთმან ჴელითა თჳსითა ფიცართა ქვისათა რჩული და მცნებაჲ ესრეთ:

„პირველი მცნებაჲ ესრეთ: შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა სულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა. და მერმე ესე: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ისიძავ, ნუ გული-გითქუამს ცოლსა მოყუსისა შენისასა, ნუ ცილსა ჰფუცავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუასა იტყჳ, თავუყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი, შაბათნი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაული და შესაწირავნი და უქმნელებანი აღასრულნეთ. ესე რჩული და მცნებაჲ დაწერა ღმერთმან, და მოსცა მოსეს, მონასა თჳსსა. და მოსე მოიხუნა ფიცარნი იგი და აღმოუკითხნა ყოველსა ისრაჱლსა. და განიხ-

შენ, და გაგხდი შენ მრავალი ტომისა და ურიცხვი ხალხის მამად“. აბრაჰამმა ირწმუნა ღვთის სიტყვა. და თქვა აბრაჰამმა: „იყოს, უფალო, ჩემზე ეგ შენი სიტყვა!“ და გამოვიდა აბრაჰამი ქალდეველთა ქვეყნიდან და მოვიდა შუამდინარეთის ქვეყანაში, ქალაქ ქანაანში, ევფრატის ახლოს. ანგელოზის წინამძღვრომით მოვიდა იგი და დასახლდა ქანაანში, შემდეგ კი [ანგელოზმა] გადაანაცვლა იქიდან და მოიყვანა იგი ქანაანის (?) ქვეყანაში[20]. და დასახლდა იგი ქებრონში. ჰყავდა აბრაჰამს ისაკი, ისაკს იაკობი, იაკობს კი ჰყავდა თორმეტი ძე. და უბრძანა ღმერთმა აბრაჰამს და უთხრა: „წინადასცვითე ისაკს, იაკობს და იაკობის ყველა ძეს და ეს იყოს თქვენთვის საუკუნო სჯულად“.

„აბრაჰამმაც გააკეთა ისე, როგორც უბრძანა მას ღმერთმა. გაიზარდნენ და გამრავლდნენ აბრაჰამის ნაშიერები მეტად დიდად. ესენი არიან ებრაელები. უყვარდა ღმერთს ებრაელები მეტად დიდად, როგორც უყვარს მამას საყვარელი შვილი, და უწოდა მან ებრაელებს სახელი „ისრაელ“ (ხოლო „ისრაელი“ განიმარტება როგორც „ღვთის ხალხი“). განდიდდა და განივრცო ღვთის ხალხი ისრაელი; და გადმოვიდა ღმერთი ზეციდან მიწაზე და მოვიდა სინას მთის თხემზე. დაწერა ღმერთმა თავისი ხელით ქვის ფიცრებზე სჯული და მცნება ასე:

პირველი მცნება ასე: „შეიყვარეთ უფალი ღმერთი თქვენი მთელი თქვენი გულით, მთელი თქვენი სულით და მთელი თქვენი გონებით“. და შემდეგ ეს: „ნუ კლავ ადამიანს, ნუ იპარავ, ნუ ისიძვებ, ნუ გწადია შენი ახლობლის ცოლი, ცრუდ ნუ იფიცებ, ნუ სწამებ ცილს, ორ სიტყვას ნუ იტყვი, პატივი მიაგე შენს მამას და შენს დედას, შეიყვარე შენი მოყვასი როგორც საკუთარი თავი, ჩემი შაბათები დაიცავით, დღესასწაულები, შესაწირავები, უქმობები აღასრულეთ“. ეს სჯული და მცნება დაწერა ღმერთმა და მისცა მოსეს, თავის მონას. მოსემ მიიღო ეს ფიცები და ამოუკითხა მთელ ისრაელს. და გაიხარა მთელმა ისრაელმა

არა ყოველმან ისრაჱლმან და თქუა: ყოველი, რაჲცა გჳბრძანა უფალმან, ვყოთ და აღვასრულოთ, გარნა უფალი იყავნ ჩუენ თანა. და ამაღლდა უფალი ზეცად. და ვითარცა ესე რჩული ისმინეს ჰურიათა, შესწირვიდეს შესაწირავთა და საკუმეველსა და მსხუერპლსა და შაბათთა იმარხვიდეს და ღმერთი იყო მათ თანა. და მას ჟამსა უცხოთესლნი შეკრბეს და ზედამოუჴდეს ისრაჱლსა. ხოლო ღმერთმან ჴელითა ერთისა კაცისაჲთა წარდევნნა იგინი. რომელიმე მოკლეს და რომელიმე ტყუედ უკმოიყვანეს და რომელიმე მეოტად წარიქცეს; და ესრეთ მტერთაგან უშიშ-იქმნნეს, რამეთუ ღმერთი იყო მათ თანა.

„და მერმე რავდენთამე ჟამთა მეფჱ ითხოეს ყოველმან ისრაჱლმან ღმრთისაგან, რაჲთა ჰბრძოდის იგი მტერთა მათთა. და უბრძანა მათ ღმერთმან მეფჱ, და განაგო ღმერთმან წესი შარავანდედობისაჲ. და შემდგომად რავდენთამე დღეთა მოიკლა მეფჱ იგი ღუაწლსა შინა, რამეთუ აღეღო თავი თჳსი და ესვიდა იგი ძალსა თჳსსა და არა ღმერთსა მისსა.

„შემდგომად დავით მეფობდა. ხოლო დავით იყოვე საყუარელი ღმრთისაჲ და ღმერთი დავითს უყუარდა და დავით აღასრულნა საკუერთხნი და შესაწირავნი და მსხუერპლნი; და დღესასწაულნი და შაბათნი კეთილად აღასრულნა. შემდგომად მისა ძჱ მისი სოლომონ მეფობდა და განდგა იგი ღმრთისაგან, და განდგა ერი იგი და განდრკა ღმრთისაგან; და ჰმსახურებდეს კერპთა ყრუთა, ჴელითქმნულთა, და ქვათა უსულოთა, ხეთა და მაღალთა სერტყთა და მწუერვალთა ხეთასა, და ღმერთი უვარ-ყვეს. და წინაწარმეტყუელნი ღაღადებდეს და ეტყოდეს: არა ჯერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებაჲ და ქვათა, გინა სხუათა რათმე მსახურებაჲ. აწ ესერა მოავლინოს ღმერთმან თქუენ ზედა სიკუდილი და სიყმილი და მახჳლი და ტყუეობაჲ და ეგრეთ აღგჴოცნეს თქუენ. და მათ არა უნდა სმენად ჴმაჲ იგი წინაწარმეტყუელთაჲ მათ, რამეთუ განბორგებულ იყო ერი იგი ისრაჱლისაჲ. და ბრძანეს მოწ-

და თქვა: „ყველაფერი, რაც გვიბრძანა უფალმა, გავაკეთოთ და აღვასრულოთ, მხოლოდ უფალი იყოს ჩვენთან“. და ამაღლდა უფალი ზეცად. როდესაც ეს სჯული შეისმინეს ებრაელებმა, სწირავდნენ ისინი შესაწირავებს, საკმეველსა და მსხვერპლს, შაბათებს იცავდნენ და ღმერთი იყო მათთან. ამ დროს უცხოტომელები შეიკრიბნენ და თავს დაესხნენ ისრაელს, მაგრამ ღმერთმა ერთი ადამიანის ხელით განდევნა ისინი; ზოგი მოკლეს, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს, ზოგი კი აიძულეს გაქცეულიყო; და ასე გახდნენ მტრებისგან უშიშარნი, რადგან ღმერთი იყო მათთან.

დროთა განმავლობაში მეფე ითხოვა მთელმა ისრაელმა ღვთისგან, რომ შებრძოლებოდა იგი მათ მტრებს. და დაუყენა მათ ღმერთმა მეფე და განაგო ღმერთმა შარავანდედობის წესი. დროთა განმავლობაში მოკლეს მეფე ომში[21], რადგან აეღირა მას თავი და დანდობილი იყო თავის თავზე და არა თავის ღმერთზე.

„შემდეგ დავითი მეფობდა; ხოლო დავითიც ღვთისთვის საყვარელი იყო და დავითსაც ღმერთი უყვარდა. აღასრულა დავითმა საკურთხები, შესაწირავები, მსხვერპლშეწირვები; და დღესასწაულები და შაბათები კარგად აღასრულა . მის შემდეგ მეფობდა მისი ძე სოლომონი, რომელიც განდგა ღვთისგან. განდგა და ღვთისგან განდრიკა ხალხი. მსახურებდნენ ისინი ყრუ, ხელით გაკეთებულ კერპებს, უსულო ქვებს, ხეებს, მაღალ სერტყებს[22] და ხეების კენწეროებს. ღმერთი უარყვეს მათ. წინასწარმეტყველები ღაღადებდნენ, და ამბობდნენ: „არ შეიძლება ცხოველი ღვთის დატოვება და ქვების ანდა სხვა რამეთა მსახურება. აჰა უკვე მოავლენს ღმერთი თქვენზე სიკვდილს, შიმშილს, მახვილს, ტყვეობას და ასე მოგსპობთ თქვენ“. იმათ არ უნდოდათ წინასწარმეტყველთა ხმის სმენა, რადგან ისრაელის ხალხი გაშლეგებული იყო. ბრძანეს მათ წინასწარმეტყველთა დახოცვა, ზოგისა მახვილით, ზოგისა ცეცხლით; ზოგი ხერხ-

ყუედაჲ მათ წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნიმე მახჳლითა, რომელნიმე ცეცხლითა, რომელნიმე ხერხითა განხერხნეს, რომელნიმე მჴეცთა მისცნეს და რომელიმე მღჳმესა შთააგდეს, რომელნიმე ქვითა განტჳნნეს.

VI. „ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცთმოყუარე, არა უნდა წარწყმედაჲ ისრაჱლისაჲ და უნდა მოქცევაჲ მათი. მოავლინა ღმერთმან ძჱ თჳსი ქრისტჱ სოფლად. და შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ჴორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისგან, და საშოჲსაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთეებაჲ ჴორცითა დაიფარა. უკუეთუმცა ღმრთეებაჲ ჴორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზჱ ქმნული ღმრთისაჲ არს და თუალნი ვერვინ შეუდგნის და სიმრგულჱ მზისაჲ ვერვინ განიცადის. ღმრთეებასამცა კაცი ვერ მიეახლა. ამისთჳს ჴორცნი შეისხნა, რაჲთამცა ისრაჱლი მო-ვითარ-აქცია ღმრთისა ცხოველისა. და განკაცებასა მისსა ნათელ-იღო იორდანესა მდინარესა ჴელითა იოვანეჱსითა. და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჰა ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ, ვითარცა ტრედი გარდამოჴდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა, და ჴმაჲ იყო ზეცით გარდამო და თქუა: ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ და სცხონდეთ.

„და ვითარ შევიდა იერუსალჱმდ, იწყო სასწაულთა საქმედ და ნიშები და კურნებანი. ოცდაათურამეტისა წლისა სნეული იდვა ცხედარსა ზედა, იხილა და სიტყჳთ უბრძანა: აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! და მუნქუესვე აღდგა და ვიდოდა ცოცხალი და ადიდებდა ღმერთსა.

„მერმე შობითგან ბრმაჲ პოვა და თიჴაჲ შექმნა ნერწყჳთა და თუალთა მისთა დაჰგოზა და უბრძანა მას მობანაჲ წყლითა, და აღეხუნეს თუალნი ბრმასა მას. და მკუდარნი აღადგინნა და მკელობელნი

ით გახერხეს, ზოგი მხეცებს მისცეს, ზოგი მღვიმეში ჩააგდეს, ზოგი ქვით ჩაქოლეს.

6. მაგრამ ღმერთი ტკბილია და კაცთმოყვარე, არ უნდოდა ისრაელის დაღუპვა და უნდოდა მისი მოქცევა. მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქრისტე ქვეყნად, რომელიც შევიდა წმინდა ქალწულის მუცელში, ხორცი შეისხა და განკაცდა წმინდა მარიამისგან, წმინდა საშოდან გამოვიდა და ღმრთეება ხორცით დაიფარა. ღმრთეება რომ ხორცით არ დაეფარა, ადამიანი ვერც მიეახლებოდა ღმერთს, რადგან მზე ღვთის ქმნილებაა და ვერავინ უსწორებს თვალს და სფეროს მზისას ვერავინ უყურებს. ღმრთეებას ადამიანი ვერ მიეახლებოდა. ამიტომ, ხორცი შეისხა მან, რომ ისრაელი როგორმე მოექცია ცხოველი ღვთისკენ. თავისი განკაცებისას ნათელიღო მან მდინარე იორდანეში იოანეს ხელით და როდესაც ამოვიდა წყლიდან, აჰა, ცანი გაიხსნა და სულიწმინდა, როგორც სპეტაკი მტრედი, გადმოვიდა და დაივანა მასზე. ხმა იყო ზეციდან, რომელმაც თქვა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე ვისათნოვე. მაგისი ისმინეთ და ცხონდებით“[23].

„და როდესაც შევიდა იერუსალიმში, დაიწყო მან სასწაულთა მოხდენა, ნიშები და კურნებანი [აღასრულა]. ოცდათვრამეტი წლის სნეული იდო ლოგინზე, მან კი ნახა და სიტყვით უბრძანა: „ადექი, აიღე შენი ლოგინი და იარე!“ მყისიერად ადგა ისიც, დადიოდა ჯანმრთელი და ადიდებდა ღმერთს.

შემდეგ დაბადებიდან ბრმა ნახა, თიხა შექმნა ნერწყვით, მის თვალებს დააგლისა და უბრძანა მას წყლით მობანა. აეხილა თვალები ბრმას. მკვდრები აღადგინა მან, კოჭლებს სიარული დააწყებინა, კეთროვნები განწმინდა. მრავალი კურნება მოახდინა ქრისტემ მათ შორის, რომ ერწმუნათ ებრაელებს და მოქ-

ავლინნა და კეთროანნი განწმიდნა, და მრავალნი კურნებანი ყვნა ქრისტემან მათ შორის, რაჲთამცა ჰრწმენნა ჰურიათა და მოიქცეს ღმ-
რთისა ცხოველისა და უნდა, რაჲთამცა არა განითხინეს ღმრთისაგან.

„ხოლო ჰურიანი იგი უფროჲს ხოლო აღბორგდეს და შური დიდი აღიღეს ქრისტჱსთჳს და უნდა მოკლვაჲ მისი. ხოლო ქრისტე-
მან მიჰრიდა მათ გარე სოფლებსა და დაბნებსა; იქცეოდა მუნ, და რომელთა ჰრწმენა ქრისტჱსი, უკუანა შეუდგეს მას.

და განვიდოდა დაბასა ერთსა, და გამოაქუნდა მკუდარი იამაერი, ძჱ ქურივისაჲ. და ვითარცა იხილა იგი, უბრძანა და დადგეს ცხედარი
იგი. და უპყრა ჴელი ყრმასა მას და მისცა დედასა თჳსსა ცოცხალი.

„მერმე განვიდოდა დაბასა ერთსა. შეუდგა მას ერი მრავალი და სიმრავლითა მით ერისაჲთა წინაუკუნ ვერ შეუძლეს მიღებად
განრღუეულისა, და სართული სახლისაჲ აღსძარცუეს და მიერ ცხედრითა შთაუტევეს. და აღადგინა იგი და თჳსითა ფერჴითა
წარვიდა სახიდ თჳსა. და ერი მრავალი შეუდგა მას და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო ერისა მისგანნი ათორმეტნი გამოირჩინა კაცნი და
უწოდა მათ მოწაფე, და რასაცა უბრძანებდა მათ, მასცა იქმოდეს.

„და შევიდა დაბასა ერთსა. იყო მუნ ქორწილი. და შევიდა იესუ საქორწინესა მას, და ღჳნოჲ არა იყო მუნ, რამეთუ მოლეულ იყო,
და ტაკუკნი ცალიერნი დგეს მუნ. მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ წყალი მოღებად, და ტაკუკნი აღავსნეს წყლითა, და აკურთხა
წყალი იგი ქრისტემან. და იქმნა ღჳნო უჰამოვნეს პირველისა მის ღჳნისა, და მრავალთა უკჳრდა, და ჰრწმენა მისი და შეუდგეს მას.

„და მერმე დედაკაცი ათორმეტ წელ წიდოვნებასა შინა იყო და მოვიდა იდუმალ ზურგით-კერძო იესუჲსა და უპყრა ფესუსა სა-
მოსლისა მისისასა, და განწმდნა იგი.

„და მერმე მოვიდოდა ქრისტჱ ადგილსა ერთსა, და იყო მუნ ველი შუენიერი, და მოხედა ერსა მას, რომელი იგი უკუანა შეუდგა მას,
და ჰრქუა მოწაფეთა მათ: ერი ესე, ესოდენი დღჱ არს, ვინაჲთგან უზმა არიან, და მეწყალის; წარვედით ქალაქად და იყიდეთ პური და

ცეულიყვნენ ცხოველი ღვთისკენ. უნდოდა მას, რომ არ გაგდე-
ბულიყვნენ ღვთისგან.

„მაგრამ ებრაელები კიდევ უფრო გაშლეგდნენ, დიდი ღვარ-
ძლით განიმსჭვალნენ ქრისტესადმი და უნდოდათ მისი მოკვ-
ლა. ქრისტე განერიდა მათ გარე სოფლებსა და დაბებში, და იქ
მიმოდიოდა. ისინი, რომლებმაც იწამეს ქრისტე, უკან გაჰყვნენ
მას.

და მიდიოდა იგი ერთ დაბაში, სადაც გამოჰქონდათ დედის-
ერთა მკვდარი, ქვრივის ძე. როდესაც დაინახა მან იგი, ბრძანა
და დადგეს საცხედრე, მან კი მოჰკიდა ყრმას ხელი და მისცა
იგი თავის დედას ჯანმრთელი.

„შემდეგ მიდიოდა ერთ დაბაში. გაჰყვა მას მრავალი ხალხი
და რადგან ხალხის სიმრავლის გამო ვერ მოახერხეს დამბლა-
დაცემულის პირდაპირ მიყვანა მასთან, სახურავი გადააძრეს
[სახლს] და იქიდან ლოგინით ჩაუშვეს იგი, მან კი აღადგინა, და
ისიც თავისი ფეხით წავიდა თავის სახლში. დიდძალი ხალხი
გაჰყვა უფალს და ადიდებდნენ ღმერთს, მან კი ამ ხალხისგან
გამოარჩია თორმეტი ადამიანი, უწოდა მათ მოწაფე და რასაც
უბრძანებდა, იმას აკეთებდნენ.

„შევიდა იგი ერთ დაბაში. იქ ქორწილი იყო. და შევიდა იესო
სეფაში[24]. ღვინო არ იყო იქ, რადგან გამოლეულიყო და ცარიე-
ლი სარწყულები იდგა იქ. მაშინ უბრძანა იესომ მოწაფეებს მო-
ეტანათ წყალი, და აავსეს სარწყულები წყლით. აკურთხა
ქრისტემ ეს წყალი და გახდა იგი ღვინო, პირველ ღვინოზე
უფრო საამური. ბევრს უკვირდა. ირწმუნეს მისი და გაჰყვნენ
მას.

„და შემდეგ, ქალი, რომელსაც თორმეტი წელი ჰქონდა სისხ-
ლდენა, მოვიდა შეუმჩნევლად იესოს ზურგიდან, ხელი მოჰკი-
და მისი სამოსლის კიდეს და განიწმინდა იგი.

„შემდეგ კი, მოდიოდა ქრისტე ერთ ადგილას და იყო იქ მშ-
ვენიერი ველი. მან მოხედა ხალხს, რომელიც უკან გაჰყვა მას, და

ეცით ერსა მას. ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფეთა: თქუენგანსა არავის გაქუს პური აქა? და ჰრქუა ერთმან მოწაფეთაგანმან: მე მაქუს ხუთი პური და ორი თევზი. ჰრქუა ქრისტემან: მომართუთ იგი აქა. და ვითარცა მოართუნეს ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზ-ნი, უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხმაჲ ქუეყანასა ზედა და აღიპყრნა ზეცად ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი, აკურთხნა და განტეხნა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფენი იგი მის-ცემდეს ერსა მას. და ერმან მან ჭამა და განძღა, და ათორმეტი გოდორი სავსჱ აღიღეს ნეშტი. ხოლო ერი იგი, რავდენთა ჭამეს, იყვნეს ვითარ ხუთ ათას, გარნა ყრმებისა და დედებისა.

„მაშინ უბრძანა ქრისტემან ერსა მას ჴმელით ქუეყანით მოსლვაჲ. ხოლო ქრისტჱ და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას, ვითარცა ჴმელსა, და ფერჴნი მათნი არა დაილტჳნეს. და ვი-თარცა განჴდეს ჴმელად, და მოემთხჳა კაცი ერთი, რომლისა თანა იყო ლეგეონი ეშმაკი. ღაღატ-ყო და თქუა: ქრისტე, შემეწიე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუემები, ხოლო ქრისტემან შეჰრისხნა ლეგეონსა მას ეშმაკსა და განვიდა მისგან და ადიდებდა ღმერთსა. ხოლო ეშმაკი იგი ღაღადებდა და თქუა: ქრისტე, გიცი შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ, ჩემდა ხოლო მოხუედ წარწყმედად. ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთა□და ჯოჯოხეთად ქუესკნელად.

„და მერმე მოვიდა დაბასა მას, რომელსა სახელი ერქუა ბეთა-ნია, სადა ლაზარე მომკუდარ იყო ოთხით დღით წინა მისა, და იდვა იგი სამარესა შინა. და მივიდა ქრისტჱ კარსა მის სამარისასა, ჴმა-ყო და თქუა: ლაზარე, გამოგუალე! და ერთითა მით ჴმითა ქრისტჱსი-თა იგი სამარისაგან გამოვიდა მხიარული. და უკჳრდა ერსა მას და უფროჲს განმრავლდა ერი იგი სარწმუნოებითა დიდითა.

„ამისა შემდგომად აღვიდა ქრისტჱ იერუსალჱმდ და შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და იხილა მუნ შინა სავაჭროჲ დაგებული და ჰყიდდეს. და აღიღო ქრისტემან შოლტი და გამოასხა კაცები იგი და გამოუბნია სავაჭროჲ იგი და დაამჴუა ტაბლები იგი და თქუა:

უთხრა მოწაფეებს: „ეს ხალხი, ამდენი დღეა, რაც უჭმელია, და მებრალება. წადით ქალაქში, იყიდეთ პური და მიეცით ამ ხალხს“. ამასთან, ქრისტემ უთხრა მოწაფეებს: „არავის გაქვთ პური აქ?“ უთხრა ერთმა მოწაფეთაგანმა: „მე მაქვს ხუთი პური და ორი თევზი“. უთხრა ქრისტემ: „მომიტანეთ ის აქ“. როდესაც მოუტანეს ხუთი პური და ორი თევზი, ბრძანა ქრისტემ ხალხის დასხმა მი-წაზე, აამაღლა ზეცისკენ ის ხუთი პური და ორი თევზი, აკურთხა, დატეხა და აწვდიდა თავის მოწაფეებს, მოწაფეები კი აწვდიდ-ნენ ხალხს. ხალხმა ჭამა და დანაყრდა. თორმეტი სავსე გოდორი აიღეს ნარჩენი, ხოლო ის ხალხი, რამდენმაც ჭამა, იყო დაახლოე-ბით ხუთიათასი, გარდა ბავშვებისა და დედებისა.

„მაშინ უბრძანა ქრისტემ იმ ხალხს ხმელეთის მიწით მოსვ-ლა, ხოლო ქრისტე და მისი მოწაფეები გადიოდნენ ზღვას როგორც ხმელეთს და მათი ფეხები არ სველდებოდა[25]; და როდესაც გავიდნენ ხმელეთზე, შეხვდა მათ ერთი კაცი, რომელთანაც იყო ლეგეონი ეშმაკი. ღაღადყო მან და თქვა: „ქრისტე, შემეწიე მე, რადგან ბოროტად ვიგვემები“. ქრისტემ შერისხა ლეგეონი ეშმაკი და როდესაც გავიდა [იმ კაცისგან], [ეს კაცი] ადიდებდა ღმერთს, ეშმაკი კი ღაღადებდა და ამბობ-და: „ქრისტე, გიცნობ შენ, ვინც ხარ, წმინდა ღმრთისა. მხოლოდ ჩემს დასაღუპად მოხვედი.“ ხოლო ქრისტემ უბრძანა მიწას, გაიღო იგი და დანთქა ეშმაკი, რომელიც ჩავარდა ჯოჯოხეთ-ში, ქვესკნელში[26].

„და შემდეგ მოვიდა იგი იმ დაბაში, რომელსაც სახელად ერქვა ბეთანია, სადაც მის [მისვლამდე] ოთხი დღით ადრე მომკვ-დარიყო ლაზარე და იდო იგი სამარეში. მივიდა ქრისტე სამარის კართან, დაიძახა და თქვა: „ლაზარე, გამოდი“, და ქრისტეს ერთი დაძახებით სამარიდან გამოვიდა იგი მხიარული, ხალხს კი უკვირ-და და ეს ხალხი უფრო გამრავლდა დიდი სარწმუნოებით.

ამის შემდეგ ავიდა ქრისტე იერუსალიმში, შევიდა ღვთის ტაძარში და ნახა იქ შიგნით გაშლილი დახლი, სადაც ყიდდნენ.

ესრე წერილ არს: სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწო-
დოს, ხოლო თქუენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთაჲ გიყოფიეს. და მერ-
მე თქუა: დავარღჳო ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო ეგე.
და ვითარცა ესმა ესე ჰურიათა მათ, განრისხნეს ფრიად და თქუეს:
ჩუენ ვიცით მამაჲ მისი იოსები და დედაჲ მისი მარიამ, და ძმანიცა
უსხენ, ხოლო თავსა თჳსსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებს და ტაძარ-
სა ღმრთისასა მამულად იჩემებს. და მერმე თქუეს: სოლომონ
ორმეოცსა წელსა აღაშენა, და იგი იტყჳს დარღუევად და მესამესა
დღესა აღშენებად. ამის სიტყჳსათჳს გული განიწყეს ჰურიათა მათ
და შური გულსა დაიდვეს და იზრახეს შეპყრობაჲ მისი და მოკლვაჲ.

„და შეიპყრეს ქრისტჱ და მოიყვანეს წინაშე მღდელთმოძღუ-
ართა მათ და მოხუცებულთა. და ქრისტეს ჰრქუეს მღდელთ მოძღუ-
ართა მათ და მოხუცებულთა: შენ ვითარ თავსა შენსა ძედ ღმრთი-
სად გამოაჩინებ, ძჱ ღმრთისაჲ ხარა შენ? ხოლო ქრისტემან ჰრქუა
მათ: ეგე თქუენ სთქუთ.

„და მერმე ჰრქუეს ქრისტესა: სოლომონმან ორმეოცსა წელსა
აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: დავარღჳო და სამსა დღესა აღ-
ვაშენო ეგეო! მაშინ ქრისტემან ჰრქუა: მე ჴელ-მეწიფების დარ-
ღუევად და მესამესა დღესა აღშენებად. მაშინ-ღა განრისხნეს ჰუ-
რიანი იგი და აღტეხეს და აღაშფოთეს ერი იგი ჰურიათაჲ და თქუეს:
მოსაკლავად შეჰგავს კაცი ესე. და მოუჴდეს ქრისტესა ზედა და
იწყეს ცემად და კიცხევად მისა, და რომელიმე სცემდა ჴჳრთითა
თავსა მისსა და რომელიმე ლერწმითა სცემდა თავსა მისსა წმი-
დასა და რომელიმე სცემდა ყურიმალსა და რომელნიმე ჰნერწყუ-
ვიდეს პირსა მისსა ნათელსა. და აღჰმართეს ძელი და ჯუარს-აცუეს
ქრისტჱ და ძმარი და ნავღელი შეზავებული ასუეს ჯუარსა ზედა.

„მაშინ თუალნი აღიხილნა ზეცად მამისა მიმართ და თქუა: მამაო
ჩემო, ყოველივე აღვასრულე და ისრაჱლმან არა ისმინა ჩემი და ეს-
ევითარი ტანჯვაჲ მოაწიეს ჩემ ზედა. და მიიდრიკა თავი და აღ-
მოუტევა სული. და მწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით. ხოლო

აიღო ქრისტემ შოლტი, გამოყარა ის ადამიანები, მიმოუბნია
დახლი, გადააბრუნა მაგიდები და თქვა: „ასეა დაწერილი: „ჩემი
მამის სახლს ეწოდება სალოცავი სახლი“, თქვენ კი გაგიხდიათ
იგი როგორც ავაზაკთა გამოქვაბული“. შემდეგ თქვა: „დავშლი
ამ ტაძარს და მესამე დღეს ავაშენებ მაგას“. როდესაც ებრაელებმა
გაიგონეს ეს, ძალიან განრისხდნენ და თქვეს: „ჩვენ ვიცით მისი
მამა იოსები და მისი დედა მარიამი, და ძმებიც ჰყავს მას, თავის
თავს კი ღვთის ძედ წარმოაჩენს და ღვთის ტაძარს მამისეულად
იჩემებს“. და შემდეგ თქვეს: „სოლომონმა ორმოც წელიწადში
ააშენა იგი, ეს კი ამბობს, რომ დაშლის მას და მესამე დღეს
ააშენებს“. ამ სიტყვის გამო გაწყრნენ ებრაელები, შური ჩაიდეს
გულში და განიზრახეს მისი შეპყრობა და მოკვლა.

„შეიპყრეს მათ ქრისტე და მოიყვანეს იგი მღვდელმოძღვრე-
ბისა და მოხუცებულების წინაშე. უთხრეს ქრისტეს მღვდელთ-
მოძღვრებმა და მოხუცებულებმა: „შენ როგორ წარმოაჩენ შენს
თავს ღვთის ძედ? ღვთის ძე ხარ შენ?“ ქრისტემ კი უთხრა მათ:
„ეგ თქვენ თქვით“.

„შემდეგ უთხრეს ქრისტეს: „სოლომონმა ორმოც წელიწად-
ში ააშენა ეს ტაძარი და შენ თქვი: „დავშლი და მესამე დღეს
ავაშენებ მაგასო“. მაშინ ქრისტემ უთხრა მათ: „მე ძალმოსილი
ვარ დავშალო და მესამე დღეს ავაშენო იგი“. მაშინ კი განრისხდ-
ნენ ებრაელები, ატეხეს და ააფორიაქეს ებრაელთა ხალხი და
თქვეს: „მოსაკლავად ჩანს ეს კაცი“, და მისცვივდნენ ქრისტეს
და დაიწყეს მისი ცემა და დაცინვა. ზოგი სცემდა მის თავს
მათრახის ტარით, ზოგი კი ლერწმით სცემდა მის წმინდა თავს.
ზოგი ყვრიმალში სცემდა მას, ზოგი კი ანერწყვებდა მის ნათელ
პირისახეს. აღმართეს ძელი, ჯვარს აცვეს ქრისტე და შეასვეს
მას ჯვარზე შეზავებული ძმარი და ნაღველი.

„მაშინ აახილა მან თვალები ზეცისკენ მამისადმი და თქვა:
„მამაო ჩემო! ყოველივე აღვასრულე, ისრაელმა კი არ ისმინა
ჩემი და ამგვარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზე“. და მოხარა მან თავი

კაცი ერთი იყო ჴელმწიფე და მოწაფე ყოფილ იყო ქრისტჱსა. მა-
ნაღიღო გუამი ქრისტჱსი და დადვა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი
მიაგორვა კარსა ზედა სამარისასა. და მესამესა დღესა მსთუად
ცისკარსა ოდენ ანგელოზი გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა
ლოდი იგი მის საფლავისაგან. და ქრისტჱ აღდგა და გამოვიდა მიერ
სამარით და ეჩუენა ორთა მოწაფეთა და მარიამს მაგდანელსა და
სხუათა დედათა. და ჰრქუა მათ ქრისტემან: არქუთ მოწაფეთა ჩემ-
თა: წარვედით გალილეას, თაბორდ, და მუნ მიხილოთ მე.

და ათორმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს სიხარულითა დიდითა
მთასა თაბორსა და იხილეს ქრისტჱ და თაყუანისსცეს და ამბორს-
უყვეს ფერჴთა მისთა წმიდათა. ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფე-
თა თჳსთა: აწ არღარა გერქუას თქუენ მოწაფე, არამედ მოციქულ
გერქუას თქუენ. ხოლო მე აწ აღვალ მამისა ჩემისა და მამისა
თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა. ხოლო მო-
ციქულთა მათ შთაჰბერა სული ცხოველი და ჰრქუა მათ: მიიღეთ
თქუენ სული ცხოერებისაჲ და წარვედით თქუენ ქალაქებსა და სოფ-
ლებსა და დაბნებსა კიდითგან ვიდრე კიდედმდე ქუეყანისა და ჰყ-
ოფდით ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებასა და მოაქცევდით
წარმართთა და ნათელ-სცემდით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა
და სულისა წმიდისაჲთა. და ასწავებდით მათ, ყოველივე რავდენი
გამცენ თქუენ, და მე ესერა თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ცხ-
ორებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. უსასყ-
იდლოდ მოგიღებიეს და უსასყიდლოდცა მისცემდით მათ.

და ქრისტჱ ამაღლდა ზეცად ანგელოზთა თანა, ხოლო
ათორმეტნი იგი მოციქულნი წარვიდეს და მიმოვლეს გარემო სოფ-
ლებსა და ქალაქებსა და დაბნებსა და ახარებდეს და ქადაგებდეს
ქრისტესა, აღდგომილსა მკუდრეთით, და ჰყოფდეს ნიშებსა და
სასწაულებსა და კურნებათა, და მოიქცეოდეს და ნათელს-იღებ-
დეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

და ამოუშვა სული. სწრაფად გადმოიყვანეს იგი ჯვრიდან. ერთი
კაცი იყო ხელმწიფე და ქრისტეს მოწაფედ მყოფი. მან აიღო
ქრისტეს სხეული[27], დადო იგი ახალ სამარეში და დიდი ლოდი
მიაგორა სამარის კარზე. მესამე დღეს გათენებისას, სწორედ
ცისკარზე, ანგელოზი გადმოვიდა ზეციდან და გადააგორა ის
ლოდი იმ საფლავიდან. ქრისტე აღდგა, გამოვიდა სამარიდან,
ეჩვენა ორ მოწაფეს, აგრეთვე მარიამ მაგდანელს და სხვა დედებს,
და უთხრა მათ ქრისტემ: „უთხარით ჩემს მოწაფეებს: წადით გა-
ლილეაში, თაბორისკენ და იქ მნახავთ მე“.

და ის თორმეტი მოწაფე წავიდა დიდი სიხარულით
თაბორის მთაზე, ნახეს ქრისტე, თაყვანი სცეს მას და ეამბორნენ
მის წმინდა ფეხებს, ხოლო ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს:
„ახლა აღარ გერქმევათ თქვენ მოწაფე, არამედ მოციქული გერ-
ქმევათ თქვენ, მე კი ახლა ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მა-
მასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“, ხოლო მო-
ციქულებს შთაჰბერა ცხოველი სული და უთხრა მათ: „მიიღეთ
თქვენ სიცოცხლის სული; წადით თქვენ ქალაქებში, სოფლებსა
და დაბებში ქვეყნიერების კიდით-კიდემდე, მოახდინეთ ნიშე-
ბი, სასწაულები და კურნებანი, მოაქციეთ წარმართები, მონათ-
ლეთ ისინი მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით და ასწავ-
ლეთ მათ ყოველივე, რამდენიც გამცნეთ თქვენ, მე კი აჰა, თქვენ-
თან ვარ თქვენი ცხოვრების ყველა დღეს და ვიდრე სოფლის
აღსასრულამდე. უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე
მიეცით მათ“.

და ქრისტე ამაღლდა ზეცად ანგელოზებთან ერთად, ხოლო
ის თორმეტი მოციქული წავიდა და მიმოვლო მახლობელი ქვეყ-
ნები, ქალაქები, დაბები. ისინი ახარებდნენ და ქადაგებდნენ
ქრისტეს, აღდგომილს მკვდრეთით, ახდენდნენ ნიშებს,
სასწაულებს და კურნებებს, [წარმართები კი] მოიქცეოდნენ და
ნათელს-იღებდნენ მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით.

„და ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტეანობაჲ და განერცნა კიდით ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდემდე ქუეყანისა. და ებისკოპოსნი და მღდელნი განაჩინნეს და ეკლესიანი აღაშენნეს. და მას შინა ჯუარი აღემართა, და ყოველსა სოფელსა ჰრწმენა ქრისტჱ და აღივსო ყოველი სოფელი ქრისტეანებითა, და ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტჱ. ჰურიათა მათ ვითარცა წინაწარმეტყუელნი იგი უთხრობდეს, ეგრეთცა მოიწია მათ ზედა: რომელნიმე მახჯლითა, რომელნიმე სიყმილითა, რომელნიმე სიკუდილითა მოსწყდეს და განილინეს და სხუანი ტყუეობითა განიბნინეს, რამეთუ არა დაიმარხეს რჩული ღმრთისა ცხოველისაჲ. ხოლო აწ ქრისტეანეთა უწოდა ისრაჱლ, რამეთუ ისრაჱლი ითარგმანების „ერ ღმრთისა და მონა ქრისტჱსა", რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

VII. „მაშინ ვითარცა გულისჴმა-ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქედიაკონისაგან დასაბამითგანი ყოველი ვიდრე აქამომდე და მივიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოჲ და ძჱ მისი იესუ ქრისტჱ და სული წმიდაჲ მისი. და ამით ნათელ-მიღებიეს და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტჱსგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვამდე, ხოლო მამულისა ჩემისა რჩულისათჳს სიტყუადვე ზარმაც და მრცხუენისცა. რამეთუ ღმერთმან, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, მზჱ და მთოვარჱ და ვარსკულავნი, ზღუაჲ და ჴმელი, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცუნი, ველნი და ტყენი, შუაჲ და ცეცხლი, ოთხფერჴნი პირუტყუნი და მჴეცნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი, და მერმე კაცნი შექმნნა ღმერთმან და მას ყოველსა ზედა უფალ ყო იგი. ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმრთად ვხადოდითა? ნუ იყოფინ ესე! მზჱ და მთოვარჱ და ვარსკულავნი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლე-

„აი, ასე გამრავლდა და მოეფინა ქრისტიანობა. განივრცო იგი ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე. განაჩინეს ეპისკოპოსები და მღვდლები, ეკლესიები ააშენეს და მასში ჯვარი აღიმართა. მთელმა ქვეყნიერებამ ირწმუნა ქრისტე და მთელი ქვეყნიერება აივსო ქრისტიანებით. ყველა ქვეყანაში ქადაგებულ იქნა ქრისტე. როგორც წინასწარმეტყველები აუწყებდნენ ებრაელებს, ისე მოიწია მათზე: ზოგნი მახვილით ამოწყდნენ და მოისპნენ, ზოგნი შიმშილით, ზოგნი სიკვდილით, სხვები კი ტყვეობის შედეგად მიმოიფანტნენ, რადგან არ დაიცვეს მათ ცხოველი ღვთის სჯული, ამჟამად კი ქრისტიანებს უწოდა მან ისრაელი, რადგან „ისრაელი“ განიმარტება როგორც „ერი ღვთისა და მონა ქრისტესი“, რომლისაც არის დიდება უკუნითი-უკუნისამდე, ამინ.

7. „მაშინ, როგორც კი გავიგე და შევიცანი ყოველივე სამოელ მთავარდიაკონისგან, - ყოველივე დასაბამიდან ვიდრე აქამდე, - და ჩავსწვდი ებრაელებისა და ქრისტიანების მთელ სჯულს, ვირწმუნე მე დაუსაბამო ღმერთი, მისი ძე იესო ქრისტე და მისი წმინდა სული. ამით მოვნათლულვარ და ვერავინ გამაშორებს მე ქრისტესგან ვიდრე ჩემი სულის ამოსვლამდე; ხოლო ჩემი მამისეული სჯულის გამო სიტყვის თქმაც კი მზარავს და მრცხვენია კიდეც, რადგან ღმერთმა შექმნა ცა, მიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ზღვა, ხმელეთი, მდინარეები, წყალსატევები, მთები, ბორცვები, ველები, ტყეები, შუშა, ცეცხლი, ოთხფეხი პირუტყვი, მხეცები, ქვეწარმავლები და ცის ფრინველები. შემდეგ ადამიანები შექმნა ღმერთმა და ამ ყოველივეზე გააბატონა იგი. ყოველივე ეს ამ ადამიანს დაუმორჩილა მან და ნუთუ ჩვენ ამ ყოველივეს შემქმნელი ღმერთი უნდა დავტოვოთ და ამ ღმერთის დაბადებულს ღმერთად ვუხმობდეთ? ნუ მოხდება ეს! მზე, მთვარე და ვარსკვლავები არ არიან ღმერთე-

ბაჲ დღისაჲ უბრძანა და მთოვარესა და ვარსკულავთა განათლებაჲ ღამისაჲ უბრძანა, რამეთუ ღმერთ არა არიან. ღმერთმან-ღა ღრუბელსა უბრძანის, და მოეფინის, ბრწყინვალებაჲ მზისაჲ და მთოვარისაჲ დააბნელის. მზჱ და მთოვარჱ ამისთჳს არა ღმერთ არიან. მერმე კუალად ცეცხლი არა ღმერთ არს ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთჳს არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის, გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა, თუ კაცი დახუდის, და-ვე-წჳს. ხოლო ცეცხლსა-ღა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაჲ დაშრიტის და უჩინო-იქმნის ცეცხლი იგი; ამით არა ღმერთ არს, ხოლო ჩუენ ღმერთად გურწამს.

„ხოლო ჩუენ ღმერთმან ცეცხლი სამსახურებელად მოგუცა, ყინელსა განსატფობელად და ყოვლისა სანოვაგისა საქმარად; და ოდეს გჳნებნ, აღვაგზნით, და ოდეს გჳნებნ, დავშრიტით. და ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი.

„მერმე ღმრთისა შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყუთა მსგავს ვიყვენით. და ესრესახედ, ვითარცა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი, და ეგრეთ აღრეულად გარდაიჴადიან მამლობაჲ და დედლობაჲ მათი, და ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თჳსი, გინა შობილი, და აღრეულად გარდავიჴადით ბუნებაჲ იგი ჩუენი. ხოლო აწ მადლ-ითა ღმრთისაჲთა, ვინაჲთგან იქმნა ნათლისღებაჲ და რჩული ქრისტეანობისაჲ იციედ კაცთა, მიერითგან დაიჴსნა და განქარდა უწესოჲ იგი საქმჱ. ხოლო ამას გევედრები, უფალო ჩუენო, იესუ ქრისტე, რაჲთა გუამი ჩემი დაემარხოს მცხეთასა, სადაცა-იგი ნათე-ლი მოვიღე სამოელ კათალიკოზისა ჴელითა და ღირს ვიქმენ რჩულსა ქრისტეანეთასა. ამიერითგან ვერვინ განმაშოროს მე სიყუარულსა შენსა და სარწმუნოებასა და სურვილსა. ვითარცა წერილ არს: არცა

ბი, არამედ ღმერთმა მზეს დღის განათება უბრძანა, მთვარეს და ვარსკვლავებს კი უბრძანა განათება ღამისა, მაგრამ ისინი ღმერთები არ არიან. ღმერთივე უბრძანებს ღრუბელს და მოე-ფინება და აბნელებს ბრწყინვალებას მზისას და მთვარისას. ამ-იტომ არ არიან ისინი ღმერთები. შემდეგ, კიდევ, ცეცხლი არ არის ღმერთი იმის გამო, რომ ცეცხლს ადამიანი ანთებს და ად-ამიანივე აქრობს, რადგან ადამიანია ცეცხლის ბატონი. ამიტომ არ არის ღმერთი ცეცხლი, რომელიც თუ ვინმეს გაექცევა და წავა, რასაც მიადგება, თუნდაც ტყეს, ან თუნდაც ველს, ანთუ სახლს (თუგინდ ადამიანი დახვდეს მას), დაწვავს კიდეც, მაგრამ თუ ცეცხლს წყალი მოხვდება, ჩააქრობს იგი ცეცხლის ესოდენ ძალას და ეს ცეცხლი გაქრება. ამის გამო, არაა იგი ღმერთი, თუმცა ჩვენ ღმერთად გვწამს,

„მაგრამ ჩვენ ღმერთმა ცეცხლი მოსახმარად მოგვცა, ყინუ-ლის გასათბობად და ყოველგვარი სანოვაგის გასაკეთებლად. როდესაც მოგვინდება, ვანთებთ მას, და როდესაც მოგვინდება, ვაქრობთ. ამიტომაც არ არის ღმერთი ცეცხლი.

„შემდეგ, ღვთისგან შექმნილი ადამიანები პირუტყვი ცხ-ოველების მსგავსნი ვიყავით და ისევე, როგორც პირუტყვებმა, მამლობა-დედლობის დროს არ იციან არც მშობელი, არც მათ-გან შობილი და ასე აღრეულად იკმაყოფილებენ თავიანთ მამ-ლობა-დედლობას, ამგვარადვე ჩვენც, გონიერი ადამიანები, პირუტყვების მსგავსნი ვიყავით, რომლებმაც არ ვიცოდით არც მშობელი ჩვენი, არცთუ შობილი და აღრეულად ვიკმაყ-ოფილებდით ჩვენს ბუნებას, მაგრამ ახლა, ღვთის მადლით, მას შემდეგ, რაც დაწესდა ნათლისღება და ქრისტიანობის სჯული იციან ადამიანებმა, ამიერიდან მოისპო და აღმოიფხვრა ეს უწე-სო საქმე... ხოლო ამას გევედრები, ჩვენო უფალო იესო ქრისტე, რომ ჩემი სხეული დაიმარხოს მცხეთაში, სადაც ნათელვიღე სამოელ კათალიკოსის ხელით და ღირსი გავხდი ქრისტიანთა სჯულისა. ამიერიდან ვერავინ გამაშორებს მე შენს სიყვარულს,

ტანჯვათა, არცა გუემათა, არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახჯლმან, არცა სიკუდილმან ამათ ჴორცთა ჩემთამან შემიძლოს მე განყენებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე".

მაშინ ჰრქუა მას ბუზმირ მარზაპანმან: „შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხორებისა შენისათა ქრისტეანებისათჳს და ნუ ქურივ ზამ ცოლსა შენსა და ობოლ შვილთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუასთა შენთა ამას ცხორებასა".

ჰრქუა მას წმიდამან ევსტათი: „უწინარჱს შენსა სხუათა ჴელმწიფეთა მტანჯეს მე ფრიად და მგუემეს და არა დავემორჩილე მათ, აწ შენი ვირწმუნო? ნუ იყოფინ ეგე ჩემდა"!

VIII. მაშინ ვითარცა ცნა ბუზმირ მარზაპანმან დამტკიცებული და შეუძრველი გული და გონებაჲ ნეტარისა ევსტათისი და ვერ შინებითა და ტანჯვითა და ვერცა კეთილისა ქადებითა არწმუნა მამული რჩული პყრობად, უბრძანა მსახურთა: „წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იდუმალ ღამით თავი წარჰკუეთეთ, რაჲთა არავინ ქრისტეანეთა ცნან და პატივ-სცენ გუამსა მისსა, და წარიხუენით ჴორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიენით შესაჭმელად მჴეცთა და მფრინველთა".

ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილედ, რაჲთამცა აღასრულეს ბრძანებული იგი მარზაპნისაჲ მის.

ჰრქუა მათ წმიდამან ევსტათი: „მცირედ მგებდით მე, ძმანო ჩემნო, რამეთუ ჴელთა შინა თქუენთა ვარ, რაჲთა ვილოცო მე ღმრთისა ჩემისა მიმართ". ხოლო მათ მცირედ დაითმინეს და აცალეს და ჰრქუეს: „ეგრე ვყოთ". მაშინ მოიდრიკნა მუჴლნი და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა: „უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებავს ცხორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა, რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ, რომელნი პირითა მახჯლისაჲ-

სარწმუნოებასა და სურვილს, როგორც დაწერილია: „ვერც ტანჯვა, ვერც გვემა, ვერც საპყრობილეში შიმშილი, ვერც მახვილი, ვერც ამ ჩემი ხორცის სიკვდილი ვერ შეძლებს ჩვენს გამიჯვნას შენგან, უფალო იესო ქრისტე".

მაშინ უთხრა მას ბუზმირ მარზაპანმა: „ჩემო შვილო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ შეამცირებ შენი ცხოვრების დღეებს ქრისტიანობის გამო, ნუ დააქვრივებ შენს ცოლს, ნუ დააობლებ შენს შვილებს, ნუ მოსწყდები შენს მეგობრებს ამ ცხოვრებაში".

უთხრა მას წმინდა ევსტათიმ: „შენზე ადრე სხვა მთავრებმა მტანჯეს მე ძალიან და მგვემეს, მაგრამ არ დავემორჩილე მათ და ახლა შენსას დავიჯერებ? ნუ მოხდება ეს ჩემზე".

8. მაშინ, როდესაც შეიცნო მარზაპანმა ნეტარი ევსტათის მტკიცე და შეუძრავი გული და გონება, რომელსაც ვერც დაშინებითა და ტანჯვით, ვერც კარგი რამის დაპირებით ვერ დააჯერა მამისეული სჯულის დაცვა, უბრძანა მსახურებს: „წაიყვანეთ ეგ საპყრობილეში და ღამით ჩუმად წაჰკვეთეთ თავი, რომ არც ერთმა ქრისტიანმა არ გაიგოს და არ მიაგოს პატივი მის სხეულს. წაიღეთ მისი ნეშტი ქალაქგარეთ და მიმოაბნიეთ მხეცებისა და ფრინველების შესაჭმელად".

მსახურებმა კი წაიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილეში, რომ შეესრულებინათ მარზაპანის ნაბრძანები.

უთხრა მათ წმინდა ევსტათიმ: „ცოტა ხნით მადროვეთ მე, ჩემო ძმებო (რადგან თქვენს ხელთ ვარ), რომ ვილოცო მე ჩემი ღვთის მიმართ". მათაც ცოტა ხნით მოითმინეს, აცალეს მას და უთხრეს: „ასე ვიზამთ". მაშინ მოიდრიკა მუხლები ევსტათიმ, თავისი თვალები ზეცისკენ აახილა და თქვა: „უფალო ღმერთო ყოვლისმპყრობელო, რომელსაც ყველა ადამიანის ცხონება გნებავს, ვინც კი სარწმუნოებით სასოებს შენს წმინდა სახელს; შენ, რომელმაც შეისმინე იმ პირველმოწამეთა ლოცვა, ზოგი

თა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა, რომელნიმე ზღუ-
ასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნ-
იმე მჴეცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათჳს და მოიღეს შენ-
მიერი იგი აღთქუმული, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა
არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჴდა, რომელი-იგი განუმზა-
დე წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა, უფალო, ღირს-მყავ მონაწ-
ილე მათ თანა და სამკჴდრებელსა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა,
უოხჭნოსა შუებასა მათ თანა, მიუკუანაჲსთა ჟამთა ნარჩევი
მოწამეთაჲ, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული: მე ვარო ნარჩევი
მოცუქულთაჲ. შენ იცი, უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რამეთუ არავინ
ვირჩიე შენსა, არცა მამაჲ, არცა დედაჲ, არცა ძმანი, არცა ნათესავ-
ნი, გარნა შენ მხოლოჲ უფალი შეგიყუარე და სახელისა შენისათჳს
ესერა თავი წარმეკუეთების დღეს. და ამას ვილოცავ და გევედრე-
ბი და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რაჲთა არა დაეტეოს გუამი ჩემი
აქა ტფილისს შინა, არამედ რაჲთა დაემარხოს იგი მცხეთას წმი-
დასა, სადა-იგი შენ გამომიჩნდი, და რაჲთა აქუნდეს მადლი და
კურნებაჲ ძუალთა ჩემთა, ვითარცა-იგი პირველთა მათ".

და ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა ევსტათის და ჰრქუა: „არა უნ-
აკლულცს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისაჲთა, რომელ-
თა ვჰრწმენე მე. ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს
ვითარცა შენ სთქუ ყოფად". და განმხიარულდა ნეტარი ევსტათი
და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო წმიდასა ევსტათის პირველვე ემ-
ცნო ნეტარისა სტეფანცსდა, რაჲთა რაჟამს გეუწყოს სიკუდილი
ჩემი, მწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და მუნ დაჰმარხეთ,
სადა ნათელ-ვიღე.

და ვითარცა დაასრულა ლოცვაჲ და ვედრებაჲ და თხოვაჲ
უფლისა მიმართ, ჰრქუა მსახურთა მათ მარზაპნისათა: „აწ აღასრუ-
ლეთ განჩინებული იგი ბრძანებაჲ ჩემ ზედა". ხოლო მათ არა უნდა
მოკლვის. ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქუა: „ჩუენ მოვსწყდებით,
უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი". მაშინ მიყვნეს ჴელნი მათნი მის ზედა

რომ მახვილის პირით დაიხოცა, ზოგი - ტბის ყინულით, ზოგი
ზღვაში ჩაყრით მოისრა, ზოგი - ცეცხლით, ზოგი კი მხეცები-
სგან შეიჭამა შენი სახელის გამო და მიიღო ის შენმიერი დანა-
პირები, „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, ადამიანის
გულამდე არ მოსულა, რაც გაუმზადე შენს წმინდა მოწამეებს“;
მეც, უფალო, ღირსი გამხადე მათთან მონაწილეობისა, მათეუ-
ლი სამკვიდრებლისა, მათთან სიხარულისა, მათთან დაუსრულე-
ბელი შვებისა, მე - მოწამეთაგან უკნინესი ბოლო დროისა,
როგორც ამბობს პავლე მოციქული: „მე ვარო უკნინესი მო-
ციქულთაგან“. შენ იცი, უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რომ არავინ
ვირჩიე შენზე მეტად, არც მამა, არც დედა, არც ძმები, არც ნათე-
სავები, არამედ ერთადერთი შენ შეგიყვარე, უფალო, და შენი
სახელის გამო აჰა, თავი წამეკვეთება დღეს. ამას ვლოცულობ,
გევედრები და ვითხოვ შენგან, კეთილისგან, რომ არ დარჩეს ჩემი
სხეული აქ, თბილისში, არამედ დაიმარხოს იგი წმინდა მცხეთა-
ში, სადაც შენ გამომიჩნდი, და ჰქონდეთ ჩემს ძვლებს მადლი და
კურნება, როგორც იმ პირველთ“.

და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა ევსტათის, უთხრა რა
ასე: „არ იქნები შენ კურნების მადლით უფრო ნაკლები იმ
პირველებზე, რომლებმაც მირწმუნეს მე, ხოლო შენი სხ-
ეულისთვის ნუ ზრუნავ; ისე იქნება, როგორც შენ თქვი, რომ
მომხდარიყო“. გამხიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა
ღმერთს. ამასთან, წმინდა ევსტათის ადრევე შეეტყობინებინა
ნეტარი სტეფანესთვის: „როდესაც გეუწყება ჩემი სიკვდილი,
სწრაფად წაიღე ჩემი სხეული მცხეთაში და დამარხეთ იქ, სა-
დაც მოვინათლე“.

და როდესაც დაასრულა მან ლოცვა-ვედრება და თხოვნა
უფლის მიმართ, უთხრა მარზაპნის მსახურებს: „ახლა შეასრუ-
ლეთ ჩემზე განჩინებული ბრძანება“. მათ არ უნდოდათ მისი მოკვ-
ლა, მაგრამ ერთმა მათგანმა უთხრა მათ: „ჩვენ დავიხოცებით, თუ
ეგ ცოცხალი დარჩება“. მაშინ გაიწვდინეს მისკენ თავიანთი ხე-

და სცეს მახჳლითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკუეთეს თავი მისი, და შეჰვედრნა სულნი თჳსნი ქრისტესა მეუფესა.

ხოლო გუამი მისი ღამე განიღეს გარეშე და დააგდეს მუნ. ხოლო ცნეს ვიეთმე ქრისტეანეთა და წარიღეს იგი მცხეთას, რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ მყოფთა ქრისტეანეთადა. ვითარცა მიიწინეს მცხეთას, უთხრეს სტეფანეს, და სტეფანე აუწყა სამოელს კათალიკოზსა, ხოლო მან ფრიად განიხარა და დაჰმარხა იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმიდასა ეკლესიასა მცხეთისასა და ვიდრე აქამომდის იქმნებიან კურნებანი სნეულთანი მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, რომლისაჲ არს სუფევაჲ და ძლიერებაჲ, პატივი და სიმტკიცჱ და დიდებაჲ მოუკლებელი სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამენ.

* * *

ლები, დაარტყეს მახვილი მის პატიოსან კისერს და წაკვეთეს მისი თავი; და მიაბარა მან თავისი სული მეუფე ქრისტეს.

ხოლო მისი სხეული ღამე გარეთ გაიტანეს და იქ დააგდეს, მაგრამ გაიგეს ეს ვიღაც ქრისტიანებმა და წაიღეს იგი მცხეთაში, რადგან სტეფანეს ეუწყებინა [ამის შესახებ] იქ მყოფი ქრისტიანებისთვის. როდესაც მივიდნენ მცხეთაში, შეატყობინეს სტეფანეს, სტეფანემ კი აუწყა სამოელ კათალიკოსს, ხოლო მან მეტად გაიხარა და დამარხა იგი დიდი დიდებითა და პატივით მცხეთის წმინდა ეკლესიაში. ვიდრე აქამდე ხდება იქ სნეულთა კურნებანი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლით, რომლისაც არის სუფევა, ძლიერება, პატივი, სიმტკიცე და მოუკლებელი დიდება სულიწმინდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

* * *

შენიშვნები

[1] „**მარზაპნობა**“ - გამგებლობა, იპატოსობა, სატრაპობა.

[2] დედნისეული „**დღითა**“ ნიშნავს: **„ასაკით“, „წლოვანებით**“.

[3] დედნისეული „**ყრმა**“ აქ „**ჭაბუკს**“ ნიშნავს (ეს მნიშვნელობა „**ყრმას**“ აქვს. შდრ. ი. 21.18 ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში „**ჭაბუკი**“, ჰადიშურში „**ყრმა**“).

[4] დედნისეული „**მეჯადაგე**“ საბას განმარტებით „**მეჯღანეა**“ (თუმცა ძველ ქართულში **„ჯადაგი“//„ჯადაგო**“ ნიშნავდა **„მჭევრმეტყველს“, „ორატორს**“. იხ. საქ. მოც. 24.1, სადაც ბერძნ. **„რეტორ“** უძველეს ვერსიებში გადმოცემულია როგორც „**ჯადაგო**ბ“, რასაც გიორგი მთაწმინდელი ცვლის ტერმინით „**მეტყუელი**“)

[5] „**ტოზიკი**“ - დღესასწაული, ლხინი, განცხრომა (ნუსხათა ნაწილში: „**ზატიკი**“).

[6] „**მეტოზიკე**“ - მედღესასწაულე (ნუსხათა ნაწილში „მეზატიკე“).

[7] „**ტოზიკობა**“ - „განცხრომა“, „დღესასწაულობა“, „მსხვერპლშეწირვა“ („**ზორვა**“). ხელნაწერთა ნაწილში: „**ზატიკობა**“. საგულისხმოა, რომ „**ტოზიკობა**ბ“ გვხვდება „ძველი აღთქმის“ უძველეს ქართულ რედაქციაში (იხ. ი. აბ. ლექს., გვ. 413). მაგალითად: „სახლისა **ტოზიკობისა (J: ტოზიკებისა)** მათისასა არა შეხჳდე დაჯდომად მათ თანა ჭამად და სუმად” (OJ, იერ. 16.8). სხვა რედაქციაში „**ტოზიკობას**“ ცვლის „**განცხრომა**“ („სახიდ **განცხრომისა** მათისა ...“, ბაქარის ბიბლია). კიდევ: „არცაღაღა თუ ვიდიდებოდე შუებასა მას მეფისასა თანა და არცაღა სადა ვსუ ღჳნოჲ **ტოზიკობით**” (ესთ. 14.17, O ბაქარისეულში გვაქვს: „არცა ვსუ ღვნო **ნაზორევისაგან**“). ასე რომ, ოშკისეული „**ტოზიკობა**“ შეესაბამება ბაქარისეულ „**ნაზორევს**“. ბერძნულშია „**სპონდე**“, რაც, კერძოობითად, ნიშნავდა **„ღვინის შეწირვას**“ ანუ შესაწირავი ღვინის სამსხვერპლოზე, მსხვერ-

პლზე, მიწაზე დაღვრას კერპებისადმი შეწირვის ნიშნად, ზოგადად კი, **კერპებისადმი მსხვერპლშეწირვას**). სომხურში გვაქვს „**სპანდ**“ („მსხვერპლშეწირვა“), ლათინურში „**ლიბამენ**“ („ღვინის შეწირვა“). ზემორე ტერმინთშესიტყვობანი გვიჩვენებს, რომ „**ტოზიკობა**ბ“ უიგივდება „**ნაზორევს**“ ანუ ბერძნულ „**სპონდე**“-ს. საკუთრივ „**ნაზორევი**“, ისევე როგორც მასთან შინაარსობრივად იგივეობრივი „**ნაგები**“, ძველ ქართულში ძირითადად გადმოსცემდა ბერძნულ „**თგსია**“-ს (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 347-3).

[8] მ. 10.32-33.

[9] შდრ. ლ. 1.28.

[10] **„ვიდრე უღვთოება**“ - ეს სიტყვები დედანში უშუალოდ ებმის წინარე წინადადებას, მაგრამ აშკარაა, რომ ან თვით ეს სიტყვებია დამახინჯებული, ანდა მათ წინ აკლია ტექსტს რაღაც.

[11] **„ეშმაკი შეუვიდა“** — შდრ. **„ეშმაკი შეუდდა**“; ანალოგიური გამონათქვამები წმინდა წერილის ძველ ქართულ ვერსიებში არაიშვიათია. მაგალითად: „ სული უფლისაჲ განეშორა საულისგან და **შეუჴდა მას სული უკეთური** ბრძანებითა უფლისაჲთა და აჭირვებდა მას” (I მფ. 16.14 — OFS; შდრ. JA: „ ამიერითგან სული უფლისაჲ განეშორა საულისგან და **სულმან უკეთურმან შეიპყრა** და აჭირებდა”; B: „სული უფლისა განეშორა საულისგან და **შეაშთო იგი სულმან ბოროტმან** უფლისაგან”); „ჰურიათა უღმრთოებისათჳს წინაჲსწარ სიტყუაჲ შემდგომად ქრისტჱს მოსლვისა, რომელ **შეუჴდეს მათ ძჳრი**” (O, სქოლიო იერ. 16.18-ზე). კიდევ უფრო ხელშესახებია ლკ. 22.3, რაც ჩანს სწორედ გამოყენებული „მარტვილობის“ ავტორის მიერ: „და **შეუდდა ეშმაკი** იუდას“ (ჯრუჭ-პარხლისა და გიორგისეული; ჰადიშურს აკლია; შდრ. აგრეთვე: „ზრუნვანი ამის სოფლისანი და **საცთური სიმდიდრისაბ შეუددის**“, მრ. 4.19 — DE და გიორგისეული; შდრ. ჰჰადიშ: „ზრუნვა-

თა ამის სოფლისათა და საცთურმან სიმდიდრისამან, რომელ **შეერინიან**“).

[12] „**კალათი**“ - უძველეს ხელნაწერში (H 341) გვაქვს „**ფსირიდი**“ (= „კალათი“), სხვა ნუსხებში კი „**ფსიადი**“, რაც ძველ ქართულში, ერთი მხრივ, ნიშნავს „**ფიალას**“ (იხ. გამოსლ. .29 - ოშკური: „**ფსიადები**“, საბასეული: „**ფიალები**“), მეორე მხრივ კი - „**ჭილს**“, „**ჭილოფს**“, „**საგებს**“ (ბერძნ. „**ფსიათოს**“). ასე რომ, კონტექსტის მიხედვით არც „**ფსიადია**“ შეუძლებელი (ცხადია, სხვაა ის საწერი „**ჭილი**“, რაც ბერძნულ „**პაპიროს**“-ს გადმოსცემს; შდრ. იობ. 40.16/21).

[13] „**სპარსთა მეფის წარგზავნილი**“ - დედანი: „**მწოდებელი სპარსთა მეფისაბ**“. აღნიშნული ადგილი ადასტურებს, რომ „**მწოდებელი**“ სპეციალური ტერმინია და არა უბრალოდ მიმღეობური ფორმა ზმნისა „**წოდება**“. მართლაც, აქ რომ „**მწოდებელი**“ ჩვეულებრივ „**მხმობელს**“ ნიშნავდეს, მაშინ „**მწოდებელი სპარსთა მეფისაბ**“ „**სპარსეთის მეფის მხმობელად**“ უნდა გაგვეაზრებინა, რაც ნონსენსია. ასე რომ, „**მწოდებელი**“ გარკვეული ფუნქციის მქონე ნდობით აღჭურვილი პირის აღმნიშვნელია და კონკრეტულად „**მივლინებულს**“, „**წარგზავნილს**“, „**წარმომადგენელს**“ უნდა ნიშნავდეს. ამიტომ ვთარგმნეთ ზემოთაც „**მწოდებელი**“ „**წარგზავნილად**“ (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 8-9).

[14] „**სეფეწული**“ - მეფური ჩამომავლობის დიდგვაროვანი, ბერძნ. „**ბასილიკოს**“ (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 9).

[15] ე. ი. აღესრულა.

[16] „**ქრისტიანობენ**“ — შდრ. „**ქრისტეანობენ**“. ეს რთული ტერმინი დამადასტურებელია ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი დაწინაურებულობისა აღნიშნულ ეპოქაში. ცნობილია, რომ ტერმინი „**ქრისტიანიზმი**“ („**ქრისტიანისმოს**“) წმ. ეგნატი ანტიოქიელმა გამოიყენა პირველად II ს-ის

დამდეგს (რომლის ზმნური ფორმაცაა ზემორე სიტყვა), შექმნილი პავლე მოციქულისგან გამოყენებული „ჰურიაების“ („**იუდაისმოს**“) (შდრ. გალატ. 2.14) ანალოგიით. ზმნა „**ხრისტიანიძო**“ გვხვდება ორიგენესთან, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან, კირილე სკვითოპოლელთან, V ს-ის საეკლესიო ისტორიკოსებთან და სხვ.

[17] შდრ. „**მთავარნი იგი კაცნი**“ - ე. ი. წარჩინებულები.

[18] „**ჟამნობა**“ - აღნიშნული ტერმინი (შდრ. „**ჟამნობაბ**“) მოცემულ ადგილას (და არა უკლებლივ ყველა შემთხვევაში) უიგივდება „**ჟამობას**“, რომელიც ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ „**ფსალლო**“-ს და, შესაბამისად, ერთი მხრივ ნიშნავს საკუთრივ ფსალმუნთა გალობას სათანადო ჟამთა ანუ საათთა მიხედვით (შდრ. კიმენი II, გვ. 223), მეორე მხრივ კი, გაცილებით ხშირად, ზოგადად საეკლესიო ლოცვასა და გალობას (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 360-361).

[19] „**ბაგინი**“ არსებითად იგივეა, რაც ბერძნული „**ბომოს**“ („ბომონი“). იგი აგრეთვე უიგივდება არაეკლესიური შინაარსით გამოყენებულ „**ჰიერონ**“-ს („ტაძარი“), ისევე როგორც შეიძლება გადმოსცემდეს ანალოგიური შინაარსის სხვა ტერმინებს (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 361-367).

[20] აქ ტექსტი დამახინჯებულია, რადგან მეორდება აბრაამის ქანაანში დამკვიდრება.

[21] შდრ. „**ღუაწლსა შინა**“. ტერმინი „**ღუაწლი**“, ერთი მხრივ, გადმოსცემდა „**ასპარეზობის**“ აღმნიშვნელ „**ათლესის**“-ს. მეორე მხრივ, საკუთრივ „ომის“ აღმნიშვნელ „**პოლემოს**“-ს.

[22] „**მაღალი სერტყეები**“ - „**სერტყი**“ ძველ ქართულში ნიშნავდა როგორც ჩვეულებრივ „**ტყეს**“, ასევე წარმართული კულტმსახურების ადგილს, ე. წ. „**წმინდა ტყეს**“ (ბერძნ. „**ალსოს**“)

[23] ეს აბზაცი „მარტვილობის“ ყველაზე უფრო თეოლოგიური ნაწილია, სადაც ლაკონურადაა გადმოცემული, ერთი მხრივ, წმინდა მოძღვრება მაცხოვრის განკაცების სოტერიოლოგიური არსის შესახებ, მეორე მხრივ კი, ამავე სოტერიოლოგიური დანიშნულებით, აღდგომის წინმსწრები ორი ეპოქალური მოვლენის, შობისა და ნათლისღების ეკლესიოლოგია (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. 368-392).

[24] **„სეფა“** - დედნისეული **„საქორწინე“** ძველ ქართულში სამი მნიშვნელობით დასტურდება: 1. საქორწილო, ქორწილისა მ. 22.12 - „სამოსელი **საქორწინე**“ (ჯრუჭ-პარხლისა; ჰადიშურში **„ქორწილისაბ“**); 2. საქორწილო საძინებელი, ახალდაქორწინებულთა ოთახი (ბერძნ. **„ნიმფონ“**): „ნუთუ ეგების შვილთა **საქორწინისათა** გლოვაბ?“ (მ. 9. - ჰადიშური; ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში გვაქვს **„სიძისათა“**, რაც ბერძნულ შესატყვისად გულისხმობს **„ნიმფიოს“**-ს); „დაშთეს გარეშე **საქორწინესა** მას“, მამათა სწავლანი, თბ. 15, გვ. 49.20 (ქართული ნიმუშებისთვის იხ. ი. აბ., ლექს., გვ. 3); 3. საქორწილო სახლი, სეფა (შდრ. ი.აბ. ლექს., გვ. 3; ი. იმნაიშვილი, სინ. მრავ., გვ. 218). „ევსტათის მარტვილობის“ ტექსტში, კონტექსტის მიხედვით, **„საქორწინე“** მესამე მნიშვნელობისაა.

[25] ეს თხრობა დიდადაა დაშორებული სახარებათა ტექსტს. თუმცა მაცხოვრის მიერ წყალზე ფეხით მსვლელობის შესახებ მათეს სახარებაში მართლაც ხალხის სასწაულებრივი დაპურების შემდეგაა ნაუწყები (მ. 14.-26), მაგრამ ის, რომ მოწაფეებიც მისებრ დადიოდნენ ზღვაზე, არსადაა უწყებული, თუ არ ჩავთვლით პეტრეს ცნობილ ამბავს (მ. 14.28-31).

[26] ეს თხრობაც დიდად სხვაობს სახარებისეული ტექსტისგან. მიმდევრობითაც, ლეგეონით შეპყრობილი ადამიანის ამბავი წინ უსწრებს ხალხის დაპურებისა და მაცხოვრის ზღვაზე სვლის ამბებს (ი. მრ. 5.2-17; ლ. 8. 27-37), თან აღნიშნული

ლეგეონი ქვესკნელში კი არ დაინთქმება, არამედ ღორების კოლტში შევა და ეს კოლტი ჩაიხრჩობა ზღვაში.

[27] **„მარტვილობის“** ტექსტიდან ისე ჩანს, თითქოს იოსებ არიმათიელამდე სხვას გადმოეხსნას უფალი ჯვრიდან (შდრ. **„და მწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით. ხოლო კაცი ერთი იყო დელმწიფე და მოწაფე ყოფილ იყო ქრისტასა. მან აღიღო გუამი ქრისტასი და დადვა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი მიაგორვა კარსა ზედა სამარისასა“).** სინამდვილეში, უფლის სხეულის გარდამოხსნა სწორედ იოსებს და ნიკოდემოსს უკავშირდება. მაგალითად: **„იოსებ... გარდამოჰდსნა იგი“** (ლ. 23.53. შდრ. ჰადიშური: **„იოსებ... გარდამოიხუნა“**); **„იოსებ... ნიკოდემოსცა... მოიღეს** (ჰადიშური: **„გარდამოიხუნეს“**) **გუამი იესუბსი** (ჰადიშური: „**დორცნი იგი იესუბსნი“**)“ (ი. 19.40).

აბო თბილელის მარტვილობა

წინათქმა

არაბი მენელსაცხებლის აბოს მოღვაწეობა, როგორც მისი „მარტვილობიდან“ ვიგებთ, ქართველ ქრისტიანთა სულიერი გამოფხიზლებისა და სარწმუნეობაში მათი განმტკიცების საწინდრად იქცა. თვით კათალიკოსისგან გაიცა ბრძანება ამ მოვლენის ღირსეული აღწერილობის შესაქმნელად, რაც დამატებით უსვამს ხაზს მომხდარის განსაკუთრებულობას. დიდად განათლებული (ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით) იოანე საბანისძე მორჩილებით აღასრულებს კათალიკოსისგან ნაბრძანებს და გაუხუნარ განძად უტოვებს თაობებს ვრცელ თხრობას აბოს მარტვილური ხვედრის შესახებ. დიდი სიკეთეა, რომ VIII ს-ის 80-იან წლებში დაწერილი ნაშრომი უძველესი (IX-X სს-ის) ნუსხებითვე შემორჩა ჩვენამდე, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „მარტვილობის“ ტექსტი უცდომლად იყოს დადგენილი და არ საჭიროებდეს მნიშვნელოვან დაზუსტებებს. მართალია, თავის დროზე პროფესორმა კორნელი კეკელიძემ მეცნიერულად შეისწავლა მისთვის ხელმისაწვდომი ნუსხები და შედეგად მოგვცა მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, მაგრამ მისეულ გამოცემაში ვერ აისახა ათონის მთაზე დაცული ხელნაწერის მონაცემები, რადგან მაშინ ამ ნუსხის მიკროფირის მოპოვება სრულიად შეუძლებელი იყო. ასევე უცნობი დარჩა კ. კეკელიძისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი სინური ნუსხაც. ამ ნუსხათა მიკროფირები თუმცა შემდგომში ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ მათ მაინც ვერ ჰპოვეს ასახვა „მარტვილობის“ გვიანდელი გამოცემების ძირითად ტექსტში, მაშინ როცა არსებულ ხელნაწერთა კოლაცია უეჭველს ხდის, რომ სწორედ ათონური (და არაიშვიათად მასთან თანმხვდომი სინური) ნუსხა ინარჩუნებს მნიშვნელოვანწილად თავდაპირველი ტექსტის ვითარებას, რაც სხვა ნუსხებში ნაწილობრივ წარხოცილია. წინამდებარე გამოცემაში, ბუნებრივია, სწორედ ამ ნუსხის მონაცემებია პირველ რიგში ყურადღებული და გათვალისწინებული.

წიგნი სამოელ კათალიკოსისაჲ
იოვანეს მიმართ საბანის ძისა[1]

მე, სამოელ ქრისტჱს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანისძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკ-ლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგი-კითხავ! მშჳდობაჲ იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტჱს მიერ! ჩუენ თჳთ უწყით წადიერებაჲ შენი ღმ-რთისმსახურებისათჳს და ღმრთივმიმადლებული შენი მეცნიერე-ბაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათჳს. შენ თჳთ უწყი სანატრელისა ამის ახ-ლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა ამათ შინა იმარტჳლა მეოხად ქრისტჱს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს.

მნებავს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტჳრობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტჱს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაჴსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთჳსცა მოვაჴლინო წიგნი ესე ჩემი ჴელითა ხსართან მღდელისა ჩემისაჲთა,.აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩემი და ჯუარისა დაწერაჲ ჴელითა ჩემითა და შეწევნითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთადა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდათა მო-ციქულთა და მოწამეთაჲთა ჴელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშ-მარიტად, ვითარ იყო და ვითარ შენ თჳთ უწყი, და აღწერე მარ-ტჳრობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩუენ მოგჳძღუანე, რაჲთა უმეტჱს ლოცვა-ვყოთ შენთჳს. მადლი უფლისაჲ იყავნ შენ ზედა, ამჱნ!

[1] დასათაურება პირობითია

სამოელ კათალიკოსის ეპისტოლე
იოანე საბანისძის მიმართ

მე, სამოელ ქრისტესმიერ ქართლის კათალიკოსი, უფალ იოანე საბანისძეს, წმინდა კათოლიკე ეკლესიის სულიერ შვილს და ჩვენთვის საყვარელს, ლოცვით უფლის მიერ მოგი-კითხავ. მშვიდობა იყოს შენზე და შენი სახლის მთელ კრე-ბულზე ქრისტეს მიერ. ჩვენ თავად ვიცით შენი წადიერება ღვთისმსახურებისთვის, შენი ღვთივმიმადლებული ცოდნა საღვთო წიგნებისა და შენი გულმოდგინება კარგი საქმეების სამოღვაწეოდ. შენ თვით იცი ამ სანატრელი ახალი მოწამის აბოს შესახებ, რომელიც ამ დღეებში ეწამა ჩვენს და მთელი ჩვენი ქვეყნის, ქართლის, მეოხად ქრისტეს მიმართ.

მნებავს, რომ დაიწეროს ამ სანატრელის „მარტვილობაც“ (როგორც იმ პირველი ქრისტესმოწამეებისა) და დაიდოს ესეც წმინდა კათოლიკე ეკლესიაში ყველასთვის გასახსენებლად, ვინც კი ჩვენს შემდეგ იქნება. ამის გამო ვგზავნი შენთან ამ წერილს ჩემი მღვდლის ხსართანის ხელით. ახლა მიიღე ეს წერ-ილი, ჩემი დალოცვა და ჯვრის დაწერა ჩემი ხელისგან, და შენც ღვთის — მამის, ძისა და სულიწმინდის — შეწევნით, აგრეთვე ღვთისმშობლის, წმინდა მოციქულებისა და მოწამეებ-ის მეოხებით შეუდექი სრული ჭეშმარიტებით გადმოცემას, როგორც იყო და როგორც შენ თვითვე იცი, და აღწერე წმინდა მოწამე აბოს მარტვილობა, აღწერილი კი ჩვენ მოგვიტანე, რომ უფრო მეტად ვილოცოთ შენთვის. მადლი უფლისა იყოს შენზე. ამინ.

პასუხი წიგნისაჲ იოვანჱს მიერ

მარადისსაწადელი და თავყუანისსაცემელი ბრძანებაჲ ღმრთივპატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე ჴელითა სიწმიდისმოყუარისა ხსართან მღდელისაჲთა, რომლისათჳსცა აღპყრობითა ჴელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ქველისმოქმედისა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა, რომელმან არა დავიწყებულ-ყო სიმდაბლჱ ესე ჩემი ღმრთისა შემწყნარებელთა წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელთაცა-ესე ღირს-ვიქმენ მე მიმთხუევად; და უფროჲსღა ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან დაჰნერგა გულსა მამფლისასა ესევითარისა ამის ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ ჴორცთა მექმნების მე საუკუნოდ მიმართ და სოფელსა ამასცა.

აწ რაჲ-მე მოვაჴსენო უფლებასა თქუენსა? მძიმე არს ჩემდაორკერძოვე. უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთჳსცა იტყჳს: „უღრმჱსსა შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერჱსსა შენსა ნუ გამოიკითხავო“. ამისთჳს შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე, და შეშფოთნა გონებაჲ ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობჱსად შევჰრაცხე მორჩილყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი და აღვიმართე ღმრთისსათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძღუნისმიმპყრობელისა ღმრთისა მარჯჳენისა თქუენისა ჯჳარისა დაწერითა ჩემ უღირსსა ზედა, და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთმთავრისა მის სოლომონის მიერ თქუმული, ვითარმედ: ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა. ვითარცა-იგი მან თჳსსა უდიდჱსსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თჳსა, მეცა გულსმოდგინე ვიქმენ უძლი-

წერილზე პასუხი იოანეს მიერ

ჩემი ღმრთივპატიოსანი პატრონისა და ბატონის მარადსაწადელი და თაყვანსაცემი ბრძანება მივიღე სიწმინდისმოყვარე ხსართან მღვდლის ხელით, რის გამოც ჩემი ხელების ზეაპყრობით ჩემმა უღირსებამ მადლობა შესწირა ყოვლადძლიერსა და ქველმოქმედ ქრისტეს, ჩვენს ღმერთს, რომელმაც არ გახადა დავიწყებული ჩემი სიმდაბლე თქვენს ღვთისშემწყნარებელ წმინდა ლოცვებში, რომელთა მიღების ღირსიც გავხდი მე; ამასთან, უფრო მეტად ვაქებ და ვაკურთხებ მე ღვთის მოწყალებას, რომელმაც შთანერგა პატრონის გულში ამგვარი [საქმის] გამო ბრძანების [გაცემა], რაც ჩემთვის გახდება სარგებელი და ნაყოფი სულისა და სიამაყე და სიხარული ხორცისა საუკუნოდაც და ამ სოფელშიც.

ახლა რაღა მოვახსენო თქვენს უფლებამოსილებას? მძიმეა ჩემთვის ორივე მხრივ. თუკი ვეურჩები თქვენს ბრძანებას, დაწერილია, რომ „ურჩი შვილი წარსაწყმედელს მიეცესო“ (იგავ. 13.1), ხოლო თუ მორჩილებას მოვინდომებ, ამისთვისაც ამბობს იგი, რომ „შენზე ღრმას ნუ გამოეძიებ და შენზე ძლიერს ნუ გამოიკვლევო“ (ზირ. 3.22).[1] ამის გამო შიშმა და წუხილმა შემიპყრო მე, შეშფოთდა ჩემი გონება, დავეცი და მოვაკლდი ცოდნას, მაგრამ უმჯობესად მივიჩნიე ჩემი ბატონის ბრძანებისადმი ჩემი თავის დამორჩილება, რითაც კვლავ გავძლიერდი და აღვემართე თქვენი ღვთისსათნო წმინდა ლოცვითა და ღვთისადმი მარადის ძღვნის მიმწოდებელი თქვენი მარჯვენის მიერ ჩემზე, უღირსზე, ჯვრის გადაწერით. ამასთან, ვისწავლე ბრძენთმთავარი სოლომონის მიერ ნათქვამიც: „მიჰბაძე ჭიანჭველას, ზარმაცო, და გახდი მისებრ მშრომელი“ (იგავ. 6.6-9), რადგან ისევე, როგორც იგი შეებმება გულმოდგინედ მასზე უფრო დიდ ხორბლის მარცვალს, მანამ, სანამ არ აიღებს მას და არ წაიღებს თავის საზრდოდ, ასევე მეც გულმოდგინება მაქვს

ერწსსა ჩემსა აღებად და წადიერებაჲ გულისა ჩემისაჲ აღავსო უფალმან.

და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკლებული მარტჳრობაჲ, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მოწამისაჲ, მადლითა და მეოხებითა მისითა, და მოგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომლისათჳს კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტწსმოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რაჲთა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა უღირსებაჲ ჩემი.

იმისა, რომ „ავიღო“ ჩემზე უფრო „ძლიერი“ და უფალმა აღავსოს ჩემი გულის წადიერება.

და ჩემი უღირსი გონების მიერ აღვწერე შემოკლებული მარტვილობა, ჭეშმარიტი და უტყუარი, წმინდა მოწამისა, მისივე მადლითა და მეოხებით, და მოგართვი ჩემს ბატონს, რისთვისაც კვლავ ვითხოვ ვედრებით: მოსაწონი გახადოს უფალმა [ეს აღწერილობა] თქვენს გულში და მთელი ქრისტესმოყვარე ხალხის გულში, ვინც კი აღმოიკითხავს მას, რომ კვლავ და კვლავ თქვენი ლოცვების მოზიარე გახდეს ჩემი უღირსება.

წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი

რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა

პირველი თავი: ღმრთისმსახურთა და მარტჳრთმოყუარეთა კრებულისათჳს თხრობაჲ და უწყებაჲ [და] მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲს ჴსენებაჲ.

მეორჱ თავი: ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი.

მესამჱ თავი: მარტჳრობაჲ წმიდისა ჰაბოჲსი.

მეოთხჱ თავი: ქებაჲ სანატრელისა მოწამისა ჰაბოჲსი.

პირველი თავი

ღმრთისმსახურთა შეკრებულთა მათ უწყებაჲ და მარტჳრთმოყუარეთა მათ სწავლაჲ და ახლისა ამის მოწამისა მოჴსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი

საყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტჱს, ძისა ღმრთისანო, და სამკჳდრებელნო სულისა წმიდისანო! გხედავ თქუენ, ვითარცა ღმრთივცნობილთა და ღმრთისმცნობელთა, ამისთჳსცა გარქუ თქუენ მონად და მეგობრად ქრისტჱსა, არამედ მონად ამისთ□ს, რამეთუ „პატიოსნითა სისხლითა" მისითა „სყიდულ ხართ" თქუენ, ხოლო მეგობრად ამისთჳს, რამეთუ მისნი შექმ-

ქრისტეს წმინდა და ნეტარი მოწამის აბოს წამება

რომელიც ეწამა ქართლში, ქალაქ თბილისში, სარკინოზთა ხელით, გამოთქმული საბანის ძის იოანეს მიერ სამოელის, ქრისტესმიერ ქართლის კათალიკოსის, ბრძანებით

პირველი თავი: ღვთისმსახური და მარტვილთმოყვარე კრებულისთვის თხრობა, უწყება და სწავლება, და ამ ახალი მოწამის აბოს ხსენება.

მეორე თავი: ნეტარი აბოს ქართლში შემოსვლა და ნათლისღება.

მესამე თავი: წმინდა აბოს მარტვილობა.

მეოთხე თავი: სანატრელი წმინდა მოწამე აბოს ქება.

პირველი თავი

შეკრებილ ღვთისმსახურთა მიმართ უწყება, მარტვილთმოყვარეთათვის სწავლება და ამ ახალი მოწამის, წმინდა აბოს ხსენება.

მამისთვის საყვარელნო, და ქრისტეს მეგობარნო და მონანო, და სულიწმინდის სამკვიდრებელნო, გხედავთ თქვენ, როგორც ღვთისგან შეცნობილთ და ღვთის შემცნობელთ. ამიტომაც გიწოდეთ თქვენ ქრისტეს მონებად და მეგობრებად; „მონებად" იმის გამო, რომ „მისი პატიოსანი სისხლით ხართ თქვენ ნაყიდი" (Iკორ. 6.20), ხოლო „მეგობრებად" იმიტომ, რომ მისი

ნულნი ვართ და მისნი დაბადებულნი და სიყუარულითა მისითა ნა-
თელ-გჳღებიეს.

აწ გლოცავ თქუენ ქრისტჱს მიმართ, სურვიელითა გულითა
მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა
საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი გან-
ჰმარტენით სმენად და მასპინძელ-ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა,
რამეთუ ქრისტჱსთჳს არიან და სანატრელთა ამისთა მოწამეთათჳს.
შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანჱ განუმზადეთ,
რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკჳდრებად ასოთა შინა თქუენთა, ვი-
თარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღუარმან ეკლესი-
ათამან, ვითარმედ: „ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ
დამკჳდრებულ არს თქუენ შორის“; და უფალი იტყჳს
წინაწარმეტყუელისა მიერ: „მე მოვიდე და დავემკჳდრო თქუენ
შორის“, და წმიდასა სახარებასა იტყჳს, ვითარმედ: „სასუფეველი
ღმრთისაჲ გულთა შინა თქუენთა არს“.

ამისთჳს, საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ,
რაჲთა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყჳთა და თქუენ სმენითა, – რაჲთა
ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენთაჲ.

და არათუ ჩემდა ხოლო მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადე-
ლი ესე მარტჳრობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ
ჯერ-არსთქუენდა დაკჳრვებად ჩემ თანა, რომელნი-ესე შემოკრე-
ბულსა ამას ჟამსა მეშჳდესა დარსა ზედა ჰსდგათ, რომლისა ჟამისათჳს
უფალი იტყჳს, ვითარმედ: „მრავალნი ჰსცთებოდიან და მრავალთა
აცთუნებდენ“, და მოციქული პავლე მიჰსწერს ტიმოთესა, ვითარმედ:
„მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-
იდებდენ, არამედ გულისთქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებ-
დენ მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სას-
მენელნი მათნი გარემიაქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა-
ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის. რამეთუ რომელნი-ესე
ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა, მან-

შექმნილები და დაბადებულები ვართ და მისი სიყვარულით
მოვნათლულვართ.

ახლა, გევედრებით თქვენ ქრისტეს მიმართ, რომ
წადიერი გულით მომაპყროთ თქვენი ეგ ხილული ყურთასმე-
ნა, უფრო კი თქვენი გულისა და გონების ეგ გრძნობადი ყურნი
გახსნათ მოსასმენად და უმასპინძლოთ ამ ჩემს სიტყვებს, რად-
გან [ეს სიტყვები] ქრისტესთვის არის[2] და მისი სანატრელი
მოწამეებისთვის, რომ მიიღოთ ისინი თქვენი სხეულის კარავში
და სამყოფელი მოუმზადოთ მათ, რადგან უფალს ნებავს დამკვი-
დრება თქვენი [სხეულის] ნაწილებში, როგორც თქვა ეს წმინდა
პავლე მოციქულმა, ეკლესიათა მოძღვარმა: „ტაძრები ხართ ღვ-
თისა და სულიწმინდაა დამკვიდრებული თქვენში“ (I კორ. 3.16).
უფალიც ამბობს წინასწარმეტყველის მიერ: „მე მოვალ და
დავმკვიდრდები თქვენში“ (ზაქარ. 2.10), და წმინდა სახარებაში
კი ამბობს: „ღვთის სასუფეველი თქვენს გულებშია“ (ლკ. 17.21).

ამიტომ, საყვარელნო, ნუ მოგეწყინებათ ამ სიტყვათა სმენა,
რომ ფუჭად არ დავშვრეთ, - მე სიტყვით, თქვენ კი სმენით, -
რათა ერთად მოგვცეს ჩვენ უფალმა ჩვენი გარჯის საზღაური.

ამასთან, არათუ მარტოოდენ ჩემთვის არის საშური წმინდა
მოწამის ამ საწადელი მარტვილობის სმენა, არამედ, ასევე,
მართებს ყველა თქვენგანს, რომ გაკვირვებაში იყოს[3] ჩემთან
ერთად, რომლებიც კი „მეშვიდე ათასწლეულში“, - ამ „შემოკ-
ლებულ დროში“, - ვდგავართ, რა დროისთვისაც უფალი ამ-
ბობს: „ბევრი შეცდება და ბევრს შეაცდენენ“ (მთ. 24.5.11), და
მოციქული პავლე მისწერს ტიმოთეს: „მოვა დრო, როდესაც ამ
მაცხოვნებელ მოძღვრებას აღარ განიკუთვნებენ, არამედ საკუ-
თარი სურვილისამებრ თვითონვე შეიკრებენ მოძღვრებას ყურ-
თა ქავილით და ჭეშმარიტებისგან მიაბრუნებენ ყურთასმენას
და ზღაპრებს მიუბრუნდებიან“ (II ტიმ. 4.3-4), რაც ხდება
კიდეც ახლა ამ დროს ჩვენს შორის, რადგან მრავალი ჩვენგანი,
ვინც მიწის ამ კიდეში ვართ, ამ ჩვენმა ზედამხედველებმა, ამჟა-

ქანებითა მით საცთურებისაჲთა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისაჲთა თჳთ თავით თჳსით შჯულისდებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱსგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა, და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნნეს, რომელნიმე მძლაფრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ-ღამორწმუნენი, მძლაფრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი, ქარისაგან ძლიერისა აღძრულნი. არამედ ქრისტჱს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშოფრებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.

ესევითარსა შინა ჟამსა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამჱ; არათუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოვებისაგან ჩუენისა, უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა, რომლისათჳს დღეს კუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებამან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გჳრგჳნოსან-ყო ეკლესიაჲ, და ყოველი კრებული ქრისტეანეთაჲ ერთბამად განანათლა; ყოველნივე პირნი ღირს-იქმნეს ამას დღესა გარდამატებულისა მადლისა შეწირვად ქრისტჱს მიმართ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა. რამეთუ მრჩობლ-იქმნა დღესასწაული ესე ღმრთისგამოცხადებისაჲ და მადლმან ღმრთისა მამისამან გამოჩინებითა მით ჩუენდა საყუარელისა ძისა თჳსისაჲთა და გარდამოსლვითა სულისა წმიდისა მისისაჲთა სარწმუნოვებითა შეთხზული იგი გჳრგჳნი მარტჳრთა თჳსთაჲ დადგა თავსა ეკლე-

მინდელმა ბატონ-პატრონებმა, თავიანთი თვითრჯულობითი მოძღვრების მზაკვრობით ქრისტესგან განდგომილებმა, სასტიკისა და სივერაგის გზით და საცთურების ხრიკით შეაცდინეს და გადადრიკეს ჭეშმარიტების გზისგან, და ისინი, რომლებიც ხუთასი წლის განმავლობაში და უფრო ადრეც ნათლისღების წმინდა მადლით არიან რჯულდებულნი, ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას ასცდნენ. იმ დროიდან დღემდე ქრისტიანთა[4] შვილები გადააგვარეს, ნაწილი — ძალადობით, ნაწილი — მოტყუებით, ნაწილი — ახალგაზრდული უმეცრებით, ნაწილი — მზაკვრობით, სხვები კი, რომლებიც ვართ-ღა მორწმუნეები, ძალადობის ქვეშ დამონებულნი და სინაკლულითა და სიგლახაკით, როგორც რკინით, შეკრულები, მათი ხარკის ქვეშ გვემულები, დატანჯულები და მეტად მძიმედ ვნებულნი, შიშით ილევიან და ირხევიან, როგორც ლერწმები - ძლიერი ქარისგან, მაგრამ, ჩვეულებისამებრ მამაპაპეული მსვლელობისა,[5] ქრისტეს სიყვარულითა და შიშით, და ჭირთა მოთმენით, არ შორდებიან ღვთის მხოლოდშობილ ძეს.

ასეთ დროს გამოჩნდა ახოვნად ეს წმინდა მოწამე, რომელიც არათუ თავიდანვე ჩვენგანი იყო, არამედ მოვიდა იგი, უცხო რჯულით, უმეცარი ჩვენი სარწმუნოებისა, და ქრისტეს, ჩვენს ღმერთს, შეემეცნა[6], რის გამოც დღეს წმინდა და ახალი მოწამის ამ ახალმა დღესასწაულმა და ზეიმმა კვლავ გვირგვინი დაადგა ეკლესიას და ქრისტიანთა მთელი კრებული ერთბაშად გაანათა. ყველა პიროვნება ღირსი გახდა ამ დღეს ქრისტეს, ჩვენი ჭეშმარიტი ღვთის, მიმართ მეტისმეტი მადლიერების შეწირვისა, რადგან გაორმაგდა ღვთისგამოცხადების ეს დღესასწაული[7] და მამაღმერთის მადლმა თავისი საყვარელი ძის ჩვენდამი გამოჩინებით და მისი წმინდა სულის გადმოსვლით სარწმუნოებისგან დაწნული გვირგვინი თავის მარტვილებს დაადგა ეკლესიის თავზე, რის გამოც დღესასწაულთა ეს სიმრავლე, როგორც გვირგვი-

სიაჯსასა, რომლისაგანცა სიმრავლჷ იგი დღესასწაულთაჯ, ვითარცა
გჳრგჳნი, გარემოადგს, და ღმრთისმოყუარეთა მათ ჩუეულებაჯ აქუს
მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოჯსათჳს დიდებისა. რამეთუ
ერთად შეკრებითა მით მათითა მრავალი ღმრთისმსახურებაჯ აჩუე-
ნიან, არათუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვნებისა
უძღებებაჯ შორის მათსა იპოვის არამედ ყოველთა წილ საჭმელთა
გემოვანთა ძალი იგი საღმრთოთა სიტყუათაჯ ტკბილად გამოვალნ
პირით, რამეთუ სიტყუაჯ იგი წინაწარმეტყველისაჯ ოხრინ შორის
მათსა, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფა-
ლო, უფროჯს თაფლისა პირსა ჩემსა“, რამეთუ შეკრებასა მას ჭამად-
თასა განძღებაჯცა აქუს, ხოლო ღმრთისა სიტყუათა ჴსენებასა არა
აქუს განძღებაჯ ღმრთისმოყუარეთა სულთა და კუალად „წმიდათა
მათ მარტჳრთა ჴსენებითა ვინმემცა განძღა მარტჳრთმოყუარჷ“? და
ერთგულებაჯცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყჳს უფალი წმი-
დათა მისთა: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა“.
ამისთჳს უფროჯს გულსმოდგინედ საღმრთოთა მათთჳს არნ შეკრე-
ბაჯ იგი მათი: მუნ შუა-წარმოიხუნიან სიტყუანი იგი ცხოერებისანი,
მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებაჯ აღორძნდებინ, მუნ სწავ-
ლანი იგი სიტკბოებისანი, მოძღურებანი იგი მადლისანი, მამათმთა-
ვართა იგი შუენიერებაჯ, წინაწარმეტყუელთა იგი დიდებაჯ, მო-
ციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწებაჯ, ქრისტჷსი იგი
თავსდებაჯ ჩუენთჳს - ვნებაჯ, რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ექმნის
ჭაპუკთა მოთხრობითა მით სიმჴნჷ იგი ქრისტჷს მოღუაწეთაჯ და სიქ-
ადულ და მხიარულებამოხუცებულთა ჴსენებაჯ იგი ღუაწლისა მის
მარტჳრთაჯსაჯ, და საწადელ და სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ,
მოწაფეთა და შვილთა ეკლესიაჯსათა კრებაჯ იგი დღესასწაულისა
მის წმიდათაჯსაჯ და ემსგავსნიან შორის ეკლესიასა ჴმანი იგი მათნი
ანგელოზთა მათ გალობისა შემსხმელთა და სული წმიდაჯ იხარებნ
შორის მათსა თავყუანისცემული, და მამაჯ იდიდებინ და კაცთ-
მოყუარებაჯ იგი და ქველისმოქმედებაჯ ძისაჯ იქადაგებინ. რამეთუ

ნი, გარშემო ადგას მას და ღვთისმოყვარეებს ჩვეულება აქვთ
ყოველჟამს მასში შეკრებისა საღვთო დიდებისათვის, რად-
გან თავიანთი ერთად შეკრებით მრავალ ღვთისმსახურებას
აჩვენებენ, თუმცა არათუ ფუჭ განცხრომათა და საჭმელთა
ნაყროვანების განუძღომლობა იჩენს თავს მათში, არამედ
ყველა გემრიელი საჭმლის სანაცვლოდ საღვთო სიტყვათა
ძალა ტკბილად გამოდის მათი პირიდან, ვინაიდან
წინასწარმეტყველის სიტყვა ხმოვანებს მათში: „ტკბილია
ჩემს სასაში შენი სიტყვები, უფალო, თაფლზე მეტად — ჩემს
პირში“ (ფს. 118.103). მართლაც, საჭმელთა შეკრებას გან-
ძღომაც ახლავს, ხოლო ღვთის სიტყვათა გახსენებას არ ახ-
ლავს განძღომა ღვთისმოყვარე სულებისთვის, და კიდევ,
„მის წმინდა მარტვილთა ხსენებით ვინ განძღება მარტვილთ-
მოყვარე?“. ამასთან, მათ ერთგულებაც აქვთ უფლისადმი,
რადგან ასე ეუბნება უფალი თავის წმინდანებს: „ვინც თქვენ
მიგიღებს, მე მიმიღებს“ (მთ. 10.40). ამიტომ, უფრო გულმ-
ოდგინედ იმ საღვთო [საქმეებისთვის] ხდება მათი შეკრება: იქ
წარმოადგენენ ისინი ცხონების სიტყვებს, იქ იზრდება წმინდა
სამების სარწმუნოება, იქაა სიტკბოების სწავლებანი, მადლის
მოძღვრებანი, მამათმთავართა მშვენიერება, წინასწარმეტ-
ყველთა დიდება, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მოღ-
ვაწეობა, ქრისტეს თავდებობა ჩვენთვის — ვნება, რადგან სიმტ-
კიცე და სიხარული ხდება ჭაბუკებისთვის თხრობა ქრისტეს
მოღვაწეთა სიმხნის შესახებ, სიამაყე და მხიარულება მოხუცე-
ბულთათვის — ხსენება მარტვილთა ღვაწლისა, საწადელი და
სასურველი მღვდელთათვის და ეკლესიის ყრმათა, მოწაფეთა
და შვილთათვის — წმინდანთა დღესასწაულის ზეიმი, და ემს-
გავსება მათი ხმები ეკლესიის შიგნით გალობისშემსხმელ[8] ან-
გელოზებს, და სულიწმინდა, თაყვანცემული, ხაროობს მათ
შორის, და მამა იდიდება, და ძის ქველმოქმედება და კაცთმოყ-
ვარეობა იქადაგება, რადგან ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა და

ყოვლისა-მპყრობელმან ღმერთმან და დიდად-უხუმან უფალმან, რომელმან არა უგულებელს-ყო ურვაჲ კაცთაჲ და სიყუარულისათჳს კაცთაჲსა ქალწულისაგან წმიდისა ჴორცნი შეიმოსნადა წმიდითა მით ჴორცითა მისითა სამოთხით გამოფრდომილსა მას კაცსა, დაცემულსა, ზეცად აღუწოდა და მიუწდომელსა მას საიდუმლოსა ღირს-ყო (რომელი-იგი არა იყო, და დაადგრა, რომელი-იგი იყო, - დიდებაჲ მაცხოვრისა ჩუენისაჲ) \ იესუ ქრისტჱსსა მას დამდაბლებასა ჩუენთჳს, რამეთუ დამდაბლდა და მიჴსნნა ჩუენ, აღმაღლდა ზეცად, ვინაჲცა გარდამოჴდა, და მიწისაგანი ესე კაცებაჲ თანააღიყვანა და მარჯჳენით მამისა მჯდომარე არს, რომელი-იგი საკჳრველად განგებულებით შეიერთა ღმრთეებამან, რომელიცა-იგი ორითავე მით სახითა, ერთი ძჱ, ღმრთად და კაცად თჳნიერ განყოფათა, იქადაგების იგივე „სახელით ენმანუელ ჩუენ თანა ღმერთი“ და კაცი, რაჲთა „სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუჴლი მოდრკეს, ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი, და ყოველმან ენამან მან აღუაროს“ სახელსა მისსა, რამეთუ საშინელ და წმიდა და ყოვლადძლიერ და საკჳრველ და უფალ და ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისაებრ ჩემისა და გულსმოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა, საყუარელნო: კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარილ, მატლ, მარცუალ მდოგჳს, მზე სიმართლის, ძე მამის უკუდავის და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ, რამეთუ უქცეველ და განუქარვებელ არს შე[მ]დგომად ჴორცთშესხმისა და შეერთებისა ღმრთეებისა იგი ბუნებაჲ, რომლისათჳს უკუეთუ შემძლებელ-ვიქმნე თითოეულისა ამის სახელისდებისათჳს ჭეშმარიტი უწყებად თქუენდა, გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქუენ, ქრისტჱსმოყუარეთა.

მეტად უხვმა უფალმა, რომელმაც არ უგულებელყო ადამიანთა ურვა და კაცთა სიყვარულის გამო წმინდა ქალწულისგან ხორცი შეიმოსა, თავისი წმინდა ხორცით სამოთხიდან გამოვარდნილი ადამიანი, დაცემული, ზეცისკენ აიხმო, და აღირსა მას მიუწვდომელი საიდუმლო, - იესო ქრისტეს ქვედადაბლება ჩვენთვის, ის, რაც [აქამდე] არ არსებობდა, და შენარჩუნდა ის, რაც არსებობდა — ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს დიდება, რადგან ქვედადაბლდა იგი, გვიხსნა ჩვენ, ამაღლდა ზეცად, საიდანაც გადმოვიდა, თან აიყვანა ჩვენი ეს მიწისაგანი კაცება[9] და [ეს კაცება] მჯდომარეა მამის მარჯვნივ, რაც საკვირველად შეიერთა [მისმა] ღმრთეებამ განგებულებით, რომელიც ამ ორივე ბუნებით იქადაგება ერთ ძედ, ღმერთად და ადამიანად განყოფის გარეშე, იგივე არის რა სახელით „ემმანუელი — ღმერთი და ადამიანი ჩვენთან“ (შდრ. მთ. 1.23), „რათა მისი სახელის მიმართ მოდრკეს ყველა მუხლი ზეცისათა, ამქვეყნისათა და ქვესკნელის [მკვიდრთა] და ყველა ენამ აღიაროს“ მისი სახელი (შდრ. ფილიპ. 2.10-11), რადგან საშინელია, წმინდაა, ყოვლადძლიერია, საკვირველია, უფალია და ყოვლისმპყრობელია მისი სახელი. არ ძალგვიძს ჩვენ მივსწვდეთ მისი სახელის სიმდიდრეს, მაგრამ, ჩემი უძლურებისა და თქვენი გულმოდგინების შესაბამისად, შევუდგები იმის უწყებას თქვენთვის, საყვარელნო, რომ არის იგი კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, ყვავილი, ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, მიწა, მარილი, მატლი, მდოგვის მარცვალი, სიმართლის მზე, უკვდავი მამის ძე, ერთი ღმერთი — გარდაუქმნელი, განუქარვებელი, შეუცვლელი, რადგან გარდაუქმნელი და განუქარვებელია ღმრთეების ბუნება [მისი[10]] ხორცშესხმისა და [ადამიანურ ბუნებასთან] შეერთების შემდეგ, რომლის შესახებაც, თუკი შევძლებ, თითოეულ ამ სახელდებასთან დაკავშირებით ჭეშმარიტს გაუწყებთ თქვენ, თუმცა კი გაუწყებთ მისივე მადლით თქვენ, ქრისტესმოყვარეებს:

„კარ" ეწოდა რამეთუ თქუა: „მე ვარ *კარი* ცხოვართაჲ", რამეთუ ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა *კარს* ამას სასუფეველისასა, შევალთ.

„გზა" ეწოდა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „მე ვარ *გზაჲ* და ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ", რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ *გზა*.

„ტარიგ" ეწოდა, „რამეთუ ჩუენთჳს დაიკლა", და მარადის ცხოველ არს და ჴორცთა და სისხლთა მისთა ჩუენდა განყოფითა ცხოვრებასა საუკუნესა მოგუანიჭებს.

„მწყემს" ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ *მწყემსი* კეთილი". ჭეშმარიტად, რამეთუ ცხოვარნი შეცთომილნი მოგუაქცინა და მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა მით ჯუარისაჲთა მოკლა და მისგან დაჴსნილი იგი გუამი პირველშექმნულისაჲ მის ძალითა ღმრთეებისა თჳსისაჲთა კუალად განაცოცხლა და ნაკბენი გესლეანისა მის მგლისაჲ წყლულებითა თჳსითა განკურნა და გესლი იგი მომაკუდინებელი წამლითა მით ღმრთეებისა თჳსისაჲთა განაქარვა და აღასრულა სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ: „იწყლა იგი ცოდვათა ჩუენთათჳს და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით".

„ლოდ საკიდურ" ეწოდა წინაწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი-იგი შეურაცხ და განგდებულ იქმნა მღდელთ-მოძღუართა მათგან და მწიგნობართა, ნათესავისაგან ჰურიათაჲსა იერუსალიმს, არამედ ესე თავ ყოველთა ცისკიდეთა იქმნა.

„მარგალიტ" ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა *მარგალიტი* შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ჴორცთა, ღმრთეებით გამობრწყინდების, რომელსა ღმრთისმოყუარენი იგი ვაჭარნი სასუფეველისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშველსა და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა, სარწმუნოებითა ეძიებენ და მოიყიდიან მხოლოსა მას მრავალსასყიდლისასა ყოველისა საფასისა წარგებითა და სისხლთა თჳსთაცა დათხევითა.

„კარი" ეწოდა, რადგან თქვა: „მე ვარ ***კარი*** ცხვრებისა" (ი. 10.7), ვინაიდან ჭეშმარიტად მის მიერ, როგორც სასუფევლის *კარში* შევდივართ მისდამი მორწმუნეები.

„გზა" ეწოდა, რადგან თქვა: „მე ვარ *გზა*, ჭეშმარიტება და ცხოვრება" (ი. 14.6), ვინაიდან *გზა* ხდება იგი ჩვენთვის, ზეცად ამსვლელთათვის.

„ტარიგი " ეწოდა, „რადგან ჩვენთვის დაიკლა" (I კორ. 5.7) და მარადის ცოცხალია და საუკუნო ცხოვრებას გვანიჭებს თავისი ხორცისა და სისხლის ჩვენდამი განაწილებით.

„მწყემსი" ეწოდა, რადგან თქვა: „მე ვარ კარგი *მწყემსი*" (ი. 10.14). ჭეშმარიტად ასეა, რადგან მოგვაქცია მან გზასაცდენილი ცხვრები, ამასთან, ლომი, ჩვენი მტერი, ჯვრის კვერთხით მოკლა, ხოლო ამ ლომისგან განადგურებული სხეული პირველქმნილი [ადამიანისა] თავისი ღმრთეების ძალით კვლავ გააცოცხლა და შხამიანი მგლის ნაკბენი თავისი ჭრილობით განკურნა, მომაკვდინებელი შხამი კი თავისი ღმრთეების წამლით გააქარწყლა, აღასრულა რა წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი სიტყვა: „დაიჭრა იგი ჩვენი ცოდვების გამო და მისი ჭრილობით ჩვენ განვიკურნეთ" (ეს. 53.5).

„თავსაკიდური ლოდი" ეწოდა წინასწარმეტყველის მიერ (ფს. 117.22), რადგან იგია, რომელიც შეურაცხყოფილი და უკუგდებული გახდა , მღვდელთმოძღვართა და მწიგნობართა მიერ, ებრაელთა ტომისგან იერუსალიმში, თუმცა მთელი ცისქვეშეთის თავი გახდა იგი.

„მარგალიტი" ეწოდა (შდრ. მთ. 13.45-46), რადგან იგი, როგორც *მარგალიტი*, ღმრთეებით ბრწყინდება ორ ფიცარს — სულსა და ხორცს — შორის, რომელსაც სასუფევლის ღვთისმოყვარე ვაჭრები სარწმუნოებით ეძიებენ არა როგორც ღმერთს - შიშველს და როგორც მარტოოდენ ადამიანს, არამედ როგორც ღმერთსა და ადამიანს, და ისინი მთელი საუნჯის დახარჯვით

„მარილ" ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყუნილთა ამათ ჴორცთა ჩუენთა მოგუეახლა და სიმყრალჱ იგი კერპთმსახურებისაჲ განგუაშოერა და სულნი ჩუენნი სარწმუნოვებითა ღმრთისმსახურებისაჲთა სულნელად შეჰზავნა.

„ყუავილ" ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესჱსისა *ყუავილად* აღმოჰსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ჴორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაჲთა სული იგი მადლისაჲ მოჰფინა ჩუენ ზედა.

„ანგელოზ" ეწოდა, რამეთუ ერქუმის მას წინაწარმეტყუელისა მიერ „დიდისა ზრახვისა *ანგელოზი*, საკჳრველი", რომელი მამისა მიერ ჩუენდა მჴსნელად მოივლინა.

„კაც" ეწოდა, რამეთუ თქუა წინაწარმეტყუელმან: „*კაც* არს და ვინ იცნას იგი". ჭეშმარიტად სრული *კაცებაჲ* შეიმოსა, თჳნიერ ცოდვისა, და ღმრთეებაჲ თჳსი ჩუენ გამოგჳცხადა.

„ღმერთ" ეწოდა, ვითარცა თქუა ნეტარმან იოვანე მახარებელმან, ვითარმედ: „*ღმერთ* იყო სიტყუაჲ იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რომელი რაჲ იქმნა".

„ნათელ" ეწოდა მის მიერვე, რამეთუ თქუა: „იყო *ნათელი* ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად".

„ქუეყანა" ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: „*ქუეყანამან* გამოსცა ნაყოფი თჳსი, მაკურთხენ ჩუენ, ღმერთო, ღმერთო ჩუენო!" ჭეშმარიტად *ქუეყანისა* დამბადებელი იგი *ქუეყანად* მოვიდა და *ქუეყანით* მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ჴორცი, ვითარცა შუენიერი ჯეჯილი, აღმოჰსცენდა *ქუეყანით* და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი, და დაწყეული იგი ქუეყანაჲ ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღავსო.

„მარცუალ მდოგჳსა" ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თჳსსა და მოგუემსგავსების ჰასაკსა ჩუენსა, რაჲთა ურნატსა

და თავიანთი სისხლის დანთხევითაც კი სარწმუნოებით ყიდულობენ მხოლოდ მას, დიდფასიანს.

„მარილი" ეწოდა, რადგან ჩვენს ამ ცოდვით შერყვნილ ხორცს მიეახლა, კერპთმსახურების სიმყრალე გაგვაშორა და ჩვენი სულები ღმრთისმსახურების სარწმუნოებით სურნელოვნად შეაზავა.

„ყვავილი" ეწოდა, რადგან იესეს ძირიდან *ყვავილად* აღმოცენდა (ეს. 11.1) ეკლესიაში წმინდა ქალწულ მარიამისგან ხორციელად, ხოლო ღმრთეების სურნელებით მადლის სული მოჰფინა ჩვენზე.

„ანგელოზი" ეწოდა, რადგან წინასწარმეტყველის მიერ სახელად აქვს მას „დიდი განზრახვის *ანგელოზი*, საკვირველი" (ფს. 9.6), რომელიც მამის მიერ მხსნელად მოვიდა ჩვენთან.

„ადამიანი" ეწოდა, რადგან წინასწარმეტყველმა თქვა: „*ადამიანია* და ვის ეცოდინება იგი" (იერ. 17.9). ჭეშმარიტად სრული *ადამიანობა* შეიმოსა მან ცოდვის გარეშე და თავისი ღმრთეება ჩვენ გამოგვიცხადა.

„ღმერთი" ეწოდა, როგორც თქვა ნეტარმა იოანე მახარებელმა: „*ღმერთი* იყო ის სიტყვა და ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, რამდენიც კი შეიქმნა" (ი. 1.3).

„სინათლე" ეწოდა მის მიერვე, რადგან თქვა: „იყო ჭეშმარიტი *სინათლე*, რომელიც ანათებს ყველა ადამიანს, ამქვეყნად მომსვლელს" (ი.1.9).

„მიწა" ეწოდა, როგორც თქვა დავითმა: „*მიწამ* გამოიღო თავისი ნაყოფი. გვაკურთხე ჩვენ, ღმერთო, ღმერთო ჩვენო" (ფს. 66.7). ჭეშმარიტად, *მიწის* დამბადებელი *მიწაზე* მოვიდა და *მიწის* მტვრით შექმნილთაგან აღმოცენდა *მიწიდან* მიწამტვრის ბუნების მქონე ხორცი, როგორც მშვენიერი ჯეჯილი, და ნაყოფად გამოიღო თავისი წმინდანები: მოციქულები, მოწამეები, მართალნი, და ეს დაწყევლილი მიწა კურთხევის ნაყოფით აავსო.

სულისა ჩუენისასა დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჯუარისა მისისათა შეგუკრიბნეს და აღმაღლდეს და ჩუენ აღგუამაღლნეს მისთანა.

„მატლ" ეწოდა, რამეთუ თქუა: „*მატლ* ვარ და არა კაც" გამობრწყინვებითა ღმრთეებისაჲთა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრეთ ჴორცთა შინა თჳსთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თჳსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთააგდო და აღმოიქუა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათჳსცა იტყჳს: „შეიპყრას ვეშაპი იგი სამჭედურითა და განიღო დანდალი ყბასა მისსა და ხრატუკი ცხჳრსა მისსა", ესე იგი არს ეშმაკი, რომელ შეიპყრა, და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათჳს წამებს მეფსალმუნეთ დავით: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ მის".

„მზე სიმართლის" ეწოდა, რამეთუ თქუა წინაწარმეტყუელმან: „და გამოგიბრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მზეთ იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ქუეშეფრთეთა მისთა", რამეთუ იგი არს, რომელი ჰფარავს და განატფობს და „არარაჲ არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა".

ხოლო ესე არათუ რაჲმე თავით თჳსით განგიმარტე თქუენ, საყუარელნო და ქრისტეთსმოყუარენო და სწავლისმოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღჳრებული სარწმუნოვებაჲ. რამეთუ უეჭუელი სარწმუნოვებაჲ საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათჳს, ესე, მამაო ზეცათაო, ღმერთო და უფალო ცხოჳრებისმომცემელო, შენ მიერ მოღებითა მადლისაჲთა, რამეთუ ქრისტეანეთა სარწმუნოვებაჲ დიდ მოძღურება არს, ამით მადლითა თაყუანისგცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგიარებენ შენ მარტჳლნი და შენთჳს დევნულებად ღირს-იქმნებიან, რომელმან ივნე ჩუენთჳს, ქრისტე ღმერთო, მოწამე არიან შენდა და შენ

„მდოგვის მარცვალი" ეწოდა, რადგან იმცირებს იგი თავის თავს და მიემსგავსება ჩვენს აღნაგობას, რომ ჩვენი სულის ხნულში დაირგოს, ღრმად გაიბას ძირი, თავისი ჯვრის რტოებზე შეგვკრიბოს, ამაღლდეს და თავის თავთან ერთად ჩვენც აგვამაღლოს.

„მატლი" ეწოდა, რადგან თქვა: „*მატლი* ვარ და არა ადამიანი" (ფს. 21.7), ვინაიდან ღმრთეების გამობრწყინებით თავისი ეს ღმრთეება როგორც ანკესი თავის სხეულში დაფარა ისე, როგორც მატლში, ჩააგდო იგი ამ სოფლის ზღვაში[11] და ამოიღო, როგორც კეთილმა მეთევზემ, რის შესახებაც ამბობს: „შეიპყრობ დიდ ვეშაპს ანკესით და გააცვამ მას ყბებზე აღვირს და კაუჭს მის ცხვირში" (შდრ. იობ. 40.20-21)[12]. ეს არის ეშმაკი, რომელიც შეიპყრო მან და შემუსრა მისი მზაკვრობები, რის შესახებაც მოწმობს დავით მეფსალმუნე: „შენ შემუსრე იმ ვეშაპის თავები" (ფს. 73.13-14).

„სიმართლის მზე" ეწოდა, რადგან თქვა წინასწარმეტყველმა: „და გამოგიბრწყინდებათ თქვენ, მისი სახელის მოშიშთ, სიმართლის მზე, რომელსაც აქვს კურნება თავისი ფრთების ქვეშ" (მალაქ. 4.2), ვინაიდან სწორედ იგია, რომელიც იფარავს და ათბობს, და „არაფერია, რაც დაეფარება მის სიცხეს"[13].

ხოლო არათუ მე თვითონ განგიმარტეთ თქვენ ამათგან რაიმე, საყვარელნო, ქრისტესმოყვარენო და სწავლისმოღვაწენო,[14] არამედ ამას მოწმობენ საწინასწარმეტყველო წიგნები, მოციქულთა ქადაგება, წმინდა სახარებათა ნაწერები და ნეტარ მამათა და მოძღვართა მიერ დადგენილი სარწმუნოება, რადგან უეჭველი სარწმუნოება დიდი საუნჯეა მორწმუნეებისთვის, რომლებიც მადლს იღებენ შენგან, ზეცათა მამაო, ღმერთო და უფალო ცხოვრებისმომცემელო, ვინაიდან ქრისტიანთა სარწმუნოება დიდი მოძღვრებაა. ამ მადლით გეთაყვანებიან შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმინდანნი, გაღიარებენ შენ მარტვილნი, ღირსნი ხდებიან რა დევნულებისა შენს გამო,

გევედრებიან და ცთომასა მას ეშმაკისასა და მსახურთა მისთა მძლავრებასა შეურაცხ-ჰყოფენ, რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოვებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ – ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს: „მოვ-იდოდიან აღმოსავალით და დასავალით და ინაჴ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“. აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოვებაჲ და წოდებულ არს დედადწმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ.

მეორჱ თავი

ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი

რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძჱ ადრნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა-იგი მან აღაშჱნა. ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსჱ, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ, და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ნებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძჱ მისი მაჰდი. ხოლო ქველისმო-ქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა

რომელიც ევნე ჩვენთვის, ქრისტე ღმერთო. ისინი მოწმობენ შენს მიმართ, შენ გაფარებენ თავს და არაფრად აგდებენ ეშმაკის მაცთუნებლობასა და მის მსახურთა ძალადობას, რადგან არათუ მარტოოდენ ბერძნებმა მოიპოვეს ეს ღვთისმიერი სარწმუნოება, არამედ - ჩვენც, ამ შორეულმა მოსახლეებმა,[15] როგორც მოწმობს უფალი და ამბობს: „მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავ-ლეთიდან და დასხდებიან აბრაამის, ისააკისა და იაკობის წიაღ-ში“ (შდრ. მთ. 8.11). აჰა, ქართლის მოსახლეებსაც აქვთ სარწმუ-ნოება და წოდებულია [ქართლი] წმინდანთა დედად, რომელთა-გან ერთნი საკუთრივ აქაური მცხოვრებნი იყვნენ, მეორენი კი – უცხონი და სხვა ადგილიდან მოსულნი დრო და დრო, მოწამეებად რომ ჩნდებოდნენ ქრისტე იესოს, ჩვენი უფლის მიერ, რომლისაც არის დიდება უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მეორე თავი

წმინდა მოწამე აბოს ქართლში შემოსვლა და ნათლისღება

რადგან იყო დრო, როდესაც ქართლის ერისთავი, სახელით ნერსე, ადარნესე კურაპალატისა და ერისთავის ძე, ხმობილ იქნა ბაბილონის ქვეყანაში სარკინოზთა იმჟამინდელი ხე-ლისუფლის, ამირა მუმნი აბდილას მიერ, რომელიც იყო დიდ ქალაქ ბაღდადში, მან რომ ააშენა; ხოლო ბოროტი ადამიანებ-ის დაბეზღებით საპყრობილეში ჩააგდო მან ნერსე, ქართლის ქვეყნის ერისთავი, და შეპყრობილი იყო იგი იქ სამი წლის გან-მავლობაში, სანამ, ღვთის ბრძანებით, არ მოკვდა აბდილა ამირა მუმნი და არ დაჯდა მის ნაცვლად მისი ძე მაჰდი, ქველ-მოქმედმა ღმერთმა კი დააჯერა მაჰდი ამირა მუმნის გულს

განტევებაჯ ნერსჭსი. და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა, ქუეყანადვე თჳსა.

მნებავს აწ, ქრისტჭსმოყუარენო, ამიერითგან წმიდისა და სანატრელისა ამის მოწამისა ჰაბოჯსთჳს, რაჯთა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჯ მოიწია აქა.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჯსა, და არათუ უცხოჯსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულადცა, რომლისაჯ მამაჯ მისი და დედაჯ მისი და ძმანი და დანი მისნიიყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა. და ესე იყო ყრმა ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინჭს აჩჳდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვაჯ თჳსი აქა ერისმთავრისა მის ნერსჭს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა, რამეთუ იყო იგი ჴელოვან, კეთილადშემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჯთა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვაჯ იგი მისი არათუ თჳთ თავით თჳსით განიზრახა, არამედ ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“. ეგრჭთვე ესე კუალად, ნაშობი აბრაჰამისი, არათუ თჳსით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისამიერითა იწჳა ესეცა და დაუტევა მამაჯ და დედაჯ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, ვითარცა-იგი უფალი იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა, და წარმოვიდა აქა ნერსჭს თანა მგზავრ ქრისტჭს სიყუარულისათჳს. და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა. და თჳსითა სათ-

ნერსეს გაშვება, გამოიყვანა იგი იმ მწარე საპყრობილისგან და კვლავ ერისთავად გამოუშვა აქ, მის ქვეყანაში.

ახლა მსურს, ქრისტესმოყვარენო, რომ ამიერიდან ამ წმინდა და სანატრელი მოწამის აბოს შესახებ გაუწყოთ, როგორ ან რაგვარად მოხდა, ან საიდან მოაღწია მან აქ.

იგი იყო აბრაამის შთამომავალი, ისმაელის ძეთაგან, სარკინოზთა ტომიდან, და არათუ უცხო მოდგმისა, ანდა ხარჭის ნაშობი, არამედ ყოვლითურთ არაბთა მოდგმისა მამით და დედით, რომლის მამა და დედა, ძმები და დები იმავე ბაბილონის ქალაქ ბაღდადში იყვნენ. და იყო იგი ახლგაზრდა ჭაბუკი, თითქმის თვრამეტი წლისა ანდა უფრო მცირედის, ჩვიდმეტი წლისა. მან ისურვა ნერსე ერისთავთან ერთად აქ წამოსვლა და მსახურად გაუხდა მას. იყო იგი ოსტატი, სურნელოვანი საცხებლების კარგად შემზავებელი; ამასთან, განსწავლული იყო აბრაამის ძის ისმაელის ძეთა, აგარის შთამომავალ სარკინოზთა მწიგნობრობაში.

ხოლო აქედან ჩვენი ქვეყნისკენ წამოსვლა არათუ თვითონ გადაწყვიტა თავისი თავით, არამედ ისევე, როგორც ნეტარ აბრაამს უთხრა უფალმა იმავე ქალდეველთა ქვეყანაში: „გამოდი შენი ქვეყნიდან, შენი მოდგმისგან და შენი მამის სახლიდან და მოდი იმ ქვეყანაში, რომელსაც გიჩვენებ მე შენ“ (შესაქ. 12.1), ამგვარადვე ესეც ასევე, შთამომავალი აბრაამისა, არათუ თავისი გონებით, არამედ ღვთისმიერი ნიშანცემით იქნა ხმობილი. ამიტომ დატოვა მან მამა, დედა, ძმები, დები, ნათესავები, საქონელი, ყანები, როგორც უფალი იტყვის წმინდა სახარებაში (მთ. 19.29), და წამოვიდა აქ, ნერსეს დამგზავრებული ქრისტეს სიყვარულისთვის. როდესაც მოვიდა იგი ქართლში, ცხოვრობდა იგი ნერსე ერისთავთან, თავისი სათნოებით საყვარელი გახდა მთელი ხალხისთვის და ამას დაუმატა ისიც, რომ ისწავლა ქართული წერა-კითხვა და თავისუფლად ლაპარაკი.

ნოვებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავ-
ლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჴსნილად.

მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა
წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნი-
ერ-ჰყოფდა მას, და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის
ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწი-
ნაწარმეტყუელოთა და მოციქულთა. და მრავალთაგან შჯულის-
მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ, ხოლო რომელთამე რეცა-თუ
ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას.

და ესრცთ სრულ-იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი
აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტცს მიერ.

მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა
მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტცჲ ყოვლითა გულითა
და გამოირჩია იგი სიტყჳთა ამით, ვითარმედ: „მითხრეს მე უშჯუ-
ლოთა ზრახვაჲ, ხოლო არა ეგრე იყო, ვითარ შჯული შენი“.
არამედ ვერ განიცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტეანედ,
ხოლო ფარულად ილოცავნ და იმარხავნ ქრისტცს მიმართ და ეძიე-
ბდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტცსი,
რამეთუ ეშინოდა სოფლისმპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა
ჩუენთა სარკინოზთაგან.

და იყო, მათ დღეთა შინა კუალად იყო განრისხებაჲ ჴელმ-
წიფეთა მათგან სარკინოზთა ნერსე ერისთვისა ზედა და ივლტოდა
იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდა მას სარკინოზთა ერი; და უფალ-
მან დაიცვა იგი ჴელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსე-
თისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა იგი, იყო
მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ
თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტცსი ჰაბო. ხოლო ნერსე,
ვლტოლვილი ქუეყანით თჳსით, შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილ-
ოჲსასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკცჲ ძეთა მაგოგისთაჲ,
რომელ არიან ხაზარნი - კაც ველურ, საშინელ პირითა, მჴეცის

მაშინ შეუდგა იგი ძველი და ახალი რჯულის წმინდა
საღვთო წიგნების წვდომასა და შესწავლას, რადგან უფალი
მცოდნედ ხდიდა მას. და მოდიოდა იგი წმინდა ეკლესიაში და
მუდამჟამს ისმენდა წმინდა სახარებისას, საწი-
ნასწარმეტყველოთა და მოციქულთა საკითხავებს, და მრავალი
რჯულისმეცნიერისგან გამოიკითხავდა და სწავლობდა, ხოლო
ზოგიერთს თითქოსდა შეპაექრებითად ეწინააღმდეგებოდა, მა-
გრამ სწავლის მიზეზად უხდებოდა მას ეს.

აი, ასე გახდა იგი სრულქმნილი მთელი იმ მოძღვრებით,
რაც აქვს წმინდა კათოლიკე ეკლესიას ქრისტეს მიერ.

მაშინ უგულებელყო მან მუჰამედის რჯული, მიატოვა მამ-
ისეული ლოცვის წესი, შეიყვარა ქრისტე მთელი გულით და
გამოირჩია იგი ამ სიტყვით: „მითხრეს მე ურჯულოებმა
მოძღვრება[16], მაგრამ არ იყო ისე, როგორც შენი რჯული“ (ფს.
118.85), თუმცა ვერ აცხადებდა თავის თავს სრულ ქრისტი-
ანად, ფარულად კი მარხულობდა და ლოცულობდა ქრისტეს
მიმართ და ეძებდა დაცულ ადგილს, სადაც მიიღებდა ქრისტეს
ნათელს, რადგან ეშინოდა მას ქვეყნიერების დამპყრობი ჩვენი
ზედამხედველი სარკინოზების.

და მოხდა იმ დღეებში სარკინოზ ხელმწიფეთა ხელახალი
განრისხება ნერსე ერისთავის მიმართ, და განერიდებოდა იგი,
რადგან სასტიკად ებრძოდა მას სარკინოზების ჯარი, უფალმა
კი დაიფარა იგი მათგან; და გაიარა მან ოსეთის კარი, რომელ-
საც დარიალანი ეწოდება, ხოლო გავიდა რა, იყო მასთან ერ-
თად მისი ჯარისგან მარტოოდენ დაახლოებით სამასი მამაკაცი
და მათთან ერთად იყო ქრისტეს ეს სანატრელი მონა აბოც.
ნერსე კი, დევნილი თავისი ქვეყნიდან, შევიდა ჩრდილოეთის
ქვეყანაში, სადაც არის სამკვიდრებელი და სამყოფელი მაგო-
გის ძეებისა, რომლებიც არიან ხაზარები — ადამიანები ვე-
ლურები, საშინელი შესახედაობით, მხეცის ბუნებისანი, სისხ-

ბუნება, სისხლისმჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმ-
ერთი ხოლო შემოქმედი იციან.

და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისა და სივლტოლისათჳს მტერთა მისთაჲსა და ჰსცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ, ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშოერებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთაჲსა, იწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელ-იღო სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ჴელითა პატიოსანთა მღდელთაჲთა, რამეთუ მადლითა სულისა წმიდისაჲთა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, რომელნი სარწმუნოვებითა ქრისტჱსითა ცხონდებიან უზრუნველად.

მიერითგან უფროჲსღა სავსჱ მადლითა ქრისტჱსითა ნეტარი ჰაბო შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებელად.

მაშინ, შემდგომად რავდენისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტევოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგებნი და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა. ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოჲსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაჲთა და განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოლადვე არა იციანღმერთი, და უშიშად ვიდოდეს დღჱ და ღამჱ სამისა თთჳსა გზასა ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენთა მათ გზათა მგზავრ ილოცვიდა და იმარხვიდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა.

და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ. და ვითარცა იხილა ნერსჱ დედოფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი და

ლიანის მჭამელნი, რომლებსაც რჯული არა აქვთ, არამედ მარტოოდენ შემოქმედი ღმერთი იციან.

და როდესაც მივიდა ნერსე ერისთავი ხაზართა მეფესთან, მიიღო მან იგი უცხოობისა და თავისი მტრებისგან დევნულებისათვის და მისცა მას და მთელ მის ხალხს საჭმელი და სამოსი.

მაშინ, როდესაც ნახა ნეტარმა აბომ, რომ გაშორებულია იგი სარკინოზების საშიშროებასა და ძალადობას, იჩქარა მისულიყო ქრისტესთან და მოინათლა მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით პატიოსანი მღვდლების ხელით, რადგან სულიწმინდის მადლით მრავლად არის ჩრდილოეთის ქვეყანაში ქალაქები და სოფლები, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოებით ცხოვრობენ უშფოთველად.

ამის შემდეგ ქრისტეს მადლით უფრო მეტად ავსებული ნეტარი აბო მიეცა მარხვასა და ლოცვას დაუბრკოლებლად.

მაშინ, გარკვეული დროის შემდეგ, შეევედრა ნერსე ჩრდილოეთის მეფეს, რომ გაეშვა იგი იქიდან აფხაზეთის ქვეყანაში, რადგან თავიდანვე ჰყავდა მას გაგზავნილი იქ დედა, ცოლი, შვილები, შენაძენნი[17] და მისი სახლისგან ყველანი, ვინაიდან დაცული იყო ეს ქვეყანა სარკინოზთა საშიშროებისგან. ამასთან, ღმერთმა მოალბო ჩრდილოეთის მეფის პიროვნება და გაუშვა მან ნერსე მრავალი საბოძვარით. და გაემართნენ ისინი სიხარულითა და ღვთისადმი მადლიერებით, გაიარეს ქვეყანა წარმართებისა, რომლებმაც საერთოდ არ იციან ღმერთი, და საშიშროების გარეშე მიდიოდნენ დღე და ღამე სამი თვის გზაზე, ხოლო ნეტარი აბო ამდენი დღის განმავლობაში ლოცულობდა გზაზე, მარხულობდა და არ წყვეტდა ფსალმუნებას.

და როდესაც მიაღწიეს მათ აფხაზეთის ქვეყანას, ამ ქვეყნის მთავარმა მიიღი ნერსე მთელი მისი ხალხით. როდესაც ნახა ნერსემ დედოფალი - თავისი დედა, ცოლი და თავისი ძეები, ყვე-

ძენი თჳსნი, სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს.

მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, რამეთუ ახალნათელღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ; და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინისჰსცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა მათ ცხოვრებისათა და ახარებდეს მას ქრისტჱსთჳს და საუკუნოჲსა მის ცხოვრებისათჳს. ხოლო იგი თავით თჳსით მიუგებდა მათ მადლობით სიტყუათა მათ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა, ვიდრემდის უკჳრდაცა მათ და ადიდებდეს ღმერთსა. და ნეტარი ჰაბო უფროჲსღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკჳდრებელი ყოლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღჳრადმდე ქალდიაჲსა; ტრაპეზუნტიაჲ, მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱსმსახურისა იონთამეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოვლისასა.

ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამატებული ღმრთისმოყუარებაჲ და ლოცვაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოჲ აღიღო, რამეთუ მოიჴსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“, იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა თთუესა მას იანვარისასა ათჩჳდმეტსა მის თთჳსასა, ჴსენებასა წმიდისა მამისა ანტონისსა, აღიღო მანცა ფიცხელი იგი შრომაჲ და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა, ეწყვებოდა მტერსა მას ეშმაკსა; და დუმილითა და მარხვითა მოაუძლურებდა იგი ჴორცთა მათ სიჭაპუკისა თჳსისათა, „რაჲთა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშ-

ლანი სიხარულით აკურთხებდნენ ღმერთს მათი ჯანმრთელად და მშვიდობიანად შეხვედრის გამო.

მაშინ, როდესაც ეუწყა აფხაზეთის მთავარს ნეტარი აბოს შესახებ, რომ ახალი მონათლულია იგი, გაიხარა მეტად მთელი თავისი ხალხით; და მოუხმეს მას მთავარმა, ეპისკოპოსმა და მღვდლებმა და აკურთხევდნენ, ანუგეშებდნენ, ამცნობდნენ ცხონების სიტყვებს, ახარებდნენ ქრისტეს გამო და საუკუნო ცხოვრებისთვის, ის კი თავის მხრივ მადლიერებით მიუგებდა მათ ჭეშმარიტი სარწმუნოების სიტყვებს, იმგვარად, რომ უკვირდათ კიდეც მათ და ადიდებდნენ ღმერთს. ნეტარი აბოც უფრო მეტად ჰმადლობდა ღმერთს, ნახა რა ის ქვეყანა ქრისტეს სარწმუნოებით სავსე, რადგან ურწმუნოთაგანი არავინ არის მათ საზღვრებში, ვინაიდან მათ საზღვრად არის პონტოს ზღვა, ყოვლითურთ ქრისტიანთა სამკვიდრებელი ვიდრე საზღვრამდე ქალდეისა, და ტრაპეზუნტი იქ არის, სამყოფელი აფსარიისა, და ნაფსის ნავსადგური, და არის ეს ქალაქები და ადგილები ქრისტესმსახური იონთა მეფის საბრძანებელი, რომელიც საყდრობს დიდ ქალაქ კონსტანტინოპოლში.

ხოლო წმინდა და ნეტარმა აბომ, როდესაც ნახა იმ ადგილის ადამიანთა მეტისმეტი ღვთისმოყვარეობა და შეუწყვეტელი ლოცვა მთელი ხალხისა, საღვთო შური აიღო[18], რადგან გაიხსენა მან წმინდა მოციქულის სიტყვა: „კარგია მარადის კარგის გამო ბაძვა“ (გალ. 4.18). დაიწყო მანაც იანვრის თვის ზამთრის დღეებში, ამ თვის ჩვიდმეტში, წმინდა მამის ანტონის ხსენებისას, და იტვირთა მანაც მკაცრი მოღვაწეობა, ქალაქის შიგნით, როგორც უდაბნოში, შეებმოდა მტერს — ეშმაკს და დუმილითა და მარხვით აუძლურებდა თავისი სიჭაბუკის სხეულს„ „რომ შესძლებოდა ეშმაკის ყველა გახურებული ისრის ჩაქრობა“ (ეფეს. 6.16). გაიხსენა მან ჩვენი მაცხოვრის შესახებ, თუ როგორ დასძლია მან, წმინდა ნათლისღების შემდეგ უდაბნოში გასულმა, ის მზაკვარი განმცდელი[19],

მაკისათა განჴურვებულთა დაშრეტად“. მოიჴსენა მან მაცხოვრისა ჩუენისაჲ, ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან, მზაკუვარსა მას განმცდელსა ჰსძლო ეშ-მაკსა ლოცვითა მით და მარხვითა მით წმიდითა ორმეოც დღე. ეგრჱთვე ნეტარი ესე ჰაბო არცაღა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ჰზრახავნ წმიდასა შინა ლოცვასა თჳსსა. ესრჱთ განვლო სამ თთუე და დაადგრა მარხვით და დუმილით. ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შჳდთა მათ შჳდეულთა, კჳრიაკესა და დღესა შაფათსა ხოლო მი-რაჲ-იღის წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, ჴორცი და სისხლი ქრისტჱსი, მაშინღა ნაკლულევანად მიიღის საზრდელი, ვიდრემდის მიიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღვსებასა, აღდგო-მასა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისასა. მაშინღა დააცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და განჰჴსნა ენაჲცა თჳსი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსჱსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტე-ფანოს, ძჱ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსჱსი, ნაცვალად დე-დისა ძმისა თჳსისა ნერსჱსა, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ-იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისაჲ არა განიშოერა უფალმან. ესეცა წადიერ იქმნა უფროჲსღა გულსმოდგინედ და წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა ჴელმწიფეთაგან ამირათა ამის ქუეყანისათა, რაჲთა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ჴსნილად ყოვლით ერითურთ მისით. და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა მას: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკი-ნოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით მათ შორის; და მეშინის მე შენთჳს, ნუუკუე კუალად გარდაგდრიკონ შენ სარწმუნო[ვ]ებისა-

ეშმაკი, ორმოცდღიანი წმინდა ლოცვითა და მარხვით. ამგ-ვარადვე, ეს ნეტარი აბო ერთ სიტყვასაც კი აღარ ამბობდა ადამიანთა შორის, არამედ მხოლოდ ღმერთს ესაუბრებოდა თავის წმინდა ლოცვაში. ასე განვლო მან სამი თვე და იმყოფე-ბოდა მარხვითა და დუმილით, ხოლო დიდი მარხვის წმინდა დღეებში, შვიდ შვიდეულში, მხოლოდ კვირასა და შაბათ დღეს, მას შემდეგ, რაც მიიღებდა იგი წმინდა საიდუმლოს, ქრისტეს და ხორცსა და სისხლს, მაშინღა სინაკლულით იღებ-და საჭმელს, სანამ არ დადგა ის წმინდა დღე, დიდი დღესასწაული აღვსება, ჩვენი ღვთის ქრისტეს აღდგომა. მხ-ოლოდ მაშინ შეწყვიტა მან მკაცრი მარხვა, თავისი ენაც გახს-ნა უსიტყვობისგან და ადიდებდა ღმერთს.

ხოლო ქართლიდან ნერსეს დევნულების შემდეგ გამოგზავ-ნა მაჰდი ამირა მუმნმა, ღვთის ბრძანებით, ნერსეს დისწული, გურგენ ერისთავის ძე სტეფანოზი ქართლის ქვეყნის ერისთა-ვად მისი დედის ძმის ნერსეს ნაცვლად. მაშინ გაიხარა ნერსემ, რომ არ გააშორა უფალმა უფლებამოსილება მისი სახლიდან. ამიტომ, ისიც უფრო გულმოდგინედ მოწადინებული გახდა, გამოგზავნა შუამავლები და ითხოვა ხელისუფალთაგან, ამ ქვეყნის ამირებისგან, რომ უსაფრთხო გაეხადათ იგი ბოროტის-გან და მთელი მისი სახლით თავისუფლად შემოსულიყო [ქართლში]. და როდესაც წამოვიდნენ ისინი აფხაზეთის ქვეყ-ნიდან, მაშინ ნეტარ აბოს მოუხმო აფხაზეთის მთავარმა და უთხრა: „ნუ გახვალ შენ ამ ქვეყნიდან, რადგან ქართლის ქვეყანა სარკინოზებს უკავიათ, შენ კი წარმოშობით სარკი-ნოზი ხარ და არ დაგანებებენ შენ, რომ ქრისტიანად იყო მათ შორის. ამიტომ, მეშინია მე შენს გამო, რომ არ გაგაშორონ შენ კვლავ ქრისტეს სარწმუნოებისგან ნებსით, ანდა უნებლიეთ და არ დაღუპო შენი ამდენი შრომა“. მაგრამ ნეტარმა აბომ უთხრა: „მას შემდეგ, რაც შემიწყნარა მე ქრისტემ, ჩემი თავდა-

გან ქრისტჷსისა ნეფსით, გინა უნებლებით, და ესოდენი შრომაჯ შენი წარჰსწყმიდო. ხოლო ნეტარმან მან ჰაბო ჰრქუა მას: „სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშოერა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისაჯ და ღირს-მყო მე ნათელსა მას მისსა, არასადა უვარ-ვყო მე სახელი მისი; დაღაცათუ ბევრეული ოქროჯსაჯ და ვეცხლისაჯ მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშოერონ მე სიყუარულსა ქრისტჷს უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთისმ-სახურო, რამეთუ რაჯ მადლ არს ჩემი აქა ყოფაჯ, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტჷსთჳს? აწ გევედრები, განმიტევე მე, რაჯთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობაჯ ჩემი ქრისტჷსმბრძოლთა მათ, რამეთუ მესმა მე წმიდისაგან სახარებისა თქუმული იგი მაცხ-ოერისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჴჳმირსა, არამედ ზედა სასანთლესა დადგიან, რაჯთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“. და აწ მე რაჯსათჳს დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათე-ლი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან? არასადა დავემალო მე შიშისათჳს სიკუდილისა, რამეთუ ვისწავე წმიდისა მისგან მო-ციქულისა, ვითარმედ: „არცა ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისაჯ ვერ დაიმკჳდრონ“; ამისთჳს არა მეშინის მე სიკუდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტჷსგან“.

და ესრჷთ არწმუნა მთავარსა მას და განუტევა.

და გამოვიდა იგი ნერსჷს თანა ქუეყანად ქართლად და შემოვ-იდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტე-ანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე ჰსდევნიდეს, რომელნიმე მშჳდობისა სიტყჳთა შეაჯერებდეს, ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტჷს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა, არამედ სამისა წლისა ჟამთა იქ-

პირველი უმეცრების სიბნელე გამაშორა მე და თავისი სინათ-ლის ღირსი გამხადა, არასოდეს უარვყოფ მის სახელს; თუნდაც რომ ოქროსა და ვერცხლის სიმრავლე მომცენ მე, ანდა ტანჯვი-თა და გვემით განმსაჯონ მე, ვერ განმაშორებენ ჩემი უფლის სიყვარულს, ახლა კი შენ ნუ შემაჩერებ მე, ღვთისმსახურო, რადგან რა მადლი იქნება ჩემი აქ ყოფნა, სადაც არ არის არც შიში, არც სიკვდილი ქრისტესთვის? ახლა გევედრები, გამიშ-ვი მე, რომ ცხადად ეუწყოთ ქრისტესმოძულეებს ჩემი ქრის-ტიანობა, ვინაიდან მსმენია მე წმინდა სახარებისგან ჩვენი მაცხოვრის მიერ ნათქვამი: „არავინ აანთებს სანთელს და არ შედგამს მას საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე გადგამს, რომ უნათებდეს ყველას; ასე ბრწყინავდეს თქვენი სინათლე ადამი-ანთა წინაშე“ (მთ. 5.15-16), და ახლა მე რატომ დავფარო ეს ჭეშმარიტი სინათლე, რითაც გამანათლა მე ქრისტემ? არა-სოდეს დავიმალები მე სიკვდილის შიშით, რადგან ვისწავლე მე წმინდა მოციქულისგან: „ვერც მხდალნი დაიმკვიდრებენ ღვ-თის სასუფეველს“ (Iკორ. 6.9-10). ამიტომ, არ მეშინია მე სიკვდილისა, რადგან მე სასუფეველს ვეძიებ ქრისტესგან“

და ასე დააჯერა მან მთავარი და [მანაც] გაუშვა.

და წამოვიდა იგი ნერსესთან ერთად ქართლის ქვეყანაში, შე-მოვიდა ქალაქ თბილისში და მიმდიოდა გაცხადებულ ქრისტი-ანად. ხოლო როდესაც ნახეს იგი ქრისტიანად იქ მყოფმა სარკი-ნოზებმა, რომლებიც თავიდანვე იცნობდნენ მას, მათგან ნაწილი უსაყვედურებდა, ნაწილი აგინებდა, ნაწილი აშინებდა, ნაწილი დევნიდა, ნაწილი მშვიდობიანი სიტყვით არწმუნებდა, მაგრამ იგი გამყარებული იყო ქრისტეს მიმართ და არავისგან ძრწუნდე-ბოდა, არამედ სამი წლის განმავლობაში მიმდიოდა ქალაქში და გარშემო ყველა სოფელში გაცხადებულ ქრისტიანად, თუმცა „ვე-რავინ გაიწოდა მისკენ ხელი უკეთურად, რადგან ჯერ არ მო-სულიყო მისი დრო“ (ი. 7.10), ქრისტესმოყვარე ადამიანები კი,

ცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოჲს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ, არამედ „ვერვინ მიყვნა ჴელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწეენულ იყო ჟამი მისი, ხოლო კაცთა ქრისტჱსმოყუარეთა, რომელთა იცოდეს ღმრთისა მიმართ კეთილი სათნოვებაჲ მისი, იღუწიდეს მას საზრდელითა და სამოსლითა.

მესამჱ თავი

წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი

რომელნი ხართ ქრისტჱსმოყუარენი და მარტჳრთმოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენაჲ წმიდისა მოწამისაჲ და ქრისტჱსმოღუაწისაჲ, რომლითა სიმჴნითა და დიდებითა გჳრგჳნოსან იქმნა ქრისტჱს მიერ!

სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ოთხმეოცდამეათესა, მეფობასა კოსტანტინეპოლეს, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტეანეთა ზედა კოსტანტინჱსსა, ძისა ლეონისსა, და სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთვობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამითგან გარდასრულთაწელთა ექუს ათას ოთხას ოცდამეოთხესა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა; დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტჳრობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილადმოღუაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისს.

ხოლო იყო ესრე სახედ :

რამეთუ მცირედ უწინარჱსრე დღეთა ამათ შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამჱ ქრისტჱსი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი

რომლებმაც იცოდნენ ღვთის მიმართ მისი სათნოება, პატრონობდნენ მას საჭმლითა და სამოსით.

მესამე თავი

წმინდა აბოს წამება

რომლებიც ხართ ქრისტესმოყვარეები და მარტვილთმოყვარეები, მიიღეთ ჩემგან ეს სანატრელი ამბავი წმინდა მოწამისა და ქრისტესმოღვაწისა, თუ როგორი სიმხნითა და დიდებით გახდა იგი გვირგვინოსანი ქრისტეს მიერ.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეუფების ჟამს, ვნებიდან და მკვდრეთით აღდგომიდან რვაასოთხმოცდამეათე წელს, კონსტანტინოპოლში, ამ დიდ ქალაქში, ლეონის ძის კონსტანტინეს მეფობისას, სარკინოზთა შორის მაჰდის ძის მოსე ამირა მუმნის მეფობისას, ქართლში სამოელის კათალიკოსობისას და გურგენის ძის სტეფანოზის ერისთავობისას დასაბამიდან გასულ ექვსიათასსამასოთხმოცდაცხრა წელს, იანვრის თვის ექვსში, პარასკევ დღეს, განცხადებას, შევიმეცნეთ ამ წმინდა და ნეტარი მოწამის, კეთილადმოღვაწე აბოს მარტვილობა ქალაქ თბილისში.

ხოლო იყო ამგვარად:

რამეთუ ამ დღეებზე ცოტა ხნით ადრე შეიპყრეს ქრისტეს ეს ნეტარი მოწამე, მიიყვანეს მსაჯულთან, რომელიც იყო ქალაქ თბილისში, და დაატყვევეს საპყრობილეში, რამდენ-

იყო ამირად ქალაქსა ტფილისს, და ქრისტჱს აღსაარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან, და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა. და შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, სავსენი შურითა ქრისტეანეთაჲთა; შეიზრახნეს შეთქუმით ურთიერთას წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა, რამეთუ სხუაჲ მსაჯული ამირაჲ შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს, და ჰრქუეს მას: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხოერებულ შჯულითა მით, რომელი მოგუცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყჳს თავსა თჳსსა ქრისტეანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანე ყოფად. აწ ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი ტანჯვასა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ; უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, რაჲთა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყჳთა მისითა“.

და ამას რაჲ შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა კაცთა და მივიდეს მწრაფლ და უთხრეს ნეტარსა ჰაბოს, ვითარმედ: „აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად და ტანჯვად და გუემად“. და შეაჯერებდეს მას, რაჲთამცა მიჰრიდა და დაემალა. ხოლო მან ჰრქუა მათ: „მე არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჱსთჳს, არამედ სიკუდიდცა“. და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად.

მაშინ მსახურნი იგი მის მსაჯულისანი შეემთხჳნეს და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა მის.

და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაჲ არს რომელი–ესე მესმის შენთჳს, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ?

იმე დღის შემდეგ კი გამოითხოვა იგი სტეფანოზ ქართლის ერისთავმა, გამოიყვანა საპყრობილიდან და გაუშვა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდგომ კვლავ ამოქმედდნენ ამ წმინდა მოწამის დამბეზღებლები, განრისხებულნი და აღბორგებულნი, შურით სავსენი ქრისტიანთა მიმართ, შეთანხმებულად პირი შეკრეს მათ ერთმანეთში[20] წმინდანის წინააღმდეგ, შევიდნენ მსაჯულთან, რადგან სხვა მსაჯული ამირა იყო შემოსული ქალაქ თბილისში, და უთხრეს მას: „არის ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი, რომელიც იყო წარმოშობით სარკინოზი, გაზრდილი და მცხოვრები იმ რჯულით, რომელიც მოგვცა ჩვენ მუჰამედმა, ჩვენმა მოციქულმა, და ახლა მიუტოვებია მას ეს ჩვენი რჯული, თავის თავს ქრისტიანად ამბობს, უშიშრად დადის ქალაქში და ბევრ ჩვენგანს ასწავლის ქრისტიანად გახდომას. ახლა ბრძანე მისი შეპყრობა და ჩააგდე იგი სატანჯველსა და გვემაში, სანამ არ აღიარებს ჩვენი მოციქულის მუჰამედის რჯულს, ხოლო თუ არა, მოკვდეს იგი, რომ მისი ქადაგებით არ გაუხდეს მას მბაძველად ბევრი“.

როდესაც ისინი ამას აბეზღებდნენ, გაიგონეს ეს ვიღაც ქრისტიანმა ადამიანებმა, სწრაფად მივიდნენ და უთხრეს ნეტარ აბოს: „ახლა უკვე გეძებენ შენ, რომ შეგიპყრონ, გტანჯონ და გგვემონ“, და არწმუნებდნენ მას, რომ გარიდებულიყო და დამალულიყო. მაგრამ მან უთხრა მათ: „მე არა მარტოოდენ ტანჯვისთვის ვარ გამზადებული ქრისტეს გამო, არამედ სიკვდილისთვისაც“, და გამოვიდა იგი სიხარულით და მიმოდიოდა ქუჩებში გაცხადებულად.

მაშინ წააწყდნენ ნეტარ აბოს მსაჯულის მსახურები, შეიპყრეს იგი და შეიყვანეს იგი მსაჯულთან.

და უთხრა მსაჯულმა: „რა არის, რაც მესმის შენს შესახებ, რადგან ხარ შენ მოდგმით და ტომით სარკინოზი, მაგრამ მიგიტოვებია მამისეული რჯული და ქრისტიანებთან ერთად შემცდარხარ? ახლა გაემზადე და ილოცე იმ რჯულით, რომლითაც

აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა“. ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჱს მიერ და აღივსო სულითა სარწმუნოვებისაჲთა და ჰრქუა მსაჯულსა მას ამირასა: „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად; განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ, ხოლო ოდეს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამომარჩია მე ძმათა და ნათესავთა შორის ჩემთა და მიჴ-სნა მე იესუ ქრისტჱს მიერ, ძისა მისისა და ღმრთისა ჩემისა, და გულისხმა-მიყო მე უმჯობჱსი იგი კეთილი, მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ჴელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრო-ბისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ, და აწ შეუდეგ მე ჭეშ-მარიტსა ქრისტჱს მიერ მომადლებულსა სარწმუნოვებასა სამებისა წმიდისასა, \ მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, \ და მე ამით ნა-თელ-მიღებიეს და ამასცა თავყუანის-ვსცემ, რამეთუ ესე არს ღმ-ერთი ჭეშმარიტი, და აწ ქრისტეანე ვარ თჳნიერ ყოვლისა ცილო-ბისა“.

ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „დაუტევე სიცოფისა ეგე გან-ზრახვაჲ შენი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომ-ილ ხარ შენ ქრისტეანეთა, მე უფროჲსღა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ“. ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „ოქროჲ და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა; მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტჱსმიერი, გჳრგჳნი ცხ-ოვრებისაჲ და უხრწნელებისაჲ და პატივი საუკუნოჲ ცათა შინა“.

მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან ჴელით და ფერჴით შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა და ეგრჱთ შთააგდეს იგი საპყრო-ბილესა. ხოლო ნეტარსა მას უხაროდა და ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, იესუ ქრისტე, რამეთუ ღირს-მყავ მე განსაკითხავსა და პყრობი-ლობასა სახელისა შენისათჳს წმიდისა“. და იყო ესე თთუესა დეკენ-

გაგზარდეს შენ შენმა მშობლებმა“. მაგრამ ნეტარი აბო გა-ძლიერდა ქრისტეს მიერ, აივსო სარწმუნოების სულით და უთხრა მსაჯულ ამირას: „ეგ კარგად თქვი, რომ ვარ მე წარ-მოშობით სარკინოზი, სარკინოზობაშივე შობილი მამის მხრი-ვაც და დედის მხრივაც. განსწავლული ვიყავი მუჰამედის რჯულში და ვცხოვრობდი მასში, სანამ უმეცრებაში ვიყავი, მაგრამ როდესაც ისათნოვა ღმერთმა, რომელმაც გამომირჩია მე ჩემს ნათესავთა და ძმათა შორის, მიხსნა მე თავისი ძისა და ჩემი ღვთის იესო ქრისტეს მიერ და შემაცნობინა მე უფრო კარ-გი სიკეთე, მაშინ დავტოვე მე კაცთა ოსტატობით შეწმასნილი ის პირველი რჯული და ზღაპრობის სიბრძნით ნახელოვნები რწმუნებულობა და ახლა შევუდექი მე წმინდა სამების — მამის, ძისა და სულიწმინდის - ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მომადლე-ბულს ქრისტეს მიერ; ამით მოვნათლულვარ და ამასვე ვცემ თაყვანს, რადგან ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი, და ახლა ყოვ-ლად უცილობლად ქრისტიანი ვარ.

უთხრა მას მსაჯულმა: „მიატოვე სიშლეგის ეგ განაზრახი და თუკი შენი სინაკლულის გამო ხარ ქრისტესადმი შედგომ-ილი, მე უფრო მეტად მოგცემ შენ საბოძვარსა და პატივს ახ-ლავე“. უთხრა მას ნეტარმა აბომ: „შენი ოქრო და ვერცხლი შენ-თანვე იყოს შენი თავის დასაღუპად. მე პატივს ადამიანებისგან არ ვეძიებ, რადგან მაქვს მე საბოძვარი ქრისტესმიერი, ცხ-ოვრებისა და უხრწნელების გვირგვინი და საუკუნო პატივი ცათა შინა“.

მაშინ ბრძანა მსაჯულმა, რომ შეეკრათ იგი რკინის ბორკილით ხელზე და ფეხზე, და ასე ჩააგდეს იგი საპყრობილე-ში, ამ ნეტარს კი უხაროდა, ჰმადლობდა უფალს და ამბობდა: „გმადლობ შენ, უფალო და მაცხოვარო, ღმერთო ჩვენო იესო ქრისტე, რადგან შენი წმინდა სახელისათვის განსჯისა და პყ-რობილების ღირსი გამხადე მე“ (და მოხდა ეს დეკემბრის თვის ოცდაშვიდში, სამშაბათ დღეს, ქრისტეს მოციქულის, პირველ-

ბერსა ოცდაშჳდსა, დღესა სამშაბათსა, ჴსენებასა წმიდისა ქრისტჱს მოციქულისა და პირველდიაკონისა და პირველმოწამისა, ერისმთავრისა მის ყოველთა მოწამეთაჲსა, წმიდისა სტეფანჱსსა. წესვე და შუენიერ ესრჱთ იყო, რაჲთა იღუწიდეს მისთჳს ერისთავი იგი ყოველთა მარტჳ[რ]თაჲ მისთანათა მათ თანა ყოველთა მოწამეთა, რაჲთა არა დაბრკოლდეს უკუანაჲსკნელიცა ესე მოწამჱ ქრისტჱსი თანაშერაცხად ახოვნებასა მას მათსა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებითა დღჱ და ღამჱ განუსუენებელად და ჰყოფდა იგი ქველისსაქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაჲცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუმოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყჳედ რომელნიმე რეცა სიტყჳთა ლიქნისაჲთა: „შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანებად და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშოერები, რაჲთა არა შეამთხჳო ძჳრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“. და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყჳედ: „რაჲ სარგებელ გეყოს შენ ქრისტჱ იგი შენი, ანუ ვინ გიჴსნეს შენ ჴელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგჳმზადებიეს შენთჳს, არათუ მოიქცე ჩუენდავე“. ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა. და შემდგომად–ღა მრავლისა სიტყჳსა მათისა ჰრქუა მათ: —„ჩემდამო რასა იტყოდეთ, რამეთუ მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან რაჲ არა აღაღის პირი თჳსი, ვიყავ მე, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ, რამეთუ მე უფალსა ვესავ. „განმეშოერენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“. და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირცხჳლეულნი.

დიაკონისა და პირველმოწამის, ყველა მოწამის მხედართმთავრის წმინდა სტეფანეს ხსენებისას. მართებული და შესაფერისიც ასე იყო, რომ ეღვაწა მისთვის ყველა მარტვილის მხედართმთავარს თავის ყველა მოწამესთან ერთად, რომ არ დაბრკოლებულიყო ეს უკანასკნელი მოწამე ქრისტესი და თანაშერაცხვოდა იგი მათეულ ახოვანებას).

და იმყოფებოდა ნეტარი აბო საპყრობილეში მარხვით, ლოცვითა და ფსალმუნებით დღე და ღამე შეუსვენებლად და აღასრულებდა იგი ქველმოქმედებას, რადგან გაყიდა მან ყველაფერი, რაც ჰქონდა, და ასაზრდოებდა მასთან ერთად პატიმრობაში მყოფ მშივრებსა და გაჭირვებულებს, ხოლო ცრუმოძღვრები და დამბეზღებლები შედიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ მას, ერთნი, თითქოსდა მომფერებლური სიტყვით: „შვილო, ნუ გაიწირავ შენს თავს, ნურც შენს სიჭაბუკეს გაყიდი ქრისტიანობაზე და ნურც შენს ძმებსა და ნათესავებს გაშორდები, რომ არ შეამთხვიო ცუდი რამ შენს თავს და შეგვაწუხო ჩვენ ყველანი“, სხვანი კი აშინებდნენ მას და ეუბნებოდნენ: „რა სარგებელი იქნება შენთვის შენი ქრისტე ანდა ვინ გიხსნის შენ ჩვენი ხელისგან, რადგან ცეცხლი და სატანჯველი უკვე გაგვიმზადებია შენთვის, თუკი არ მოიქცევი ჩვენკენვე“. მაგრამ ის ნეტარი არ ისმენდა მათსას, არამედ ლოცულობდა და მოუწყინებლად ფსალმუნებდა თავისი გონებით, და მათი მრავალი სიტყვის შემდეგ უთხრა მათ : „ჩემს მიმართ ნურაფერს იტყვით, რადგან “მე როგორც ყრუს, არ მესმოდა და როგორც მუნჯი არ გახსნის თავის პირს; ვიყავი მე როგორც სმენის არმქონე ადამიანი, რომლის პირშიც არ არის სიტყვა, რადგან მე უფალს ვსასოებ“ (ფს. 37.14-16). “გამშორდით მე, უკეთურნო, და გამოვიძიებ მე ჩემი ღვთის მცნებებს“ (ფს. 118.115). და რადგან ვერ შეარყიეს ეს მართალი, გამოვიდნენ იქიდან შერცხვენილები.

და იყო ეს ნეტარი საპყრობილეში ცხრა დღე. ყოველდღე მარხულობდა იგი და ღამისთევით რჩებოდა განთიადამდე,

და იყო ნეტარი ესე საპყრობილესა შინა ცხრა დღჱ, და დღე ყოველ იმარხავნ და ღამისთევით დაადგრის განთიადმდე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მათ მის თანა პყრობილთა ქრისტეანეთა და სხუათაცა, ვითარმედ: „ხვალე განსლვაჲ არს ჩემი ჴორცთაგან და მისლვაჲ უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტჱს თანა“. რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თჳსსა მას მოწამესა. და მაშინ განიძარცუა მანსამოსელი თჳსი და განსცა იგი სავაჭროდ, რაჲთა უყიდონ მას სანთელად კერეონები და საკუმეველი, და წარჰსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რაჲთა აღანთონ; და მიავლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რაჲთა ლოცვა-ყონ მისთჳს, რომლითა არა დაბრკოლდეს სარწმუნოვებისაგან ქრისტჱსისა და ღირსიქმნეს მოღუაწებასა მას ქრისტჱსმოწამეთასა. ხოლო მან ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა, ღამისთევასა მოიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ჴელითა თჳსითა და დადგა იგი შორის საპყრობილესა მას შინა, და დაადგრა მდგომარჱ ზედა ფერჴთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე, ყოლადვე დაუჯდომელად, ვიდრემდის აღასრულნა ფსალმუნნი და სანთელნი იგი დაიწუნეს ჴელთა მისთა, რკინითა შეჭედილთა ზედა ქედსა მისსა, რამთუ იტყოდა მდგომარჱ იგი შეუძრველად, ვითარმედ: „წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯჳულ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა“, და შემდგომნი სიტყუანი.

და რაჟამს განთენა მეათჱ იგი დღჱ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლისღებისაჲ, რომელ არს თთუესა იანვარსა ექუსსა, იყო დღჱ იგი პარასკევი. და თქუა ნეტარმან მან: „დიდ არს ჩემდა დღჱ ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთაჴდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლისღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაჲთა შემუსრა. ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცო შიში ჴორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შთავჴდე,

მეცხრე დღეს კი უთხრა მასთან ერთად საპყრობილეში მყოფ ყველა ქრისტიანს და სხვებსაც: „ხვალ არის ჩემი გასვლა ხორცთაგან და მისვლა ჩემს უფალთან და ღმერთთან იესო ქრისტესთან“, რადგან უფალმა გამოუცხადა ეს თავის მოწამეს. მაშინ გაიხადა მან თავისი სამოსი და გასცა იგი გასაყიდად, რომ ეყიდათ მისთვის სანთლად კერეონები[21] და საკმეველი, და დააგზავნა ისინი ქალაქის ყველა ეკლესიაში, რომ აენთოთ. ამასთან, ვედრებით შეუთვალა ყველა მღვდელს, რომ ელოცათ მისთვის, რათა არ დაბრკოლებულიყო იგი ქრისტეს სარწმუნოებაში და ღირსი გამხდარიყო ქრისტესმოწამეთა მოღვაწეობისა, მან კი იმ დღესასწაულის წმინდა ღამეს, ღამისთევისას, აიღო თავისი ხელებით ორი დიდი სანთელი, დადგა საპყრობილის შუაში და ფეხზე მდგომარე დარჩა ვიდრე განთიადამდე სრულიად დაუჯდომლად, ვიდრე არ დაასრულა ფსალმუნნი და არ დაიწვა სანთლები მის ხელებში, მისსავე კისერზე რკინით შეჭედილებში; და ამბობდა იგი, შეურყევლად ფეხზე მდგომი: „წინასწარ ვხედავდი უფალს, ჩემს წინაშეა მარადის, რადგან ჩემს მარჯვნივაა, რომ არ შევირყიო“ (ფს. 15.8), და შემდგომი სიტყვები.

და როდესაც გათენდა მეათე დღე, [დღე] მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულისა, რაც არის იანვრის თვის ექვსში, იყო ის დღე პარასკევი, და თქვა ამ ნეტარმა: „დიდია ჩემთვის ეს დღე, რადგან ვხედავ ორივე მხრივ ჩემი უფლის იესო ქრისტეს მძლეობას, ვინაიდან ამ დღესასწაულის ჟამს ჩავიდა იგი მოსანათლად იორდანის მდინარეში გაშიშვლებული და წყალთა სიღრმეში დამალული ვეშაპის თავები შემუსრა ღმრთეების ძალით. მმართებს მეც ამ დღეს, რომ განვიშორო ჩემი სხეულის შიში, რაც სამოსელია ჩემი სულისა, ჩავიდე, როგორც წყალთა სიღრმეში, ამ ქალაქში და მოვინათლო ჩემი სისხლით, ცეცხლითა და სულით, როგორც იქადაგა ეს იოანე წინამორბედმა, შემდეგ კი, კიდევ ჩავიდე წყალში და კიდევ

ვითარცა სიღრმესა წყალთასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე, და მერმე კუალად შთავჴდე წყალთაცა და კუალად განჴნათლდე (რამეთუ დღეს გარდამოსლვაჲ არს სულისა წმიდისაჲ ყოველთა ზედა წყალთა, რომლითა ნათელ- იღებენ ქრისტჱსმორწმუნენი სახედ იორდანისათა მათ მდინარეთა), და გან-შიშულებითა ჴორცთა ჩემთაჲთა მტერისა მის მზაკუვარისა მან-ქანებანი, რომელნი იზრახნა ჩემთჳს, განვბასრნე და დავტკებნნე ფერჴითა ჩემითა შორის ქალაქსა ამას. და კუალად დღესა ამას პარასკევსა ვნებითა მით თჳსითა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან ჯუარსა მას ზედა განპყრობითა ჴელთა თჳსთაჲთა განაქიქა და თითისსაჩუენებელ ყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაჲ. აწ მეცა თანა-მაც, რაჲთა განუჴდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტეანეთასა და ქრისტჱსთჳს დათხევითა სისხლთა ჩემთაჲთა საცინელ და საკიცხელ ვყო იგი ყოველთა ქრისტეანეთა, რამეთუ ჰგონებდა იგი, ვითარმცა შიშითა სიკუდილისაჲთა განმაშ-ორა მე სიყუარულსა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსსა, ხოლო მე საყუედრელ-ვყო განზრახვაჲ იგი მისი და ვჰსძლო მას ქრისტჱსმიერითა შეწევნითა და ორკერძოჲვე იგი თანანადები უფლისა ჩემისაჲ გარდავიჴადო".

მაშინ მოითხოვა წყალი და განიბანა პირი თჳსი და იცხო ზეთი თავსა თჳსსა და თქუა: „მაშინ სადამე ვიყავ თჳთ მენელსაცხებლე, კეთილადშემზავებელ სულნელთა მათ ნელსაცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს, ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვი-თარცა „ქებასა შინა ქებათასა" ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ჵრბიოდი", ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარ-წმუნოებისა და სიყუარულისა შენისაჲთა. იცი შენ, უფალო ჩემო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროჲს თავისა ჩემისა!"

გავნათლდე (რადგან დღეს არის სულიწმინდის გადმოსვლა ყველა წყალზე, რითაც ინათლებიან ქრისტეს მორწმუნეები იორდანის ნაკადულთა მსგავსად), და ჩემი სხეულის გაშიშვ-ლებით მზაკვარი მტრის ხრიკები, რაც ჩაიფიქრა ჩემზე, სასაცილო გავხადო და გავთელო ჩემი ფეხით ამ ქალაქში, და კიდევ, ამ პარასკევ დღეს ჩემმა უფალმა იესო ქრისტემ თავისი ვნებით და ჯვარზე თავისი ხელების გაშლით შეარცხვინა და ქვეყნიერების ყველა მხარისთვის დასაცინი გახადა მთელი სოფლის მტერი. ახლა მეც მმართებს, რომ გავიდე საბრძოლვე-ლად ქრისტიანთა მტერთან და ქრისტეს გამო ჩემი სისხლის დანთხევით საცინლად ავიგდო იგი და ყველა ქრისტიანისთვის მოსაძაგებელი გავხადო, რადგან ეგონა მას, რომ სიკვდილის შიშით გამაშორებდა მე ჩემი უფლის იესო ქრისტეს სიყ-ვარულს, მაგრამ მე შევარცხვენ მის განაზრახს, დავძლევ მას ქრისტესმიერი შეწევნით და გადავიხდი ჩემი უფლის ორმხრივ ვალს.

მაშინ მოითხოვა მან წყალი, დაიბანა პირი, იცხო ზეთი თავის თავზე და თქვა: „იმ დროს, ოდესღაც ვიყავი მე მენელ-საცხებლე, სურნელოვანი საცხებლების კარგად შემზავებელი, მაგრამ ეს საცხებელი ჩემი დასაფლავების დღედ არის. ამიერი-დან აღარ ვიცხებ მე ჩემი მწირობის ამ გაქარწყლებად ზეთს, არამედ როგორც „ქება ქებათაში" მასწავლა მე ბრძენმა სო-ლომონმა, „შენი ნელსაცხებლების სურნელებისკენ ვრბოდი" (ქებ. 1.3), ქრისტე, რომელმაც ამავსე მე შენი სარწმუნოებისა და სიყვარულის განუქარვებელი სურნელებით. იცი შენ, უფა-ლო, რომ შეგიყვარე შენ ჩემს თავზე მეტად".

და თქვა რა ეს, გაგზავნა [ვიღაც] წმინდა ეკლესიაში და მოჰგვარეს მას წმინდა საიდუმლო, ქრისტეს ხორცი და სისხ-ლი. ეს იყო იმ დიდი დღესასწაულის დღის მესამე საათი, და როდესაც მიიღო მან ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი საიდუმ-ლო, თქვა: „გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო იესო

და ესე რაჲ თქუა, წარავლინა წმიდად ეკლესიად და მოჰგუარეს მას წმიდაჲ საიდუმლოჲ, ჴორცი და სისხლი ქრისტჱსი. იყო ჟამი იგი მესამჱ დღისაჲ მის დიდისადღესასწაულისაჲ, და ვითარცა მიიღო მან ჭეშმარიტი იგი და განმაცხოველებელი საიდუმლოჲ, თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო, იესუ ქრისტე, რომელმან მომეც მე საგზლად ჩემდა ცხოვრებისმომნიჭებელი ჴორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებელად ჩემდა პატიოსანი სისხლი შენი! აწ უწყი, რამეთუ არა დამიტევო მე, არამედ ჩემ თანა დადგრომილ ხარ და მე შენ თანა. ამიერითგან არღარა მოვიღო მე სხუაჲ საზრდელი, რომლითა კუალად მშიოდის, და არცა სხუაჲ სასუმელი, რომლითა კუალად მწყუროდის, არამედ კმა არს ესე ჩემდა ცხორებად საუკუნოდ. აწ „დაღაცათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილსათა, არა შეშეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი ჩემ თანა ხარ“.

და ესე ვითარცა თქუა, მყის მოიწინეს მსახურნი იგი მსაჯულისანი და იჯმნა მან ყოველთა მათგან პყრობილთა ქრისტეანეთა და ჰრქუამათ: „ლოცვასა მომიჴსენეთ მე, რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა!“ და გამოიყვანეს იგი ეგრჱთვე ბორკილითა ფერჴთა და ჴელთაჲთა; და მიჰყვანდაიგი შორის ქალაქსა, და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთჳს, ხოლო წმიდამან ჰაბო ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!“ ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ–ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“, და საგალობელად მუჴლისა მის თქჳს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ: „მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა“.

ქრისტე, რომელმაც მომეცი მე ჩემს საგზლად შენი ცხოვრებისმომნიჭებელი ხორცი და ჩემს სიხარულად და განმამტკიცებლად - შენი პატიოსანი სისხლი. ახლა ვიცი, რომ არ დამტოვებ მე, არამედ ჩემთან ხარ [შენ] დამკვიდრებული და მე — შენთან. ამიერიდან აღარ მივიღებ სხვა საჭმელს, რითაც კვლავ მეშიება, და არც სხვა სასმელს, რითაც კვლავ მეწყურება, არამედ საკმარისია ეს ჩემთვის საუკუნო სიცოცხლედ. ახლა, „თუნდაც რომ მივდიოდე მე სიკვდილის აჩრდილთა შორის, არ შემეშინდება მე ბოროტისგან, რადგან შენ, უფალი, ჩემთან ხარ“ (ფს. 22.4).

და როდესაც თქვა ეს, მყისვე მოვიდნენ მსაჯულის მსახურები, და გაშორდა იგი ყველა პატიმარ ქრისტიანს და უთხრა მათ: „ლოცვაში მომიხსენეთ მე, რადგან ვეღარ მნახავთ მე ამ საწუთრო სოფელში“. და გამოიყვანეს იგი ასევე ხელებზე და ფეხებზე ბორკილით და მიჰყავდათ შუა ქალაქში, ხოლო რომლებიც კი ხედავდნენ მას, ქრისტიანები და მისი ნაცნობები, ცრემლს ღვრიდნენ მისთვის, მაგრამ წმინდა აბომ უთხრა მათ: „ნუ ტირით ჩემთვის, არამედ გიხაროდეთ, რადგან მე ჩემს უფალთან მივდივარ. ლოცვით გამისტუმრეთ და უფლის მშვიდობამ დაგიფაროთ თქვენ,“ ხოლო თვითონ მიდიოდა ისე, როგორც მკვდარს გაჰყვება ვინმე; ამგვარად ხედავდა თავის სხეულს და თავისი სულით გამყოლად ქცეული, თვით ამბობდა ამ ასმეთვრამეტე ფსალმუნს: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ფს. 118.1)[22], და შემდეგ, ამ მუხლის საგალობლად, წარმოთქვამდა ნეტარი ავაზაკის სიტყვებს: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (ლკ. 23.42).[23]

და ასე მიაღწია მან მსაჯული ამირას კარს, და როცა მიაღწია, იმ კარს გაბედულად გადასწერა ჯვარი და თვითონაც ჯვარი აღიბეჭდა. და წარადგინეს იგი მსაჯულის წინაშე. უთხრა მას მსაჯულმა: „რა არის ჭაბუკო, რა გადაწყვიტე შენი თავისთვის?“ ხოლო წმინდა მოწამე აღივსო სულიწმინ-

და ესრჱთ მიიწია იგი წინაშე კარსა მას მსაჯულისა ამირისასა; და რაჟამს მივიდა, კადნიერად ჯუარი დასწერა კარსა მას და თჳთცა დაიბეჭდა, და წარადგინეს იგი წინაშე ამირისა მის, და ჰრქუა მას მსაჯულმან: „რაჲ არს ჭაპუკო, რაჲ განიზრახე თავისა შენისაჲ, კეთლი ანუ ბოროტი?“ ხოლო წმიდაჲ მოწამჱ აღივსო სულითა წმიდითა და ჰრქუა მას: „მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „არღარა დაგიტევებიესა სიცოფჱ იგი და უგუნურებაჲ შენი?“ ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „უკუეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ღირს-ვიქმენ შემდგომად ქრისტჱსა!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?“ ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო: „უკუეთუ მოვკუდე, ძრწამს მე, რამეთუ ქრისტჱს თანა ვცხონდე, ხოლო შენ რაჲსა განაგრძობ? რაჲ გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრჱთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, ხოლო გონებაჲ ჩემი ქრისტჱს თანა არს ზეცას!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტჱს შენისაგან, რომლითა სიკუდილადცა არა გეწყალის თავი შენი?“ ხოლო ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო: „უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ ქრისტჱ და ნათელ-იღე მისა მიმართდა მაშინღა ღირს-იქმნე სიტკბოებასა მისსა ცნობად“.

მაშინ განრისხნა ამირაჲ იგი და უბრძანა განყვანებაჲ მისი კართა და თავისა მოკუეთაჲ. ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა. და განჰჴსნეს იგი ჴელითა და ფერჴითა საკრველთა მათგან რკინისათა. ხოლო ნეტარმან მან მწრაფლ თავით თჳსით განხეთქასამოსელი იგი, რომელი ემოსა მას, და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი თჳსი და თქუა: „გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს-მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ და ესე რაჲ თქუა, უკუნ-ისხნა ჴელნი თჳსნი

დით და უთხრა მას: „მე გადავწყვიტე და ქრისტიანი ვარ“. უთხრა მას მსაჯულმა: „არ დაგიტოვებია შენი ეს სიგიჟე და უგუნურება?“ უთხრა მას ნეტარმა აბომ: „უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავი, არ გავხდებოდი იმის ღირსი, რომ შევდგომოდი ქრისტეს“. უთხრა მას მსაჯულმა: „ვერ ხვდები, რომ ეგ შენი სიტყვები სიკვდილის შემძენად გიხდება შენ?“ უთხრა მას წმინდა აბომ: „თუკი მოვკვდები, მწამს მე, რომ ქრისტესთან ერთად ვიცოცხლებ, შენ კი რად აგრძელებ? რაც ჩემზე გაქვს განზრახული, გააკეთე, რადგან მე, ისევე როგორც მაგ კედელს, რომელსაც მიყრდნობილი ხარ, არ მესმის ეგ შენი ფუჭი სიტყვები, ვინაიდან ჩემი გონება ქრისტესთან ერთად არის ზეცაში“. უთხრა მას მსაჯულმა: „ამდენი რა სიტკბოება გაქვს შენი ქრისტესგან, რომ სიკვდილისთვისაც არ გებრალება შენი თავი?“ უთხრა მას წმინდა აბომ: „თუკი გინდა შეიცნო სიტკბოება მისი, შენც იწამე ქრისტე, მოინათლე მისდამი და მაშინღა გახდები მისი სიტკბოების შეცნობის ღირსი“.

მაშინ გარისხდა ამირა და ბრძანა, რომ გაეყვანათ იგი გარეთ და მოეკვეთათ მისი თავი. მსახურებმაც გამოიყვანეს კარის გარეთ, ტაძრის ეზოში, და გახსნეს იგი რკინის ბორკილებისგან ხელზე და ფეხზე. ხოლო ნეტარმა თვითონვე დაუყოვნებლივ გახია ის სამოსი, რაც ემოსა, გაშიშვლებულმა ჯვრით აღიბეჭდა თავისი სახე და სხეული და თქვა: „გმადლობ და გაკურთხებ შენ, წმინდაო სამებაო, რადგან ღირსი გამხადე მე, რომ მიმეღწია შენს წმინდა მოწამეთა მორკინალობამდე“. და თქვა რა ეს, უკან, თავის ზურგზე, ჯვრისებრ დაიწყო ხელები, მხიარული სახითა და გაბედული სულით ღაღადისი აღავლინა ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა თავისი კისერი მახვილს. და მოუქნიეს მას მახვილი სამგზის, ეგონათ რა, რომ სიკვდილის შიშით გააშორებდნენ მას ქრისტესგან, მაგრამ წმინდა მარტვილი დუმილით მხნედ განიკუთვნებდა მახვილს, სანამ არ შეავედრა თავისი სული უფალს.

ჯუარისსახედ ზედა ზურგსა თჳსსა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა ღაღად-ყო ქრისტჱს მიმართ და მოუდრიკა ქედი თჳსი მახჳლსა. და ჰსცეს მას მახჳლითა სამგზის, რამეთუჰ-გონებდეს, ვითარმედ შიშითა მახჳლისაჲთა განაშოერონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდაჲ იგი მარტჳრი დუმილით მჴნედ მიითუ-ალვიდა მახჳლსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი უფალსა.

და ვითარცა იხილეს ქრისტჱსმბრძოლთა მათ შემასმენელთა წმიდისა მის მოწამისათა, რამეთუ სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისჱს მიმართ და ღუაწლი კეთილი მოიღუაწა და სარწმუნოვებითა და მოთმინებითა [ჰ]სძლო მათსა მას სიბორგილსა, უფროჲსღა აღივსნეს შურითა და შევიდეს წინაშე ამირისა მის და ჰრქუეს: „ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულებაჲ არს ქრისტეანეთაჲ ესრესახედ: თუ ვინმე თავი თჳსი მოიკლის ქრისტჱს მათისათჳს, მოიპარიან გუამი მისი და პატივ-სციან მას დაფლვითა, და ტყუვილით რეცა-თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განჰსთქუმიდიან ერსა შორის, და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალთა მისთა განიყ-ოფედ რეცა საცოდ სნეულთათჳს და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუვნიან. აწ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რაჲთა განვიღოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვჴოცოთ საცთური ქრისტეანეთაჲ, რაჲთა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტე-ანეთასა“. ამას დაღაცათუ შურისათჳს ქრისტეანეთაჳსა იტყოდეს, არამედ ჭეშმარიტსა და მართალსა წამებდეს, ვითარცა-იგი არიან ქრისტჱსმოწამენი მკურნალ და მეოხ ყოველთა, რომელნი მიეახლ-ნენ მათ ქრისტჱსმიერითა სიყუარულითა და სარწმუნოვებითა. მა-შინ ჰრქუა მათ მსაჯულმან მან: „წარიღეთ, ვიდრეცა გნებავს და ყავთ, ვითარცა თჳთ იცით!“

ხოლო იგინი მოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი ქრისტჱს მოწამისაჲ მის და შთადვეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ, და სისხლი იგი დათხეული

და როდესაც ნახეს იმ ქრისტესმბრძოლებმა, რომლებიც აბეზღებდნენ წმინდა მოწამეს, რომ აღესრულა ეს ნეტარი ქრისტეს მიმართ, რომ „იასპარეზა მან კარგი ასპარეზობა“[24] და რომ სარწმუნოებითა და მოთმინებით დასძლია მათი სიშლეგე, უფრო მეტად აივსნენ შურით, შევიდნენ ამირასთან და უთხრეს: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულება არის ქრისტიანებისა ამ სახით: თუ ვინმე თავს მოიკლავს მათი ქრისტესთვის,[25] მოიპარავენ მის სხეულს, დასაფლავებით პატივს მიაგებენ მას, სიცრუით გაავრცელებენ ხალხში მასზე რაღაც სასწაულსა თუ მაკურნებლობას, ამასთან, სამოსელს, მისი თავის თმას და მის ძვლებს გაიყოფენ თითქოსდა, დასაცავად სნეულთათვის და ამ სახით მრავალ უმეცარს შეიტყუებენ. ახლა ბრძანე, რომ ჩვენ მოგვეცეს მისი სხეული, რათა გავიტანოთ იგი, დავწვათ ცეცხ-ლით, გავაქროთ და [ამ გზით] აღმოვფხვრათ ქრისტიანთა საც-თური, რომ ყველამ ნახოს ეს და შეშინდეს, და ზოგი მათგანი ჩვენკენ მოიქცეს, ჩვენიანებს კი ეშინოდეთ და აღარ მიჰყვნენ ქრისტიანთა მოძღვრებას“ (ამას ისინი თუმცაღა ქრისტიანების შურით ამბობდნენ, მაგრამ ამოწმებდნენ კი იმას, რაც ჭეშმარი-ტია და მართალი, იმდენად, რამდენადაც ქრისტესმოწამეები მკურნალნი და მეოხნი არიან ყველა იმათთვის, რომლებიც კი ქრისტესმიერი სიყვარულითა და სარწმუნოებით მიეახლებიან მათ). უთხრა მათ მსაჯულმა: „წაიღეთ, საითაც გინდათ, და გაა-კეთეთ, როგორც თქვენ თვითონ იცით“.

მაშინ მოვიდნენ ისინი, აიღეს მიწიდან მისი პატიოსანი სხეული, ჩადეს იგი ასაკიდებელ კიდობანში მისივე სამოსლი-თურთ, ამოთხარეს ამ მართლის დანთხეული სისხლი მიწიდან, (ისე რომ, საერთოდ არაფერი დატოვეს მიწაზე), ჩადეს ისიც ჭურჭელში და დადეს წმინდანი ურემზე, იმ მხნე ორმოცი წმინდანის მსგავსად, რადგან იქ, სადაც თავი მოჰკვეთეს წმინ-და მოწამეს, იმ წმინდა ეკლესიის კართან იყო, რომელიც

მართლისაჯ მის აღმოთხარეს ქუეყანით და რაჯთურთით არა დაუ-
ტევეს ქუეყანასა და იგიცა შთადვეს ჭურჭერსა შიდა. და დადვეს
წმიდაჯ იგი ურემსა ზედა, მსგავსად მჴნეთა მათ წმიდათა
ორმეოცთა, რამეთუ სადაცა მოჰკუეთეს თავი წმიდასა მას
მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახ-
ელად წმიდათა მათ ორმეოცთა დაფუძნებულ იყო, წესვე ეგრე
იყო, რაჯთა ემსგავსოს იგი ახოვანთა მათ წმიდათა ორმეოცთა.

და ვითარცა გამოიღეს წმიდაჯ იგი გუამი მისი გარეშე
ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საღოდებელ ეწოდების,
რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჯ, და მუნ გარ-
დამოიღეს ურმისა მისგან და დადვეს იგი ქუეყანასა. და მოიღეს
შეშაჯ და თივაჯ და ნავთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა
და აღაგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჴორცნი წმიდისა
მოწამისანი ადგილსა მას, რომელი არს აღმოსავალით-კერძო ციხ-
ესა მას ქალაქისასა (რომელსა „დილეგი" ჰრქჳან), პირსა ზედა
კლდისასა, რომელ არს კბოდ©მდინარისა მის დიდისაჯ, რომელი
განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი.
ხოლო ადგილსა მას მათ თანა არავინ აუფლეს მისლვად ქრისტეან-
ეთაგანი, ვიდრემდის აღასრულეს დაწუვაჯ იგი ჴორცთა მათ
მოწამისათაჯ, ხოლო ძუალთა მათ წმიდისათა, რომელთა ვერ-
ღარაუძლეს დაწუვად, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და
შეკრნეს მტკიცედ და მოიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას
მდინარესა, ჴიდთაქუეშე ქალაქისათა, რომელთა ზედა აღმართე-
ბულ იყო პატიოსანი ჯუარი ჴიდისაჯ. და იქმნა წყალი იგი მდინარ-
ისაჯ მის წმიდათა მათ ძუალთა სამოსელ გარეშეხუევითა მით და
სიღრმ© იგი წყალთაჯ საფლავ წმიდისა მის მარტჳრისა, რაჯთა
არავინ უდებად მიეახლოს მას.

ქრისტ©სმბრძოლთა მათ ესრ©თ ყვეს და ესრ©თ ღუაწლი
კეთილი მოიღუაწა ნეტარმან მან.

მაშინ იწყო სიმრავლემან მან ქალაქისა ქრისტეანეთამან და
განაგდეს შიში მძლავრთაჯ მათ და განვიდეს ყოველნი ადგილსა

წმინდა ორმოცი მოწამის სახელზე იყო დაფუძნებული. ამიტ-
ომ, მართებული იყო, რომ ამ ახოვან ორმოც წმინდანს მიმს-
გავსებოდა იგი.

და როდესაც ქალაქის გარეთ გამოიტანეს წმინდანის
წმინდა სხეული, აიტანეს იმ ადგილას, რომელსაც „საგოდებე-
ლი" ეწოდება, რადგან იქ არის ქალაქის ადამიანთა საფლავე-
ბი. იქ გადმოიღეს იგი ურმიდან და დადეს მიწაზე. შემდეგ
მოიტანეს შეშა, თივა და ნავთი, რაც დაასხეს წმინდა სხ-
ეულს, და დაანთეს ცეცხლი, სანამ არ დაწვეს წმინდა მოწა-
მის ხორცი იმ ადგილას, რომელიც არის ქალაქის ციხის აღ-
მოსავლეთით (და რომელსაც ჰქვია „დილეგი"), კლდის
პირზე, რაც არის პიტალო კლდე იმ დიდი მდინარისა, აღმო-
სავლეთით რომ ჩაუდის ქალაქს (მისი სახელია მტკვარი).
ხოლო ქრისტიანთაგან არავის მისცეს უფლება იმ ადგილას
მისვლისა, სანამ არ დაასრულეს წმინდა მოწამის ხორცთა
დაწვა, ხოლო წმინდა მოწამის ძვლები, რომელთა დაწვაც ვე-
ღარ შეძლეს, მოკრიფეს ცხვრის ტყავში, მაგრად შეკრეს და
ჩაყარეს იმ დიდ მდინარეში, ქალაქის ხიდის ქვევით,
რომელზეც აღმართული იყო ხიდის პატიოსანი ჯვარი. და
გახდა წყალი მდინარისა ამ წმინდა ძვლების სამოსელი, გარს
შემოეხვია რა მათ, სიღრმე წყლისა კი — წმინდა მარტვილის
საფლავი, დაუდევრად რომ არავინ შეხებოდა მას.

ამგვარად იმოქმედეს ქრისტესმბრძოლებმა, და ასე იას-
პარეზა კარგი ასპარეზობა[26] ამ ნეტარმა.

მაშინ დაიძრა ქალაქის ქრისტიანთა სიმრავლე, განიშორეს
მათ ტირანთა შიში და ყველანი გადიოდნენ იმ ადგილას, სა-
დაც დაწვეს წმინდა მოწამის ხორცი; მოხუცები მორბოდნენ თა-
ვიანთი ჯოხებით, კოჭლები — ხტომით, როგორც ირმები, ჭა-
ბუკები — სირბილით, ბავშვები ერთიმეორეზე შეჯახებით,
ქალები კი მსგავსნი იყვნენ იმ წმინდა მენელსაცხებლეებისა,
რომლებსაც სირბილით მიჰქონდათ სურნელებანი[27] ჩვენი ღვ-

მას, სადა დაწუნეს ჴორცნი წმიდისა მოწამისანი; მოხუცებულნი მორბიოდეს კუერთხებითა თჳსითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაპუკნი სრბით, ყრმანი ჴდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ დედათა მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელი იგი წმიდასა მას ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა; ნანდჳლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ჴელითა თჳსითა. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტჱსითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს. ხოლო ყოვლადძლიერმან ღმერთმან უფროჲს გამოაჩინა ძალი თჳსი და პატივჰსცა თჳსსა მას მარტჳრსა და აჩუენა სასწაული საკჳრველი, რაჲთა უწყოდიან ყოველთა, რამეთუ ქრისტჱსმოწამჱ არს.

ვითარცა შემწუხრდა დღჱ იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარჱ, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ, რომელი მყოვარჟამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუვეს ნეტარი იგი მოწამჱ ქრისტჱსი. და დგა იგი ზე ჰაერთა ვიდრე სამ ჟამადმდე, გინა უმეტჱს, ღამესა მას, რომელი გამოუტევებდა ბრწყინვალებასა, არათუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელებაჲ ელვისაჲ, რომელსა ჰხედვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაჯულიცა იგი და ყოველიერი და მკჳდრნი იგი ქალაქისანი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხჳთ მოსრულნი; მყოვარჟამჰხედვიდეს გუგაჲთა თუალისაჲთა, ვიდრემდის ჰკდემებოდაცა მძლაჲრთა მათ და მი-ვინმე-ვიდეს ხილვად ადგილსა მას მსახურთაგანნი მსაჯულისა მის ამირისანი, რამეთუ ჰგონებდეს, ნუუკუე ქრისტეანეთა აღანთეს სანთელი ადგილსა მას. და ვითარცა მიეახლებოდეს ადგილსა მას, იხილეს, რამეთუ აღმაღლდებოდა ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა, და ვერ მიეახლნეს ადგილსა მას, რამეთუ შიშმან შეიპყრნა იგინი საღმრთომან.

თის ქრისტეს წმინდა საფლავთან. ნამდვილად იყვნენ ესენიც მათი მსგავსნი, რადგან მირბოდნენ ცრემლით და თან მიჰქონდათ თავიანთი ხელით სანათები და საკმეველი. ყველანი სიხარულითა და ქრისტესადმი მადლობით მიდიოდნენ, იღებდნენ იმ ადგილის მიწას, მიჰყავდათ ბევრი სენთაგან შეპყრობილი , რომლებიც იმავე დღეს იკურნებოდნენ, ყოვლადძლიერმა ღმერთმა კი უფრო მეტად გამოავლინა თავისი ძალა, პატივი მიაგო თავის წმინდანს და აჩვენა საკვირველი ნიშანი, რათა ყველას სცოდნოდა, რომ ქრისტესმოწამეა იგი.

როდესაც შეღამდა ის დღე და იყო პირველი საათი ღამისა, გადმოავლინა უფალმა იმ ადგილას მოელვარე ვარსკვლავი, როგორც ცეცხლის ჩირაღდანი, რომელიც ხანგრძლივად იდგა იმ ადგილას, სადაც დაწვეს ქრისტეს ნეტარი მოწამე, და იდგა იგი ჰაერთა ზევით, ვიდრე იმ ღამის სამ საათამდე, ანდა უფრო მეტ ხანს, გამოსცემდა რა ბრწყინვალებას, თუმცა არათუ ამქვეყნიური ცაცხლის მსგავსად, არამედ როგორც საშინელება ელვისა, რასაც ხედავდა ყველა მოქალაქე, მათ შორის ის მსაჯულიც, მთელი ხალხი, ქალაქის მკვიდრი ქრისტიანები, ყველა სარკინოზი და სხვა მხრიდან მოსული მწირები. ხანგრძლივად ხედავდნენ ისინი თვალის გუგებით, სანამ არ შერცხვათ მოძალადეებსაც და მივიდნენ მსაჯულ ამირას მსახურთაგანნი ვინმე იმ ადგილის სანახავად, რადგან იფიქრეს, იქნებ ქრისტიანებმა აანთეს იმ ადგილას სანათიო. და როდესაც უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, ნახეს, რომ ჰაერთა ზევით მაღლდებოდა ვარსკვლავი და ვერ მიდიოდნენ იმ ადგილთან, რადგან საღვთო შიშმა შეიპყრო ისინი.

და კიდევ, მეორე ღამეს უფრო მეტადაც გამოსცა წყალმა გასაკვირველი სინათლე და მოჩვენება ეგონათ რა მათ მიწაზე და ჰაერის ქვეშ [გამომკრთალი] ზეციური ცეცხლი, უნდოდათ ამ საკვირველებათა დაფარვა, თუმცა წყლებმა ვერ შეაკავეს იგი და ვერ ჩააქრეს ვერც მღელვარე ტალღებმა, და იმ სიღ-

კუალად მეორესა ღამესა უმეტჱსღა წყალთა გამოსცეს განსაკჳრვებელი ნათელი; რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქუეყანასა ზედა და ჰაერსა ქუეშე ცეცხლი იგი ზეცისაჲ, უნდა დაფარვად საკჳრველებათა მათ, კუალად წყალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ ღელვათა და მფოფინარეთა სიღრმეთა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივპატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ჴიდთა მათ ქუეშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელნი კუალად მყოვარჟამ დგეს და განათლებულ იყო გარემოჲს კიდესა მის მდინარისასა კლდჱ იგი და კბოდენი და ჴიდნი იგი, ზჱთგან ვიდრე ქუედმდე, რომელსა ეგრ□თვე ყოველი სიმრავლჱ ქალაქისაჲ მის ჰხედვიდა, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტჱს, ძისა ღმრთისა, მარტჳრ არს და გულისხმა-ყონ ყოველთა ქრისტჱსმორწმუნეთა და ურწმუნოთა, რამეთუჭეშმარიტ არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ „მე თუ ვინმე მმსახურებდეს, პატივ-ჰსცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა“. უკუეთუ ჴორცთა მათ განჴრწნადთა ესოდენი პატივი აწვე აჩუენა, რავდენ უფროჲს უჴრწნელად აღდგომასა მას მართალთასა დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსანი იხილონ შორის ანგელოზთა და ჰრცხუენოდის უგუნურად სიბორგილისა მათისათჳს, რომელთა ქრისტჱ უვარ-ყვეს და წმიდათა მისთა ჰგუემდეს და სდევნიდეს და მოსრვიდეს, ხოლო უფალი შეიწყნარებდა ცათა შინა!

ხოლო აწ, საყუარელნო, ჯერ-არს ჩუენდაცა ამიერითგან უმეტჱსად-ღა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა, რაჲთა ხილულისა ამისგან ახლისა მოწამისა პირველთაჲცა მათი გურწმენეს და ვთქუათ სიტყუაჲ იგი ნეტარისა დავითისი: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ“, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ!

რმეებში, სადაც ჩაყარეს სანატრელი მოწამის ღვთივპატივცემული ძვლები, ხიდის ქვეშ, ამობრწყინდა სინათლეები სვეტების მსგავსად, როგორც ელვანი, რომლებიც ასევე ხანგრძლივად იდგნენ და განათებული იყო მდინარის კიდეების ირგვლივ კლდე, კბოდე და ხიდი, ზემოდან ვიდრე ქვემომდე, რასაც კვლავაც ქალაქის მთელი სიმრავლე ხედავდა, რათა ყველას ერწმუნა, რომ ჭეშმარიტად იესო ქრისტეს, ღვთის ძის მარტვილი იყო იგი, და შეეცნო ყველას, ქრისტეს მორწმუნესაც და ურწმუნოსაც, რომ ჭეშმარიტია უფლის სიტყვა, რაც თქვა მან: „მე თუ ვინმე მსახურებას გამიწევს,პატივს მიაგებს მას ჩემი მამა, რომელიც არის ცათა შინა“ (ი. 12.26), და თუ ხრწნად ხორცზე ამდენი პატივი უკვე აჩვენა მან, რამდენად უფრო მეტად იხილავენ მას, მართალთა უხრწნელად აღდგომისას, დიდებითა და პატივით გვირგვინოსანს ანგელოზთა შორის და [რაოდენ] შერცხვებათ თავიანთი უგუნური სიშლეგის გამო იმათ, რომლებმაც ქრისტე უარყვეს და მის წმინდანებს გვემდნენ, დევნიდნენ და სპობდნენ (ხოლო უფალი ცათა შინა შეიწყნარებდა).

ახლა კი, საყვარელნო, გვმართებს ჩვენც, რომ ამიერიდან კიდევ უფრო მეტად განვიკუთვნებდეთ სანატრელ პირველმოწამეებს, რომ ამ ხილული ახალმოწამის კვალობაზე იმ პირველებისაც ვირწმუნოთ და ვთქვათ ნეტარი დავითის სიტყვა: „ძვირფასია უფლის წინაშე მისი წმინდანების სიკვდილი“ (ფს. 115.6), რადგან მას შეჰფერის დიდება აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მეოთხჷ თავი

ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი

აწ მოვედით, ქრისტჷსმორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ჴსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა, და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულისა და გონებათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილადმოღუაწებასა მისსა და ვიტყოდით:

„გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკუანაჲსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეათერთმეტისა ამის ჟამისაჲ მდღეურთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!.

„გიხაროდენ უფლისა მიერ, მოწამეო, რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანაჲსკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა, და ქრისტჷს, ძისა ღმრთისა, აღსაარებისათ□ს მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა.

„აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლადქებულო ქრისტჷსმოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოვებისა შენისაჲ, და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჷსმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შორის ჩუენსა. აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტჷს მიმართ, არამედ შენ მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტჷსისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ, შუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ!

მეოთხე თავი

წმინდა მოწამე აბოს ქება

ახლა მოდით, ქრისტესმორწმუნენო, და ვიდღესასწაულოთ ამ ახალი წმინდა მოწამის ხსენება, რომელიც ჩვენდა მეოხად მოგვანიჭა ქრისტემ მთელ ამ ჩვენს ქართლის ქვეყანას, დიდი სიხარულით გავხსნათ ჩვენი გულისა და გონებათა საუნჯენი, მხიარული სახითა და წრფელი ენით ვაქოთ მისი კეთილმოღვაწეობა და ვთქვათ:

გიხაროდეს, სანატრელო მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ, ჩვენი მაცხოვრის უკანასკნელი მშრომელი მეთერთმეტე საათისა, დღის მშრომელებთან ერთად ადრე ამდგართ შეესწორე და მათთან ერთად მათ საზღაურს არ დააკლდი.

გიხაროდეს, მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ მიემსგავსე უკანასკნელ მოციქულ პავლეს მამისეულ რჯულთა და მოძღვრებათა უკუგდებით და, მის მსგავსადვე, ქრისტეს, ღვთის ძის აღსარების გამო თავი მოგეკვეთა.

ახლა კი ღირსეულად ვინ შეგაქებს შენ, ჭეშმარიტად საქებს? მსურს, რომ გაქო შენ, ყოვლედქებულო ქრისტესმოწამეო, მაგრამ ვერ ვბედავ, რადგან ჩემს გონებაზე მეტად ამაღლდა შენი სათნოებების ქება. ამასთან, მეშინია მე დადუმებისა, რადგან სანატრელი ქრისტესმიერი სიყვარულით შემიყვარე მე, სანამ ჯერ კიდევ იყავი ამ ჩვენს სოფელში, ახლა კი, შენს საქებად ჩემი ენის შეჩერებით იქნებ შეჩერდეს შენი ჩემს გამო მეოხებითი მოღვაწეობა ქრისტეს მიმართ. ახლა, შენგანვე ქრისტესმიერი მადლის მიღებით, ჩემი ძალისამებრ შეგაქებ შენ, მშვენიერებით შემკულო ქრისტეს მიერ.

გიხაროდეს, გიხაროდეს, სანატრელო მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ ქრისტეს თვითმხილველი და ხელითმსახური

„გიხაროდენ,მოწამეო, უფლისა მიერ სანატრელო! რამეთუ შენ თუალითმხილველთა მათ და ჴელითმსახურთა წმიდათა მოციქულთა ქრისტჱსთა უხილველად სარწმუნოვებითა და სიმჴნითა აღსაარებითა ნეტარებაჲ მოიგე.

„რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდშობილისა ძისა თჳსისა მიერ გჳრგჳნოსან-გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!

„შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა!

„შენ სულმან წმიდამან შეგიწყნარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თჳსთა პატივ-გცა და ღუაწლისამძლედ გამოგაჩინა!

„შენ ზედა განუკჳრდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უჴორცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტჱსთჳს.

„შენთჳს მამათმთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თჳსთა ნაშობთაგანი შეიწყნარა წიაღთა თჳსთა ქრისტჱსთჳს, რომელი-იგი კარავსა თჳსსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესავთა გამოჩნდა მამად.

„შენ ქრისტჱსმოწაფეთა მათ ნაყოფ-ექმენ და მოციქულთა მოწაფე!

„შენ მოწამეთა მათ თანა ზეცისა მეუფისა მას მატიანსა სახელით დაიწერე და მარტჳ[რ]თა თანა გჳრგჳნოსან-იქმენ!

„შენ აღმსაარებელთა თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარ!

„შენთჳს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთჳს აღირჩიე და მახჳლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თაყუანის-ეც უფლად და ღმრთად!

„ვინაჲ ანუ ვისგან ისწავე ქრისტჱსთჳს ესთენი ესე ცნობაჲ? რომელმან საკჳრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველისასა?

წმინდა მოციქულების ნეტარება სარწმუნოებითა და სიმხნისმიერი აღსარებით უნახავად[28] მოიპოვე.

რადგან შენ ზეცათა მამამ თავისი მხოლოდშობილი ძის მიერ გვირგვინი დაგადგა და სულიწმინდის მადლით აგავსო.

შენ ძემ მამის მიერ შეგიწყნარა და სულიწმინდამ გადიდა.

შენ სულიწმინდამ შეგიყვარა და მამასთან და ძესთან თავისი ერთობით პატივი მოგაგო და ბრძოლაში გამარჯვებულად გამოგაჩინა.

შენთვის გაუკვირდა ანგელოზთა მწყობრს, რადგან როგორც უხორცომ, დაითმინე ქრისტესთვის სიკვდილი.

შენთვის ხარობენ მამათმთავარნი, რადგან ნეტარმა აბრაამმა ქრისტეს გამო თავის წიაღში მიიღო თავისი შთამომავალი[29], რომელიც მიიღო მან თავის კარავში და მისგან[30] მრავალი ერის მამად გამოჩნდა[31].

შენ ქრისტეს მოწაფეებს ნაყოფად გაუხდი და მოციქულებს — მოწაფედ.

შენ ზეცის მეუფის წიგნში მოწამეთა შორის სახელით დაიწერე და მარტვილებთან ერთად გვირგვინოსანი გახდი.

შენ აღმსარებლებთან ერთად განწესდი და მართლებთან ერთად იდიდები.

შენთვის დიდად გვიკვირს ჩვენ, წმინდაო მოწამეო, რადგან მეფობის ამ დროში ისმაიტელთა განდიდებისას შენ ნებსით აირჩიე სიმდაბლე ქრისტესთვის, მახვილით შენარჩუნებული რჯული უარყავი, ჭეშმარიტი აღიარე და ჯვარცმულს ეცი თაყვანი უფლად და ღმერთად.

საიდან ან ვისგან ისწავლე ქრისტესთვის ესოდენი შემმეცნებლობა? რომელმა საკვირველებამ აგიყვანა შენ სასუფევლის დიდებამდე?

შენ ჭეშმარიტად მიემსგავსე მარჯვენა ავაზაკს, რადგან გყავდა შენც ერთი ვინმე, შენთან ერთად შეპყრობილთაგანი,

„შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა მიემსგავსე, რამეთუ გაქუნდა შენცა ერთი შენთანა პყრობილთაგანი, ნაშობი ქრისტეანეთაჲ, რომელი განდრეკილ იყო ქრისტჱსგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა, ხოლო კუალად ქრისტჱს აღსაარებისათჳს შენ თანა განიკითხვოდა, არამედ საწყალობელსა მას კუალადცა უბრკუმა დადაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲ ესე შეიყუარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა, მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტჱსი ნამგლევ-იქმნა, რამეთუ მწყემსსა მას კეთილსა განეშორა და არგანი იგი ქრისტჱს ძლიერებისაჲ განაგდო ჴელთაგან თჳსთა; ამისთჳსცა იძლია და განვარდა სამწყსოჲსაგან ბრმეტყუელთა მათ ცხოვართაჲსა. ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა მით ჯუარისა თჳსისაჲთა დაგიცვა ქრისტემან მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოვებისა შენისა მისა მიმართ.

„შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოვებითა და სამოთხესა განეწესე!

„შენ კარი იგი სამოთხისაჲ განაღე ჯუარითა ქრისტჱსითა და მცველთა მათ ქერაბინთა ცეცხლისმსგავსთა ვერ განგიკითხეს შენ, ვითარმედ: „ვინ ხარ?"

„და რაჲღამე უფროჲს ვთქუა, რამეთუ „უფალმან ივნო ჩუენთჳს, უბრალომან ბრალეულთათჳს" დასთხია უბიწოჲ სისხლი თჳსი, ხოლო შენ გარდაიჴადე თანანადები იგი, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლი სიყუარულისათჳსმისისა. ამისთჳსცა ძლევისა გჳრგჳნითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკჳდრად გამოგაჩინა.

„შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოვებაჲ იგი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულისა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა. თესლსა ურწმუნოსა ძისაღმრთისასა, სარწმუნოვებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰ-

ქრისტიანთა შვილი, რომელიც გაშორებული იყო ქრისტესგან და მიდევნებული უცხო რჯულს, მაგრამ კვლავ ქრისტეს აღსარების გამო შენთან ერთად განისჯებოდა, თუმცა საბრალო კვლავ დაბრკოლდა და დაეცა, რადგან სიკვდილის შიშით ეს საწუთრო შეიყვარა და ის საუკუნო დაღუპა; აიტაცა იგი ბოროტმა მტერმა და ქრისტეს ცხვარი ნამგლევი გახდა, ვინაიდან გაშორდა იგი კარგ მწყემსს და ქრისტეს ძლიერების კვერთხი თავის ხელთაგან გააგდო; ამიტომაც დამარცხდა იგი და განიდევნა გონიერი ცხვრების სამწყსოსგან, შენ კი სანატრელო მოწამეო, იმ კვერთხით — თავისი ჯვრით დაგიფარა ქრისტემ შენი მისდამი ძლიერი სარწმუნოების გამო.

შენ იმ ავაზაკს[32] შეესწორე სარწმუნოებით და სამოთხეში განწესდი.

შენ ქრისტეს ჯვრით სამოთხის კარი გააღე და მცველმა ქერუბიმებმა, ცეცხლის მსგავსებმა, ვერ გამოგკითხეს, თუ ვინ ხარო.

და რაღა ვთქვა უფრო მეტად, რადგან „უფალმა ივნო ჩვენთვის; უდანაშაულომ დამნაშავეთათვის" (I პეტრე 3.18) დაღვარა თავისი უბიწო სისხლი, ხოლო შენ გადაიხადე ვალი, რადგან შენც დაღვარე შენი სისხლი მისი სიყვარულისთვის. ამიტომაც გამარჯვების გვირგვინით შეგამკო შენ და თავისი მამის სასუფევლში დამკვიდრებულად გამოგაჩინა.

შენ გამო, წმინდაო მოწამეო, ქრისტეს სიყვარული ჩვენდამი და ჩვენი მისდამი სარწმუნოება კვლავ განახლდა, რადგან შეევერიეთ უცხო ხალხს, ქრისტესგან განდგომილს რჯულით, ამ საწუთროს მოყვარე ერს, ღვთის ძისადმი ურწმუნო მოდგმას, ჩვენი სარწმუნოების მაგინებელთ, რომლებისგანაც ვისწავლეთ მათი საქმენი და მათდამი ბაძვით ჩვენს გულთა წადილს ვემონებოდით, როგორც თითქოსდა ქრისტესაგან უიმედონი და საუკუნო ცხოვრების დამვიწყებლები, ხოლო ახლა შენ მიერ კვლავ მოგვეახლა ქრისტე და კვლავ შევიმეც-

მონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა ვითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხოერებისანი, ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ და ჩუენ გულისხმა-ვყავთ კუალად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს-ვიქმნენით და და წყალობასა, დღითი-დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამოჩინებითა.

„შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახჳლითა და ცეცხლითა, უმეტჱს ალისა, განგაბრწყინვეს. ვერ გულისხმა-ყვეს უგულისხმოთა მათ სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარმედ: „იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“. ჰ უგუნურებაჲ და უმეტჱს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელი-იგი პირველად არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა ჰსცხონდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტჱს აღმსაარებელად, და მარტჳრად ყოველთა შეგისწავეს.

„შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ-გცეს, რამეთუ ცაჲ მოწამე არს სიმართლესა შენსა უცხოჲსა ცეცხლისა გარდამოვლინებითა ადგილსა მას ზედა, რომელსა, ვითარცა კრავი უმანკოჲ, შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა.

„შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრაღმერთსა მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაჲსი, რომელნი-იგი მრგულიადდასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდესღმრთისა, და კუალად ადგილი იგი სამსხუერპლოჲსა შენისაჲ ემსგავსა ბერვარსა აჰრონისსა და ზაქარიაჲსსა მღდელთაჲსა, რამეთუ ნაკუერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიდოდა, ვითარცა სულნელებაჲ საკუმეველთაჲ ჴორცთა მაგათ შენთაჲ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა!

ნეთ ჩვენ მისი შიში და სიყვარული მისი, და ღირსნი გავხდით მისი მადლისა, მისი [ჩვენდამი] სიყვარულისა და წყალობისა ყოველდღიურად მრავალი ნიშნისა და კურნების ჩვენ შორის გამოვლინებით.

შენ მახვილითა და ცეცხლით შენმა უგუნურმა შემწირველებმა ალზე მეტად გაგაბრწყინეს, რადგან ვერ შეიცნეს უცნობოებმა უფლის სიტყვა: „იყოს ისე, რომ ყველას, ვინც დაგხოცავთ თქვენ, ეგონოს, თითქოს მსხვერპლი შესწირა ღმერთს“ (ი. 16,2). ჰოი, უგუნურება და უმეტესი უგუნურება მათი, რადგან შენ, რომელსაც თავდაპირველად არავინ გიცნობდა, თუ ვინ იყავი ანდა რომელი ერისგან ან რომელი ხალხისგან, ან თუ რომელი რჯულით ცხოვრობდი, ახლა უკვე მათდა უნებურად წარმოგაჩინეს ქრისტეს გაცხადებულ აღმსარებლად[33] და ყველამ მარტვილად შეგიცნო.

შენ პატივი მოგაგო ყველა ქმნილებამ, რადგან მოწამეა ცა შენი სიმართლისა უცხო ცეცხლის გადმოვლინებით იმ ადგილზე, სადაც შენ, ცეცხლით დამწვარი, შეიწირე, როგორც უბიწო კრავი.

შენ მიწამ წმინდა და სათნო მსხვერპლად მიგძღვნა ღმერთს შენი პატიოსანი სხეულის დაწვით, რადგან გაგიხდა იგი შენ როგორც აბელის, ენუქის, აბრაამის და ელიას საკურთხეველი, რომლებიც სრულადდასაწველ კრავებს სწირავდნენ ღმერთს, და კიდევ, ადგილი შენი სამსხვერპლოსი[34] მიემსგავსა აარონ და ზაქარია მღვდლების სასაკმევლეს,[35] რადგან ცეცხლის ნაკვერცხლებზე საკმეველთა სურნელებისებრ ადიოდა უფლისადმი წმიდათა წმიდაში, ზეცის საკურთხევლისკენ მაგ შენს ხორცთა [სურნელება].

შენ მიგიღეს მაგ ნაკადულებმა, როგორც ქრისტეს მარტვილი, ხოლო ქრისტე ღმერთმა სიღრმეთა სიბნელე ზეცის სინათლით გააბრწყინა.

„შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტჱს-მარტჳრი, ხოლო ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთა მათ სიბნელჱ ზეცისა ნათლითა განაბრწყინვა.

„შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გა-მოგირჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა!

„შენ ველური ეგე ზეთისხილი მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა, თჳსსა სამკჳდრებელსა, ნაყოფად კურთხევისად დაგნერ-გა, და ნაყოფითა მით სარწმუნოვებისა შენისაჲთა ახარა ეკლე-სიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტჱსმორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმჴნესა, შენსა მას მარტჳრობასა, შენსა მას გჳრგჳნოსნებასა!

„ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისამძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტჱსმორწმუნჱ, მოძღუარ ჩუენდა იქ-მენ; სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ-ჰყვენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარ-მართნი წადიერ-ჰყვენ ქრისტჱს მონებად, საჴსენებელი მარტჳრო-ბისა შენისაჲ ჩუენ დაგჳტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ-ვიქმნენით!

„აწ ვევედრებით ყოველნი შენსა ქრისტჱსმოწამებასა, მეოხმ-ცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთაჲსა ჩუენ ყოველთათჳს, რომელნი აღვასრულებთ საჴსენებელსა შენსა და ვადიდებთ მამასა და ძესა და წ“სა სულსა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამჱნ!

* * *

შენ შენმა ნათესავებმა გაგიუცხოვეს და გაგაგდეს, ხოლო ქრისტემ ისმაიტელთა შორის, როგორც ვარდი ეკალთაგან, გა-მოგარჩია და მიგძღვნა თავის ეკლესიას.

შენ, ეგ ველური ზეთისხილი, აგიღო ქრისტემ და თავის სამკვიდრებელ ყვავილნარში კურთხევის ნაყოფად დაგრგო და შენი სარწმუნოების ნაყოფით ახარა ეკლესიას, რომელშიც იშ-ვებენ ქრისტეს მორწმუნეები და ნეტარყოფენ შენს დიდებულე-ბას, შენს მოღვაწეობას, შენს სიმხნეს, შენს მარტვილობას, შენს გვირგვინოსნობას.

როგორ გაქებდე შენ, ბრძოლისმძლეველო წმინდა მოწამეო, რადგან შენ, ეგ ახალი ქრისტესმორწმუნე, ჩვენს მოძღვრად გახ-დი; სწავლულნი უფრო მეტად ცნობიერჰყავ, შერყეულნი უფრო მეტად განამტკიცე, განმტკიცებულნი განამხიარულე, წარმართნი წადიერჰყავ ქრისტესადმი დასამონებლად, შენი მარტვილობის სახსენებელი ჩვენ დაგვიტოვე, შენი სახელის ყველასათვის საუწყებლად მქადაგებელნი გავხდით.

ახლა ვევედრებით ყველანი შენს ქრისტესმოწამეობას: მეოხად იყავ წინაშე ყოველთა მაცხოვრისა ყველა ჩვენგანი-სათვის, რომლებიც აღვასრულებთ შენს სახსენებელს და ვა-დიდებთ მამას, ძეს და სულიწმინდას აწ და მარადის და უკუნი-თი-უკუნისამდე. ამინ.

* * *

შენიშვნები

1. „შენზე ღრმას ნუ გამოეძიებ და შენზე ძლიერს ნუ გამოიკვლევ“ — „ზირაქის სიბრძნიდან“ მოტანილი ეს სიტყვები გამოცემებში ასეა წარმოდგენილი: “უდარასსა შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერესსა მას შენსა ნუ განიკითხავ“. საქმე ისაა, რომ ტექსტის მეცნიერული გამოცემის დროს კ. კეკელიძეს ხელი არ მიუწვდებოდა Ath. 57-სა (ლიტერი E) და შინ. 11-ზე (ლიტერი C), სხვა ნუსხები კი ზემომოტანილ ტექსტს შეიცავენ, რაც კ. კეკელიძის გამოცემიდან მექანიკურად გადავიდა მომდევნო პუბლიკაციებში. რაც შეეხება ხსენებულ Ath. 57-სა (ლიტერი E) და შინ. 11-ს (ლიტერი C), მათში ნაცვლად სიტყვისა „უდარასსა“, რაც კონტექსტითაც აშკარად მცდარია. სახეზეა „უღრმასსა“ (C: „უღრმაისა“). წაკითხვა „უდარესსა“ კონტექსტის მიხედვითაც იმიტომაა მცდარი, რომ იოანე საბანისძე საუბრობს მისდამი დაკისრებული ვალდებულების განსაკუთრებულ სირთულესა და აღმატებულებაზე, რაც გამორიცხავს „უდარესობას“. უაღრესად საგულისხმოა ისიც, რომ ნაცვლად დამაბოლოებელი სიტყვისა „განიკითხავ“, რაც დამოწმებულია C-შიც, E-ში დასტურდება „გამოიკითხავ“, რაც ასევე უეჭველად მართებული წაკითხვაა, რადგან, ერთი მხრივ, ბერძნულისა და სხვაენოვანი ვერსიების კვალობაზე, შესაბამის მუხლში საუბარი ეხება არა „განკითხვას“ ანუ „განსჯას“, არამედ — „გამოკვლევას“, „გამოძიებას“ ანუ ძველი ქართულით „გამოკითხვას“ (შდრ. ბერძნ. „ექსეტაძო“), მეორე მხრივ კი აღნიშნული მონაცემი ზედმიწევნით თანხვდება „ზირაქის სიბრძნის“ უძველეს ქართულ თარგმანს, დაცულს „ოშკის ბიბლიაში“ (ცხადია, სწორედ ესე უძველესი თარგმანი ექნებოდა ხელთ იოანე საბანისძეს). ასე რომ, E-ში (და ნაწილობრივ C-ში) ასეთი ტექსტია: „ უღრმასსა შენსა ნუ გამოეძიებ და

უძლიერასსა შენსა ნუ გამოიკითხავ “. შევადაროთ ამ ტექსტს „ოშკის ბიბლიის“ ტექსტი: „უღრმასსა მას შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერასსა მას შენსა ნუ გამოიკითხავ “. ზემორე შემთხვევა, სხვა მრავალ ანალოგიურ მონაცემთან ერთად, შთამბეჭდავად ადასტურებს, რომ E-ში დაცული ტექსტი ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათა შორის ყველაზე ანგარიშგასაწევია, Ω 1109-ის ანუ „უდაბნოს მრავალთავის“ ტექსტთან ერთად (რაც, E-სგან განსხვავებით, სამწუხაროდ ხშირად არის ნაკლულევანი). ღირსების ნიშნით, ამ ნუსხათა მომდევნოდ უნდა მიეჩინოს ადგილი C-ს.

2. ე. ი. სიტყვები.

3. გაკვირვებაში იყოს იმიტომ, რომ საყოველთაო განდგომილებისა და ცთომილების ეპოქაში, როგორადაც იოანე საბანისძე წარმოგვიდგენს თავის ჟამს, მართლაც გაკვირვების ღირსია აბოს თავდადება.

4. „იმ დროიდან დღემდე ქრისტიანთა“ - ე. ი. „ამ ხნის ქრისტიანთა“

5. „ჩვეულებისამებრ მამაპაპეული მსვლელობისა“ — შდრ. „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“; ე. ი. მამაპაპეული ცხოვრების წესის შესაბამისად.

6. ე. ი. ცნობიერად შეეთვისა, გონებით შეესაკუთრა.

7. ე. ი. 6 იანვრის (ახალი სტილით 19 იანვრის) ნათლისღების დღესასწაული.

8. „გალობისშემსხმელი“ — ე. ი. „გალობითმაქებელი“, „გალობისმიმძღვნელი“.

9. „მიწისაგანი კაცება“ — ე. ი. მიწისგან შექმნილი ადამიანური ბუნება.

10. ძეღმერთის

11. ძველი ქართული „უფსკრული“, „უფსკრულნი“ ძალიან ხშირად გადმოსცემდა „ზღვას“. მოვიტანთ ერთ ნიმუშს: „მა-

შინ უფსკრული იგი კილიკიისაბ და პამფილიისაბ განვლეთ და შთავედით მგრა ქალაქად ლუკიისა“.

12. “ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ (**ძქალძ**. რედ. ილია აბულაძე) წყაროდ მითითებულია ეზეკ. 29.4, რაც მცდარია, რადგან შესაბამის ადგილას სულ სხვა ტექსტი გვაქვს. მოტანილ ადგილას, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს იობის წიგნის ციტირებასთან. შდრ.: „მო-მე-ითრიოსა ვეშაპი სამჭედურითა და განიღო ხრატუკი ნიღრსსა მისსა?“ (იობ. 40.20, S).

13. შდრ. ფს. 18.7: „არა არს, ვინ დაეფაროს სიცხესა მისსა“.

14. „სწავლისმოღვაწენო“ — ეს შესანიშნავი კომპოზიტი, რასაც უცვლელად ვტოვებთ, ნიშნავს სწავლისთვის, ცოდნის მოპოვებისთვის გულმოდგინე ადამიანს.

15. „ამ შორეულმა მოსახლეებმა“ — შდრ. „შორიელთა ამათ მკგდრთა“. ტერმინ „მკვიდრს“ ძველ ქართულში არსებითად სამი მნიშვნელობა ჰქონდა: (I) მოსახლე, მცხოვრები („დამკგდრებული“); (II) ადგილობრივი მცხოვრები; (III) მემკვიდრე. ზემორე კონტექსტში, ვფიქრობთ, ტერმინი „მკგდრი“ უთუოდ პირველი მნიშვნელობით არის გამოყენებული.

16. „მოძღვრება“ — ძველი ქართული „ზრახვაბ“, რაც, ჩვეულებრივ, „აზრს,“ „ფიქრს“ აღნიშნავს, მოცემულ კონტექსტში „სწავლებას,“ „მოძღვრებას“ გულისხმობს.

17. „შენაძენნი“ — შდრ. „მონაგებნი“. მართალია, აღნიშნული ტერმინი, საზოგადოდ, მონაპოვარს ანუ ქონებას, ავლადიდებას, საქონელს, პირუტყვს აღნიშნავს, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ მოტანილ კონტექსტში იგი ნიშნავდენ ოჯახის შეძენილ წევრებს (მით უმეტეს, რომ იქვე მოსდევს: „ყოველნი სახლისა მისისანი“).

18. „საღვთო შური აიღო“ — შდრ. „შური საღმრთობ აღიღო“. გამოთქმა „შურის აღება“, გარდა ზემორე ტექსტისა, დამოწმებულია სხვა ძეგლებშიც, თუნდაც „საქმე მოციქულთას“ ძველ ქართულ თარგმანში: „ხოლო შური აღიღეს, რომელნი-იგი ურწმუნონი ჰურიანი იყვნეს“ (საქ. მოც. 17.5; საგულისხმოა, რომ სხვა ენებზე ამ ადგილას ორსიტყვედი ფრაზის ნაცვლად ერთი სიტყვა გვაქვს). დადებითი მნიშვნელობით ეს გამოთქმა ნიშნავს „ღირსეულად ბაძვას,“ „ღირსეულ მიმბაძველობას,“ ანუ მოცემულ სინტაგმაში „შური“ უიგივდება „ბაძვას“ (შდრ. მაგ. „მოქცევაბ ქართლისაბ“, სადაც ერთგან წმ. ნინოს ასე შეაგონებს თავისი მამა: „ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისათგს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთაბ“, ძქალძ, I, გვ. 110). ამრიგად, გამოთქმა „საღვთო შური აიღო“ ნიშნავს: „საღვთო ბაძვის სურვილით აღიძრა“. მოცემულ კონტექსტში აღნიშნული „ბაძვა“ გულისხმობს აფხაზეთის გულმხურვალე ქრისტიანებისადმი აბოს მბაძველობას უწყვეტ მარხვა-ლოცვასა და ღვთისმოყვარეობაში (აქ რომ „შური“ სწორედ „ბაძვას“ ნიშნავს, ამას ადასტურებს თუნდაც მოციქულის ის სიტყვები, რასაც იხსენებს აბო: „კეთილ არს ბაძვაბ კეთილისათგს მარადის“).

19. ე. ი. მაცთური, შემაცდენელი.

20. „შეთანხმებულად პირი შეკრეს ერთმანეთში“ — ხელნაწერებში გვაქვს: „შეიზრახნეს შეთქუმით“, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან E ნუსხაში სახეზეა „შეიზრახეს ურთიერთას“. ვფიქრობთ, თავდაპირველ ტექსტში იყო როგორც „შეთქუმით,“ ასევე „ურთიერთას“, რადგან აღნიშნული წინადადება ეხმიანება შემდეგ ფსალმუნურ მუხლს: „რამეთუ ზრახეს შეთქუმით ურთიერთას“ (ფს. 82.6; შდრ. აგრეთვე ლ. 20.5: „შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს“; ი. 11.53: „მიერ დღითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაბთა მოკლან იგი“).

21. საყურადღებოა, რომ „კერეონი“ ანუ ცვილის დიდი სანთელი ძველ ქართულ ტექსტებში, წინამდებარე „მარტვილობის“ მსგავსად, ხშირად იხსენიება „საკუმეველთან“ ერთად (მაგალითად: „წარმგზავნეს ... კერეონებითა და საკუმევლითა“,

ᲐᲐ1105, 410; იხ. ი. აბულაძის „ლექსიკონი“, გვ. 196; შდრ. „წმ. შუშანიკის მარტვილობა“: „კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი“, თ.19; იხ. იქვე, გვ. 196).

22. აღნიშნული მუხლი უთარგმნელად მოგვაქვს, რადგან იგი ლიტურგიკული დატვირთვისაა, სახელდობრ, წარმოადგენს „წესის აგების“ განგების ნაწილს.

23. ამ მუხლსაც, წინა კომენტარში აღნიშნული მიზეზის გამო, უთარგმენლად ვტოვებთ.

24. „იასპარეზა მან კარგი ასპარეზობა“ — შდრ. „ღუაწლი კეთილი მოიღუაწა“ (II ტიმ. 4.7: „ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს“).

25. „თავს მოიკლავს მათი ქრისტესთვის“ — იგულისხმება, ცხადია, არა თავის მოკვლა პირდაპირი მნიშვნელობით, რაც მძიმე ცოდვაა, არამედ ნებაყოფლობით თავის გაწირვა მაცხოვრის გამო.

26. შდრ. ზემოთ სქოლიო 24.

27. „სურნელებანი“ — შდრ. „სულნელები“, ე. ი. სურნელოვანი ნივთიერებები, ნელსაცხებლები.

28. იგულისხმება: „მაცხოვრის უნახავად (ხორციელი თვალით)“.

29. ე. ი. წმ. აბო.

30. ე. ი. წმ. აბოსგან.

31. იგულისხმება, რომ აბრაამის მიერ თავისი შვილის ისმაილის შთამომავლის, აბოს თავისვე წიაღში მიღებით (ამ უკანასკნელის გაქრისტიანების შედეგად) იგი (აბრაამი) სხვა ქრისტიან ერებთან ერთად არაბთა მამადაც გამოჩნდა.

32. ე. ი. მაცხოვრის მარჯვნივ ჯვარცმულ კეთილგონიერ ავაზაკს, რომელიც წინა მუხლში იყო ხსენებული.

33. „ქრისტეს გაცხადებულ აღმსარებლად“ — შდრ. „საცნაურად ქრისტᲔს აღმსაარებლად“. მართალია, ტერმინი „საცნაური“ ძველ ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში ბერძნული „ნოეროს-ნოეტოს“-ის ეკვივალენტია და აღნიშნავს „სულიერს“, „არამატერიალურს“, „ნოეტურს“, „გონითს“, ზემორე კონტექსტში აღნიშნული სემანტემა უთუოდ ეტიმოლოგიური მნიშვნელობის კვალობაზე არის მოხმობილი და აღნიშნავს „ცხადს“, „აშკარას“, „გაცხადებულს“, „ცხადლივს“ (სდრ. გამოთქმა „საცნაურ არს“ — „ცხადია“, „აშკარაა“).

34. „სამსხვერპლო“ — მსხვერპლშესაწირი ტრაპეზი, საკურთხეველი, ალტარი.

35. ამ ადგილას Ე ნუსხაში გვაქვს „საცეცხური“, რაც სინონიმია სხვა ნუსხებში ერთსულოვნად დადასტურებული იშვიათი ლექსიკური ერთეულისა „ბერვარი“. სიტყვა „ბერვარი“, რაც არ არის შეტანილი არც ი. აბულაძის, არც ზ. სარჯველაძის „ლექსიკონებში“, დამოწმებულია ბიბლიის ᲐᲑ ნუსხებში სწორედ აარონის საცეცხლურის აღსანიშნად, რაც მხედველობაში აქვს იოანე საბანისძეს. აი, სათანადო ტექსტი: „და შეწირონ **აᲰრონ** ზუარაკი იგი ცოდვათათგს თავისა თგსისა და სახლისა თგსისა და ლხინებაბ ითხოოს თავისა თგსისა და სახლისა თგსისა და დაკლას ზუარაკი იგი ცოდვათა თგსთათგს. და აღიღის ბერვარი იგი სავსე ნაკუერცხალი იგი ცეცხლისაგან საკურთხეველ[ისა] “ (ლევიტ. 16.11-12; შდრ. SBG: „... და მოიღოს სავსე საცეცხური ნაკუერცხალი ცეცლისაგან საკურთხეველისა“). „საცეცხლურის“ დამოწმების ზემორე და სხვა ნიმუშები ცხადყოფს, რომ „საცეცხური“ და „ბერვარი“ ნიშნავს „სასაკმევლეს“. შესაბამისად, საკუთრივ „საცეცხურთან“ დაკავშირებით დასაზუსტებელია ი. აბულაძის განმარტება: „საცეცხური - ცეცხლჩასაყრელი ჭურჭელი, ცეცხლში სადგმელი ჭურჭელი“ (იქვე დამოწმებული უკლებლივ ყველა ნიმუში მხოლოდ „სასაკმევლეს“ გაგებას შეიცავს. საგულისხმოა, რომ საკუთრივ „სასაკუმევლეს“ განმარტებისას მკვლევარი სავსებით მართებულად შენიშნავს; „სასაკუმევლე -

საცეცხური“). რაც შეეხება ჰაგიოგრაფის მიერ ზაქარიას მღვდ-ლობაზე მითითებას, საფიქრებელია აქ იგულისხმებოდეს ლ. 1.9-11: „მსგავსად ჩუეულებისა მღდელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაბ და შევიდა ტაძარსა უფლისასა. და ყოველი სიმრავლე ერისაბ ილოცვიდა გარეშე ჟამსა მას საკუმეველისა კუმევისასა. და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაბ, მდგომარე მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეველთაგსა“.

* * *